სამოქალაქო საზოგადოება

პუბლიცისტიკა, ესსეები

არისტოტელე
ნიკოლაი ბერდიაევი
იაკობ გოგებაშვილი
ვაჟა-ფშაველა
ჯონ სტიუარტ მილი
ნიკო ნიკოლაძე
რობერტ დ. პატნემი
ალექსის დე ტოკვილი
ილია ჭავჭავაძე
მიხეილ ჯავახიშვილი
იურგენ ჰაბერმასი
ვაცლავ ჰაველი

»

სამოქალაქო საზოგადოება

CSI CSI
სი ეს აი
საქართველოს საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

თბილისი
2014

სამოქალაქო საზოგადოება
ალმანახი

სარედაქციო ჯგუფი:

ვაჟა სალამაძე
ვახტანგ ნაცვლიშვილი
სალომე დუნდუა
თამარ ბოჭორიშვილი
თემურ ჯალიაშვილი

თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით:
მარინა მუსხელიშვილს
ლალი შალვაშვილს

დიზაინი:
თორნიკე ბოკუჩავა

რედაქტირება/კორექტურა
ხათუნა სიდამონიძე

ISBN 978-9941-0-6149-3

ალმანახი გამოცემულია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ
Brot fur die Welt-ის **ფინანსური მხარდაჭერით**

წინათქმა

თქვენ წინაშეა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" მიერ მომზადებული ალმანახი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. კრებულის შედგენისას, ჩვენი მიზანი იყო, მკითხველისთვის წარმოგვედგინა ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე.

საგულისხმოა, რომ წიგნში, ჩვენი სურვილის მიუხედავად, ვერ მოხვდა ბევრი მწერლისა და ფილოსოფისის ნააზრევი. საავტორო უფლებების არქონის გამო სარედაქციო ჯგუფს მოუწია, უარი ეთქვა მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვან ავტორზე. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, სამოქალაქო ღირებულებების შესახებ ამჟამად მიმდინარე დისკუსიებს წინამდებარე ალმანახი ახალი თემებით, ახალი იდეებითა და ახალი არგუმენტებით მოამარაგებს.

სარჩევი

არისტოტელე
„პოლიტიკა,“ ამონარიდები ---------- 5
ნიკოლაი ბერდიაევი
დემოკრატია და პიროვნება ---------- 17
დემოკრატია, სოციალიზმი და თეოკრატია ---------- 22
იაკობ გოგებაშვილი
დაბალი ღობე ერთა შორის ---------- 41
პატრიოტიზმზე (ფრაგმენტი) ---------- 46
ვაჟა-ფშაველა
კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ----------
რა არის თავისუფლება? ----------
ქალთა უფლებების შესახებ ----------
რას ჰქვიან თავისუფლება? ----------
ჯონ სტიუარტ მილი
ინდივიდზე საზოგადოების ძალაუფლების გავრცელების
საზღვრების შესახებ ---------- 41
ჭეშმარიტი და ყალბი დემოკრატია ---------- 59
ნიკო ნიკოლაძე
სადღეისო ჭირვარამი ---------- 77
რობერტ დ. პატნემი
ბოულინგი მარტო:
საზოგადოებრივი კაპიტალის ფლანგვა ამერიკაში ---------- 81
ალექსის დე ტოკვილი
დემოკრატია ამერიკაში ----------
ილია ჭავჭავაძე
კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ ----------
პრესის თავისუფლების შესახებ ----------
კანონის უზენაესობის შესახებ ----------
დედათა საქმე ----------
დედათა ემანსიპაციის შესახებ ----------
რა გითხრათ, რით გაგახაროთ... ----------
მიხეილ ჯავახიშვილი
ქალთა მოძრაობის ისტორიიდგან ----------
დამოუკიდებელი სასამართლო ----------
იურგენ ჰაბერმასი
სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის
შინაგანი ურთიერთკავშირის შესახებ ----------
ვაცლავ ჰაველი
სიტყვა - ვაცლავ ჰაველის სახელობის
სამოქალაქო საზოგადოების სიმპოზიუმზე ----------

არისტოტელე (ძვ.წ. 384 - ძვ.წ. 322)

ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი



პოლიტიკა

წიგნი I

თავი I

ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს. ყოველი კავშირი კი რაიმე სიკეთეს ისახავს მიზნად, რადგან ყველა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც სიკეთე ჰგონია. ამრიგად, ცხადია, რომ ყველა მიისწრაფვის რაიმე სიკეთისაკენ. უმთავრესი სიკეთისკენ მიისწრაფის ყველაზე უკეთესი კავშირი, რომელიც მოიცავს ყოველივეს და ეს არის ე.წ. სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი კავშირი.

სწორნი არ არიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი, მეფე, ოჯახის უფროსი და ბატონი ერთი და იგივეა. მათი აზრით, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან რაოდენობით და არა თვისებით. მაგალითად ვისაც ადამიანების მცირე რაოდენობა ემორჩილება, ის ბატონია, ვისაც ადამიანების უფრო მეტი რაოდენობა ემორჩილება ის ოჯახის უფროსია, ვისაც უფრო მეტი რაოდენობა ემორჩილება ის ან რესპუბლიკის მეთაურია, ან მეფეა. ისინი ფიქრობენ, რომ არავითარი განსხვავება არაა დიდ სახლსა და პატარა სახელმწიფოს შორის.

სახელმწიფოს მეთაური მეფისგან იმით განსხვავდება, რომ მეფე მართავს მემკვიდრეობის უფლებით, სახელმწიფოს მეთაური კი - კანონების ცოდნით და ის ხან ქვეშევრდომია, ხან კი ხელმძღვანელი. ეს თვალსაზრისი სწორი არაა, რაც ცხადი გახდება მაშინ, თუ ზემოთქმულს განვიხილავთ იმ მეთოდით, რომლითაც აქამდე ვხელმძღვანელობდით. როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც აუცილებელია, რომ რთული მოვლენა არართულ ნაწილებად დავშალოთ. ისინი რთულის უმცირესი ნაწილები უნდა იყვნენ. ასევე, თუ განვიხილავთ იმ ნაწილებს, რისგანაც სახელმწიფო შესდგება, მაშინ დავინახავთ, თუ რით განსხვავდებიან სახელმწიფოები ერთმანეთისგან და შეიძლება თუ არა რაიმე მეცნიერული ახსნა მოვუნახოთ თითოეულ პოლიტიკურ მოვლენას.

ვინც საგნებს განიხილავს მათი წარმოშობიდან, ის როგორც ამ სფეროში, ისე სხვაგან დიდ წარმატებებს მიაღწევს. აუცილებელია თავიდანვე იმ მოვლენების დაწყვილება, რომელთაც ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, მაგალითად ქალისა და კაცისა, შთამომავლობის დატოვების მიზნით და ეს ხდება არა წინასწარი განზრახვით, არამედ ბუნებრივად, როგორც სხვა ცხოველებსა და მცენარეებში სხვა, თავის მსგავს არსებათა დატოვების მიზნით. აუცილებელია ხელმძღვანელისა და ქვეშევრდომის არსებობა თავდაცვის მიზნით. იმას, ვისაც შეუძლია გონებით მოვლენების წინასწარ განჭვრეტა, ის თავისი ბუნებით ხელმძღვანელი და მბრძანებელია, ხოლო ვისაც შეუძლია ამის განხორციელება ფიზიკური ძალებით, ის ქვეშევრდომია

და მონური ბუნების მქონე. მაშასადამე, მონასა და ბატონს ერთი და იგივე ინტერესები ჰქონიათ.

ქალი და მონა თავისი ბუნებით განსხვავდებიან, მაგრამ ბუნება არ ჰქმნის ისე ძუნწად, როგორც მჭედლები დელფოსის დანას, არამედ ბუნება ერთს მეორესთვის ჰქმნის. ყოველი მოვლენა უკეთ შეასრულებს თავის დანიშნულებას, თუ ის ემსახურება არა ბევრს, არამედ ერთ საქმეს.

ბარბაროსებში მონა და ქალი ერთ საფეხურზე დგანან, რადგან ბარბაროსებს ბუნებრივი ხლმძღვანელი არა ჰყავთ, და მათში კავშირი იქმნება მონა ქალისა და მონა კაცის დაახლოების გზით. ამიტომაც ამბობს პოეტი: „ბარბაროსებს შეჰფერით, რომ მათზე ბერძნები ბატონობდნენ. ეს კი იმიტომ, რომ ბარბაროსებსა და მონებს ერთნაირი ბუნება აქვთ.“

ურთიერთობის ამ ორი ფორმიდან პირველად ოჯახი წარმოიშობა და სწორედ ამბობს ჰესიოდე: „პირველად იშვა სახლი, ქალი და ხარი, მიწას რომ ხნავს“. ღარიბებს ხომ მსახურის ნაცვლად ხარი ჰყავთ. ყოველდღიური ბუნებრივი ურთიერთობისათვის კავშირს ოჯახი ანუ გვარი წარმოადგენს. ამას ქარონემდე უწოდებს ერთ მაგიდაზე მკვებავთ, ეპიმენდე კრეტელი კი - ერთად მცხოვრებთ.

რამოდენიმე ოჯახის პირველ გაერთიანებას, რომელიც მიზნად ისახავს ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და რომელიც არ იქმნება მხოლოდ ერთი დღისათვის, სოფელი წარმოადგენს. როგორც ჩანს, სოფელი ბუნებრივად არის ოჯახების კოლონია. ამიტომაც მის მცხოვრებთ ზოგი უწოდებს ერთი ძუძუთი გაზრდილ ძმებს, ზოგი კი შვილებს ან შვილიშვილებს.

პირველ ქალაქებს და დღესაც ზოგიერთ ტომებს სათავეში მეფეები ჰყავთ, რომლებიც ქვეშევრდომები იყვნენ. ყოველ ოჯახს ოჯახის უფროსი მართავს, ხოლო ოჯახის წევრები ერთმანეთს ენათესავებიან ამიტომ ამბობდა ჰომეროსი; „თვითოეული ადგენს კანონს თავისი ბავშვებისა და ცოლებისათვის“. ეს სოფლები გაბნეულები იყვნენ და საერთოდ, ჩვენი წინაპრები ასე ცხოვრობდნენ. ღმერთების შესახებაც ამბობენ, რომ მათ მეფეები მართავენ და დღესაც სახელმწიფოების ნაწილს მეფეები ყავთ. ადამიანები, როგორც ღმერთების გარეგნობას თავის გარეგნობას ამსგავსებენ, ასევე ამსგავსებენ მათი ცხოვრების ფორმასაც.

რამოდენიმე დასახლებამ შექმნა დასრულებული სახელმწიფო, რომელთაგან თვითოეულს აქვს სრული დამოუკიდებლობა, როგორც ეპოსშიც არის ნათქვამი. ამათგან სახელმწიფოების ნაწილის მიზანია მხოლოდ არსებობის შენარჩუნება, ნაწილისა კი ბედნიერი არსებობა. მაშასადამე, ყოველი ქალაქი-სახელმწიფო ბუნებრივად არის წარმოშობილი, როგორც ადრე არსებული კავშირები. ქალაქი-სახელმწიფოები წარმოადგენენ წინამორბედი კავშირების დასრულებას, რადგან მათი ბუნება ვლინდება მათსავე განვითარების დასრულებაში. და სწორედ ეს შეადგენს ყოველი მოვლენის არსებას, მაგალითად, ადამიანისა, ცხენისა და სახლისა. გარდა ამისა, მიზანი და დასასრული არის საუკეთესო რამ, ხოლო მიზანი და ყველაზე საუკეთესო რამ არის დამოუკიდებლობა.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ სახელმწიფო-ქალაქი ბუნებრივი მოვლენაა და რომ ადამიანი არის პოლიტიკური არსება. ხოლო ვინც სახელმწიფოს გარეთ იმყოფება თავისი სურვილით და არა შემთხვევით, ის ან ცუდი ადამიანია, ან ადამიანზე მაღლა

მდგომი. როგორც ჰომეროსიც ამბობს განკიცხვით, „ის იყო ბოგანო, კანონგარეშე და უსახლკარო...“ ასეთი ადამიანი ომის მოყვარეც არის და ისე არსებობს, როგორც განმარტოვებული პაიკი სათამაშო დაფაზე.

ცხადია, რომ ადამიანი არის პოლიტიკური არსება უფრო მეტად, ვიდრე ფუტკრები ან ჯოგურად მცხოვრები ცხოველები, როგორც უკვე ვთქვით. ბუნება ტყუილ-უბრალოდ არაფერს არ აკეთებს. ცხოველთა შორის მხოლოდ ადამიანებს აქვთ მეტყველების უნარი. ხმა ტანჯვისა და სიამოვნების ნიშანია, რაც სხვა ცხოველებსაც ახასიათებთ. მათი ბუნების განვითარებამ მიაღწია იმ დონეს, რომ მათ აქვთ ტანჯვისა და სიამოვნების შეგრძნების უნარი, რასაც ისინი ერთმანეთს მიანიშნებენ. სიტყვა კი ნათელყოფს სასარგებლოსა და საზიანოს, სამართლიანსა და უსამართლოს. განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, ეს ადამიანისთვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ მას აქვს შეგრძნება სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის და სხვა შეგრძნებები, ყოველივე ეს მთლიანობაში წარმოადგენს ოჯახისა და სახელმწიფოს საფუძველს.

ბუნებრივად როგორც ოჯახთან, ისე სხვა საგნებთან შედარებით, პირველი არის ქალაქი-სახელმწიფო, რადგან მთელი აუცილებლად წინ უსწრებს ნაწილს და მთელის მოსპობა სპობს ხელს, ფეხს და სხვ. თუმცა მათ მაინც შეიძლება ვუწოდოთ ხელი ან ფეხი, მაგრამ ჰომონიმურად. როგორც ამბობენ, ხელს ან ფეხს უწოდებენ ქვისგან გამოთლილსაც. ადამიანის სიკვდილის შემდეგ ხელი მხოლოდ სიტყვიერად იწოდება ხელად. ყოველი საგანი განსაზღვრულია როგორც მოქმედებით, ისე თავისი უნარით. ამიტომ თუ მას ეს თვისებები აღარა აქვს, მაშ ის არც არსებულა და თუ არსებობს, მხოლოდ სიტყვიერად.

ამრიგად, ცხადია, რომ სახელმწიფო ბუნებრივად უფრო პირველადია, ვიდრე ცალკეული ადამიანი და თუ ადამიანებს სახელმწიფოსაგან დაცილებით არ შეუძლიათ არსებობა დამოუკიდებლად, მაშ მათ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოსთან, როგორც სხვა ნაწილებს მთელთან. მაგრამ ვისაც არ შეუძლია სახელმწიფოში ყოფნა, ან არ სჭირდება ის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, მაშინ ის ან მხეცია, ან ღმერთი.

ბუნებრივად თითოეულ ადამიანს ახასიათებს მისწრაფება სახელმწიფოებრივი ურთიერთობისაკენ. ხოლო ვინც პირველად შემოიღო სახელმწიფოებრივი კავშირი, მან ადამიანებს დიდი სიკეთე მოუტანა. ადამიანი, რომელმაც მიაღწია სრულყოფას, ის ცოცხალ არსებათა შორის საუკეთესოა. ხოლო ადამიანი, მოცილებული კანონსა და სამართალს, ყველაზე მდაბალი არსებაა. რადგან ყველაზე უფრო დიდი საშინელებაა შეიარაღებული უსამართლობა. ბუნებრივად ადამიანის იარაღს წარმოადგენს გონიერება და ზნეობა, რომლის გამოყენება შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებითაც, ამიტომ უზნეო ადამიანი უსინდისო და მხეცური ბუნებისაა სათნოების გარეშე როგორც სქესობრივ, ისე სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხში. სამართლიანობა კი სახელმწიფოებრივი მოვლენაა, რადგან სამართალი არის სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი საშუალება და სამართლიანობის საზომი.

წიგნი III
თავი I

ის, ვინც იკვლევს ცალკეული სახელმწიფოების არსსა და თვისებებს, მან პირველ ყოვლისა, უნდა დაადგინოს, თუ რა არის სახელმწიფო. ამჟამად კი წარმოებს დავა იმის გამო, რომ ზოგის აზრით მოქმედება ჩადენილია სახელმწიფოს მიერ, ზოგის აზრით კი არა სახელმწიფოს არამედ ოლიგარქის ან ტირანის მიერ. ყოველი პოლიტიკოსის ან კანონმდებლის მოქმედება ჩვენ მიგვაჩნია სახელმწიფოსათვის გამიზნულად. სახელმწიფოს კონსტიტუცია სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთათვის შედგენილი წესი.

სახელმწიფო კი, როგორც ყოველივე სხვა, არის მრავალი ნაწილისგან შედგენილი მთელი. რადგან სახელმწიფო შედგება მოქალაქეთა სიმრავლისაგან, ამიტომ პირველ რიგში უნდა ვიკვლიოთ, თუ ვინ არის მოქალაქე და ვის უნდა ვუწოდოთ ეს სახელი.

ამ საკითხზე ხშირად წარმოებს დავა, რადგან მოქალაქე ყველას ერთნაირად არ ესმის. ხშირად ის, ვინც დემოკრატიაში მოქალაქედ ითვლება, ოლიგარქიაში არ ითვლება მოქალაქედ. ჩვენ აქ არ შევეხებით საკითხს იმ მოქალაქეთა შესახებ, რომლებმაც მოქალაქის სახელი მიიღეს რაღაც სხვა გზით, მაგალითად მეტეკები და მონები, რომლებსაც აქვთ მოქალაქეებთან საერთო ადგილსამყოფელი. მოქალაქენი არ არიან არც ისინი, რომლებიც მონაწილეობენ სასამართლოში და იყვნენ ან მოსარჩელენი ან მოპასუხენი. ეს უფლება ეძლევათ უცხოელ მოქალაქეებსაც, თანახმად შეთანხმებისა, თუ ეს შეთანხმებაში იქნება აღნიშნული. მაგრამ მეტეკებს ეს უფლება ბევრგან საბოლოოდ არა აქვთ მინიჭებული. მათთვის აუცილებელია პროსტატის აყვანა. ასე რომ მეტეკების უფლებები სახელმწიფოში შეზღუდულია. ასევე ბავშვები არასრულწლოვანების გამო არ არიან შეტანილი მოქალაქეთა სიაში და მოხუცები, რომლებიც განთავისუფლებული არიან მოქალაქის მოვალეობებისგან. შეიძლება ითქვას, რომ ორივენი მოქალაქენი არიან, მაგრამ არა აბსოლუტური მნიშვნელობით, არამედ ერთს ვუმატებთ "არასრულწლოვანი", მეორეს "მოწიფულობას გადასული", ანდა რაიმე სხვა ამდაგვარს. ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩვენი აზრი ისედაც გასაგებია. მაგრამ ჩვენ ვიკვლევთ მოქალაქის ცნებას მისი აბსოლუტური მნიშვნელობით ისე, რომ მას არ დასჭირდეს არავითარი შესწორება. ეს კი საჭიროა, რადგან როგორც პატივაყრილ, ისე გაძევებულ მოქალაქეებს უჩნდებათ ხოლმე დაბრკოლებანი, რაც გადაწყვეტას მოითხოვს.

მოქალაქის ცნება იმაზე უკეთ ვერ განისაზღვრება, თუ არა სასამართლოსა და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლებით. ზოგი სახელმწიფოს მმართველი არჩეულია დროებით. ასე რომ, ერთსა და იმავე ადამიანს არ შეუძლია ხელმეორედ იმავე თანამდებობაზე დარჩენა, ან შეუძლია გარკვეული ვადის შემდეგ. ზოგი თანამდებობის ვადა კი განუსაზღვრელია. მაგალითად სასამართლოს და სახალხო კრების მონაწილისა, მაგრამ ვინმეს შეიძლება ეთქვა, რომ ისინი არც სახელმწიფოს მმართველნი არიან, და არც სახელმწიფოს განმგებლობაში მონაწილეობენ. განა სასაცილო არ იქნებოდა, რომ ყველაზე ძლიერი ადამიანები მოკლებულნი იყვნენ სახელმწიფოს მართვის უფლებას? მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ სახელწოდებაზე. არ არსებობს სასამართლოსა და სახალხო კრების მონაწილისათვის საერთო სახელი და ცნების განუსაზღვრელობის გამო განუსაზღვრელი რჩება მათი უფლებებიც. ამრიგად, ჩვენ მოქალაქეებად ვთვლით

იმათ, ვინც ამ გზით მონაწილეობენ სახელმწიფო მმართველობაში.

იმათთვის, ვისაც კი მოქალაქე ეწოდება, ყველაზე უფრო შესაფერისი იქნება ეს განსაზღვრება. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის, რომ სადაც სუბსტანციას აქვს სახეობრივი განსხვავებები ამ განსხვავებებში ერთი იქნება პირველი, მეორე იქნება შემდეგი და სხვ. ამათ ან საერთოდ არა აქვთ ზოგადი ბუნება, ან სუსტად აქვთ განვითარებული. ჩვენ ვხედავთ რომ პოლიტიკური სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ზოგი მათგანი პირველია, ზოგი მომდევნო. მცდარი პოლიტიკური სისტემები, რომლებიც სწორი პოლიტიკური სისტემებიდან არიან გადახრილები, აუცილებლად დაბლა დგანან სწორ პოლიტიკურ სისტემებზე. თუ რას ვგულისხმობ სწორიდან გადახრაში, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი.

ცხადია, რომ მოქალაქეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავების შესაბამისად. მაშასადამე მოქალაქის ცნება ყველაზე მეტად უდგება დემოკრატიულ სახელმწიფოში მცხოვრებთ. ის შეიძლება მიუდგეს სხვა სახელმწიფოში მცხოვრებთაც, მაგარამ ეს აუცილებელი არაა. ზოგ სახელმწიფოში ხალხს არა აქვს უფლებები, არც სახლახო კრებას იწვევენ, არამედ იწვევენ სენატს და სასამართლო საქმეების წარმოებაც დანაწილებული აქვთ. მაგალითად ლაკედემონში საქმეებს ხელშეკრულებების შესახებ არჩევენ სხვადასხვა ეფორები, მკვლელობებს გერონტები, ასევე სხვა საქმეებს სხვა თანამდებობის პირები. მაგრამ ასე არაა კართაგენში, იქ სასამართლო საქმეებს გარკვეული პირები აწარმოებენ.

მაშასადამე ჩვენი განსაზღვრება მოქალაქის შესახებ უნდა შესწორებულ იქნას. სხვა სახელმწიფოებში არაა გარკვეული სახალხო კრებისა და სასამართლოების ხელმძღვანელობა, არამედ ის დადგენილია ხელისუფლების მიერ. ამათგან ან ყველას, ან ზოგიერთს ეძლევა უფლება ყველა ან ზოგიერთი საქმის გარჩევისა და გადაწყვეტილების გამოტანისა. მოქალაქეს ვუწოდებთ იმას, ვისაც აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ამ სახელმწიფოს სათათბირო და სამოსამართლო ორგანოებში და მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფო არის ადამიანების ისეთი კავშირი, რაც საკმარისია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. პრაქტიკულად კი მოქალაქედ ითვლება ის, ვინც ორმხრივ, როგორც მამის, ისე დედის მხრივ არის მოქალაქე და არა მხოლოდ ერთის მხრივ. ზოგნი კი უფრო შორს მიდიან და მეორე ან მესამე თაობის წინაპრებში ეძებენ მოქალაქეობას. სახელმწიფოებრივი საკითხის ასეთი გადაწყვეტა იწვევს კითხვას, თუ როგორ უნდა დადგინდეს მესამე ან მეოთხე წინამორბედი თაობის მოქალაქეობა? საქმე კი სულ მარტივადაა. თუ კაცი მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში, ზემომოტანილი განსაზღვრების თანახმად ის ამ სახელმწიფოს მოქალაქეა. მაგრამ შეუძლებელია ეს განსაზღვრება გავრცელდეს იმ მოქალაქე ქალზე ან კაცზე, რომელნიც იყვნენ პირველი დამაარსებელნი და მოსახლენი ამ ქალაქისა.

უფრო მეტი დაბრკოლებები წარმოიქმნება იმათ მიმართ, ვინც მოქალაქეობა მიიღო გადატრიალებების შემდეგ, როგორც მოიქცა ტირანების გაძევების შემდეგ კლისთენე. მან ბევრი უცხოელი და მონა მეტეკი გაიყვანა ფილებში. აქ კამათი ეხება არა იმას, თუ ვინ არის მოქალაქე და ვინ არა, არამედ იმას, სამართლიანად თუ უსამართლოდ აქვს მას მიღებული მოქალაქეობა. მაგრამ თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ ვიღაც არაა სამართლიანად მოქალაქე, მაშინ ეს არის უსამართლობა და სიყალბე.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ სახელმწიფო მოხელეს თანამდებობა

უსამართლო გზით აქვს მოპოვებული და ჩვენ კი მას მმართველს ვუწოდებთ, რაც არაა სწორი. მოქალაქე კი დამოკიდებულია სახელმწიფო მმართველობისგან, რადგან მოქალაქედ ითვლება სახელმწიფო მმართველობაში მონაწილე, როგორც უკვე ვთქვით. მაშ მოქალაქენი ესენი არიან. მაგრამ რაც შეეხება თანამდებობას, სამართლიანად თუ უსამართლოდ აქვს კაცს მოპოვებული, ეს დაკავშირებულია ზემოთთქმულ სადაო საკითხებთან.

დაბრკოლებას იწვევს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ქმედება ჩადენილია სახელმწიფოს მიერ თუ არა, როდესაც ოლიგარქიიდან ან ტირანიიდან ხდება გადასვლა დემოკრატიაში? ამ დროს ზოგი უარს ამბობს ხელშეკრულების შესრულებაზე, რადგან ფიქრობს, რომ ეს ვალდებულება იკისრა არა სახელმწიფომ, არამედ ტირანმა და მრავალი სხვა ამგვარი. მაგალითად, მიუთითებენ იმაზეც, რომ ზოგი სახელმწიფო არსებობს ძალმომრეობისათვის და არა ხალხის კეთილდღეობისათვის. მართალია ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფო ასე ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ სახელმწიფოს მოქმედებები მაინც ითვლება სახელმწიფოებრივ მოქმედებებად ისევე, როგორც ოლიგარქიული ან ტირანული სახელმწიფოსი.

ამ სიძნელეებთან არის დაკავშირებული აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო იგივე დარჩა თუ არა, როცა მან სახე იცვალა? ამ საკითხის ყველაზე მარტივი გადაწყვეტა იქნება მოსახლეობისა და ტერიტორიის კვლევა. შეიძლება მოხდეს ის, რომ ტერიტორია და ადამიანები ერთმანეთს დაშორდნენ, ერთნი გადასახლდნენ ერთ ადგილას, მეორენი მეორეგან. მაგრამ ეს დაბრკოლება ადვილი გადასაწყვეტია, რადგან სიტყვა „სახელმწიფო“ მრავალი მნიშვნელობით იხმარება.

ეს გარემოებები აიოლებს საკითხის კვლევას. ასევე, თუ ადამიანები ერთსა და იმავე ადგილზე ცხოვრობენ, რა შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ეს იგივე სახელმწიფოა? აქ საქმე კედლებზე არაა დამოკიდებული. რადგან შეიძლებოდა პელოპონესის შემოღობვაც ერთი კედლით. იგივე ითქმის ბაბილონზე და სხვა ქალაქებზეც, რომლებსაც აქვთ უფრო მეტად მოსახლეობის და არა ტერიტორიის აღწერა. როგორც ამბობენ, ბაბილონის აღების მესამე დღესაც კი ქალაქის ერთმა ნაწილმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. მაგრამ უკეთესი იყო ამ საკითხის კვლევა გადაგვედო სხვა დროისთვის. პოლიტიკურ მოიღვაწეს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან საკითხი ქალაქის სიდიდის შესახებ, აგრეთვე რა უფრო სასარგებლოა, ერთი თუ მრავალი ტომის მოსახლეობა და რომელი ტომებისა? თუ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობს ერთი და იმავე ტომის ხალხი, მაშინ რა უნდა ითქვას, რომ სანამ ეს ტომი სახლობს ამ ტერიტორიაზე, სახელმწიფო იგივეა თუ არა? თუმცა მასში განუწყვეტლივ ზოგი იბადება ზოგი კი კვდება. როგორც მდინარეზე ვამბობთ რომ იგივეა, თუმცა მასში წყლის ნაწილი ჩაედინება, ნაწილი კი გამოედინება. იქნებ უნდა ითქვას, რომ ადამიანები იგივე დარჩნენ, იმავე მიზეზით, სახელმწიფო კი შეიცვალა? თუ სახელმწიფო არის ერთგვარი კავშირი, ხოლო მოქალაქეთა კავშირი ქმნის სახელმწიფოს, მაშინ თუ სახელმწიფომ იცვალა სახე, ქალაქიც აუცილებლად სხვა იქნება და არა იგივე. როგორც გუნდი ხან კომიკურია, ხან ტრაგიკული, რის გამოც ჩვენ ვამბობთ რომ ის სხვაა, თუმცა ადამიანები იგივე დარჩნენ. ასევე კავშირებმა და გაერთიანებებმა თუ სახე იცვალეს, ისინი სხვა კავშირები და სხვა გაერთიანებები იქნებიან. ჰარმონიაზეც ვამბობთ, რომ ის ხან დროულია, ხან ფრიგიული, თუმცა ის ერთი და იგივე ბგერებისგან შესდგება. თუ ეს ასეა, მაშინ ქალაქზეც უნდა ვიმსჯელოთ მისი კონსტიტუციის მიხედვით, ასევე სახელმწიფოზეც, სახელწოდებაც

შეიძლება ვიხმაროთ იმის დამოუკიდებლად, ცხოვრობენ მასში იგივე ადამიანები თუ სრულიად სხვა ადამიანები.

მაგრამ საკითხი იმის შესახებ სამართლიანია თუ არა მოვალეობის შესრულება ან არ შესრულება, როცა სახელმწიფო შეიცვალა ან შეიცვალა მისი კონსტიტუცია, ეს სულ სხვა საკითხია.

თავი II

იმის შემდეგ, რაც ვთქვით, უნდა ვიკვლიოთ საკითხი იმის შესახებ, რომ ზნეობრივი ერთნაირად უნდა ეწოდოს როგორც კარგ ადამიანს, ასევე კარგ მოქალაქეს თუ არა? თუ გვინდა რომ ეს გავარკვიოთ, მაშინ პირველ ყოვლისა, უნდა დავადგინოთ ზოგადად, თუ ვინ არის კარგი მოქალაქე. რა დამოკიდებულებაშიც არის მეზღვაური მთელ ეკიპაჟთან, ასეთსავე დამოკიდებულებაშია მოქალაქე მთელ საზოგადოებასთან. მეზღვაურებს კი გემზე ერთნაირი უფლებები არა აქვთ. ერთი ნიჩბოსანია, მეორე მესაჭე, მესამე მესაჭის დამხმარე, სხვებს კი სხვა სახელწოდებები აქვთ. ამიტომ ცხადია, რომ თითოეულ მათგანს თავისი ზნეობა ექნებათ. ზოგი განსაზღვრება კი ყველას ერთნაირად მიუდგებათ. ყოველი მეზღვაურის მიზანს შეადგენს ბედნიერი მგზავრობა, ამიტომ თითოეული მათგანი ამ მიზნისკენ მიისწრაფვის. იგივე ითქმის მოქალაქეებზეც, თუმცა ისინი განსხვავებულნი არიან, მათი კავშირის მიზანია კეთილდღეობა. მათი კავშირი კი სახელმწიფოს წარმოადგენს. ამიტომ მოქალაქის ზნეობა სახელმწიფოზე არის დამოკიდებული.

რადგან სახელმწიფო წეს-წყობილება მრავალგვარია, ამიტომ ცხადია, რომ კარგი მოქალაქის ზნეობა ერთგვაროვანი არ იქნება. ჩვენ კი კარგ კაცს ვუწოდებთ იმ ადამიანს, თუ მას აქვს რომელიმე ერთი სრულყოფილი სათნოება. ცხადია, რომ შესაძლებელია ადამიანი იყოს კარგი მოქალაქე იმ სათნოების გარეშე, რომლის გამოც ის კარგ კაცად ითვლება. მაგრამ მოქალაქის სათნოების შესახებ მოკამათენი მივიდნენ ამავე დასკვნამდე სხვა გზითაც. თუ შეუძლებელია, რომ სახელმწიფო მთლიანად კარგი მოქალაქეებისგან შედგებოდეს, მაშინ საჭიროა, რომ თითოეული მოქალაქე კარგად ასრულებდეს თავის საქმეს. ეს კი დამოკიდებულია მის ზნეობაზე. მაგრამ რადგან ყველა მოქალაქე არ შეიძლება ერთნაირი იყოს, ამიტომ ერთი და იგივე არ იქნება მოქალაქის და ადამიანის ზნეობა. თუ სახელმწიფოში ყველა კარგი მოქალაქე იქნება, მაშინ სახელმწიფოც საუკეთესო იქნება. მაგრამ შეუძლებელია, რომ სახელმწიფოში ყველა ადამიანი კარგი იყოს, თუ არაა აუცილებელი რომ კარგი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე კარგი ადამიანი იყოს.

სახელმწიფო შედგება განსხვავებული ნაწილებისგან, როგორც ყოველი ცოცხალი არსება შედგება სულისა და სხეულისაგან. სული შესდგება აზროვნებისა და ნებისყოფისაგან, ოჯახი შესდგება მამაკაცისა და ქალისაგან. ქონება ბატონისა და მონისაგან. სახელმწიფო კი მოიცავს ყოველივე ამას და კიდევ სხვა მოვლენებს. ამიტომ არ არის აუცილებელი რომ ყველა მოქალაქის სათნოება ერთნაირი იყოს, როგორც ქოროში ქოროს ხელმძღვანელისა და მონაწილისა. აქედან ცხადია, რომ კარგი ადამიანისა და კარგი მოქალაქის სათნოება ერთი და იგივე არ არის. მაგრამ იქნებ იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც ექნება როგორც კარგი კაცის, ასევე კარგი სახლმწიფო მოღვაწის სათნოება? ჩვენ ვამბობთ, რომ სახელმწიფოს კარგი ხელმძღვანელი უნდა იყოს სათნო და გონიერი. პოლიტიკოსი კი გონიერი უნდა იყოს.

იმასაც ამბობენ, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელის აღზრდა თავიდანვე განსხვავებული უნდა იყოს. მაგალითად, მეფის ვაჟებს ასწავლიან ცხენოსნობას და საომარ ხელოვნებას. აკი ევრიპიდეც ამბობს: „მე არ მინდა მახვილგონიერება, არამედ ის, რაც სახელმწიფოს სჭირდება“. იგულისხმება ის, რომ მეფეთათვის არსებობს სპეციფიური სათნოება. კარგი მმართველისა და კარგი მოქალაქის სათნოება ერთი და იგივეა. მაგრამ რადგან მოქალაქე ქვეშევრდომია, ამიტომ მოქალაქისა და ადამიანის სათნოება ერთი და იგივე არ იქნება. ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ ერთ რომელიმე ადამიანზე. ხელმძღვანელი და მოქალაქე ერთი და იგივე არაა, ალბათ ამიტომ თქვა იაზონმა, რომ შიმშილობს, როცა ტირანი არაა. რაც იმას ნიშნავს, რომ მან არ იცის, თუ როგორი უნდა იყოს ჩვეულებრივი მოქალაქე. საქებია ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია როგორც ხელმძღვანელობა, ასევე მორჩილება და ვფიქრობთ, რომ მოქალაქის სათნოება უნდა იყოს როგორც კარგად ხელმძღვანელობა, ისე მორჩილების თვისება. თუ კარგ ადამიანს უნდა შეეძლოს ხელმძღვანელობა, ხოლო მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ორივე ეს თვისება, მაშინ ორივე ერთნაირად საქები ვერ იქნება. თუ მათი სათნოებები არაა ერთი და იგივე, მაშინ ქვეშევრდომმა და ხელმძღვანელმა ერთნაირი განათლება არ უნდა მიიღონ, ხოლო მოქალაქემ უნდა იცოდეს ორივე ეს საქმიანობა და მონაწილეობდეს ორივეში. ყოველივე ეს უფრო ნათელი გახდება მომდევნო მსჯელობიდან.

არსებობს ბატონის უფლება, რაც ეხება აუცილებელ სამუშაოებს და რომელთა შესრულება ბატონისათვის არაა სავალდებულო, მაგრამ ამ სამუშაოთა გამოყენება კი მას შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მონის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მე ვგულისხმობ ისეთ სამუშაოებს, რაც მსახურს შეეფერება. არსებობს მონის მრავალი სახეობა, რადგან სამუშაოების მრავალი სახეობა არსებობს. ამათგან ნაწილი ხელოსნებია. ესენი, როგორც მათი სახელწოდება მიგვანიშნებს, საკუთარი ხელით ირჩენენ თავს. მათ რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ხელოსანი-ოსტატებიც. ამიტომ ზოგიერთ სახელმწიფოში ძველად ხელოსნებს არ ჰქოდათ უფლება მიეღოთ მონაწილეობა მმართველობაში მანამ, სანამ არ შეიქმნა უკიდურესი დემოკრატია. ამიტომ დაქვემდებარებული ადამიანის საქმიანობას არ უნდა მისდევდეს არც კარგი პოლიტიკოსი, არც კარგი მოქალაქე, არც კარგი ადამიანი, თუ არა საკუთარი აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნება განსხვავება ბატონსა და მონას შორის. მაგრამ არსებობს ხელმძღვანელობა მსგავსი გვარისა და თანაც თავისუფალი ადამიანებისა. ჩვენ ამას ვუწოდებთ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ეს ხელმძღვანელობა კაცმა ისე უნდა შეისწავლოს, რომ გაიაროს ქვეშევრდომის მდგომარეობა. მაგალითად ცხენოსნების ხელმძღვანელმა უნდა იმუშაოს ცხენოსნად, სარდალმა რიგით ჯარისკაცად და შეისწავლოს ჯარის დიდი და პატარა რაზმის ხელმძღვანელობა. ამიტომ სწორადაა ნათქვამი, რომ ვერ იქნები კარგი ხელმძღვანელი, თუ არ გისწავლია ქვეშევრდომობა.

თვითოეული მათგანის ზნეობა განსხვავებულია, მაგრამ კარგ მოქალაქეს უნდა შეეძლოს როგორც მორჩილება, ისე ხელმძღვანელობა. მოქალაქის სათნოება სწორედ ესაა, რომ შეეძლოს თავისუფალი ადამიანების ხელმძღვანელობა და ქვეშევრდომობაც. ასეთივეა კარგი ადამიანის სათნოებაც. თუმცა ხელმძღვანელის და ქვეშევრდომის გონიერება და სამართლიანობა განსხვავებულია. თუ თავისუფალი ადამიანი ქვეშევრდომია, მას ერთი სახის სათნოება ექნება, კერძოდ სამართლიანობა. მაგრამ მას ექნება სათნოების სხვადასხვა სახე, იმის მიხედვით, არის ის ხელმძღვანელი თუ ქვეშევრდომი. მაგალითად, განსხვავდება ქალისა და მამაკაცის გონიერება და

სიმამაცე. ვფიქრობთ, რომ თუ მამაკაცი იქნებოდა ისეთივე მამაცი, როგორც მამაცი ქალი, ის მხდალი იქნებოდა, ხოლო ქალი გამოჩნდებოდა ყბედად, თუ ის იქნებოდა ისეთი მორიდებული, როგორც მამაკაცი. სახლის მეურნეობაშიც მათ განსხვავებული ვალდებულებები აქვთ. მამაკაცის საქმეა ქონების მოპოვება, ქალისა-მისი დაცვა და შენახვა. გონიერება არის მხოლოდ ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისება. სხვა სათნოებები კი საერთო აქვთ ხელმძღვანელსა და ქვეშევრდომს. ქვეშევრდომს მოეთხოვება არა გონიერება, არამედ ჭეშმარიტი თვალსაზრისი. ქვეშევრდომი შეიძლება შევადაროთ სალამურის შემქმნელს. ხელმძღვანელი კი მასზე დამკვრელსა და მის გამომყენებელს.

აქედან ცხადი გახდა, ერთი და იგივეა თუ განსხვავებული კარგი ადამიანისა და კარგი მოქალაქის ზნეობა და როგორ არიან ისინი იგივეობრივი ან განსხვავებული.

წიგნი IV

თავი IX

როგორია ყველაზე უკეთესი სახელმწიფო და ცხოვრების საუკეთესო სახე სახელმწიფოთა და ადამიანთა უმრავლესობისათვის? ეს არაა ცხოვრება ისეთი სათნოებით, რომელიც ჭარბობს ჩვეულებრივი ადამიანის სათნოებას, არც ცხოვრება განათლებით, რაც მოითხოვს ბუნებრივ მონაცემებსა და საშუალებებს რასაც იძლევა ბედნიერი შემთხვევა. ის არც სახელმწიფოა, რომელსაც მოქალაქეთა სურვილით ირჩევენ, არამედ ესაა ისეთი ცხოვრება, რომელიც ხელმისაწვდომია მოსახლეობის უმრავლესობისათვის და ისეთი სახელმწიფო, რომელიც მისაღებია სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის.

ე.წ. არისტოკრატიული მიუღებელია სახელმწიფოების უმრავლესობისათვის. იგი უახლოვდება ე.წ. პოლიტეას, ამიტომ მასზე, როგორც ერთ სახელმწიფოზე, ახლა ვილაპარაკებთ. მსჯელობა ყველა ამ საკითხის შესახებ იქნება დამყარებული იმავე პრინციპებზე. თუ „ეთიკებში“ სწორადაა ნათქვამი, რომ ბედნიერი ცხოვრება არის ზნეობაზე დამყარებული დაბრკოლებების გარეშე, ხოლო ზნეობა კი არის შუალედი, მაშინ საუკეთესო ცხოვრება იქნება შუალედური ცხოვრება, რომლის მიღწევა შეუძლია ყველა ადამიანს. იგივე განსაზღვრება ექნება აუცილებლად სახელმწიფოებრივ სათნოებასაც და მანკიერებასაც, რადგან პოლიტეა არის იგივე სახელმწიფო ცხოვრება.

ყოველ სახელმწიფოს აქვს სამი ნაწილი: ძალიან მდიდრები, ძალიან ღარიბები და მესამე - მათ შუა მყოფი. რადგან ყველა აღიარებს რომ ზომიერება და შუალედი არის საუკეთესო მდგომარეობა, ცხადია, რომ ქონებაშიც საუკეთესოა საშუალო ქონება. გონივრულია დაეთანხმო ასეთ თვალსაზრისს, მაგრამ ძნელია დაეთანხმო ძალიან კარგს, ძალიან ძლიერს, ძალიან კეთილშობილს, და ამათ მოპირდაპირეს ძალიან ღარიბს, ძალიან სუსტს, ძალიან დამცირებულს. პირველნი ხდებიან უფრო მეტად თავხედები და უზნეონი, მეორენი კი ბოროტმოქმედნი და წვრილმანი უზნეონი. ერთნი სჩადიან უსამართლობას თავხედობის გამო, მეორენი კი ბოროტი თვისებების გამო. გარდა ამისა, ისინი არ გაურბიან სახელმწიფო საქმიანობას, პირიქით, ეტანებიან მას, მაგრამ ორივე ეს ნიშან-თვისება საზიანოა სახელმწიფოსათვის. ამას გარდა, ისინი რომლებიც ზედმეტად კეთილდღეობაში იმყოფებიან და ძალაუფლებაც

აქვთ, მათ არ სურთ დაემორჩილონ ხელმძღვანელობას და არც წარმოდგენა აქვთ ამაზე. ეს მათ მოსდგამთ ოჯახიდან და ბავშვობიდან. ისინი, იმყოფებოდნენ რა ფუფუნებაში, არ არიან მიჩვეულნი მორჩილებას სასწავლებლებშიც კი. ხოლო მეორენი დიდი გაჭირვების გამო ძალიან დამცირებულნი არიან, ამიტომ არ იციან არც ხელმძღვანელობა და არც ქვეშევრდომობა, არამედ მხოლოდ მონური მორჩილება. პირველნი არ ემორჩილებიან არავითარ ხელმძღვანელობას და თვითონ, როგორც დესპოტები, ისე ხელმძღვანელობენ. ასე წარმოიქმნა მონებისა და ბატონების სახელმწიფო, სადაც ერთნი შურით არიან აღვსილნი, მეორენი კი ზიზღით. ეს კი ეწინააღმდეგება მეგობრობას და სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. ხოლო მტრებს ერთ გზაზე გავლაც კი არ სურთ.

სახელმწიფოს სურს, რომ შედგებოდეს უმეტესად მსგავსი და თანასწორი მოქალაქეებისაგან. ეს კი ახასიათებს საუკეთესო პოლიტიკურ წეს-წყობილებას, იმ სახელმწიფოს სიმყარეს, რომლის შესახებ ვამბობთ, რომ არის ბუნებრივი შემადგენლობისა, ყველაზე მეტად საშუალო კლასი იცავს. საშუალო კლასს არც სხვების ავლადიდება სურს, როგორც ღარიბებს, არც სხვებს სურთ მათგან რაიმე, როგორც მდიდრებისგან ღარიბებს და რადგან არც მათ სურთ სხვებისა და არც სხვებს სურთ მათი, ამიტომ მშვიდად ცხოვრობენ. ამასთან დაკავშირებით, კარგად აქვს ნათქვამი ფუკულიდეს: „საშუალო ფენას მრავალი უპირატესობა აქვს. მე მინდა რომ სახელმწიფოში საშუალო ფენას ვეკუთვნოდე“. ცხადია რომ საუკეთესო სახელმწიფოებრივი ურთიერთობა შეიქმნება საშუალო კლასის დახმარებით და კარგია იმ სახელმწიფოს მმართველობა, სადაც საშუალო ფენა სჭარბობს თუ ორივე მოპირდაპირე მხარეს არა, ერთ-ერთს მაინც, თუ ისინი დაუკავშირდებიან როემლიმე მხარეს, წარმოშობენ წონასწორობას და ხელს უშლიან მოწინააღმდეგე მხარეების გაძლიერებას. უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც მოქალაქეებს აქვთ საშუალო, მაგრამ საკმარისი ქონება. იქ კი, სადაც ერთ მხარეს აქვს ძალიან ბევრი, მეორეს კი არაფერი, წარმოიშობა ან უკიდურესი დემოკრატია, ან სუფთა სახის ოლიგარქია, ანდა ტირანია, სადაც ორივე მხარე ჭარბად არის მოცემული. ტირანია წარმოიშობა უკიდურესი დემოკრატიისა და ოლიგარქიისაგან. გაცილებით ნაკლებ ჩნდება ის საშუალო ფენებზე დამყარებული და მონათესავე სახელმწიფოებიდან. ამის მიზეზების შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ მოგვიანებით, როცა შევეხებით სახელმწიფო გადატრიალების საკითხს.

ამრიგად ცხადია, რომ სახელმწიფოს საშუალო ფორმა არის საუკეთესო, რადგან მხოლოდ მასში არა აქვს ადგილი აჯანყებებს იმის გამო, რომ ჭარბობს საშუალო კლასი და სადაც ჭარბობს საშუალო კლასი, იქ ნაკლებ აქვს ადგილი აჯანყებებსა და არეულობებს. დიდი სახელმწიფოებიც ამავე მიზეზით, ე.ი. საშუალო კლასის სიჭარბის გამო, არიან თავისუფალნი აჯანყებებისაგან. პატარა სახელმწიფოებში კი ადვილია ორი მოწინააღმდეგე კლასის გაძლიერება ისე, რომ საშუალო კლასისთვის ადგილი აღარ დარჩეს და ყველანი ხდებიან ან ძალიან მდიდრები, ან ძალიან ღარიბები. დემოკრატიული სახელმწიფოები უფრო მყარნი არიან, ვიდრე ოლიგარქიები და უფრო დღეგრძელნიც მათში საშუალო კლასის არსებობის გამო. ისინი დემოკრატიაში შეადგენენ უმრავლესობას და უფრო მეტად იკავებენ დიდ თანამდებობებს, ვიდრე ოლიგარქიაში. თუ არ არსებობს საშუალო კლასი, ღარიბები იმარჯვებენ თავიანთი სიმრავლით და მაშინ ადგილი აქვს ბოროტმოქმედებათა გაძლიერებას და სახელმწიფოც სწრაფად იღუპება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საუკეთესო პოლიტიკოსები, რომლებიც გამოვიდნენ საშუალო ფენებიდან, მაგალითად, სოლონი ამ კლასიდან იყო, რასაც მისი ლექსიც ადასტურებს, აგრეთვე ლიკურგე, რომელიც არ

იყო მეფე, აგრეთვე ქარონდე და სხვანი მრავალნი.

აქედან ცხადია, თუ რატომ არის სახელმწიფოთა უმრავლესობა ან დემოკრატიული, ან ოლიგარქიული. უმეტეს შემთხვევაში ამ სახელმწიფოებში საშუალო კლასი წარმოადგენს უმცირესობას, რის გამოც იმარჯვებს რომელიმე უკიდურესი მხარე, ხან მდიდრები, ხან ღარიბები. ისინი, სცილდებიან რა საშუალო ფენებს, სახელმწიფოს განაგებენ საკუთარი ნება სურვილით და ასე წარმოიქმნება ან დემოკრატია, ან ოლიგარქია, ამას გარდა ღარიბ ხალხსა და მდიდრებს შორის წარმოიშობა ომი და აჯანყებები და რომელმა მხარემაც არ უნდა გაიმარჯვოს, ვერ ქმნის ერთ მთლიან თანასწორუფლებიან მოქალაქეთაგან შემდგარ სახელმწიფოს. გამარჯვებული მხარე იღებს სახელმწიფოს, როგორც საჩუქარს და ქმნის ხან დემოკრატიას, ხან ოლიგარქიას. ამ ორი სახელმწიფოდან, რომელთაც ეკუთვნოდათ ჰეგემონია საბერძნეთში, თითოეულს ჰქონდა საკუთარი წეს-წყობილება, ხან დემოკრატიული, ხან ოლიგარქიული და ზრუნავდნენ არა ამ სახელმწიფოების, არამედ პირად კეთილდღეობაზე, ამის გამო ან სულ არ შეიქმნა საშუალო წყობის სახელმწიფო, ან იშვიათად და მცირერიცხოვან სახელმწიფოებში. წინამორბედთაგან მხოლოდ ერთმა ადამიანმა დაარწმუნა ხალხი შეექმნათ ასეთი წეს-წყობილება, მაგრამ თვით სახელმწიფოში უკვე არსებობდა ასეთი ჩვევა, რომ არ სურდათ თანასწორობა, არამედ ცდილობდნენ ან სათავეში მოხვედრას, ან მოთმინებით იტანდნენ ქვეშევრდომობას.

აქედან ცხადია, თუ რომელია საუკეთესო სახელმწიფო და სხვა სახელმწიფოებიდან ზოგი რატომ მოვათავსეთ პირველ ადგილზე, ზოგი მეორეზე, რადგან ჩვენ ვთქვით, რომ ბევრია როგორც დემოკრატიული, ისე ოლიგარქიული სახელმწიფო. ამრიგად, წინ მოთავსებულნი უკეთესნი იქნებიან, ვიდრე მომდევნონი და აღარ იქნება ძნელი იმის შემჩნევა, თუ რომელია მათ შორის საუკეთესო სახელმწიფო. ყოველთვის უკეთესი იქნება ის სახელმწიფო, რომელიც საუკეთესო სახელმწიფოს უახლოვდება, უარესი იქნება ის სახელმწიფო, რომელიც დიდად არის დაშორებული საუკეთესო სახელმწიფოსაგან. უნდა გამოვრიცხოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ვინმე მსჯელობს წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით. „წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისში“ მე ვგულისხმობ ისეთ შემთხვევებს, როცა არსებობს სახელმწიფოსათვის მმართველობის სასარგებლო ფორმა, მაგრამ უპირატესობას აძლევენ იმას, რაც პირადად მათთვის არის სასარგებლო.



ნიკოლაი ბერდიაევი (1874 - 1948)
რუსი ფილოსოფოსი

დემოკრატია და პიროვნება

I

ჩვენთან ახლა ცოტას მსჯელობენ საზოგადოებრიობის საფუძვლების შესახებ. ჩვენი გონება მიმართულია ელემენტარული მოთხოვნილებებისკენ და ეს ელემენტარული მოთხოვნილებები გადაფარავს უფრო შორეულ პერსპექტივებს. მაგრამ მოგვიწევს ჩვენი საზოგადოებივი ცხოვრების გარდაქმნა და ამისთვის იდეურად მზად უნდა ვიყოთ. ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობა იდეების სიმწირეს განიცდის და მასში მეტისმეტად ბევრი რამ არის დაფარული, ნაგულისხმევი. რუსული ინტელიგენციისა და მოწინავე საზოგადოების ფართო წრეებში დემოკრატიული იდეები აღიქმებოდა, როგორც თავისთავად ნაგულისხმევი ჭეშმარიტება. დემოკრატიის იდეა არასდროს წარმოჩინდებოდა მთელი თავისი სირთულით, არასდროს განიხილებოდა კრიტიკულად. ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბოროტება და სიყალბე ჩვენს აზროვნებას ელემენტარულობისა და სიმარტივის დაღს ასვამდა; ყველაფერი, რაც ჩვენი დამონებული სინამდვილის საპირისპირო იყო, ნათელ და საღ ფერებში გვეჩვენებოდა. ყველა მეტისმეტად რთული საზოგადოებრივი აზრი აღიქმებოდა, როგორც გაუგებარი, უადგილო და საეჭვო. ჩვენთან მხოლოდ მარტივი და სწორხაზოვანი გადაწყვეტილებები უყვართ. დასავლეთში დემოკრატიისა და პიროვნების ურთიერთმიმართების პრობლემა უკვე დიდი ხანია ძალიან რთულ საკითხად მიიჩნევა. ცხოვრების ისტორიულმა პროცესმა მიიყვანა დასავლეთი ამ სირთულემდე, მან ბევრი რამ აქცია პრობლემატურად. დასავლეთმა ბევრი პოლიტიკური ფორმა გამოსცადა და პოლიტიკურ აზრში შეიქმნა შეგრძნება იმისა, რომ საკითხი უკვე ამოწურულია. ჩვენ კი, რუსები, დიდი ზეწოლის ქვეშ ვცხოვრობდით და პოლიტიკური მშენებლობის სფეროში მიღებული ჩვენეული გამოცდილებაც მეტისმეტად მწირია. აზროვნებაში ჩვენ სრულიად უკიდურესი პოლიტიკური და სოციალური სწავლებები გამოვიარეთ, პერიოდულად გვეჩვენებოდა, რომ ანარქიზმიც კი გამოვცადეთ. მაგრამ ეს უკიდურესი მიმართულების სოციალური და პოლიტიკური შეხედულებები რუსეთში ყოველთვის გამარტივებულად და ელემენტარულ დონეზე განიხილებოდა. ასე გამარტივებულად და ელემენტარულად გავიაზრეთ დემოკრატიაც. ჩაგვრასა და უსამართლობას შეჩვეული ბევრი რუსი ადამიანისთვის დემოკრატია განიხილებოდა, როგორც რაღაც ცხადი და მარტივი რამ, რომელსაც უნდა მოეტანა დიდი სიკეთე და უნდა გაეთავისუფლებინა პიროვნება. დემოკრატიის გარკვეული უდავო ჭეშმარიტების სახელით, რომელიც ჩვენი ძირეული უსამართლობის სანაცვლოდ გვევლინებოდა, მზად ვიყავით, დაგვევიწყებინა, რომ დემოკრატიის რელიგია, როგორც ეს რუსომ გამოაცხადა და შემდეგ რობესპიერმა განახორციელა, არა მარტო არ ათავისუფლებს პიროვნებას და

არ ამკვიდრებს მის ძირეულ უფლებებს, არამედ სრულიად თრგუნავს პიროვნებას და არ აღიარებს მის ავტონომიურ ყოფიერებას. სახელმწიფოებრივი აბსოლუტიზმი დემოკრატიებში ისევე შესაძლებელია, როგორც უკიდურესი ფორმის მონარქიებში. სახალხო მმართველობამ ისევე შეიძლება პიროვნებას ჩამოართვას თავისი განუყოფელი უფლებები, როგორც - ერთმმართველობამ. ასეთია ბურჟუაზიული დემოკრატია სახალხო მმართველობის მისეული ფორმალური აბსოლუტიზმის პრინციპით. მარქსის სოციალ-დემოკრატიაც ნაკლებად ათავისუფლებს პიროვნებას და არ აღიარებს მის ავტონომიურობას. სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთ ყრილობაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ პროლეტარიატს, თუ ეს მის არსებით ინტერესებში იქნება, შეუძლია, პიროვნებას ჩამოართვას თავისი თითქოსდა განუყოფელი უფლებები, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, აზრის გამოხატვის თავისუფლება. ამ შემთხვევაში პროლეტარიატი განიხილება, როგორც რაღაც უზენაესი, რომელსაც ყველაფერი მსხვერპლად უნდა შეეწიროს. ჩვენ ყველგან ვხვდებით, როგორც საზოგადოებრივი, ასევე სახელმწიფო აბსოლუტიზმის მემკვიდრეობას; იგი ცოცხალია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც განაგებს ერთი, არამედ მაშინაც, როცა ბევრნი განაგებენ. აბსოლუტიზმის ინსტიქტები და ჩვევები დემოკრატიაშიც გადავიდა, ისინი ბატონობდნენ ყველაზე დემოკრატიულ რევოლუციებშიც კი. დასავლეთში უკვე დიდი ხანია დგას უმცირესობისა და პიროვნების უფლებებთან შედარებით დემოკრატიის აღმატებულობის საკითხი, რომლისთვისაც პიროვნების სულიერი აბსოლუტური ღირებულებები წინაღობას არ წარმოადგენს. დემოკრატიული იდეის ფორმალურ აბსოლუტიზმს ჩვენ ვერ მივიღებთ, იგი სხვა იდეებით უნდა შევზღუდოთ. რაოდენობრივი მასა განუკითხავად ვერ იბატონებს ხარისხობრივი ინდივიდუალობის, პიროვნებისა და ერის ბედზე. ხალხის ნება ისე უნდა გამოიწრთოს, რომ მან გამოკვეთილი პატივი სცეს ინდივიდუალურ თვისებებს, ადამიანის სულის უსასრულო ბუნებას. ხალხის ნება ვერ იქნება მიღებული ფორმალურად, უშინაარსოდ, როგორც სახალხო ნების, უმრავლესობის, რაოდენობრივი მასის აბსოლუტური სამართლის დამყარება - იბატონოს ნებისმიერი მიმართულებით, მოისურვოს, გასცეს და აიღოს ნებისმიერი რამ. დემოკრატიაში არის თავისუფალი ადამიანური სტიქიის, თავად ადამიანისა და კაცობრიობის იმანენტური ძალაუფლების დამყარების თავისებური სიმართლე; მაგრამ დემოკრატიას სული უნდა შთაებეროს, ის სულიერ ღირებულებებსა და მიზნებს უნდა დაუკავშირდეს.

II

დემოკრატიის იდეის გააზრება და ფორმულირება ისეთ ისტორიულ ეპოქაში მოხდა, როცა ევროპული კაცობრიობის მოწინავე ფენების რელიგიური და ფილოსოფიური ცნობიერება თითქოს ზედაპირზე იქნა ამოგდებული და, შესაბამისად, მოსწყდა სიღრმეებს, ადამიანის სულიერ საწყისებს. ადამიანი ჩააყენეს გარე საზოგადოებრიობაზე დამოკიდებულ მდგომარეობაში. საზოგადოებრიობა კი მოსწყდა ადამიანის სულს, პიროვნების სულიერ ცხოვრებას, მსოფლიო სულს და კოსმიურ ცხოვრებას. ადამიანი აღიარეს გარეგნულად საზოგადოებრივ არსებად, რომელსაც მთლიანად საზოგადობრივი გარემო განსაზღვრავს; მაგრამ რამდენადაც ადამიანთა საზოგადოება მოსწყდა სამყაროს მთლიანობას, კოსმიურ ცხოვრებას და მეტისმეტად გადაჭარბებულად შეაფასეს საზოგადოებრიობის დამოუკიდებელი მნიშვნელობა, შეიქმნა რაციონალური უტოპია, რომელსაც სწამს ადამიანისა და სამყაროს სულიერი საფუძვლებისგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფილი, ბოლომდე რაციონალური მოწყობის შესაძლებლობა. სულიერ-

რელიგიური ნიადაგი ჰქონდა არა დემოკრატიას, არამედ ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციას, რომელიც სინდისის რელიგიური თავისუფლების გამყარების ნიადაგზე წარმოიშვა რეფორმაციის თემებში. მაგრამ ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია პრაქტიკაში დემოკრატიული რევოლუციების, მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობების დროს ძალიან ნაკლებად ტარდებოდა ცხოვრებაში და განიდევნებოდა უტილიტარულ-საზოგადოებრივი ინტერესების მიერ. რუსეთში დემოკრატიის იდეის რეცეფცია პოზიტივისტური და მატერიალისტური მიდრეკილებებისა და ცნობიერების ნიადაგზე წარმოიშვა და იგი მოსწყდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების იდეალისტურ იდეას. სოციალური თანასწორობის პათოსი ჩვენთან ყოველთვის გადაფარავდა პიროვნების თავისუფლების პათოსს. პიროვნების უფლებების დამყარება კი სულიერად და მორალურად არ იყო დაკავშირებული პიროვნების პასუხისმგებლობისა და მოვალეობების გამყარებასთან. გაბატონებული იყო სოციალური გარემოს შესახებ უპასუხისმგებლო თეორია, რომელიც მხოლოდ პრეტენზიებს წარმოშობდა. პიროვნება არ განიხილებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების შექმნაზე პასუხისმგებლად. ახალი ცხოვრების მოლოდინი წარმოიშობოდა მხოლოდ სოციალური გარემოს, გარე საზოგადოების შეცვლით და არა პიროვნებაში მომხდარი შემოქმედებითი ცვლილებების საფუძველზე, არა ხალხის, მისი ნების, მისი შემეცნების სულიერი საწყისების ხელახალი დაბადებით. ჩვენს დემოკრატიულ სოციალურ სწავლებებში სახალხო და პიროვნული ხასიათი საერთოდ არ მიიღება მხედველობაში.

დემოკრატიის იდეამ იმ სწორხაზოვანი და გამარტივებული ფორმით, როგორც ის ჩვენთან მიიღეს, ზნეობრივი კუთხით მთელი რიგი უკუშედეგები წარმოშვა. განკერძოებულ-დემოკრატიულმა საზოგადოებრივმა იდეოლოგიამ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა პიროვნება, ადამიანის სული და ამიტომაც ჩამოართვა პიროვნებას ავტონომია და განუყოფელი უფლებები. მხოლოდ პასუხისმგებელი პიროვნება არის თავისუფალი და მხოლოდ თავისუფალი არის პასუხისმგებელი. ჩვენს დემოკრატიულ სოციალურ იდეოლოგიაში კი მთელი პასუხისმგებლობა და მთელი თავისუფლება აკისრია რაოდენობაზე ორიენტირებული მასების მექანიკას. სწორხაზოვანი დემოკრატიული მეტაფიზიკა თითქოს არ საჭიროებს პიროვნულისა და ნაციონალურის ხელახალ აღზრდას, ხასიათის გამომუშავებას, პიროვნული და საზოგადოებრივი ნების დისციპლინას, შინაგან სულიერ მუშაობას. ამ ნიადაგზე გამომუშავდებოდა მოთხოვნის მორალი, რომელიც მიმართული იყო საზოგადოებრივ გარემოზე; ეს იყო მოლოდინის მორალი, რომ ცხოვრებაში ყოველგვარი სიმდიდრე გარედან მოვა. მთელი ცხოვრება ხდებოდა ორიენტირებული გარე და არა შინაგან ფაქტორებზე. ამგვარი ტიპის დემოკრატიული მეტაფიზიკა დიდ ყურადღებას უთმობს მასების გაღიზიანებას, აგიტაციას, გარეგნულ გამოსვლებს საზოგადოებრიობის ადამიანური რესურსების შინაგანი, არსებითი ძალების ცვლილების გარეშე. ასე იქმნება მოჩვენებითი და სრულიად ზედაპირული, გარეგნული საზოგადოებრივი ცვლილებები. ესაა გამოყენებაზე ორიენტირებული შეხედულება, რომელიც არაფერს არ უყურებს არსობრივად. მნიშვნელოვანია არა მუშათა ან გლეხთა სულიერი განვითარება, მათი ადამიანური ღირსებებისა და თვისებების გაზრდა, მათი ძალების ზრდა, რომელიც ყოველთვის სულიერი ძალაა, არამედ მათი უტილიტარულად საჭირო პირობებში ჩაყენება. აი, სწორედ ესაა დემოკრატიის მორალური გადაშენების გზა და მან უკვე მოგვცა თავისი სამწუხარო შედეგები. მე ყოველთვის მხედველობაში მაქვს არა დემოკრატიული მოთხოვნები პროგრამებისა და ამოცანების დასახვის დონეზე, რომლებიც თავის თავში გარკვეულ

სიმართლესა და სამართლიანობას შეიცავს, არამედ განყენებული დემოკრატიის ის სულისკვეთება, ის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მეტაფიზიკა და მორალი, სადაც გარეგნული გადაფარავს შინაგანს, აგიტაცია - აღზრდას, მოთხოვნები - პასუხისმგებლობას, რაოდენობა - ხარისხს, მასების გამთანაბრებელი მექანიკა - თავისუფალი სულის შემოქმედებას.

III

განყენებული, შეუზღუდავი დემოკრატია ადვილად შედის ადამიანის სულთან, მის ინდივიდუალურ სულიერ ბუნებასთან მტრობაში. განყენებულ-ფორმალური დემოკრატიის ამ სულისკვეთებას, რომელიც ყოველთვის გარეგნულზეა მიმართული, აუცილებლად გადაჭრით უნდა დავუპირისპიროთ სხვა სულისკვეთება, კაცობრიობის ჭეშმარიტი სულისკვეთება, პიროვნებისა და ხალხის სულისკვეთება. ეს სულისკვეთება, რომელიც სრულიად არ უპირისპირდება დემოკრატიული პროგრამების დებულებებს, უპირველეს ყოვლისა, პიროვნულ და საზოგადოებრივ დონეზე ხელახალ აღზრდას, ნებისა და ცნობიერების შინაგან გამომუშავებას მოითხოვს. იგი საზოგადოების ბედს ადამიანის პიროვნულ, ერის, კაცობრიობის, კოსმოსის შინაგან ცხოვრებაზე დამოკიდებულს ხდის. ეს სულისკვეთება მიისწრაფვის ადამიანთა ჭეშმარიტი გაერთიანების და არა მათი მექანიკურად დაკავშირებისკენ. სოციალური შემოქმედება გულისხმობს შემოქმედებით სულისკვეთებას, ის შეუძლებელია შემოქმედებითი სუბიექტის გარეშე. უკიდურესი დემოკრატიული მეტაფიზიკა იძულებულია, უარყოს შემოქმედებითი სულისკვეთება. ის რაოდენობრივი მექანიკისგან, გარეგნული რაოდენობრივი გადანაწილებისგან მოელის ყველაფერს, იგი არ აღიარებს ინდივიდუალურ ხარისხობრიობას. ამ გზაზე უარყოფილია პიროვნებების, მათი ინდივიდუალური თვისებებისა და მოწოდებების, პიროვნული ვარგისიანობის, სულიერი არჩევანის უდიდესი მნიშვნელობა, პიროვნებას არ ეკისრება საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ბედზე უდიდესი პასუხისმგებლობა. პირიქით, გარე საზოგადოებას, სოციალურ გარემოს ეკისრება პიროვნების ბედზე, მის ვარგისიანობაზე თუ უვარგისობაზე მთელი პასუხისმგებლობა. მაგრამ ჭეშმარიტი სახალხო მმართველობა, როგორც ორგანიზებული ადამიანური ენერგიის, სახალხო ხასიათის გამოვლინება პიროვნებისა და ხალხის თვითდისციპლინასა და თვითაღზრდას, ნების გამოწრთობას გულისხმობს. ჭეშმარიტმა სახალხო მმართველობამ პასუხისმგებლობა საზოგადოების ბედზე ადამიანსა და მის ძალას, ხალხს უნდა დააკისროს. მაგრამ ხალხი არ არის უფორმო მექანიკური მასა, ხალხი არის რაღაც ორგანიზმი, რომელსაც აქვს ხასიათი, შემეცნების დისციპლინა და ნების დისციპლინა და რომელმაც იცის, რა უნდა. დემოკრატია, როგორც ღირებულება, არის უკვე ჩამოყალიბებული სახალხო ხასიათი, გამომუშავებული პიროვნება, რომელსაც შესწევს ძალა, იპოვოს საკუთარი თავი ერის ცხოვრებაში. დემოკრატია არის ორგანიზებული ხასიათის, ხალხის ადამიანური ბუნების პოტენციალის მიღმა გამოვლენილი მის მიერვე გამომუშავებული თვითმმართველობისა და ბატონობის უნარი. ბატონობა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც საკუთარ თავზე ბატონობს. პიროვნული და ეროვნული თავშეკავების დაკარგვა, ქაოსის წარმოქმნა არა მარტო არ ქმნის დემოკრატიის წანამძღვრებს, არამედ სრულიად შეუძლებელს ხდის მის განხორციელებას - ეს ყოველთვის არის დესპოტიზმისკენ მიმავალი გზა. დემოკრატიის შექმნის ამოცანაა ეროვნული ხასიათის შექმნა. ეროვნული ხასიათის შექმნა კი გულისხმობს პიროვნული ხასიათის შექმნას. საზოგადოებრივი შემეცნება, საზოგადოებრივი ნება უნდა მიემართოს

პიროვნების გამოწრთობას. აი, სწორედ ეს მიმართულება არ არის ჩვენთან. დემოკრატია ძალიან ხშირად ესმით უკუღმა, არ თვლიან, რომ მისი ჩამოყალიბება თვითმართველობის შინაგან უნარზე, ხალხისა და პიროვნების ხასიათზეა დამოკიდებული; და ეს ჩვენი მომავლისთვის რეალური საფრთხეა. რუსი ხალხი უნდა გადავიდეს ჭეშმარიტ თვითმმართველობაზე. მაგრამ ეს გადასვლა დამოკიდებულია ადამიანურ რესურსებზე, ყველა ჩვენგანის უნარზე, მართოს საკუთარი თავი. ეს მოითხოვს პიროვნების, ადამიანის, მისი უფლებების, მისი სულიერად თვითმართვადი ბუნების განსაკუთრებულ პატივისცემას. ვერანაირი ხელოვნური გაღიზიანებით ვერ შექმნი თვითმმართველობის უნარს. თავაშვებული ბრბო, ანგარებიანი და ბოროტი ინსტიქტებით შეპყრობილი, ვერ შეძლებს ვერც საკუთარი თავის და ვერც სხვების მართვას. ბრბო, მასა არ არის დემოკრატია. დემოკრატია არის ქაოსური რაოდენობრიობის გარდაქმნა გარკვეულ თვითდისციპლინებულ ხარისხობრიობაში. უპირველეს ყოვლისა, ადამიანი, ისევე, როგორც ხალხი, უნდა გახდეს საკუთარი თავის ბატონი. რუსული დემოკრატიის ნაკლოვანებებს ჩვენს მონობაში აქვს ფესვები და ის თვითმმართველობის პრაქტიკაში უნდა გამოსწორდეს.

პიროვნული, ხარისხობრივი, სულიერ-შემოქმედებითი საწყისის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის, ამგვარი წინ წამოწევა ყველაზე ნაკლებადაა ინდივიდუალიზმი. პიროვნებისა და ერის შინაგანი მუშაობის, ხასიათის გამომუშავების გზით მტკიცდება სულიერი სოციალობა. მუდმივად საუბარია არა მხოლოდ ადამიანის, პიროვნების სულზე, არამედ ასევე საზოგადოებისა და ერის სულზე, რომელსაც ასე ნაკლებად აქცევს ყურადღებას დემოკრატიის მექანიკა. განყენებული დემოკრატიზმი ყოველთვის ფორმალიზმია. მას არ სურს, იცოდეს სახალხო ნების, ხალხის გულისა და ხალხის ფიქრების შინაარსი. მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ფორმალური სახალხო მმართველობა. მაგრამ სახალხო ნების შინაარსი უკვე შინაგანი, უკვე სულიერი შინაარსია, სულის გარკვეული მიმართულებაა. დემოკრატიულ ფორმალიზმს აუცილებლად უნდა დავუპირისპიროთ სახალხო ნებისა და სახალხო შემეცნების გარკვეული შინაარსი, მათი გარკვეული გასულიერება. მხოლოდ მაშინ შეუერთდება დემოკრატიის, ადამიანური თვითმმართველობის სიმართლე სულის სიმართლეს, პიროვნებისა და ხალხის სულიერ ღირებულებას. ჩვენ ამისათვის უნდა ვემზადებოდეთ მთელი ძალებით, რათა აღარ გავიმეოროთ ძველი შეცდომები, რათა არ მოვხვდეთ რაღაც მაგიურ, მუდმივად რეაქციების წარმომშობ გამოუვალ წრეში. დემოკრატია, პრინციპში, ვერ იქნება შეზღუდული კლასობრივი და ფენობრივი პრივილეგიებით, გარეგნულ-საზოგადოებრივი არისტოკრატიებით, მაგრამ ის ადამიანისა და ერის უსასრულო სულიერი ბუნების უფლებებით, შეზღუდული თვისებების ჭეშმარიტი არჩევით უნდა იყოს შეზღუდული. ერის სული დემოკრატიაზე ღრმაა და მან უნდა წარმართოს ის. ძალაუფლება ვერ იქნება ყველას ხელში, ის ვერ იქნება მექანიკურად თანასწორი. ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს საუკეთესო, რჩეულ ადამიანებს, რომლებსაც უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ და რომლებიც თავიანთ თავს აკისრებენ უდიდეს პასუხისმგებლობას. მაგრამ რჩეულთა ეს ხელისუფლება უნდა მომდინარეობდეს ხალხის ფესვებიდან, უნდა იყოს ხალხისთვის იმანენტური, მისი საკუთარი პოტენციიდან წარმოქმნილი და არა გარედან თავსმოხვეული, მასზე მაღლა დაყენებული. დემოკრატიის ძალა ვერ იქნება აბსოლუტური, შეუზღუდავი ძალაუფლება, იგი თავად თავის მიერვე წამოყენებული თვისებებით იზღუდება. დემოკრატიის იდეისთვის უცხოა ერის თვითმმართველობისადმი დაპირისპირების იდეა.

ნიკოლაი ბერდიაევი

დემოკრატია, სოციალიზმი და თეოკრატია

მე დემოკრატიისა და სოციალიზმის სულიერი საწყისები მაინტერესებს და ამიტომ კვლევის თემად ავირჩევ არა ნახევრად დემოკრატიისა და ნახევრად სოციალიზმის მრავალფეროვან ფორმებს, არამედ ამ ტიპების უკიდურეს გამოვლინებებს, მათ „იდეებს“. დემოკრატიისა და სოციალიზმის მრავალი გარდამავალი, ერთმანეთთან ახლოს მდგომი და ურთიერთშერწყმული ფორმა არსებობს. არსებობს მრავალრიცხოვანი პარტია, რომელიც საკუთარ თავს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უწოდებს; მაგრამ სწორად მოიქცნენ კომუნისტები, როდესაც შეიცვალეს სახელი „სოციალ-დემოკრატები“ და თავიანთ თავს კომუნისტები უწოდეს, ანუ დაუბრუნდნენ „კომუნისტურ მანიფესტს“. მარქსი კომუნისტი იყო. ის არ ყოფილა სოციალ-დემოკრატი; არასდროს მარქსი არ ყოფილა დემოკრატი. მისი პათოსი არსებითად ანტიდემოკრატიულია. „მეცნიერული სოციალიზმი“ წარმოიშვა და ევროპის ხალხების ცხოვრებასა და აზროვნებაში არ შეჭრილა, როგორც დემოკრატიული სწავლება. ასეთივე არადემოკრატიული და ანტიდემოკრატიული იყო სენ სიმონის უტოპიური სოციალიზმიც, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის საპირისპიროდ წარმოიქმნა და ბევრ რამეში ახლოს იდგა ჟოზე დე მესტრისეულ სულისკვეთებასთან. დემოკრატია და სოციალიზმი პრინციპულად საპირისპირო ცნებებია. რუსი კომუნისტები სრულიად მართლები არიან, როდესაც ამას ამტკიცებენ. ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში გადმოცემული ჟორესის ტიპის დემოკრატიული სოციალიზმი არ არის ჭეშმარიტი სოციალიზმი. ესაა ნახევრად სოციალიზმი, რომელიც კარგად არ ასახავს სოციალისტურ იდეას. ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერები და მემარჯვენე მენშევიკებიც უფრო მეტად მემარცხენე ტიპის დემოკრატები არიან, ვიდრე - სოციალისტები.

დემოკრატია ფორმალურ ხასიათს ატარებს, მან თავად არ იცის საკუთარი შინაარსი და მის მიერვე დადგენილი პრინციპის ფარგლებში არანაირი შინაარსი მას არ აქვს. დემოკარტიას არ სურს, იცოდეს, თუ რის გამო ხდება ხალხის ნების გამოხატვა და არ სურს, ხალხის ნება დაუმორჩილოს რაიმე სახის უმაღლეს მიზანს. იმ მომენტში, როდესაც დემოკრატია გააცნობიერებს მიზანს, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ხალხის ნება, იგი საკუთარი ნებისთვის ღირსეულ გამოხატულებას შეიძენს, შეივსება დადებითი შინაარსით; მან ეს მიზანი, ეს საგანი, ეს შინაარსი ნების გამოხატვის ფორმალურ პრინციპზე მაღლა, საზოგადოების საფუძვლად უნდა დააყენოს; მაგრამ დემოკრატიამ მხოლოდ ნების გამოხატვის ფორმალური პრინციპი იცის, რომელსაც ყველაზე მეტად უფრთხილდება და არანაირი კრიტერიუმები არ აქვს ხალხის ნების თვისებების გამოსავლენად, არ შეუძლია, განსაზღვროს იმ მიმართულების ჭეშმარიტება ან სიყალბე, რომელშიც ხალხის ნება ვლინდება.

ხალხის მმართველობა უსაგნოა, ის არაა მიმართული არანაირი ობიექტისკენ. დემოკრატია გულგრილი რჩება სიკეთისა და ბოროტების მიმართ. იგი მომთმენია

იმიტომ, რომ ინდიფერენტულია; იმიტომ, რომ მან დაკარგა ჭეშმარიტების რწმენა; ის უძლურია, აირჩიოს ჭეშმარიტება. დემოკრატია სკეპტიკურია. ის სკეპტიციზმის, ურწმუნოების საუკუნეში წარმოიქმნა, როდესაც ადამიანებმა დაკარგეს ჭეშმარიტების მყარი კრიტერიუმები და უძლურნი არიან, მისდიონ რაიმე აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. დემოკრატია უკიდურესი რელატივიზმი, ყოველგვარი აბსოლუტურის უარყოფაა. დემოკრატიამ არ იცის ჭეშმარიტება და ამიტომ იგი ამ ჭეშმარიტების აღმოჩენას ხმათა უმრავლესობას ანდობს. რაოდენობრიობაზე დამყარებული ხელისუფლების აღიარება, საყოველთაო ხმის მიცემის წინაშე ქედის მოხრა შესაძლებელია მხოლოდ ჭეშმარიტების რწმენის არქონისა და ჭეშმარიტების არცოდნის შემთხვევაში. მას ჭეშმარიტების მცოდნე და ჭეშმარიტების მორწმუნე რიცხობრივი უმრავლესობის ხელში საჯიჯგნად არ ჩააგდებს. დემოკრატია ატარებს საერო ხასიათს და ის ეწინააღმდეგება ნებისმიერ საკრალურ საზოგადოებას, რადგანაც ფორმალურად იგი უშინაარსო და სკეპტიკურია. ჭეშმარიტება კი საკრალურია; ჭეშმარიტებაზე დამყარებული საზოგადოება ვერ იქნება გამოკვეთილად საერო საზოგადოება. საერო დემოკრატია ნიშნავს საზოგადოების ონტოლოგიური საფუძვლებისგან გამოყოფას, კაცობრიობის გამოყოფას ჭეშმარიტებისგან. მას სურს, ადამიანთა საზოგადოება პოლიტიკურიად ისე მოაწყოს, თითქოს ჭეშმარიტება არ არსებობს. ესაა წმინდა სახის დემოკრატიის ძირითადი ვარაუდი და სწორედ ამაშია დემოკრატიის საფუძველშივე ჩადებული იდეური ტყუილი. დემოკრატიულ იდეას საფუძველში ადამიანის ჰუმანისტური თვითდამკვიდრება უდევს. ადამიანის ნებამ უნდა წარმართოს ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოებები და საჭიროა ამ ადამიანური ნების გამოხატვისა და მისი საბოლოო გაბატონებისთვის ხელისშემშლელი ყველა ფაქტორის თავიდან აცილება. ამით საზოგადოების იმ სულიერი საწყისების უარყოფა ხდება, რაც ადამიანური ნების ფორმალურ გამოხატვაზე ღრმად ძევს და, შესაბამისად, ირღვევა საზოგადოების მთელი იერარქიული წყობა. დემოკარტია არის ფსიქოლოგიზმი, რომელიც ნებისმიერ ონტოლოგიზმს ეწინააღმდგება.

დემოკრატიის წანამძღვარი უკიდურესი ოპტიმიზმია. დემოკრატიული საზოგადოების სკეპტიციზმი არა პესიმისტური, არამედ ოპტიმისტური ხასიათისაა. დემოკრატია ჭეშმარიტების დაკარგვის გამო სასოწარკვეთილებაში არ ვარდება. მას სწამს, რომ უმრავლესობის ნების გამოვლინებას, ხმების მექანიკურ დათვლას ყოველთვის სასიკეთო შედეგები მოაქვს. ხალხის ნების ფორმალურ გამოვლინებას ყოველთვის რაიმე სახის სიმართლემდე მივყავართ, იგი რაიმე სიკეთეს წარმოქმნის. დემოკრატიის საფუძველია ოპტიმისტური რწმენა იმისა, რომ ადამიანთა ბუნება ბუნებრივად სიკეთისა და კეთილშობილებისკენაა მიდრეკილი. დემოკრატიის სულიერი მამა ჟან ჟაკ რუსო იყო; ადამიანის ბუნების შესახებ მისი ოპტიმისტური შეხედულებები შემდგომში დემოკრატიულ იდეოლოგიებსაც გადაედო. დემოკრატია არ აღიარებს ადამიანური ბუნების ბოროტებას. ის თითქოს არ ითვალისწინებს იმას, რომ ხალხის ნება შეიძლება ბოროტებისკენ იყოს მიმართული, რომ უმრავლესობა შეიძლება სიყალბესა და არასწორ შეხედულებებს იცავდეს, ხოლო ჭეშმარიტება და სიმართლე კი უმცირესობის მხარეს იყოს. დემოკრატიაში არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ ხალხის ნება თავისუფლებას აირჩევს, რომ ის არ მოისურვებს ყველა სახის თავისუფლების ამოძირკვას. საფრანგეთის რევოლუციაში ფრანგულმა დემოკრატიამ, რომელიც 1793 წელს გამოცხადებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დეკლარაციით დაიწყო, არ დატოვა არანაირი თავისუფლება - მან მთლიანად, ძირფესვიანად ამოძირკვა თავისუფლება. ადამიანური ნება, სახალხო ნება ბოროტებაში დევს; და როდესაც ეს თვითდამკვიდრებული ნება არ ემორჩილება

არაფერს უზენაესს, არაა გასხივოსნებული და აქვს პრეტენზია, თვითნებურად განაგოს ადამიანთა საზოგადოებების ბედი, ის ადვილად სცდება გზას და იწყებს ჭეშმარიტების დევნას, ყოველგვარი სიმართლის უარყოფასა და სულის თავისუფლების ჩახშობას. დემოკრატიები თავისუფლების პათოსისგან, თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებების აღიარებისგან წარმოიქმნა და დემოკრატიის სიმართლედ თითქოსდა სინდისის, არჩევანის თავისუფლების დამყარება გვევლინება. დემოკრატიის დამცველები აღნიშნავენ, რომ დემოკრატიის სულიერი საწყისი რეფორმაციის ეპოქაში, ინგლისში, რელიგიური საზოგადოებების მიერ სინდისის თავისუფლების დეკლარირებაშია; მაგრამ თავისუფლების ფორმალურად უშინაარსო ნეგატიური გაგება საკუთარ თავშივე შეიცავდა საწამლავს, რომელიც ისტორიულ დემოკრატიებს ღრღნიდა და მათში სულის თავისუფლების ჩაკვლის წინაპირობებს ქმნიდა. რუსო, პრინციპში, უარყოფდა სინდისის თავისუფლებას. რობესპიერმა კი საქმით ამოძირკვა იგი. თვითმპყრობელ ხალხს შეუძლია ძალა დაატანოს ადამიანების სინდისს, შეუძლია ნებისმიერი დონის თავისუფლება წაართვას მას. ტოკვილი და მილი, რომლებსაც ნამდვილად ვერ ვუწოდებთ დემოკრატიის მტრებს, დიდი წუხილით საუბრობენ იმ საფრთხეების შესახებ, რაც დემოკარტიას ახლავს თან, ადამიანის თავისუფლების, მისი ინდივიდუალობისთვის წარმოშობილ საფრთხეებზე. დემოკრატიის საფუძველი ინდივიდუალისტურია, მაგრამ თავისი საბედისწრო დიალექტიკის მეშვეობით იგი ანტიინდივიდუალიზმისკენ, ადამიანის ინდივიდუალიზმის ნიველირებისკენ მიდის. დემოკრატია თავისუფლებისმოყვარეა, მაგრამ თავისუფლების ეს სიყვარული წარმოიქმნება არა ადამიანის სულისა და ინდივიდუალიზმისადმი პატივისცემისგან, არამედ ესაა ჭეშმარიტებისადმი გულგრილად განწყობილთა თავისუფლებისმოყვარეობა. დემოკრატია ფანატიკური მხოლოდ რევოლუციის სტიქიაშია. მშვიდობიან, ნორმალურ ყოფიერებაში მისთვის უცხოა ყოველგვარი ფანატიზმი და იგი ადამიანების ინდივიდუალობის ნიველირებისა და თავისუფალი სულის ჩაკვლის განხორციელების ათასობით მშვიდობიან და შეუმჩნეველ საშუალებას პოულობს. სულის ჭეშმარიტი თავისუფლება შესაძლოა იმ დროს უფრო მეტად იყო, როდესაც ინკვიზიციის ცეცხლი გიზგიზებდა, ვიდრე სულისა და რელიგიური სინდისის უარმყოფელ თანამედროვე ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში. ფორმალურმა, სკეპტიკურმა თავისუფლებისმოყვარეობამ ბევრი იღვანა ადამიანის ინდივიდუალიზმის ამოსაძირკვად. დემოკრატია აპრიორად არ გულისხმობს სულის თავისუფლებას, არჩევანის თავისუფლებას, ეს თავისუფლებები შესაძლოა არადემოკრატიულ საზოგადოებებში კიდევ უფრო მეტია.

დემოკრატია მაშინ წარმოიქმნება, როდესაც სახალხო ნების ორგანული ერთიანობა იშლება, როდესაც საზოგადოება ატომიზირებულ სახეს იღებს, როდესაც ქრება ის ხალხური რწმენები, რომლებიც ხალხს ერთ მთლიანობად აერთიანებს. სახალხო ნების უზენაესობისა და თვითმპყრობელობის იდეის მომხრე იდეოლოგია მაშინ წარმოიქმნება, როდესაც ხალხის ნება უკვე აღარ არსებობს. დემოკრატია არის ადამიანთა საზოგადოებების ცხოვრების კრიტიკული და არა ორგანული ეპოქის იდეოლოგია. დემოკრატია მიზნად ისახავს გაფანტული ხალხის ნების ერთად თავმოყრას, მაგრამ ადამიანის პიროვნება მისთვის ერთმანეთის მსგავს ცალკეულ ატომებს წააგავს და ადამიანთა გაერთიანების ამოცანაც მხოლოდ მექანიკური ამოცანაა. დემოკრატიას ყველას ნების მხოლოდ მექანიკურად შეჯამების ძალა შესწევს; მაგრამ საერთო ნება, ხალხის ორგანული ნება ასე არ მიიღება. ხალხის ორგანული ნება ვერ იქნება არითმეტიკულად გამოსახული, ვერანაირი ხმის დათვლით ვერ აღმოაჩენენ მას. ეს ნება თავს იჩენს ხალხის მთელი ისტორიული

ცხოვრების მანძილზე, მის კულტურაში; ყველაზე მეტად კი ის ხალხის რელიგიურ ცხოვრებაში აისახება. ორგანული რელიგიური ნიადაგის, რელიგიური რწმენების ერთიანობის მიღმა არ არსებობს არც ხალხის ერთიანი, საყოველთაო ნება. როდესაც იშლება ხალხის ნება, ხალხიც იშლება ატომებად. ამ ატომებისგან კი შეუძლებელია რაიმე სახის ერთიანობის შეკოწიწება. რჩება მხოლოდ უმრავლესობისა და უმცირესობის ნების მექანიკური ჯამი. ხდება პარტიებს შორის ბრძოლა, სოციალურ კლასებსა და ჯგუფებს შორის ბრძოლა და ამ ბრძოლაში წარმოიქმნება ტოლქმედი. დემოკრატია არის სწორედ ბრძოლის არენა, ინტერესთა და მიმართულებათა შეჯახება. მასში ყველაფერი არამდგრადია, არამყარია, არ არის ერთიანობა და სიმყარე. ესაა მუდმივად გარდამავალი მდგომარეობა. დემოკრატია ქმნის პარლამენტს - ყველაზე არაორგანულ წარმონაქმნს, პოლიტიკური პარტიების დიქტატურის ორგანოს. დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველაფერი ხანმოკლეა, ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რაც თავად დემოკრატიის საზღვრებს მიღმაა. ჭეშმარიტი ონტოლოგიური ცხოვრება დემოკრატიის მიღმა ხორციელდება. დემოკრატია მეტისმეტად დიდ ყურადღებას უთმობს არჩევანის თავისუფლების ფორმალურად უშინაარსო მომენტს. მონარქისტები და სოციალისტები აკვირდებიან რა დემოკრატიიული საზოგადოებების ცხოვრებას განსხვავებული პოზიციებიდან, მოითხოვენ, რომ ბოლო-ბოლო გაკეთდეს არჩევანი, რათა იპოვონ მთავარი არსი. დემოკრატია ხალხს თვლის სუვერენულად და თვითმპყრობელად, მაგრამ თავად ხალხს იგი არ იცნობს, დემოკრატიებში ხალხი არ არსებობს. კონკრეტული, ძალიან მოკლე ისტორიული დროის მონაკვეთში მცხოვრებ ადამიანთა თაობა, გამოკვეთილად თანამედროვე თაობა, უფრო სწორად, მთელი თაობაც კი არა, არამედ მხოლოდ მისი რაღაც ნაწილი, რომელსაც საკუთარი თავი ისტორიული ბედ-იღბლის განმგებლად მიაჩნია - ვერ ჩაითვლება ხალხად.

ხალხი უდიდესი ისტორიული მთლიანობაა, მასში შედის ყველა ისტორიული ეპოქის თაობა, არა მხოლოდ ცოცხლები, არამედ - გარდაცვლილებიც, ჩვენი მამებიც და ბაბუებიც. რუსი ხალხის ნება არის ათასწლოვანი ხალხის ნება, იმ ხალხისა, რომელიც წმინდა ვლადიმერმა გააქრისტიანა; რომელიც მოსკოვის დიდი მთავრების მეთაურობით ქმნიდა რუსეთს; რომელმაც მონახა გამოსავალი მძიმე ეპოქებიდან; რომელმაც პეტრე პირველის დროს ფანჯარა გაჭრა ევროპაში; რომელმაც უამრავი დიდი და სათაყვანებელი წმინდანი წარმოშვა; რომელმაც შექმნა დიდი სახელმწიფო და კულტურა, უდიდესი რუსული ლიტერატურა. ეს არაა ჩვენი თაობის ნება, ძველი წინაპრების თაობებისგან მოწყვეტილი თაობის ნება. თანამედროვე თაობის თვითდაჯერებულობა და თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა წინაპრებზე მათი აღმატებულობა არის სწორედ დემოკრატიის ძირეული სიყალბე. ესაა წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის კავშირის გაწყვეტა, მარადისობის უარყოფა, ჟამთასვლის გამანადგურებელი წალეკვისადმი დამორჩილება. რუსეთის ბედის გადაწყვეტისას უნდა მოუსმინონ მთელი რუსი ხალხის ხმას, მისი ყველა თაობისა და არა მხოლოდ ახლა მცხოვრები თაობის ხმას; ამიტომ ხალხის ნებაში, საერთო ნებაში, ორგანულ ნებაში ტრადიციების შესახებ ისტორიული გადმოცემები, საუკუნეებში გარდასულ თაობათა შესახებ არსებული ისტორიული მეხსიერება შედის. დემოკრატიას არ სურს ამის ცოდნა და ამიტომ მან არ იცის ხალხის ნება, მან მხოლოდ მცირე რაოდენობის თანამედროვე ადამიანთა ნების მექანიკური ჯამი თუ იცის. დემოკრატიის კრიზისი უკვე დიდი ხანია დაწყებულია. პირველი იმედგაცრუება მოიტანა საფრანგეთის რევოლუციამ, რომელმაც არ შეასრულა თავისი დანაპირებები. უახლესი დემოკრატიები კი მტანჯავი უსუსურობისა და უკმაყოფილების

გზაგასაყარზე დგანან. მათ შიდა განხეთქილებები ჯიჯგნით. დემოკრატიულ საზოგადოებებში არაფერი არაა ორგანული, არაფერი არაა მყარი, არაფერია მასში მარადიული სულიდან შემორჩენილი. ისინი თავისუფლების მოყვარენი არიან მხოლოდ იმ აზრით, რომ გულგრილნი არიან სიკეთისა და ბოროტებისადმი, ჭეშმარიტებისა და სიყალბისადმი. წარმოიქმნება ეჭვები საყოველთაო საარჩევნო უფლებასთან მიმართებით, რომელიც სრულიად მექანიკური ხასიათისაა და რომელიც ადამიანს განიხილავს პიროვნული თვისებების არმქონე ატომად. გამოსავალს ეძებენ კორპორატივისტულ წარმომადგენლობაში, შუა საუკუნეების ცეხური ტიპის საწყისებთან დაბრუნებაში. ასე ფიქრობენ იმ ორგანული ერთობის მიღწევას, როდესაც ადამიანი აღარ იქნება განცალკავებული ატომი. დემოკრატიისადმი იმედგაცრუება და მისი კრიზისი გამოწვეულია მისი უშინაარსო ფორმალური ხასიათით. იწყება სახალხო ნების, მართალი, ჭეშმარიტი, წმინდა სახალხო ნების ძიების მტანჯველი პროცესი. მთავარი არაა სახალხო ნების ფორმალურად გამოხატვა და რაოდენობრივი უმრავლესობის მიერ ამ ფორმალურად გამოხატული ნების შესაბამისად საზოგადოების ბედის განსაზღვრა; მნიშვნელოვანია ის, თუ რისკენაა მიმართული ხალხის ნება, მნიშვნელოვანია ამ ნების ხარისხი. სოციალიზმი პესიმისტურ ნიადაგზე აკრიტიკებს დემოკრატიას, ფარდას ხდის მის უშინაარსობას და გადადის კონკრეტულ ხარისხობრივ შინაარსზე. მან იცის ის რჩეული ხალხი, რომელსაც სურს სოციალური სიმართლის განხორციელება; მან კონკრეტულად იცის თავისი მიმართულება. სოციალიზმი დემოკრატიისგან დიამეტრულად განსხვავებულ საწყისებს წამოსწევს წინ.

II

სოციალიზმი, დემოკრატიისგან განსხვავებით, მატერიალურ-შინაარსობრივი ხასიათისაა, მან იცის, რა უნდა, აქვს მისწრაფების საგანი. მისთვის სულერთი არ არის, თუ რისკენაა მიმართული სახალხო ნება და არც ნებისმიერი სახის სახალხო ნებას აღასრულებს. სოციალიზმი პრეტენზიას აცხადებს ჭეშმარიტების ცოდნაზე და ამიტომ იგი ჭეშმარიტების საკითხის გადაჭრას არ ანდობს ხმათა მექანიკურ უმრავლესობას. სოციალიზმი, თავისი ფსიქოლოგიური ტიპის მიხედვით, არაა სკეპტიკური. სოციალიზმი არის სარწმუნოება, მას კაცობრიობის ახალ სარწმუნოებად ქცევის პრეტენზია აქვს. სენ სიმონის უტოპისტური სოციალიზმი და კარლ მარქსის მეცნიერული სოციალიზმი თანაბრად აცხადებენ პრეტენზიას რელიგიურობაზე, სურთ, მოგვცენ ცხოვრების ერთიანი გაგება, გადაწყვიტონ ცხოვრებისეული ყველა პრობლემა. სოციალიზმში ნების გაგება დემოკრატიისგან განსხვავებულია, უფრო დაძაბული, უფრო გაერთიანებული, ცენტრალიზირებულია და ერთიან, ყოვლისმომცველ საგნისადმია მიმართული. სოციალიზმი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ დაუშვებს პარლამენტს, პარტიებისა და ინტერესების ბრძოლის თავისუფალ არენას, რომელიც ასე უყვარს სკეპტიკურ დემოკრატიას. სოციალიზმი ეძიებს და პოულობს სახალხო ნებას, რომელსაც ჭეშმარიტი შინაარსი აქვს, უმწიკვლო ნებას, წმინდა ნებას. სოციალიზმი ამყარებს არა ხალხის, ერის ფორმალურ სუვერენიტეტს, არამედ რჩეული კლასის მატერიალურ სუვერენიტეტს. სოციალიზმს სწამს ისეთი რჩეული კლასის არსებობა, რომლის ნებასაც განსაკუთრებული თვისებები აქვს. სოციალიზმს მესიანური ხასიათი აქვს. არსებობს რჩეული კლასი - პროლეტარიატი, კლასი - მესია, ის თავისუფალია იმ პირველსაწყისი ცოდვისგან, რომლითაც მთელი კაცობრიობის ისტორია იწყება, რომელიც მთელი კულტურის, „ბურჟუაზიული“ კულტურის საფუძველში, ადამიანების მიერ ერთმანეთის, ერთი

კლასის მიერ მეორე კლასის ექსპლუატაციის ცოდვაში დევს. სწორედ ეს მესიანური კლასი არის საწყისი ჭეშმარიტი კაცობრიობისა, მომავლის კაცობრიობისა, რომელშიც უკვე აღარ იქნება ექსპლუატაცია. პროლეტარიატი არის ახალი ისრაელი. ღმერთთისგან რჩეული ხალხის ყველა ატრიბუტი ამ მესიანურ კლასზე გადადის. ის უნდა იყოს კაცობრიობის მხსნელი და განმათავისუფლებელი, მან უნდა განახორციელოს ღვთის მეუფება დედამიწაზე. ძველი ებრაული ხილიაზმი საერო ფორმაში კვლავ მეორდება ისტორიის გვიანდელ ხანაში. რჩეული კლასი ბოლო-ბოლო მიიღებს აღთქმულ მიწიერ მეუფებას, ნეტარებას ისრაელში, რაც ვერ განახორციელა ჯვარზე გაკრულმა მესიამ. ეს არის ის ახალი მესია, მიწიერი სამეფოს მომწყობი მესია, რომლის გამოც უარყვეს ძველი მესია; ის მესია, რომელმაც კაცობრიობას არაამქვეყნიური მეუფების შესახებ ამცნო. პროლეტარიატის სუვერენიტეტი უპირისპირდება ხალხის სუვერენიტეტს. პროლეტარიატი არის სწორედ ჭეშმარიტი ხალხი, სამართლიანი ხალხი, რომელიც ფლობს ყველა იმ თვისებას, რაც ხალხის ნების ცხოვრების უმაღლესი ტიპისკენ მიმართვის გარანტიას იძლევა. ჩვენს ეპოქაში მხოლოდ პროლეტარიატს ახასიათებს ნამდვილი ცხოვრება, სიცოცხლის მაქსიმუმი. ეს არა მხოლოდ დაჩაგრული კლასია, ესაა ის კლასი, რომელიც ნელ-ნელა იმარჯვებს. ის კაცობრიობის მთელ სიძლიერეს გამოიყენებს, საბოლოოდ დაეუფლება ბუნების სტიქიებს, მაქსიმალურად განავითარებს საწარმოო ძალებს. ამ კლასის ხელში ხელისუფლების გადასვლა იქნება საჭიროების სამეფოში, თავისუფლების სამეფოში ნახტომის მომასწავებელი, მსოფლიო კატასტროფა, რომლის შემდეგაც ან ჭეშმარიტი ისტორია დაიწყება, ან - ზეისტორია. ასეთია კლასიკური, რევოლუციური სოციალიზმის იმედი. ის უფრო საინტერესო და საჩვენებელია, ვიდრე - ფაქტობრივი სოციალ-დემოკრატიის გარდამავალი და სანახევრო ფორმები, რომლებიც ოპორტუნისტულადაა მორგებული ბურჟუაზიულ ცხოვრებაზე.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ, კლასიკური სოციალისტური შემეცნების მიხედვით, სუვერენიტეტი უნდა ეკუთვნოდეს ფაქტობრივ, ემპირიულ პროლეტარიატს, როგორც ადამიანთა რაოდენობრივ ერთეულს. სუვერენიტეტი ეკუთვნის არა პროლეტარიატს, როგორც ფაქტს, არამედ პროლეტარიატს, როგორც „იდეას“. პროლეტარიატის იდეას უნდა ეკუთვნოდეს მსოფლიოში ბატონობა. ამ კუთხით სოციალიზმი არის არა ემპირიული რეალიზმი, არამედ - იდეალიზმი. პროლეტარიატის იდეის მატარებლად, ჭეშმარიტების მცოდნედ, გვევლინება რჩეული უმცირესობა, ყველაზე მეტად შეგნებული ადამიანების მცირე რაოდენობა. სრული ძალაუფლება ამ რჩეულ უმცირეოსობას უნდა ეკუთვნოდეს. ამ კუთხით, სოციალიზმი, გარკვეულწილად, არისტოკრატიულია და არა დემოკრატიული. ამ „იდეის“ სახელით, მხოლოდ მცირეთათვის ხელმისაწვდომი იდეის სახელით, უმცირესობის მიერ გააზრებული პროლეტარიატის ინტერესების სახელით, რაც არსებითად კაცობრიობის ინტერესებიცაა, შესაძლებელია ფაქტობრივ, ემპირიულ პროლეტარიატზე ნებისმიერი ძალადობის განხორციელება. ზარბაზნებით, ხიშტებითა და კეტებით შეიძლება ფაქტობრივ პროლეტარიატს, გაუცნობიერებელ ადამიანთა მასას აიძულო, განახორციელოს პროლეტარიატის „იდეა“. სოციალიზმი, პრინციპში, უარყოფს ხალხის სუვერენიტეტს, ხალხის ნების თავისუფალ გამოხატვას და თითოეული მოქალაქის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ამ ნების გამოხატვაში. აქ იგი ძირეულად განსხვავდება დემოკრატიისგან. მაგრამ მისი ანტიდემოკრატიზმი კიდევ უფრო შორს მიდის. სოციალიზმი აღიარებს არა პროლეტარიატის, როგორც რჩეული კლასის (რომელმაც იცის ნების ჭეშმარიტი მიმართულება) თავისუფალი ნების გამოხატვის უფლებას, არამედ ეს უფლება

ენიჭება პროლეტარიატის მხოლოდ რჩეულ ნაწილს, მხოლოდ მუშებს, რომლებსაც აქვთ სოციალისტური ნება, არა მარტო სოციალისტური, არამედ - ჭეშმარიტად სოციალისტური. ანუ, მაგ.: „ბოლშევიკური“ სოციალისტური ნება და არა „მენშევიკური“ სოციალისტური ნება. ყველა იმ მუშას, რომლებმაც ვერ გააცნობიერეს პროლეტარიატის „იდეები“, არ ფლობენ ჭეშმარიტ სოციალისტურ ნებას, შეიძლება და აუცილებელიცაა, ჩამოერთვას ნების გამოხატვის უფლება და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულება. აქედან მოდის დიქტატურის, წმინდა სოციალისტური „იდეის“ ჭეშმარიტი მატარებელი უმცირეობის ბნელში მყოფ უმრავლესობაზე ტირანული ბატონობის პრინციპული გამართლებაც. რევოლუციურ, მესიანისტურ სოციალიზმს არ შეუძლია არ მიემხროს დიქტატურას, ის სოციალიზმის პათოსიდან, მისი ცრუ მესიანისტური მისწრაფებებიდან გამომდინარეობს. დემოკრატიისგან განსხვავებით, სოციალიზმი მთელ ძალაუფლებას გადასცემს და თვითმპყრობელური სიძლიერის ატრიბუტიკით აღჭურავს მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ნებას, სოციალისტურ ნებას, ანუ ჭეშმარიტ, მართალ ნებას. სოციალიზმი პრინციპულად არაშემწყნარებელი და ექსკლუზიურია, მას თავისი არსიდან გამომდინარე არ შეუძლია მიანიჭოს რაიმე თავისუფლება თავის მოწინააღმდეგეებს, სხვაგვარად მოაზროვნეებს. ის იძულებულია, უარყოს სინდისის თავისუფლება. ესაა დიდი ინკვიზიტორის და შიგალევის სისტემა*. მას სურს, სულის თავისუფლების უარყოფით მოაგვაროს ადამიანთა საზოგადოების ბედი.

სოციალისტური საზოგადოება და სახელმწიფო თავიანთი აღმსარებლობის ტიპებით, საკრალურია და არა საერო, არა სეკულარული. სოციალისტურ სახელმწიფოში არსებობს გაბატონებული აღმსარებლობა და ის ადამიანები, რომლებიც ამ გაბატონებულ აღმსარებლობას მიეკუთვნებიან, განსაკუთრებული უფლებებით უნდა სარგებლობდნენ. ეს სახელმწიფო არაა გულგრილი სარწმუნოებისადმი, არაა ინდიფერენტული ისე, როგორც ლიბერალურ დემოკრატიული სახელმწიფო, ის ახდენს თავისი ჭეშმარიტების დეკლარირებას და ადამიანს მისკენ უბიძგებს. ისინი, რომლებიც არ აღიარებენ სოციალისტურ რწმენას, დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაში უნდა ჩადგნენ, როგორშიც ებრაელები იყვნენ ძველ თეოკრატიულ ქრისტიანულ სახელმწიფოებში. აღმსარებლობითი ხასიათის სოციალისტური სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებს საკრალურობაზე, წმინდა სახელმწიფოზე, მადლით გაბრწყინებულობაზე, ოღონდ არა ღვთიური მადლით, არამედ ეშმაკისეულით, ოღონდ აუცილებლად მადლით. ამაშია სწორედ სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოსგან სოციალისტური სახელმწიფოს არსებითი განსხვავება. სოციალიზმი ისევე უარყოფს სინდისის თავისუფლებას, როგორც ამას შუა საუკუნეების კათოლიკური ეკლესია აკეთებდა. მას სურს, იძულებით განახორციელოს სიმართლე და კეთილშობილება, არ ტოვებს არჩევანის თავისუფლებას - ისე, როგორც ამას აკეთებს ლიბერალური დემოკრატია. ადამიანის გარეგნული, იძულებითი სახის ერთიანობის, რაოდენობრივი უნივერსალიზმის შესახებ ძველი, იმპერიალისტური და თეოკრატიული იდეების განხორციელების იმედი სოციალიზმში გადავიდა. სოციალისტური უტოპიები, რომლებიც ძალიან ბევრ ადამიანს ოქროსფერი სიზმრები ეგონა, არასდროს არ ჰპირდებოდა კაცობრიობას არანაირი სახის თავისუფლებას. ისინი ყოველთვის აბსოლუტურად დესპოტური სახის საზოგადოებებს ხატავდნენ, სადაც თავისუფლება ძირფესვიანად იყო ამოძირკვული. თომას მორის „უტოპიის“ მიხედვით, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე თავისუფალი გადაადგილება იმაზე არანაკლებ რთულად განსახორციელებელი იყო, ვიდრე - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის ყველაზე მძიმე დღეებში. კაბეს „უტოპიაში“ არსებობს მხოლოდ ერთი სამთავრობო გაზეთი და საერთოდ არაა დაშვებული თავისუფალი პრესის არსებობის შესაძლებლობა. უტოპიები ცუდად იცოდნენ ან დაივიწყეს. ისინი მეტისმეტად შეუსრულებადი ეგონა ყველას. მაგრამ უტოპიები ბევრად უფრო განსახორციელებლები აღმოჩნდა, ვიდრე ეს ადრე ეგონათ. და ახლა დადგა სხვა პრობლემატური საკითხი - როგორ ავიცილოთ თავიდან მათი საბოლოო განხორციელება? ბოლშევიკები ჩვენთან უტოპისტებად მიაჩნდათ, რომლებიც შორს იდგენენ რეალური ცხოვრებისეული პროცესებისგან; რეალისტებად კი კადეტებს თვლიდნენ. ცხოვრებისეული გამოცდილება საპირისპიროს გვიჩვენებს. უტოპისტები და ფანტაზიორები კადეტები ყოფილან. ისინი ოცნებობდნენ რუსეთში რაღაც სამართლებრივი წყობის დამყარებაზე, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე რუსეთის პირობებში. უაზრო ოცნებები! დაუჯერებელი, არარეალისტური უტოპიები!

ბოლშევიკები აღმოჩნდნენ ნამდვილი რეალისტები. ისინი ცდილობდნენ, განეხორციელებინათ ის, რაშიც მათ ყველაზე მეტად ჰქონდათ წარმატების მიღწევის შესაძლებლობა, მოქმედებდნენ ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით, ისინი მინიმალისტები იყვნენ და არა — მაქსიმალიტები. ისინი ყველაზე მეტად ერგებოდნენ მასების ინტერესებს, მასების ინსტიქტებს, ბატონობის რუსულ ტრადიციებს. უტოპიები შეიძლება განხორციელდეს, უფრო მეტად შეიძლება განხორციელდეს, ვიდრე „რეალურად წარმოდგენილი პოლიტიკა“, რაც მხოლოდ კაბინეტში მსხდომი ადამიანების რაციონალისტური გათვლები აღმოჩნდა; შესაძლოა იწყება ინტელიგენციისა და კულტურული ფენების ოცნებათა ახალი ასწლეული - ოცნებებისა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გავექცეთ უტოპიებს, თუ როგორ დავბრუნდეთ არაუტოპიურ საზოგადოებში, ნაკლებად სრულყოფილ, მაგრამ უფრო თავისუფალ საზოგადოებებში. აწი აღარ იოცნებებენ სოციალიზმზე, რომელზეც ჩვენთან ლამის ყველა ოცნებობდა და არა მხოლოდ სოციალისტები. რუსი ლიბერალიც ხომ იმას ფიქრობდა, რომ სოციალიზმზე მაღლა არაფერი იდგა, მაგრამ, სამწუხაროდ, სოციალიზმი განუხორციელებადია, ხოლო თავად არ დგას გმირობის საკმარის სიმაღლეზე, რომ ამისთანა მაღალი იდეალი განახორციელოს. ახლა იოცნებებენ არა სრულყოფილ, არამედ არასრულყოფილ წყობაზე, ანუ, უფრო თავისუფალ წყობაზე. თავისუფლება, როგორც ჩანს, დაკავშირებულია არასრულყოფილებასთან, არასრულყოფილების უფლებასთან, სოციალიზმი არის ავტორიტარული ტიპის წყობა, ამაში ის მთლიანად თეოკრატიულ საზოგადოებას და სახელმწიფოს წააგავს. კ. ლეონტიევი, რომელმაც რუსეთში სწორედ ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვება იწინასწარმეტყველა, გენიალურად მწვავედ ამბობს, რომ სოციალიზმს მორჩილების საუკუნეობრივი ადათები, მორჩილების ინსტიქტები დასჭირდება. მან იცოდა, რომ სოციალიზმის დამყარებას ია-ვარდით მოფენილ გზაზე კი არა, ადამიანების სისხლზე უნდა გადაევლო. ამაში ის იმ რუსი ხალხის უმრავლესობაზე ბევრად მაღლა დგას, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ სოციალიზმის იდილიაზე და რომლებსაც წარმოედგინათ, რომ სოციალიზმი იყო თავისუფლება. არა, საჭიროა არჩევანი - ან სოციალიზმი, ან სულის თავისუფლება, ადამიანის სინდისის თავისუფლება. ეს გენიალურად ესმოდა დოსტოევსკის. სოციალიზმი ისეთი სახის ,,საკრალურ ხელისუფლებას” და „საკრალურ საზოგადოებას“ ამყარებს, რომ არანაირი ადგილი აღარ რჩება არაფერი საეროსთვის, არაფერი

* აქ ნ. ბერდიაევი გულისხმობს სიუჟეტებს თ. დოსტოევსკის ნაწარმოებებიდან - დიდი ინკვიზიტორი - ,,ძმები კარამაზოვებიდან” და შიგალევის სისტემა - ,,ეშმაკებიდან”. (მთარგმნელის შენიშვნა)

თავისუფალი და გარდამავლისთვის, ადამიანური ძალების თავისუფალი თამაშისთვის. სოციალიზმს სურს ადამიანს მთლიანად დაეუფლოს, არა მხოლოდ მის სხეულს, არამედ - მის სულსაც. ის პრეტენზიას აცხადებს ადამიანის სულის ყველაზე ინტიმურ და ძვირფას სიღრმეებზე. აქ მას ისეთივე მიზანი აქვს, რაც ეკლესიას. მხოლოდ ეკლესია აცხადებს პრეტენზიას ადამიანის სულის ფლობაზე და თავის თავზე იღებს ადამიანთა სულების წინამძღოლობის ფუნქციას. სახელმწიფო არასდროს არ აცხადებს ადამიანის სულებზე ბატონობის პრეტენზიას, მან იცის თავისი საზღვრები. სახელმწიფოსთვის მიუწვდომელია ადამიანის სულის სიღრმეები. ყველაზე დესპოტური სახელმწიფოც კი არ მოითხოვს, რომ ადამიანებმა მას მიუძღვნან თავიანთი სულები.

სახელმწიფო ადამიანებს ციხეებში სხავდა და სიკვდილით სჯიდა, მაგრამ არ მოითხოვდა მათგან სულიერ მორჩილებას. არ მოითხოვდა საერო, სეკულარული სახელმწიფო. მაგრამ ამას ითხოვდა თეოკრატიული სახელმწიფო, რომელიც უნივერსალისტური პრეტენზიებით გამოდიოდა და რომელსაც საკუთარი თავი წმინდა საეკლესიო ტიპის სახელმწიფოდ მიაჩნდა. ამავე პრეტენზიებით, ოღონდ აქამდე ჯერ არნახული უკიდურესი ფორმებით, გამოდის სოციალიზმი. მას სურს, მექანიკურად გაწვრთნას ადამიანთა სულები, გამობრძმიდოს იმდენად, რომ ისინი თავს კარგად გრძნობდნენ საერთო სოციალურ ცხოვრებაში, შეუყვარდეთ ყაზარმული ცხოვრება, უარი თქვან სულის თავისუფლებაზე. სოციალიზმს სურს, დაბადოს ბედნიერი ახალშობილები, რომლებსაც არ ეცოდინებათ ცოდვა. ქრისტიანობა, უპირველეს ყოვლისა, სულის თავისუფლებას უფრთხილდება და ამიტომ არ უშვებს მიწიერი სამოთხისთვის ადამიანის სულის მექანიკური გაწვრთნის შესაძლებლობას. ამ საქმეს ის ანტიქრისტეს უთმობს.

სოციალიზმი მართალია, როდესაც სახალხო ნების საგანს ის უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე - ამ ნების ფორმალურ გამოვლინებას. თუკი არსებობს სახალხო ნების რაიმე სახის ხარისხიანი შინაარსი და რაიმე სახის უმაღლესი მიზანი ხალხის ცხოვრებაში, ეს შინაარსი და ეს მიზანი უფრო მაღლა უნდა იყოს დაყენებული, ვიდრე - თვით ხალხის ნების ფორმალური გამოვლინება. მაშინ დაიძლევა რელატივიზმი, ჩნდება ღირსეული საგანი. ის ღირსეული მიზანი, რომლისკენაც მიმართულია ხალხის ნება, თავად ხალხის ნებაზე მაღლა უნდა იდგეს. ამ მიზანს უნდა ემორჩილებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრება. მაგრამ ცხოვრების მიზანი მხოლოდ სულიერი ცხოვრება შეიძლება იყოს, ხოლო ცხოვრების შინაარსი კი მხოლოდ ღვთიური შინაარსია. ამიტომ ადამიანთა საზოგადოების საფუძველში ჩადებულ უნდა იყოს რელიგიურ-სულიერი საწყისები, რაც ნებისმიერი სახის ადამიანური ნების თვითდამკვიდრებაზე მაღლა უნდა იქნეს დაყენებული; და ადამიანის თავისუფლებაც, სულის თავისუფლების გადარჩენაც მხოლოდ ამგვარი რელიგიურ-სულიერი საწყისების შემეცნების შედეგად, მხოლოდ ღვთის ნებისკენ მიმართულობით შეიძლება, რადგანაც ადამიანური თვითნებობა და თავნებობა სპობს ადამიანის თავისუფლებას. ადამიანისთვის საშიშია, იქცეს დამოკიდებული მხოლოდ ადამიანურ ნებაზე, ადამიანურ თავნებობაზე, ადამიანთა მასების ბატონობაზე, რაც არანაირ ჭეშმატიტებას, არანაირ სიმართლეს არ ექვემდებარება. ასე დგება, როგორც დემოკრატიის, ასევე მონარქიული თვითმპყრობელობის გარდაუვალი შეზღუდვის პრობლემა. სოცილიზმი ასახავს ჰუმანიზმის კრიზისს, დემოკრატიაში ფორმულირებული ადამიანის თვითდამკვიდრების კრიზისს. სოციალიზმი უკვე რაღაც არაადამიანურ შინაარსში, არაადამიანურ კოლექტიურობაში გადადის, რომელსაც

მსხვერპლად ეწირება ყველაფერი ადამიანური. მარქსი ანტიჰუმანისტია. მასთან ადამიანის თვითდამკვიდრება ადამიანის უარყოფაში გადადის. დემოკრატია უფრო ჰუმანურია. სოციალიზმი კი უკვე ჰუმანიზმის მიღმაა. სოციალიზმი ახალ ისტორიაზე რეაქცია და შუა საუკუნეებისკენ დაბრუნებაა, ოღონდ ახალი ღმერთის სახელით. ახალი შუა საუკუნეები უნდა წააგავდეს ძველს, მასში იქნება საკუთარი ტიპის თეოკრატია. მაგრამ, როდესაც სრულდება ჰუმანისტური სამეფო, საერო ჰუმანურობის სამეფო, მაშინ გამოჩნდება საპირისპირო უფსკრულები. სოცილისტური თეოკრატია წააგავს თეოკრატიას და გააჩნია თეოკრატიული მიდრეკილებები იმიტომ, რომ ის სატანოკრატიაა. მასში საზოგადოება, საზოგადოებრივი კოლექტივი იქცევა შეუზღუდავ დესპოტად, უფრო საშიშად, ვიდრე ეს ძველ ასურეთსა და სპარსეთში იყო.

III

ვლადიმერ სოლოვიევი იმასაც აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის გამარჯვებისთვის, საჭირო იყო მისი სიმართლის აღიარება. სოციალიზმს არ შეიძლება ებრძოლო ბურჟუაზიული იდეებით და მას XIX-XX საუკუნეების კაპიტალისტური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოებები დაუპირისპირო. სწორედ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ წარმოშვა და მოგვიტანა სოციალიზმი. სოციალიზმი არის სისხლით ხორცამდე კაპიტალიზმის წარმონაქმნი. ისინი ერთსა და იმავე ფესვებზე დგანან. ერთი და იგივე სული, უფრო სწორად, სულის ერთი და იგივე უარყოფა ამოძრავებთ მათ. თავისი უღმერთობა სოციალიზმმა XIX საუკუნის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური საზოგადოებებიდან გადმოიღო, რომელიც ისტორიის მანძილზე არსებული საზოგადოებებიდან, მართლაც, ყველაზე უღმერთო იყო. მასში უკვე დარღვეული იყო მატერიალური სამყაროს პირობებში ადამიანთა ნორმალური ურთიერთობა ერთმანეთთან. XIX საუკუნის ცივილიზაციის ეკონომიზმმა, რომელმაც დაამახინჯა საზოგადოების იერარქიული წყობა, წარმოშვა სწორედ ეკონომიკური მატერიალიზმი, რომელმაც ზუსტად ასახა XIX საუკუნის მთელი რეალობა. ამ რეალობაში სულიერი ცხოვრება მხოლოდ ზედნაშენი იყო, მხოლოდ ანარეკლი და შემგუებლობა. ღმერთის ნაცვლად მამონისადმი თაყვანისცემა თანაბრად დამახასიათებელია, როგორც კაპიტალიზმის, ასევე - სოციალიზმისათვის. სოციალიზმი არაა უტოპია ან ოცნება. სოციალიზმი ქრისტიანული საზოგადოებებისთვის რეალური საფრთხე და გაფრთხილება, მკაცრი შეხსენებაა იმისა, რომ მათ არ შეასრულეს ქრისტეს მცნებები. რომ ისინი განუდგნენ ქრისტიანობას. ზოგჯერ კაპიტალიზმს იმაზე აფუძნებენ, რომ ადამიანური ბუნება ბოროტია, რომ იძულებით ამ ბოროტებას ვერ მოერევი, რომ სოციალიზმი გვთავაზობს კეთილ ბუნებას; მაგრამ ავიწყდებათ, რომ შეიძლება დადგეს ისტორიული მომენტი, როცა ადამიანური ბუნების ბოროტება, სწორედ ბოროტება მიიღებს ახალ ფორმას. ბოროტი ბუნება ქმნის სოცილიზმს. კაპიტალიზმი, როგორც სულიერ-ეთიკური კატეგორია, იმიტომ გაჩნდა, რომ ადამიანის ბუნება სიბოროტეშია. მაგრამ ამ მიზეზითვე წარმოიქმნება სოციალიზმიც. ქრისტიანობისგან განდგომა, სულიერი საწყისებისგან გადახვევა და ცხოვრების სულიერი მიზნებისგან გადახვევამ კაპიტალიზმის სტადიის შემდეგ სოციალიზმის სტადიამდე უნდა მიგვიყვანოს; ან საჭიროა, რეალურად დავიწყოთ ქრისტიანობის განხორციელება და მოვტრიალდეთ სულიერი ცხოვრებისკენ, აღვადგინოთ ცხოვრების ნორმალური იერარქიული წყობა, დავუმორჩილოთ სულს ეკონომიკა, მოვაქციოთ პოლიტიკა საჭირო საზღვრებში.

სოციალიზმი ცდილობს, ჰქონდეს შინაარსი და მიზანი და ამასთან, ჭეშმარიტი

შინაარსი და მიზანი. ის ამით განსხვავდება დემოკრატიისგან, რომელიც გახსნილია ყველა შინაარსისა და მიზნისთვის. ცხოვრების სოციალისტური შინაარსი და ცხოვრების სოციალისტური მიზანი იმგვარია, რომ ისინი თავის მიმდევრებში ფანატიკურ გრძნობებს იწვევენ. მაგრამ რა არის ეს შინაარსი და ეს მიზანი? სოციალიზმის შინაარსი ფიქციაა, ის ისეთივე უშინაარსო და არაონტოლოგიურია, როგორც - დემოკრატია. რა უნდა განვაკუთვნოთ სოციალიზმის ცხოვრების შინაარსსა და მიზანს, რა არ არის მხოლოდ ცხოვრების საშუალება და იარაღი, თავად სოციალიზმის მიღმა არსებული მიზნები? წარმოების საშუალებების განსაზოგადოებრიობა არაა ცხოვრების შინაარსი და მიზანი. ეკონომიკაში თქვენ ვერ იპოვით ვერაფერს, რაც შეიძლება ეხებოდეს მიზნებს და არა ცხოვრების საშუალებებს. ეკონომიკური თანასწორობა ცხოვრების მიზანი და შინაარსი არაა. ორგანიზაციულ წარმოებაზე დაფუძნებული მატერიალური შრომა, რომელსაც აღმერთებს სოციალიზმი, ასევე არაა ცხოვრების მიზანი და შინაარსი. სოციალისტების მიერ პიროვნული თვისებების არმქონე მატერიალური შრომის გაღმერთება ცხოვრების მიზნისა და აზრის დაკარგვისგან წარმოიქმნება. იმ ეპოქაში გაიცრიცა ცხოვრება, რომელშიც სოციალიზმი წამოწიეს წინ და რომელშიც ცხოვრების საშუალებებმა საბოლოოდ გადაფარეს ცხოვრების მიზნები. ცხოვრების მიზნები უფრო ადრე გაფერმკრთალდა, მათ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბურჟუაზიულ ეპოქაში, ამ საუკუნის ეკონომიზმში, ცხოვრების გარეგნული მოწყობის საქმეებში ჩაფლობით დაკარგეს მნიშვნელობა. სულიერი შინაარსი არ არის არც სოციალიზმში და არც - დემოკრატიაში. ცხოვრების ჭეშმარიტი შინაარსისა და მიზნის ძიება მხოლოდ სულიერ რეალობაში, სულიერ კულტურაში შეიძლება. ცხოვრების მიზანი და შინაარსი შეიძლება მხოლოდ სულიერი იყოს. ის არ შეიძლება იყოს სოციალური, არ შეიძლება მათი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩარჩოებში მოქცევა. ვერც ერთი პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფია ვერ აღწევს ჭეშმარიტ შინაარსს, თუ მას სულიერ ცხოვრებაში არ პოულობს და თუ ყველა სოციალურ და პოლიტიკურ ფორმას არ უმორჩილებს მას. სოციალიზმის შინაარსობრიობა მოჩვენებითია. სოციალიზმი თავის საბედისწერო დიალექტიკაში მხოლოდ ფარდას ხსნის თანამედროვე ცივილიზაციის უშინარსობას. პროლეტარიატის ,,იდეა", რომლის სახელითაც იღვრება ამდენი ადამიანის სისხლი, ,,იდეა", რომელიც ადამიანებში ასეთ ფანატიკურ ერთგულებას იწვევს, არის რეალურად სრულიად უშინაარსო იდეა. ის საუბრობს ცხოვრების იარაღზე, მაგრამ არაფერს ამბობს თავად ცხოვრებაზე. საცოდავი ტიტინი ახალი პროლეტარული სულისა და ახალი პროლეტარული კულტურის შესახებ თავად სოციალისტებშიც გარკვეულ უხერხულ გრძნობებს წარმოქმნის. არანაირი ნიშნები ახალი სულის წარმომქნისა არ არსებობს, სული რჩება ძველ სულად, ძველი აღთქმის ადამისეულ სულად, რომელიც სავსეა შურით, ბოროტებით, ანგარებითა და შურისძიებით. ახალია მხოლოდ ის, რომ ამ სულში შესუსტდა ცოდვების შეგრძნება და გართულდა მისთვის მონანიება. არანაირი ნიშანი ახალი პროლეტარული კულტურის, ახალი პროლეტარული შემოქმდებისა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ კულტურის დაქვეითება, მისი დაქვეითება ტექნიკური ცივილიზაციის მოთხოვნებისადმი. სოციალიზმი ცხოვრობს ბურჟუაზიული კულტურის ხარჯზე, გონებრივად იკვებება ბურჟუაზიული განმანათლებლობის მატერიალიზმით. სოცილიზმში არის ახალი, არაადამიანური კოლექტივის, ლევიათანის წარმოშობა. მაგრამ ამ საშინელ კოლექტივში, საშინელ ურჩხულში კვდება ცხოვრების ყველა მიზანი და შინაარსი, იფერფლება ყველანაირი სულიერი კულტურა, მასში არაა ახალი ადამიანური სული. დემოკრატიისა და სოციალიზმის შინაგანი დიალექტიკა გვასწავლის ჩვენ, რომ არ შეიძლება ეძიო შინაარსიანი და

მართალი სახალხო ნება გარეგნული, სოციალური და პოლიტიკური ნიშნების მიხედვით. არ არსებობს სამართლიანი ნება თავად ნების სიმართლის, ნების სიწმინდის მიღმა. აუცილებელია სიწმინდის რეალური მიღწევა, ცოდვაზე გამარჯვება, განათლება და გარდასახვა, რომ ადამიანური ნება წმინდა ცხოვრებას ჭეშმარიტებაში ახორციელებდეს. ვერანაირი გარეგნული ნიშნით, ვერანაირი სიმულაციით ვერ შეცვლი ნამდვილ გარდასახვას. გადაცმა, ტანისამოსის გამოცვლა ნაკლებად შველის. ბურჟუაზიული ან სოციალისტური სამოსის ქვეშ შეიძლება იმალებოდეს ერთი და იგივე შინაარსი ან ერთი და იგივე უშინაარსობა. ყოველი საზოგადოების, ყოველი ხალხის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური ამოცანა დგას. რადგან ნების განათლება და განახლება, მისი ავსება ღვთიური არსით, არის რელიგიური ამოცანა და არა სოციალურ-პოლიტიკური; ყველა სოციალურ-პოლიტიკური ამოცანა უნდა დაექვემდებაროს ამ რელიგიურ ამოცანას. ცხოვრების შინაარსი შეიძლება იყოს მხოლოდ რელიგიური შინაარსი. ცხოვრების არსია ღვთიურ ცხოვრებაში შებიჯება, ანუ ჭეშმარიტ ყოფიერებაში შებიჯება. ხალხის ნება, პროლეტარიატის ნება, არის ცოდვილი ნება და ამიტომ იგი გადადის არყოფნაში და შეუძლია შექმნას არყოფნის სამეფო. ეს ნება უნდა იხრიდეს ქედს უმაღლესი ნების წინაშე, წმინდა ნების, ღვთიური ნების წინაშე. მხოლოდ მაშინ ახორციელებს ის ყოფიერებას. სუვერენიტეტი ეკუთვნის არა ხალხს, არა პროლეტარიატს, არამედ ღმერთს - ანუ თავად ჭეშმარიტებას, თავად სიმართლეს; შესაბამისად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაშიც ღმერთის, და არა საკუთარი, ნება უნდა ვეძიოთ. ეს მიდგომა უნდა მიემართებოდეს არა მხოლოდ ,,მემარცხენეების" (სოციალისტებისა და დემოკრატების) საწინააღმდეგოდ, არამედ ,,მემარჯვენეების" (მონარქისტების) საწინააღმეგოდაც. არ შეიძლება დემოკარტიას დავუპირისპიროთ საზოგადოების პრივილეგიური ჯგუფების მიერ ადამიანური ნების ძალადიბრივი გამოხატვა. სულიერი გარდასახვისა და განათლებულობის ამოცანა, ღვთიური ნებისა და ღვთიური სიმართლის შეძენა არაა მხოლოდ ინდივიდის წინაშე მდგარი პიროვნული ამოცანა. ეს ასევე მთელი ხალხების წინაშე მდგარი საზოგადოებრივი ამოცანა, ისტორიული ამოცანაა. სულიერი ძალები, საღვთო ენერგია მოქმედებს არა მხოლოდ პიროვნების სულში, არამედ - ასევე საზოგადოების სულში, ერების სულში, ისტორიაში. აქ საუბარია არა პიროვნულ სრულყოფაზე, არამედ საზოგადოებისა და ერების, ისტორიის სულიერ ცვლილებებსა და ცხოვრების შინაარსის შეძენაზე. პიროვნება და საზოგადოება ვერ იქნება მოწყვეტილი და იზოლირებული ერთმანეთისგან. აზროვნების ამ ეტაპზე ჩვენ მივდივართ თეოკრატიის პრობლემის დაყენებამდე. წყდება კი თეოკრატიულ მმართველობაში ჩვენ მიერ დაყენებული პრობლემა?

დემოკრატიაში ცხოვრების ჭეშმარიტი შინაარსისა და მიზნის ძიება მხოლოდ სულიერ რეალობაში, სულიერ კულტურაში შეიძლება. ცხოვრების მიზანი და შინაარსი შეიძლება მხოლოდ სულიერი იყოს. ის არ შეიძლება იყოს სოციალური, არ შეიძლება მათი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩარჩოებში მოქცევა. ვერც ერთი პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფია ვერ აღწევს ჭეშმარიტ შინაარსს, თუ მას სულიერ ცხოვრებაში არ პოულობს და თუ ყველა სოციალურ და პოლიტიკურ ფორმას არ უმორჩილებს მას. სოციალიზმის შინაარსობრიობა მოჩვენებითია. სოციალიზმი თავის საბედისწერო დიალექტიკაში მხოლოდ ფარდას ხსნის თანამედროვე ცივილიზაციის უშინარსობას. პროლეტარიატის „იდეა", რომლის სახელითაც იღვრება ამდენი ადამიანის სისხლი, „იდეა", რომელიც ადამიანებში ასეთ ფანატიკურ ერთგულებას იწვევს, არის რეალურად სრულიად უშინაარსო იდეა. ის

საუბრობს ცხოვრების იარაღზე, მაგრამ არაფერს ამბობს თავად ცხოვრებაზე. საცოდავი ტიტინი ახალი პროლეტარული სულისა და ახალი პროლეტარული კულტურის შესახებ თავად სოციალისტებშიც გარკვეულ უხერხულ გრძნობებს წარმოქმნის. არანაირი ნიშნები ახალი სულის წარმომქნისა არ არსებობს, სული რჩება ძველ სულად, ძველი აღთქმის ადამისეულ სულად, რომელიც სავსეა შურით, ბოროტებით, ანგარებითა და შურისძიებით. ახალია მხოლოდ ის, რომ ამ სულში შესუსტდა ცოდვების შეგრძნება და გართულდა მისთვის მონანიება. არანაირი ნიშანი ახალი პროლეტარული კულტურის, ახალი პროლეტარული შემოქმდებისა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ კულტურის დაქვეითება, მისი დაქვეითება ტექნიკური ცივილიზაციის მოთხოვნებისადმი. სოციალიზმი ცხოვრობს ბურჟუაზიული კულტურის ხარჯზე, გონებრივად იკვებება ბურჟუაზიული განმანათლებლობის მატერიალიზმით. სოცილიზმში არის ახალი, არაადამიანური კოლექტივის, ლევიათანის წარმოშობა. მაგრამ ამ საშინელ კოლექტივში, საშინელ ურჩხულში კვდება ცხოვრების ყველა მიზანი და შინაარსი, იფერფლება ყველანაირი სულიერი კულტურა, მასში არაა ახალი ადამიანური სული. დემოკრატიისა და სოციალიზმის შინაგანი დიალექტიკა გვასწავლის ჩვენ, რომ არ შეიძლება ეძიო შინაარსიანი და მართალი სახალხო ნება გარეგნული, სოციალური და პოლიტიკური ნიშნების მიხედვით. არ არსებობს სამართლიანი ნება თავად ნების სიმართლის, ნების სიწმინდის მიღმა. აუცილებელია სიწმინდის რეალური მიღწევა, ცოდვაზე გამარჯვება, განათლება და გარდასახვა, რომ ადამიანური ნება წმინდა ცხოვრებას ჭეშმარიტებაში ახორციელებდეს. ვერანაირი გარეგნული ნიშნით, ვერანაირი სიმულაციით ვერ შეცვლი ნამდვილ გარდასახვას. გადაცმა, ტანისამოსის გამოცვლა ნაკლებად შველის. ბურჟუაზიული ან სოციალისტური სამოსის ქვეშ შეიძლება იმალებოდეს ერთი და იგივე შინაარსი ან ერთი და იგივე უშინაარსობა. ყოველი საზოგადოების, ყოველი ხალხის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური ამოცანა დგას. რადგან ნების განათლება და განახლება, მისი ავსება ღვთიური არსით, არის რელიგიური ამოცანა და არა სოციალურ-პოლიტიკური; ყველა სოციალურ-პოლიტიკური ამოცანა უნდა დაექვემდებაროს ამ რელიგიურ ამოცანას. ცხოვრების შინაარსი შეიძლება იყოს მხოლოდ რელიგიური შინაარსი. ცხოვრების არსია ღვთიურ ცხოვრებაში შებიჯება, ანუ ჭეშმარიტ ყოფიერებაში შებიჯება. ხალხის ნება, პროლეტარიატის ნება, არის ცოდვილი ნება და ამიტომ იგი გადადის არყოფნაში და შეუძლია შექმნას არყოფნის სამეფო. ეს ნება უნდა იხრიდეს ქედს უმაღლესი ნების წინაშე, წმინდა ნების, ღვთიური ნების წინაშე. მხოლოდ მაშინ ახორციელებს ის ყოფიერებას. სუვერენიტეტი ეკუთვნის არა ხალხს, არა პროლეტარიატს, არამედ ღმერთს - ანუ თავად ჭეშმარიტებას, თავად სიმართლეს; შესაბამისად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაშიც ღმერთის, და არა საკუთარი, ნება უნდა ვეძიოთ. ეს მიდგომა უნდა მიემართებოდეს არა მხოლოდ „მემარცხენეების“ (სოციალისტებისა და დემოკრატების) საწინააღმდეგოდ, არამედ „მემარჯვენეების“ (მონარქისტების) საწინააღმეგოდაც. არ შეიძლება დემოკარტიას დავუპირისპიროთ საზოგადოების პრივილეგიური ჯგუფების მიერ ადამიანური ნების ძალადიბრივი გამოხატვა. სულიერი გარდასახვისა და განათლებულობის ამოცანა, ღვთიური ნებისა და ღვთიური სიმართლის შეძენა არაა მხოლოდ ინდივიდის წინაშე მდგარი პიროვნული ამოცანა. ეს ასევე მთელი ხალხების წინაშე მდგარი საზოგადოებრივი ამოცანა, ისტორიული ამოცანაა. სულიერი ძალები, საღვთო ენერგია მოქმედებს არა მხოლოდ პიროვნების სულში, არამედ — ასევე საზოგადოების სულში, ერების სულში, ისტორიაში. აქ საუბარია არა პიროვნულ სრულყოფაზე, არამედ საზოგადოებისა და ერების, ისტორიის სულიერ ცვლილებებსა და ცხოვრების შინაარსის შეძენაზე.

პიროვნება და საზოგადოება ვერ იქნება მოწყვეტილი და იზოლირებული ერთმანეთისგან. აზროვნების ამ ეტაპზე ჩვენ მივდივართ თეოკრატიის პრობლემის დაყენებამდე. წყდება კი თეოკრატიულ მმართველობაში ჩვენ მიერ დაყენებული პრობლემა?

IV

ევროპული საზოგადოებების ცხოვრებაში ჯერ დემოკრატიამ, ხოლო შემდეგ კი სოციალიზმმა წარმატებით შეაღწია, რისი მიზეზიც ძველი თეოკრატიული სახელმწიფოების შინაგანად გახრწნა იყო. ეს შეუქცევადი პროცესი იყო. ასეთია ბედისწერა. ერთი ბედისწერა აერთიანებს ადამიანთა გზას სოციალიზმიდან დემოკრატიამდე. თეოკრატიის წარუმატებლობამ და განუხორციელობამ მოიტანა შედეგად დემოკრატიისა და სოციალიზმის გამოცდილებები. ასე ხდებოდა ერთი ისტორიული წარუმატებლობის მეორით აღმოფხვრა, ხოლო წარუმატებლობის მიზეზი კი ყოველთვის ერთია - ცხოვრების რეალური გარდაქმნის ნაცვლად ხდება იმის გარეგნული და ფორმალური გამოხატულება, რომ საზოგადოება ან თეოკრატიულად, ან კი სოციალისტურად საკრალურია. თეოკრატია შეგნებულად სიმბოლური იყო, ხოლო სოციალიზმი კი ცხოვრებაში რეალისტურია, მაგრამ იქაც და აქაც იმ სრულყოფილი წყობის მხოლოდ ნიშნები მიიღწევა, რომლისკენაც ისინი მიისწრაფვიან, ხდება მხოლოდ მისი სტიმულირება. ყველა ძველმა თეოკრატიამ, დასავლურ პაპისტურმა და აღმოსავლურ იმპერატორულმაც, წარუმატებლობა იწვნია და გაიხრწნა იმიტომ, რომ მათში რეალურად არ ხორციელდებოდა ღვთიური სამეფოს დამყარება დედამიწაზე და მისი ფორმალიზება და სიმბოლიზება მხოლოდ გარეგნულ ხასიათს ატარებდა. თეოკრატიული სახელმწიფო, სულ უფრო და უფრო მეტად კარგავდა თავის წმინდა შინაარსს; ის გადაგვარდა და ზეციური მეუფების სიმულირებად იქცა. შუა საუკუნეების თეოკრატიული ჩანაფიქრი ისტორიის ერთერთი უდიდესი ჩანაფიქრია. მაგრამ ადამიანის თავისუფალი სული, რომელიც თანახმა იყო, განხორციელებულიყო დედამიწაზე ქრისტეს მეუფება, არ იქნა მასში გათვალისწინებული. ღვთის მეუფება იძულებით, ძალდატანებით ვერ განხორციელდება. თავისუფლების ძიებამ მიიყვანა სწორედ ხალხები დემოკრატიამდე. ადამიანი დაადგა ავტონომიური თვითგამორკვევის გზას, თვითგამორკვევა გადავიდა თვითდამკვიდებაში, ხოლო თვითდამკვიდრებამ კი ადამიანის თვითგანადგურება მოიტანა. ასეთია ახალი ცხოვრების ტრაგედია. ჰეტერონომიიდან გარდაუვალი იყო ავტონომიაზე გადასვლა. ჰეტერონომიაზე დაფუძნებული საზოგადოება ვერ იარსებებს მუდმივად, აუცილებლად გაიღვიძებს ავტონომიური შემეცნება. მაგრამ ავტონომია მხოლოდ გზა უნდა იყოს თეონომიისკენ, უმაღლესი მდგომარეობისკენ, ღვთის ნების ნებაყოფლობით მიღებისკენ, მისადმი ნებაყოფლობით დამორჩილებისკენ. ახალ ისტორიაში ავტონომიამ მიგვიყვანა არა თეონომიისკენ, არამედ ანომიისკენ. მაგრამ ანომიაში ავტონომია თვითონვე ჭამს საკუთარ თავს და უბოროტესი სახის ჰეტერონომიაში გადაიზრდება. სწორედ ამას ვხედავთ ჩვენ სოციალიზმში. ძველ თეოკრატიულ საზოგადოებებში თეონომია არ იყო ავტონომიური და ამიტომ რეალური, ჭეშმარიტი თეოკრატია ვერ მიიღწეოდა. ახალ ავტონომიურ საზოგადოებაში თეონომია საერთოდ არაა და ამიტომ ამ საზოგადოებას არ აქვს არანაირი ონტოლოგიური შინაარსი. ძველი თეოკრატიის სიმბოლიზმს კაცობრიობის გარკვეულ ასაკამდე, გარკვეულ პერიოდამდე მაინც ჰქონდა ჭეშმარიტად წმინდა მნიშვნელობა. ძველი საზოგადოებები სავსე იყო წმინდა სიმბოლიკით და ამას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანი ხალხების აღზრდასა და წინამძღოლობაში. მაგრამ ხალხების ცხოვრებაში უნდა დამდგარიყო

ისეთი მომენტი, როდესაც ისინი მოისურვებდნენ სიმბოლიზმიდან რეალიზმზე, ძალიან რეალურ ცხოვრებაზე გადასვლას. მაგრამ ეს არ იქნება ონტოლოგიური და მისტიკური რეალიზმი, ცხოვრების გაბრწყინებისა და გარდაქმნის რეალიზმი. ეს იქნება ემპირიული და მატერიალისტური რეალიზმი, ილუზორული, მეონიური რეალიზმი. ამ რეალიზმს არანაირი არსებითი შინაარსი არ ექნება. ის იქნება ფორმალური, მთლიანად მხოლოდ გარეგნული გამოხატულებებით და არა ყოფიერებაში მიღებული წარმატებებით სავსე. ზეციური მეუფებისკენ მხოლოდ ერთი გზა არსებობს - ესაა მისი რეალური განხორციელება, ანუ უმაღლესი სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტად მიღწევა, ადამიანისა და სამყაროს გაბრწყინება და გარდასახვა. უმაღლესი სულიერი ცხოვრების მიღწევის გარეშე, ახალი სულიერი დაბადების გარეშე ვერანაირი სრულყოფილი საზოგადოება და სრულყოფილი კულტურა ვერ მიიღწევა. არ შეიძლება უმაღლესი სულიერი ცხოვრების მხოლოდ სიმბოლიზება და საბოლოოდ მისი სიმულირება, აუცილებელია მისი რეალურად მიღწევა. უმაღლესი სულიერი ცხოვრების მიღწევას კი არ გააჩნია მეტისმეტად შესამჩნევი ნიშნები. ამიტომაც არის ნათქვამი, რომ ზეციური მეუფება შეუმჩნევლად დგება. ზეციური მეუფების მეტისმეტად შესამჩნევი განხორციელება ყოველთვის საეჭვოა და სიყალბეზე მიუთითებს. ძველი თეოკრატიები, არც დასავლური და არც აღმოსავლური, აღარასოდეს დაბრუნდება, რადგანაც აღარასოდეს განმეორდება ღვთის მეუფების განხორციელების გარეგნული აღნიშვნა, მისი რეალურად მიღწევის გარეშე. „ქრისტიანული სახელმწიფოს“ სიმულაცია ვერ უშველის საქმეს. სწორედ ამ სიმულაციამ მიგვიყვანა კრახამდე, დემოკრატიასა და სოციალიზმამდე. ხოლო როგორ შევქმნათ ჭეშმარიტი ქრისტიანული სახელმწიფო, ქრისტიანული საზოგადოება? ამისათვის საჭიროა სულიერი გარდასახვა და გაბრწყინება. იქნებ დიდმა განსაცდელებმა და კატასტროფებმა მიგვიყვანოს აქამდე? მაგრამ ჭეშმარიტად ქრისტიანული სახელმწიფო უკვე სახელმწიფო აღარ იქნება. აუცილებელია არა ყველაფრის გარეთ გადაგდება, არა შინაგანი ცხოვრების სიმულირება, არამედ ყველაფრის შინაგან ცხოვრებაში ჩაფლობა, სულის სამშობლოში დაბრუნება. ეს რევოლუცია ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ის, რასაც გარეგნული რევოლუციონერები აკეთებენ.

ჩვენ სოციალურ-პოლიტიკური იდეოლოგიისა და ფორმის მსოფლიო კრიზისს განვიცდით. თითქოს ყველაფერი გარეგნულ ცხოვრებაში მოყირჭებულია და უკვე აღარაფერს შეუძლია ცივილიზებული ხალხებისათვის განსაკუთრებული სულის შთაბერვა. დგება სოციალურ-პოლიტიკური სიბერე. მხოლოდ რუსმა ხალხმა გამოავლინა კიდევ ნგრევის უზარმაზარი ენერგია და შეეცადა განეხორციელებინა ყველაზე შეშლილი უტოპია. ინგრევა ძველი საზოგადოებები, რომლებშიც ჯერ კიდევ იყო ძველი თეოკრატიული სანქციების ნარჩენები. გააფთრებულად ცდილობენ მათ რესტავრაციას. მაგრამ ეს უიმედო საქმეა. ძველი თეოკრატიული სახელმწიფოს აღდგენა შეუძლებელია, მას ვეღარ დავუბრუნდებით იმიტომ, რომ ის არ განახორციელებდა რეალურად ღვთიურ ჭეშმარიტებას. მხოლოდ გარეგნულად ცდილობდა ეჩვენებინა, რომ თითქოს ამას აკეთებდა. ვლადიმერ სოლოვიევმა ბიზანტიის დაცემა იმით ახსნა, რომ მას ქრისტიანობის განხორციელების მცდელობაც კი არ ჰქონია. იმავეს თქმა, ცოტა განსხვავებული ვარიაციებით და ოდნავ შერბილებულად, შეგვიძლია ყველა ძველ თეოკრატიულ სახელმწიფოზეც, რომლებიც საკუთარ თავშივე შეიცავდნენ დაღუპვის მიზეზებს. შეიძლება ვთქვათ, რომ განა ქრისტიანობა არ გამოვიდა, არამედ კონსტანტინე დიდის საქმე არ გამოვიდა, თუმცა ამას პროვიდენციული მნიშვნელობა ჰქონდა. ქრისტიანობა

თითქოს კონსტანტინემდელ მდგომარეობას უბრუნდება. რუსული მართლმადიდებლური ეკლესია გამოკვეთილად ამ მდგომარეობას დაუბრუნდა. ვინ იცის, იქნებ ქრისტიანობას კიდევ უფრო უკან, კატაკომბურ მდგომარეობაში დაბრუნება უწერია, რათა შემდეგ იქიდან კვლავ გაიმარჯვოს მსოფლიოზე. შანსები იმისა, რომ კეისრის ახალი სამეფო მოისურვებს ქრისტიანობაში ყოფნას, ცოტაა; ქრისტიანული სახელმწიფოს არანაირი ახალი სიმულაცია არ მოიტანს ჭეშმარიტად რეალური ყოფიერების მიღწევებს. ჩვენ შევდივართ მომაკვდინებელი მხილების ეპოქაში, როდესაც მოგვიწევს, ვიცხოვროთ მხილებული რეალობების პირობებში. ამაშია ჩვენი ტრაგიკული და უსიხარულო ეპოქის მნიშვნელობა. ქრისტიანული ისტორიული პესიმიზმი ძალას იკრებს. აუცილებელია ვარდისფერ ილუზიებზე, მეტისმეტ ოპტიმიზმზე უარის თქმა. მაგრამ ამ შედარებითმა პესიმიზმმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს სულიერი ცხოვრების სიღრმეებისკენ სწრაფვაში. გარეგნული ილუზიების დაცემა გვატრიალებს შინაგანი ცხოვრებისკენ.

XIX და XX საუკუნეების უღმერთო და ფარისევლური ცივილიზაცია თავის გამარჯვებებს ზეიმობს და ამავდროულად თავისი საფუძვლების სასიკვდილო კრიზისსაც განიცდის. მან წარმოქმნა მსოფლიო ომი - თანამედროვე ცივილიზაციაში ცხოვრების უსაზღვრო ავხორცობის პირმშო; მსოფლიო ომი აღმოჩნდა მისი რღვევის საწყისი. ტყუილად ოცნებობენ მშვიდობიან ბურჟუაზიულ ცხოვრებაზე, XIX საუკუნის ცივილიზაციის საფუძვლებთან დაბრუნებაზე, რომელიც ლამის სრულყოფილი საზოგადოებრივი მდგომარეობის უტოპიად აღიქმება. გაუგონარი ომებისა და რევოლუციების კატასტროფები სწორედ ამ ცივილიზაციის საფუძველში იდო; მსოფლიო ომამდე მდგომარეობაში დაბრუნებაზეც მხოლოდ შლეგები ოცნებობენ, რაოდენ გონივრულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს მათი სიშლეგე. თანამედროვე კრიზისის ტრაგიზმი იმაშია, რომ სულის სიღრმეში უკვე აღარავის სჯერა რაიმე პოლიტიკური ფორმისა და საზოგადოებრივი იდეოლოგიის. მხოლოდ კომუნიზმიღა ცდილობს საკუთარი თავის შენარჩუნებას ნების დემონური დაძაბვისა და სისხლიანი ფანტაზიის მეშვეობით; მაგრამ იგი იღუპება იმ სასიკვდილო დარტყმებისგან, რომლებსაც თავად აყენებს საკუთარ იდეას. არა მხოლოდ მონარქიები ემხობა, არამედ დემოკრატიებიც კრიზისს განიცდის, რაც ძალიან წააგავს აგონიას. ირღვევა სახელმწიფოსა და მეურნეობის ძველი სისტემები და ევროპული საზოგადოებები შედიან იმ ეპოქაში, რომელიც ძალიან წააგავს ადრეულ შუა საუკუნეებს. დემოკრატიის პრობლემა აღარაა უკვე პოლიტიკური სახის პრობლემა, ის სულიერ-კულტურულ პრობლემად, საზოგადოების სულიერი გადაგვარებისა და მასების ხელახალი აღზრდის პრობლემად იქცა. დემოკრატიებმა არჩევანის თავისუფლება გამოაცხადეს, მაგრამ არ შეიძლება ამ თავისუფლებაზე დიდხანს შეჩერდე, საჭიროა მისი გამოყენება, სიმართლის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება, საჭიროა, დაემორჩილო რაიმე ჭეშმარიტებას. ეს კი დემოკრატიის საზღვრებს სცილდება. დემოკრატიის ერთადერთი გამართლება ის იქნება, რომ ის თავის თავს აჯობებს. ამაში იქნება მისი სიმართლე. თანამედროვე დემოკარტიები აშკარად გადაგვარების გზაზე არიან და უკვე არავისში აღარ იწვევენ აღმაფრენას. დემოკრატიის ხსნაში რწმენა უკვე აღარაა. დემოკრატები - ეს ის ხალხია, ვიზეც ნათქვამია, რომ ისინი არც ცხელები არიან და არც ცივები. სწორედ ამის გამო ისინი დაემხობიან. რაოდენობით შეუძლებელია ჭეშმარიტი ცხოვრების მიღწევა. მონარქისტებს, მიუხედავად თავად მონარქიული პრინციპის მნიშვნელობისა, ნეგატიური და უსუსური გრძნობები ამოძრავებთ, ხშირად არიან ბოღმითა და შურისძიებით აღსავსენი და თავად მონარქიაც ძალიან ბევრი მათგანისთვის არის მხოლოდ მათი შელახული ინტე-

რესების აღდგენის იარაღი. ძველებურად აიძულო ხალხებს მონარქიაში ცხოვრება, შეუძლებელი იქნება. ხალხმა ეს თავისი ნებით უნდა მოისურვოს, რათა მან შეძლოს განხორციელება; მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის სრულიად სხვაგვარი, ახალი იქნება. სამეურნეო ცხოვრებაში, სოციალურ წყობაში კაპიტალიზმი ირღვევა. ის თავის მიერვე გამომუშავებული სასიკვდილო საწამლავების მოქმედების შედეგად თანდათან იშლება. მსოფლიო ომამდე არსებულ ამ ინდუსტრიალ-კაპიტალისტურ წყობას ვეღარასოდეს დაუბრუნდება კაცობრიობა, რადგან სწორედ მან წარმოშვა კაცობრიობის ყველა უბედურება. მაგრამ უკვე შერყეულია რწმენა იმისა, რომ კაპიტალისტური სისტემა შეიძლება სოციალისტურმა სისტემამ შეცვალოს. სოციალიზმის რწმენა უკვე აღარ შეიძლება. ის აღარ არის უხილავი რამ, რომელიც რწმენაში გამჟღავნდება. ის უკვე ხილულ რამედ იქცა და როგორც ხილული რამ, ის შეიძლება ცოდნაში გამჟღავნდეს, ის არანაკლებ კრიზისს განიცდის, ვიდრე - კაპიტალიზმი. მას ადამიანთა საზოგადოებები საბოლოოდ გამოუვალ მდგომარეობამდე მიჰყავს. შრომის სულიერი საწყისები, შრომის მოტივაცია განსაზღვრავს ხალხის სამეურნეო ცხოვრებას. ეს სულიერი საწყისები დარღვეულია და ხალხებს შიმშილი ემუქრება. კაპიტალისტური საზოგადოებების შრომის მოტივაციის აღდგენა შეუძლებელია. ხალხს იძულებით ვერ შეაჩვევ შრომის იმ დისციპლინას, რომელიც გაბატონებული იყო კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ამ კუთხით რაღაც შეუქცევადი მოხდა. სოციალიზმს თავისთავად ყველაზე ნაკლებად შეუძლია შექმნას შრომის ახალი დისციპლინა, მოგვცეს მისი ახალი სულიერი საფუძვლები. იგი აღმერთებს შრომას, მისგან კუმირს ქმნის და სრულიად არღვევს მას, აქრობს იმ მშრომელ კლასს, რომლის სახელითაც ის მზადაა ნებისმიერი სისხლიანი ქმედება ჩაიდინოს. ეკონომიკური საკითხი, ისევე როგორც პოლიტიკური, თანამედროვე კაცობრიობაში სულიერი საკითხი ხდება, მისი გადაწყვეტა თავისთავად შეუძლებელია. შრომის აღდგენა გულისხმობს სულიერ აღორძინებას; მაგრამ სოციალიზმი კაპიტალიზმის მსგავსად არა მხოლოდ თავისი სამეურნეო უვარგისობის გამო ირღვევა, არამედ - საკუთარი სულიერი ცოდვილობის გამოც. ვლინდება სოციალიზმის სატანოკრატიული ბუნება. სოციალიზმი ისეთივე საშინელ წარუმატებლობას განიცდის, როგორსაც - საზოგადოებრიობის სხვა ფორმები და ეს იქნება ახალ გზაზე გადასვლამდე ყველაზე საბედისწერო წარუმატებლობა. მე მზად ვარ, საკუთარი თავი ქრისტიანულ სოციალისტად ვაღიარო. მაგრამ ეს ძალიან არასრულყოფილი სიტყვათა გამოყენებაა. ქრისტიანული სოციალიზმი არაა ნამდვილი სოციალიზმი. სოციალიზმი, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, უნდა ეწოდოს მიმართულებას, რომელსაც გარეგნული, მატერიალურ-ძალადობრივი გზით სურს, გადაწყვიტოს ადამიანთა საზოგადოების ბედი. ქრისტიანული სოციალიზმი ასეთი არაა. ის მხოლოდ აღიარებს ინდივიდუალურ-კაპიტალისტური წყობის სიმცდარეს. მაგრამ მთავარი უბედურება ისაა, რომ ძველი ქრისტიანული სოციალიზმი არის ძალიან პალიატიური, თავისი პრინციპებიდან გამომდინარე ძალიან რბილი მიმართულება და ამიტომ მისი გავლენა ვერ იქნება ძლიერი. ქრისტიანობამ უფრო სიღრმისეულად უნდა განიხილოს საზოგადოების პრობლემა.

ქრება კაცობრიობის სოციალური და პოლიტიკური გადარჩენის რწმენა. ჯამდება მთელი ასწლეულების შედეგები, რომელთა მანძილზეც ცენტრიდან და ცხოვრების შინაგანი ბირთვიდან პერიფერიისკენ, ცხოვრების ზედაპირის, გარეგნული მხარისკენ წარმოებდა მოძრაობა. რაც უფრო მეტად ხდება საზოგადოება უშინაარსო და ცარიელი, მით უფრო ძლიერდება საზოგადოების დიქტატურა კაცობრიობის მთელ ცხოვრებაზე. პოლიტიკამ მოიცვა ადამიანთა ცხოვრება ისე, როგორც სისხლის

მწველმა პარაზიტულმა წარმონაქმნმა. თანამედროვე კაცობრიობის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი ნაწილი არაა რეალური ონტოლოგიური ცხოვრება, ეს ფიქტიური, ილუზორული ცხოვრებაა. პარტიების ბრძოლა, პარლამენტები, მიტინგები, გაზეთები, პროგრამები და პლატფორმები, აგიტაციები და დემონსტარციები, ბრძოლა ხელისუფლებისთვის - ეს ყველაფერი არაა ჭეშმარიტი ცხოვრება, მას კავშირი არ აქვს ცხოვრების შინაარსსა და მიზნებთან, ამ ყველაფრით ძნელია, მიაღწიო ონტოლოგიის ბირთვამდე. შინაგანი სულიერი ცხოვრებისკენ შემობრუნების სახელით, არა მარტო პიროვნული, არამედ ზეპიროვნული სულიერი ცხოვრების, ზოგადად ცხოვრების შინაარსისა და მიზნის სახელით მსოფლიოში უნდა დაიწყოს გარეგნული საზოგადოებრიობისა და გარეგნული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული დიდი რეაქცია ან რევოლუცია. ადამიანებს, რომლებიც გარეგნული მხარის ტყვეობაში იმყოფებიან, ეს შესაძლოა ცხოვრებიდან წასვლის მოწოდებად მოეჩვენოთ. მაგრამ ორიდან ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ, ან სულიერი ცხოვრება არის უდიდესი რეალობა და მასში უნდა ვეძიოთ მეტი სოცოცხლე, ვიდრე - პოლიტიკის ხმაურში, ან კი ის არარეალურია და მაშინ უნდა უარვყოთ, როგორც ტყუილი. მაშინ ყველაფერი შეიგრძნობა, როგორც ამოწურული და გამოფიტული, მაშინ ნიადაგი ისე გაფხვიერდება, როგორც ჩვენს ეპოქაში, როდესაც უკვე აღარ არსებობს იმედები და ილუზიები, როდესაც ყველაფერს ფარდა აქვს ახდილი, მაშინ მზადაა ნიადაგი რელიგიური მოძრაობისთვის მსოფლიოში. ასე იყო ყოველთვის, ასე იყო ანტიკური სამყაროს პერიოდშიც. სოციალიზმის მსოფლიო მნიშვნელობას მე ვხედავ იმაში, რომ იგი კაცობრიობას აყენებს დილემის წინაშე: ან ადამიანების გაერთიანება და ძმობა ქრისტეში, ან გაერთიანება და ძმობა ანტიქრისტეში. სხვა დანარჩენი, როგორც გარდამავალი ზედაპირული რამ, იხრწნება და იშლება. საქმე უკვე ძალიან შორს წავიდა და საჭიროა ამის შეცნობა. ეს ესმოდა დოსტოევსკის, ესმოდა ვლადიმერ სოლოვიევსაც. ეს ჩვენც უნდა გავიგოთ მთელი სიღრმით. მსგავსი რამეების გაგება რუსული აზროვნების ტრადიციაში ზის. რუსული რევოლუცია ხელს უწყობს ამის გაგებას. რევოლუცია რუსეთში მაშინ მოხდა, როდესაც ლიბერალურმა დემოკრატიამ თავი ამოწურა და ჭკნება, როდესაც ახალი ისტორიის ჰუმანიზმი დასასრულს უახლოვდება; რუსულ რევოლუციაში ხორციელდება უკიდურესად ანტიჰუმანური სოციალიზმი. რუსმა ხალხმა, თავისი სულის თავისებურებებიდან გამომდინარე, საკუთარი თავი მსხვერპლად მისცა არნახული ისტორიული ექსპერიმენტის განსახორციელებლად. მან გვიჩვენა ცნობილი იდეების უკიდურესი შედეგები. რუს ხალხს, როგორც აპოკალიფსურ ხალხს, არ შეუძლია განახორციელოს შუალედური ჰუმანისტური სამეფო, მას შეუძლია განახორციელოს ან მხოლოდ ქრისტეში ძმობა, ან კი ანტიქრისტეში - ამხანაგობა. თუ კი არ არის ქრისტეში ძმობა, მაშინ, დაე, იყოს ანტიქრისტეში ამხანაგობა. რუსმა ხალხმა ეს დილემა არნახული სიმწვავით დააყენა მთელი კაცობრიობის წინაშე.

იაკობ გოგებაშვილი(1840 - 1912)

ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე

სამოქალაქო აზროვნების შესახებ

დაბალი ღობე ერთა შორის

„მზე და მთვარე რომ ჩემსკენ იყვნენ, ვარსკვლავებს სულაც არ შევეპოვებიო“, ძველად უთქვამს ჩვენს ქართველებსა და თავისი ცხოვრებაც თანახმად ამ ანდაზისა მოუწყვიათ. წინანდელი ქართველი არც ერთს ვარსკვლავს ნებას არ მისცემდა წაერთმია მისთვის რომელიმე უფლება, მზისა და მთვარისაგან მონიჭებული. რასაც-კი მას ხელმწიფე და კანონი არგუნებდა, მტკიცედ, შეუპოვრად იცავდა, თუნდა მთელი გუნდი მოხელეებისა მოწადინებული ყოფილიყო ხელიდგან გამოეგლიჯა მინიჭებული უფლება და დაებრიყვებინა. ახლა რაღასა ვხედავთ? სრულიად წინააღ-მდეგს სურათსა: ყოველს ბჟუტა ვარსკვლავს შეუძლიან ხმა ამოუღებლივ წაართვას ჩვენის დროის ქართველს უფლება, ნაბოძები მზისა და მთვარისაგან, დაიბრიყოს იგი, დაბალ ღობედ გახადოს და ქელოს. და განა მარტო ვარსკვლავსა? რომელსამე უკანასკნელს ცთომილსა, მოკლებულს საკუთარს სინათლესა და ძალასა, ადვილად შეუძლიან ესევე ოინი დაგვიწიოს.

როცა რომელიმე უფლება უმაღლესი სახელმწიფოს ძალის მიერ ჩამორთმეული აქვს ადამიანსა, ან მთელს ერსა, და ესენი იძულებულნი არიან დაემორჩილნონ თავისს ბედსა, ეს უძლურებას და არაფრობას მორჩილისას როდი მოასწავებს, თუნდაც ეს ჩამორთმევა უსამართლოდ მომხდარიყოს. მოგეხსენებათ, რომ ძალა აღმართსაცა ხნავსო და ლომსაც ჰბოჭავსო. გარნა ამის გამო არც აღმართი იქცევა დაღმართად, არც ლომი - კურდღლად. მაგრამ თუ ადამიანი, ან ხალხი სიტყვა-ამოუღებლივ, ქედ-მოდრეკით ემორჩილება დაბალი ღობის ბედსა, რადაც, წინააღმდეგ კანონისა, გაუხ-დიათ იგი წვრილ-ფეხობა მოხელეებსა, ეს იმისი უტყუარი ნიშანია, რომ მონობას, ყურმოჭრილს ყმობას შეუპყრია საზოგაროების სული და გული, ამაზედ მომაკვდინე-ბული სენი აღარ იქმნება ერისათვის, ეს სწორედ განგრენაა, მჭამელაა, საშინელი შინაგანი ავადმყოფობა, რომელიც ხალხს ათანასწორებს ჭირით შეპყრობილ პირუტყვ-ნახირთანა, და ემუქრება გაუქარწყლოს მას ყოველი მომავალი.

თუ ხალხს სადმე მკურნალნი მოეპოვება, ამ სენის განკურნას უნდა მოანდომონ მათ თავისი მთავარი ცოდნა და ძალა. თუ გულშემატკივარნი, გულ-მხურვალე მოღვა-წენი ჰყავს, ამ დამღუპველის ნაკლის მოსპობაზედ უნდა ზრუნავდნენ უპირველესად ყოვლისა. თუ ერს ჰყავს მწერალნი, გულისა და ჭკუის პატრონნი, მათ დაუძინებლივ უნდა გამართონ ღაღადება ამ საშინელის სატკივრის წინააღმდეგ.

რას სჩადიან ჩვენი ერის მკურნალნი, მოღვაწენი, მწერალნი? იქცევიან ისე, როგორც შეჰფერის გულ-მხურვალე და გაბედულ მოღვაწეთა, თუ იგინი მოგვაგო-

ნებენ საარაკო ყვავსა და ახირებულს სკვითსა. ყვავს თურმე თვალებსა სთხრიდნენ და ის წამწამებსა ნანობდა, თვალის ჩინს კი არ სჩიოდა, წამწამების გადარჩენას ევედრებოდა. სკვითს თავს აგდებინედნენ და მდუღარე ცრემლსა ღვრიდა, რაზედ? თავზედ? სრულიადაც არა. მას გულს უკლავდა მხოლოდ თმების დაკარგვა, თავი კი სრულიადაც არა. ამას გულს უკლავდა მხოლოდ თმების დაკარგვა, თავი კი სრულიად დავიწყებული ჰქონდა.

ჩვენი მოქმედნი დასნი მოგაგონებთ სწორედ ამ ყვავსა და სკვითსა, მათ საარაკო საქციელსა. უმთავრესნი ნაკლნი ჩვენის არსებობისა, დამჩაგვრელნი პირობანი ჩვენის ცხოვრებისა, დიდნი ნაღველნი მივიწყებულნი არიან, უყურადღებოდ დატოვებულნი, ზურგ-შექცეულნი. ჩვენი უნარი, ნიჭი და ძალა უნდება წვრილმანს რამეებსა, უმნიშვნელო საგნებსა, ჩინჩხვარ-მინჩხვარსა. ნამდვილი მიზეზები ჩვენის დამხობისა ხელშეუხებელნი რჩებიან, - წვრილმანს შედეგებს, და მხოლოდ მათ, მიუპყრიათ ჩვენი ყურადღება. შიგნეული ავადმყოფობა და მისი წამლობა არავის არ აფიქრებს, არავის არ აწუხებს; გარეგანი ძიძიბოები და მათზედ მალამოს წაცხება – აი ჩვენი უმთავრესი საქმე, ჩვენი დიდი ღვაწლი. საითკენაც უნდა მიიხედო, ყოველი მხრიდგან თვალში გეჩხირება გულსაკლავი ჩხირ-კედელაობა, ნაცარ-ქექიობა. და ყველაზედ სავალალო ის არის, რომ ამ ნაცარ-ქექიობას და ჩხირ-კედელაობას დიდს საქმეთა ვსთვლით, დაუფასებელ ღვაწლადა ვრაცხთ სამშობლოს წინაშე...

ჩვენ ვითმენთ ხმა-ამოუღებლივ, ლაჩრად, ამისთანა მდგომარეობას ბევრის მხრივ, რომლის მსგავსი მთელს ხმელეთზედ ძვირად მომხდარა და იშვიათად გაგონილა. ვითმენთ მაშინ, როდესაც შეგვეძლო მათი თავიდან აცილება, რადგანაც, ვიმეორებ, ჩვენი დამჩაგვრელი გარემოებანი უმთავრესად დაბადებულან და არსებობენ ხელმწიფისა და კანონის წინააღმდეგ.

სად თქმულა და გაგონილა, რომ ხალხს, რომელიც თავისივე ფულით თხოულობს სასულიერო პურსა და გონებრივს ნათელსა, აჩეჩებდნენ ხელში ქვასა და სიბნელესა, აშორებდნენ ღმერთსაცა და განათლებასაცა, არჩენდნენ მას ორ-წყალ შუა და აველურებდნენ, წინააღმდეგ პირდაპირი კანონისა. გადაიკითხეთ უმთავრესი წესდებულება შესახებ სახალხო სკოლების მოწყობილობისა რუსეთის იმპერიაში უცხო ტომთა შორის, რომელიც კანონად სდებს მშობლიო ენაზედ სწავლებას ყველა საგნებისას პირველ დაწყებითს სკოლებში, გაიხსენეთ კავკასიური სამოსწავლო გეგმა, შედგენილი ადგილობრივი მზრუნველისაგან და დამტკიცებული ნამესტნიკი-საგან, წაიკითხეთ სასკოლო გეგმა, გამოცემული უწმინდესის სინოდისაგან ქართულის სამრევლო სკოლებისათვის, შემდეგ ინახულეთ რავდენიმე საერო და სამრევლო პირველ-დაწყებითი სკოლები, მიაქციეთ ყურადღება, თუ ერს, რა ენაზედ და როგორ ასწავლონ, და თქვენ დარწმუნდებით, რომ კანონის სურვილი, რათა ხალხს, თანახმად მისსივე მოთხოვნილებისა და კანონისა, ეძლეოდეს გონებრივი პური, არა სრულდება და ნაცვლად ამ პურისა, ჩინოვნიკურს წვრილფეხობას ხალ-ხთან მოაქვს მოუნელებელი ქვა და ჰხდის ამ ხალხს სულის სიმშილის მსხვერპლად.

სად თქმულა და სად გაგონილა, რომ სახელმწიფოში ყველა ჯურის სარწმუნოება, ყველა გვარი ეკლესია, ქრისტიანული, თუ არა ქრისტიანული, სარგებლობდეს სრული თვითმართველობით და მწყემსებად ჰყავდეს თავისივე ღვიძლი შვილნი, ხოლო ამ უფლებას მოკლებული იყოს მთელს სახელმწიფოში მატრო ერთად ერთი ერი, ნებაყოფლობით შეერთებული სახელმწიფოსთან, ერთმორწმუნე მთავარ-ხალხის, და

ერთგული მიმდევარი პოლიტიკურის ერთობისა. ჩავიდეთ ქვევით. რომელ ენაზე ისწავლება საღმთო სჯული მთელს რუსეთის საბრძანებელში ქრისტიანთა და არა ქრისტიანთა შორის? მიუცილებლად დედა-ენაზე გამოუკლებლივ. ვინ არიან აქ მომძღვარნი? ღვიძლი შვილები იმ ერისა, რომლის ძენი და ასულნი იზრდებიან ამ სასწავლებლებში. ჩვენში? საღმთო სჯულს ასწავლიან სლავიანურს-რუსულს ენაზე და ასწავლიან იმისთანა უცხო პირნი, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველს კავშირს საქართველოს ერთან. და ამ უკიდურესი უსამართლობის წინააღმდეგ როდისმე აღიმაღლოს ხმა ან ჩვენებურმა ეპისკოპოზებმა და სამღვდელოებამ, ან თავად-აზნაურობამ და ან ქართველმა ოჯახობამ? არასოდეს, რატომ? ეწყინებათო.

სად მომხდარა, თქვენი ჭირიმე, ამისთანა მასხარად აგდება ენისაცა და ერისაცა, რომ საშუალო სასწავლებელში მშობლიო ენის ერთად ერთს სახელმძღანელოდ იყოს ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი? თვრამეტის წლის განვითარებულს ვაჟკაცებს ასწავლიდნენ, აღეჭვინებდნენ იმ პირველ დაწყებითს წიგნსა, რომელიც მათ გაუთავებიათ, როცა შვიდი-რვა წლის ბაღანანი ყოფილან? ხომ ყოვლად მოუფიქრე-ბელი ამბავია? აბა ეხლა მიბრძანდით მოსე ხონელის სამშობლოში, შედით იქაურს საოსტატო სემინარიაში, დაესწარით ქართულის ენის გაკვეთილებსა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ერთად-ერთი ქართული წიგნი, რომელიც იქ იხმარება ყველა კლასებში, არის „დედა-ენა“ და ესეც თურმე ებევრებათ, ერთი ორად უნდა შემოკ-ლდესო. და ამ სამარცხვინო სისტემის განმახორციელებელი გახლავთ არა რომელიმე გადამთიელი, არამედ ნიჭიერი და განვითარებული ქართველი ბ-ნი უთურგაური, რომელიც ბოლოს წლებში სავსებით გაიჟღინთა ჩინოვნიკური ზედმეტი ერთგულე-ბით და გახდა ყურმოჭრილი ყმა სამოსწავლებო ბიუროკრატიისა?

და სად თქმულა და გაგონილა, რომ დროებითი დამოკიდებულება გლეხთა და მემამულეთა შორის დაუსრულებლად დამოკიდებულად გადაქცეულიყოს, ორივე მხრის სატანჯველად, საზარალოდ და ერთმანეთის მტრობის გასაძლიერებლად? ჩვენში კი ამას ვხედავთ 1864 წლიდან, წინააღმდეგ ხელმწიფის სურვილისა და კანონის მოთხოვნილებისა.

სად მომხდარა და სად ნახულა, რომ ღირსეული პასუხით უკუქცეულ არ ყოფილიყოს ამისთანა ბრიყვული იერიში რომელისამე ერის წინააღმდეგ: წარსულს წელში რუსეთიდან ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში უფროსი მღვდელი სამხედრო ნაწილისა მ. ჟელიაბოვსკი. როცა პეტერბურგში დაბრუნდა, მოახდინა კრება სამხედრო სამღვდელოებისა და უთხრა: უმთავრესი ნაკლი კავკასიის სამხედრო სამღვდელოებისა ის არის, რომ მათ შორის ქართველი მღვდლებიც ურევიანო. მართალია იგინიც ჩვენი სარწმუნოებისანი არიან, მაგრამ თავისი საკუთარი თვისებანი აქვთ, იქმნება არა ცუდნიცა (დახეთ თავაზიანობასა!), მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, ჩვენი ფარიდგან არ არიან („не из нашего стада“). ამიტომ, უპირველესად ყოვლისა ეს შეცდომა უნდა იქმნას გასწორებული, ქართველი მღვდლები დათხოვნილნიო. ეს სიტყვა დაბეჭდილ იქმნა სამხედრო სასულიერო ჟურნალში და იქიდგან დაიბეჭდა სხვა რუსულს პერიოდულს გამოცემებში, მაგალითად: „Церковныя Ведомости“. დაუპირდაპირეთ ამას სხვა-და-სხვა დროს წარმოთქმულნი უზენაესნი სიტყვანი, მეტადრე საბადურის სიტყვა, რომელშიაც თვითმპყრობელმა აღიარა, რომ მისს გულში რუსებსა და ქართველებს სწორი ადგილი უჭირავთ და მათ ერთმანეთში არ არჩევს, და შეიგნეთ, რომ მღვდელი ჟელიაბოვსკი თამამად და კადნიერად გვართმევს მას, რაც უზენაესს ნებას მოუნიჭებია ჩვენთვის.

სად თქმულა და გაგონილა, რომ დაბალმა მოხელეებმა ერს მოჰგლიჯონ ღვიძლი ნაწილი, მთელი მხარე, გაჰყარონ შეხორცებულნი ერთად ღვთისა და ბუნების ნებით, გასწყვიტონ ათასის წლის ძმური კავშირი, ორივ მხრის შესასუსტებლად და ჩასაყლაპავად, და უბრძანონ მთელს მხარესა, კარგა ბლომს ნაწილს ქვეყნისასა: აღარ გაიხსენო შენი ნათესაური დამოკიდებულება და ძმური ურთიერთობა დედა-ქვეყანასთანა, ილაპარაკე მხოლოდ შენს შინაურს კილოზედ, ზურგი შეაქციე შენს მთავარს დედა-ენასა, და დაივიწყე იგი, გადააგდე იქით მშობლიური ანბანი, შენი მონაწილეობით მოგონილი, უარჰყავ სამშობლო ლიტერატურა, რომლის სალაროში არც ერთს ძმაზედ შენ ნაკლები არ შეგიტანია, გააუქმე შენი საღმთო მეტყველება, რომელთანაც შეხორცებულია შენი სარწმუნოება, დაივიწყე შენი ათასის წლის ისტორიული არსებობა და გადაიქეც ველურ ხალხად, რომელმაც ყველაფერი თავიდგან უნდა დაიწყოსო. განა უმაგალითოა და ყოვლად შეუძლებელი სხვაგან სადმე ეს ამბავი? ჩვენში? გაიხსენეთ, რაც შავი ზღვის პირად სამეგრელოში ხდება ეს რავდენიმე წელიწადია და შეუძლებელი სხვაგან ჩვენ შორის განხორციელებული ამბავი გამოდგება.

სად თქმულა და გაგონილა... მაგრამ სად ჩამოვთვალოთ ყოველგვარი ჩვენი დაბრიყვება, ქელვა, მიწასთან გასწორება, კადნიერად ჩამორთმევა და გაქარწყლება ბევრის ჩვენის კანონიერის უფლებისა?!

ჭირს მოვლა უნდა, დაბრიყვებას ღირსეული კანონიერი წინააღმდეგობა, შავს ბედს ბრძოლა. მაგრამ სად არის ფხიზელი და მოუღალავი დაცვა დათრგუნული უფლებებისა ქართველთა მოღვაწეთა მიერ? სად არის მხურვალე და დასაბუთებული ღაღადება ჩვენს მწერლობაში? სად არის ხმა-ამაღლებული ქადაგება, მიმართული დასაკმაყოფილებლად ჩვენთა უმთავრესთა მოთხოვნილებათა?
არსად.

მხდალი, დაძაბუნებული მონებივით შევსცქერით ჩვენს დამცირებასა, ჩვენს აბუჩალაკად აგდებასა, ჩვენს დაბალ-ღობედ გადაქცევასა. მართალია, ვსჩივით, ხშირად ვსჩივით, მაგრამ სად? ჩვენს გულში და ოთხკედელ შუა. როგორ? ჩურჩულით, ტუტუნით და დიდი სიფრთხილით, რომ ჩვენ კანონიერს ჩურჩულს არავინ მოჰკრას ყური და მორჩილი მონის მაგიერად ადამიანად არ ჩაგვთვალოს.

მეკალმენი რაღას ჩავდივართ? იმასვე. ან არაფერსა ვსწერთ, და თუ ვსწერთ, წვრილმან რამეებზედ, უმნიშვნელო საგნებზედ. უმთავრესნი ჩვენი მოთხოვნილებანი, დიდნი ვარამნი, ან სრულიად მივიწყებული გვაქვს, ან შევეხებით ხოლმე მხოლოდ ხანდახან, როცა ბრმა შემთხვევა მოიტანს, ისიც შევეხებით ხოლმე გაკვრით და კილოკავად. წამწამებზედ და თმებზედ დაუსრულებელი ბაასის გაბმა ვიცით, ხოლო თვალები და თავი კი მუდამ გვავიწყდება. და არც კი გვრცხვენიან, რომ ამ გვარი ჩვენი ყვავური, თუ სკვითური, ქცევით ჩვენ საზოგადოებას-კი არ ვაფხიზლებთ, უფრო მეტად ვაძინებთ, ვაუძლურებთ.

და ამ გვარს ჩვენს სამარცხვინო და დამღუპველს ქცევას როდი ვაბრალებთ ჩვენს სილაჩრეს, ჩვენის გრძნობისა და აზრის სიუძლურეს, უნარის უქონლობას. ეს მართალი იქნებოდა და სიმართლე კი ჩვენ თვალებსა გვწვავს. თავზედ ვახვევთ ჩვენს საკუთარს ბრალს სხვა რასმე, სახელდობრ-ესრედ წოდებულს ჩვენზედ დამოუკიდებელს გარემოებასა. კაი სამსახურს გვიწევს ეს „გარემოება“. სწორედ გასაძევებელ თხად გვყავს გადაქცეული. როგორც ძველი ურიები ამორჩეულს

მამალს თხას მიაყრიდნენ ხოლმე ტყეში, რომ იგი მგელს, მათ მაგივრად, დაესაჯა, ისე ამ „დამოუკიდებელს გარემოებას“ ვახვევთ თავზე ჩვენს სიგლახეს და სილაჩრესა. ცბიერებაა, მოტყუებაა. ღირსეულს და დასაბუთებულს დაცვას რომელიმე კანონიერის უფლებისას არას დროს წინ ვერ გადაეღობება ეს „დამოუკიდებელი მიზეზი“, და თუ გადაეღობება, მისი თავიდან აცილება და გზის გაკვლევა არც ისე ძნელია თავისი ერის უფლების მარჯვე დამცველისათვის.

გნებავთ ამისი შეუვალი და შეურყეველი საბუთი წარმოგიდგინოთ? ჩვენდა სამარცხვინოდ და სავალალოდ, ჩვენში ბლომად მოიპოვებიან ქვეშმძრომნი სულიერნი, რომელნიც ჩვენს წინაშე მხურვალე მამულიშვილის, 96 პრობის პატრიოტის როლსა თამაშობენ, და სხვაგან კი ყოველს ჩვენს საუნჯეს, ყოველს ჩვენს ეროვნულს უფლებას ძირს უთხრიან, ჩინების და ჯილდოს გულისათვის. და როდესაც ეს საძაგელნი არსებანი ჩვენთან მოდიან და როსკიპული ღრეჭით ხელს გვაწვდენენ, მათ სულ-მოკლე მონასავით ხელს ვართმევთ და მეგობრულად ვექცევით. ამით ჩვენ ხელებს ვიტალახიანებთ, თავს ვიმცირებთ და ვირცხვენთ. ქვემძრომებს ვაქეზებთ მოღალატეობაში, პატიოსან მოღვაწეთ გულს ვუკლავთ და საზოგადოებას გახრწნილებაში ვაგდებთ. რომელი ჩვენზედ დამოუკიდებელი მიზეზი გვეღობება წინა, რომ ამ ქვემძრომებს მივუწყოთ ის, რისაც ღირსნი არიან: ხელი კი არ მივსცეთ, მოვატრიალოთ, ჯეროვანი პანჩურებით დავასაჩუქროთ და ჩვენი წრიდგან სამუდამოდ გავაძეოთ ეს საზიზღარი კეთროვანნი. ვიმეორებ, რომელი დამოუკიდებელი გარემოება გვიშლის აქ ღირსეულად, ადამიანურად მოვიქცეთ?

დროა, დიდი ხანია დროა, ბოლო მოეღოს ამ ფრიად სათაკილო და დამამხობელს ჩვენს მდგომარეობასა. დროა, მონურს ლაჩრობას ზურგი შევაქციოთ და ადამიანური უნარი გამოვიჩინოთ. დროა გავაჩაღოთ დაუღალავი, ფხიზელი დაცვა ყოველის ჩვენის დათრგუნულის უფლებისა, საარსო მოთხოვნილებისა, გავაჩაღოთ არამარტო ჩვენს ენაზედ, არამედ სახელმწიფო ენის ლიტერატურაშიაც, გავაცნოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა დაწინაურებულს დასს რუსეთისას, დავიხმაროთ იგი და დავიბრუნოთ ღირსეული სახელი და ადგილი კავკასიონის ერთა შორის. დროა დაბალი ღობის მდგომარეობა სამარცხვინოდ მივიჩნიოთ ყველამ და მაღალ ღობედ ჩვენს გადაქცევას მხნედ და გაბედვით ვემსახუროთ.

დროა, თორემ ზეგ და მაზეგ გვიან-ღა იქმნება.

იაკობ გოგებაშვილი

პატრიოტიზმზე

(ნაწყვეტი პუბლიკაციიდან)

... ბევრგან ვხედავთ პატრიოტებსა, რომელთაც უნდათ სხვის უბედურებაზედ ააშენონ თავიანთ ქვეყნის ბედნიერება. პრუსიის პატრიოტს ტრეიჩკეს რომ ჰკითხო, რასა სთვლი საჭიროდ გერმანიის ბედნიერებისთვისო, გიპასუხებს: დასავლეთით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის წელში მოკაკვას და აღმოსავლეთით რუსეთის მიმსხვრევასაო. მეშჩერსკის, სუვორინს და კატკოვს რომ შეეკითხო, როგორი უნდა იყოს რუსის პატრიოტიო, გიპასუხებენ: იგი უნდა სჩაგრავდეს ყოველ სხვა ტომს, რუსებთან შემოერთებულსა, და გარედ უნდა ელტოდეს და ნატრულობდეს მთელს ევროპის გაქელვასაო. ჩინეთის პატრიოტები უფრო კიდევ მომეტებულს რასმე ნატრულობენ: მთელი კაცობრიობა ჩვენის ბაღდიხანის ქვეშევრდომი, უმორჩილესი მონა უნდა შეიქმნასო.

ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავიმაღლოთო, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისაო. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს ჟამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის დემოკრატიისა... წარსულში ჩვენ გვქონდა ამაზე უფრო ფართო ეროვნული ნიადაგი; მაგრამ ამ ნიადაგზედ წმინდა პურთან ხშირად ითესებოდა აზიური ღვარძლი და ჭვავი... ამის გამო წარსულიდგან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებში ავარჩიოთ სათესად წმინდა პური გონების, ზნეობის და ეკონომიურის სფეროებიდგან...

ჯონ სტიუარტ მილი(1806-1873)

ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი



თავისუფლების შესახებ

ინდივიდზე საზოგადოების ძალაუფლების გავრცელების საზღვრების შესახებ

თავი IV

სად გადის ის ზღვარი, სადამდეც უნდა ვრცელდებოდეს ინდივიდის თვითმპყრობელობა? საიდან უნდა იწყებოდეს საზოგადოების ძალაუფლება? ინდივიდის ცხოვრების რა ნაწილი უნდა მიეკუთვნებოდეს მთლიანად ინდივიდუალიზმის სფეროს და რა ნაწილი უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ სფეროს?

ინდივიდიც და საზოგადოებაც სათანადო საზღვრებში დარჩებიან იმ შემთხვევაში, თუკი თავიანთ ძალაუფლებას მხოლოდ იმ სფეროებზე განავრცობენ, რომლებიც კონკრეტულად მათ ეხებათ. ადამიანის ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც ძირითადად ინდივიდს ეხება ინდივიდუალიზმის სფეროს უნდა განეკუთვნებოდეს, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ძირითადად საზოგადოებას ეხება, საზოგადოების მფლობელობაში უნდა იყოს.

მართალია, საზოგადოება არაა კონტრაქტზე დაფუძნებული და კონტრაქტის მთელი ეს ჰიპოთეზა, რომელიც სოციალური ვალდებულებების გასამართლებლადაა მოგონილი, სრულიად გამოუსადეგარია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითოეული ადამიანი, ვინც საზოგადოების მფარველობით სარგებლობს, ვალდებულია კიდეც საზოგადოების წინაშე. თავად ის ფაქტიც, რომ ინდივიდი საზოგადოებაში ცხოვრობს, მისთვის გარდაუვალ აუცილებლობად აქცევს იმ ვალდებულებების არსებობას, რომლის საფუძველზეც მან სხვა ადამიანებთან მიმართებით გარკვეული წესები უნდა დაიცვას. ამ წესებში, პირველ რიგში იგულისხმება ის, რომ ინდივიდებმა არ უნდა ხელყონ ერთმანეთის ინტერესები, უფრო სწორად, ის ინტერესები, რომლებიც პოზიტიური ან დაუწერელი კანონის მიხედვით აღიარებულია, როგორც ინდივიდის უფლებები. მეორე მხრივ, იგი გულისხმობს, რომ ყოველმა ადამიანმა უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული შრომითი ვალდებულება და უნდა გაიღოს გარკვეული მსხვერპლი (რაც, ბუნებრივია, გარკვეულ სამართლებრივ საფუძველს უნდა ემყარებოდეს), რომელიც აუცილებელია საზოგადოების თუ მისი წევრების ზიანისა და ზარალისაგან დასაცავად. საზოგადოება უფლებამოსილია, აიძულოს ადამიანები, შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუკი ვინმე შეეცდება ამ ვალდებულებებისაგან თავის გათავისუფლებას. მაგრამ ეს არაა ყველაფერი, რისი გაკეთებაც საზოგადოებას ძალუძს. ინდივიდის ქმედებები, იმ შემთხვევშიც კი, როცა არ ირღვევა არანაირი დადგენილი კანონი, შეიძლება ვნებდეს ან სულაც სათანადო ყურადღებას არ უთმობდეს საზოგადოების ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ინდივიდი კანონის ძალით არ ისჯება, მაგრამ საზოგადოების მხრიდან შეიძლება სრულიად სამართლიანად გაიკიცხოს. როდესაც ერთი ადამიანის ქმედება აზარალებს სხვა ადამიანების

ინტერესებს, საზოგადოებას უდაოდ აქვს ჩარევის უფლება. ამ დროს შეიძლება დადგეს მხოლოდ იმის პრობლემა, საზოგადოების ჩარევა საერთო კეთილდღეობისათვის სასარგებლო იქნება თუ საზიანო. ამის საპირისპიროდ, საზოგადოებრივი ჩარევის სარგებლიანობის ან ზარალის თაობაზე არანაირი საუბარიც კი არ იქნება, როცა ინდივიდის ქმედებები, საკუთარი ინტერესების გარდა, არავის ან კი მხოლოდ იმ ადამიანების ინტერესებს ეხება, რომლებსაც თავად სურთ ეს (აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ეს ადამიანები სრულწლოვანები და ფსიქიკურად ჯანმრთელნი არიან). ყველა მსგავს შემთხვევაში ინდივიდს უნდა მიენიჭოს სრული თავისუფლება, როგორც კანონიერი, ასევე სოციალური, იმოქმედოს საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ დასკვნის გამოტანა, რომ ვამკვიდრებთ ეგოისტური ინდიფერენტულობის დოქტრინას, თითქოს ჩვენ ვთვლით, რომ ინდივიდს საერთოდ არაფერი ესაქმება იმასთან, თუ როგორ ცხოვრობენ სხვა ინდივიდები, ან რომ სხვა ადამიანების მოქმედებები მას ეხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მოქმედებები ეხება კონკრეტულად მის პირად ინტერესებს, ნიშნავს ჩვენი ნათქვამის სრულ გაუგებრობას. ინდივიდში სხვა ადმიანების კეთილდღეობაზე თავდადებით ზრუნვის გრძნობის არა შესუსტება, არამედ პირიქით, გაძლიერება - აი, რა არის ჩვენი დოქტრინის მიზანი. მაგრამ ამასთან ერთად, იგი აღიარებს, რომ არა მათრახის ძალით (ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით), არამედ სხვა საშუალებებით უნდა სცადოს კეთილისმყოფელმა თავისი მოყვასის დარწმუნება იმაში, თუ რა არის სიკეთე. მე სხვებზე არანაკლებ ვაფასებ პიროვნულ სათნოებას. ის სოციალური კეთილშობილების შემდეგ მეორე ადგილზე დგას (შესაძლოა, ცოტა უფრო დაბლაც). აღზრდა მიზნად უნდა ისახავდეს როგორც სოციალური, ასევე პიროვნული სათნოებების ჩანერგვას. ის, როგორც წესი, ამას ახორციელებს ძალადობისა და დარწმუნების გზით. მაგრამ სწავლის პერიოდის დასრულების შემდეგ პიროვნული სათნოებები ადამიანს მხოლოდ დარწმუნების გზით უნდა შთაენერგებოდეს. ადამიანები ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ ცუდისა და კარგის გარჩევაში, ხელს უნდა უწყობდნენ ერთმანეთს იმაში, რომ ცუდს კარგი ამჯობინონ, კარგს შეუწყონ ხელი, ცუდს კი თავი აარიდონ. ისინი ერთმანეთს ხელს უნდა უწყობდნენ უმაღლესი ნიჭიერების გაღვივებაში, იმ გრძნობებისა და მისწრაფებების განვითარებაში, რომელთა მიზანი გონიერი და მაღალზნეობრივი მისწრაფებებია და არა ბრიყვული და ადამიანისათვის დამამცირებელი მიდრეკილებები. მაგრამ არავის, არც მხოლოდ ერთ ადამიანს და არც ადამიანთა ჯგუფს არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ვინმეს (იგულისხმება ზრდასრული ადამიანი), წარმართოს საკუთარი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას სურს. ინდივიდის კეთილდღეობა ყველაზე მეტად თავად ინდივიდს ეხება. ის ინტერესი, რომელიც მან შეიძლება აღძრას სხვა ადამიანებში, არაფერია (გარდა ძლიერი პიროვნული კავშირების შემთხვევისა) იმ ინტერესთან შედარებით, რასაც ის თავად მასში წარმოქმნის. საზოგადოებას კი ინდივიდის კეთილდღეობა მხოლოდ ნაწილობრივ, და ისიც არაპირდაპირი გზით, აინტერესებს (გარდა სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთობისა). ყოველმა სრულიად ჩვეულებრივმა ადამიანმაც კი, როგორც ქალმა, ისე მამაკაცმა, ბევრად უფრო უკეთ იცის, ვიდრე — სხვამ, რა არის მისთვის სასიკეთო. საზოგადოების ჩარევა ინდივიდის იმ მისწრაფებებსა და მოსაზრებებში, რომლებიც მხოლოდ მას ეხება, აუცილებლად ზოგად, საერთო დაშვებებს უნდა ეფუძნებოდეს. მაგრამ ეს დაშვებები მოსალოდნელია, რომ სრულიად მცდარი იყოს; ან თუ მცდარი არა, შესაძლოა ისინი სრულიად შეუფერებელ შემთხვევაში გამოიყენოს, რადგანაც თავად მათი გამოყენება უნდა მოხდეს იმ

ადამიანების მიერ, რომლებიც მოცემულ სიტუაციას მხოლოდ ზედაპირულად, გარედან იცნობენ. ადამიანური ცხოვრების ეს ნაწილი ინდივიდუალობის სფეროა. სხვა ადამიანებთან მიმართებით აუცილებელია, რომ ადამიანი იცავდეს საერთო ცნობილ წესებს, რათა თითოეულმა ადამიანმა იცოდეს, თუ რას შეიძლება მოელოდეს ის სხვისგან; მაგრამ რაც შეეხება მხოლოდ პირადად მას, ინდივიდი საკუთარი თავის სრული ბატონ-პატრონი უნდა იყოს. შეიძლება სხვადასხვა მოსაზრებისა და შეხედულების მოყვანით შევეცადოთ, რომ ადამიანს შევაცვლევინოთ მსჯელობა, მოსაზრება. ყველაფერი შეიძლება ვაკეთოთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ეს არ სურს; მაგრამ ის საკუთარი თავის უმაღლესი მსაჯულია და მაინც შეუძლია გააკეთოს ის, რაც მას სურს და სრულიად არ გაითვალისწინოს სხვისი რჩევები და დარიგებები. მან შეიძლება ამ ქმედებით საკუთარ თავს ზიანი მოუტანოს, მაგრამ ეს ზიანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ისეთი დიდი, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო ის ბოროტება, რასაც მოიტანდა სხვების მიერ მისი იძულება - გაეკეთებინა ის, რაც მათ მიაჩნდათ სწორად.

მე სრულიად არ ვფიქრობ, ვამტკიცო ის, რომ ინდივიდისადმი სხვა ადამიანის გრძნობები არ უნდა იყოს დამოკიდებული კერძო ღირსებებსა თუ ინდივიდუალურ ნაკლოვანებებზე. ეს არც შესაძლებელია და არც - სასურველი. რაც უფრო მეტად ფლობს ადამიანი იმ თვისებებს, რომლებსაც მისთვის ბედნიერების მოტანა შეუძლია, მით უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს ის სხვა ადამიანების თვალში, მით უფრო მეტად უახლოვდება იგი სრულყოფილებას და პირიქით: თუ მას საკმაო დოზით აქვს უარყოფითი თვისებები, მაშინ იგი არა პატივისცემას, არამედ სრულიად საპირისპირო გრძნობებს იწვევს. არსებობს სიბრიყვის გარკვეული დონე, ან თუ შეიძლება ასე ვთქვათ, (თუმცა ეს გამოთქმა არ იქნება ბოლომდე სწორი) სიმდაბლის გარკვეული დონე ან გემოვნების დამახინჯება, რომელიც მართალია არ შეიძლება ინდივიდისადმი ცუდად მოპყრობის საფუძვლად იქცეს, მაგრამ აუცილებლად და სრულიად ბუნებრივადაც იწვევს მისდამი ზიზღს, უკიდურეს შემთხვევაში კი ათვალისწუნებასაც. შეუძლებელია, ამგვარმა თვისებებმა მსგავსი გრძნობები არ გამოიწვიოს სრულიად საპირისპირო თვისებების მქონე ადამიანში. სხვებისთვის ზიანის მიყენების გარეშეც კი ინდივიდმა თავისი უგუნური ნაბიჯებით შეიძლება მიაღწიოს იმას, რომ სხვა ადამიანებმა მას უყურონ, როგორც სულელს, ან სულაც, როგორც უმდაბლეს არსებას და შესაბამისი გრძნობებითაც განიმსჭვალონ მის მიმართ. ინდივიდისათვის, რა თქმა უნდა, არ იქნება სასურველი, რომ მასზე ამგვარი წარმოდგენა ჰქონდეთ და მსგავსი გრძნობებით იყვნენ განმსჭვალულნი მის მიმართ. გვინდა რა დავიცვათ იგი ყოველივე ამისგან, ჩვენ დავეხმარებით მას და დავიცავთ იმ არასასურველი შედეგებისგან, რაც ზოგადად მის ქმედებებს შეიძლება მოჰყვეს. სასურველი იქნებოდა, რომ ერთმანეთისთვის მსგავსი დახმარების გაწევისას არ არსებობდეს ის წინაღობები, რასაც წარმოშობს ჩვენს დროში გაბატონებული წარმოდგენები ზრდილობიანობის შესახებ - რომ ადამიანებს პირდაპირ შეეძლოთ ერთმანეთისთვის იმის მითითება, რასაც შეცდომად თვლიან და ამით არ დაიმსახურონ უხეში ან თავდაჯერებული ადამიანის სახელი. ჩვენ, რა თქმა უნდა, სრული უფლება გვაქვს კონკრეტული ინდივიდის მიმართ განხორციელებული ჩვენი ქმედებებისას ვიხელმძღვანლოთ მასზე ჩვენი ცუდი შეხედულებით, მაგრამ არავითარ შემთხვევში ამან არ უნდა ხელყოს მისი ინდივიდუალობა. ჩვენი ქმედება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჩვენი კერძო ინდივიდუალური თავისუფლების ფარგლებში. ასე მაგალითად, ჩვენ არ ვართ ვალდებულნი, ვეძებოთ მასთან ურთიერთობა, ჩვენ გვაქვს უფლება გავექცეთ მის საზოგადოებას (ოღონდ არ გამოვთქვათ ეს აშკარად)

იმიტომ, რომ სრული უფლება გვაქვს, ავირჩიოთ ჩვენთვის ის საზოგადოება, რომელიც უფრო მეტად მოგვწონს. ჩვენ გვაქვს უფლება და შესაძლოა ვალდებულებიც კი ვართ, დავიცვათ მისგან სხვა ადამიანები, თუ მიგვაჩნია, რომ მისმა საქციელმა ან საუბარმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სხვებზე. ყველაფერში, რაშიც ჩვენ გვაქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება, ჩვენ შეგვიძლია მასთან შედარებით სხვა ადამიანებს მივანიჭოთ უპირატესობა. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უპირატესობის მინიჭება არ გვზღუდავს ჩვენ ისეთი მოქმედების განხორციელებაში, რაც მის გამოსწორებას შეუწყობდა ხელს. ამგვარად, ინდივიდი შეიძლება ადამიანებისგან სხვადასხვა და ძალიან მკაცრი სასჯელის მსხვერპლი გახდეს იმ ნაკლოვანებების გამო, რაც კონკრეტულად მხოლოდ მას ეხება. მაგრამ ამ სასჯელს იგი ითმენს მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც მისი ნაკლოვანებებისგან გამომდინარეობს და იმყოფება მათი ზემოქმედების ქვეშ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სხვადასხვა სასჯელი მისი ნაკლოვანებების გარდაუვალი და ბუნებრივი შედეგია და არა იმიტომ, რომ განზრახ ეკისრება მას, როგორც სასჯელი. ადამიანი, რომელიც ავლენს თვითდაჯერებულობას, სისუსტეს, თვითკმაყოფილებას, რომელსაც არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ზომიერი საშუალებებით, არ შეუძლია თავი შეიკავოს მავნე ჩვევებისაგან, არის გრძნობების და არა გულის ან გონების ტკბობის ქვეშ, ასეთი ადამიანი უნდა მოელოდეს, რომ სხვა ადამიანები მასზე კარგი წარმოდგენის არ იქნებიან და არც კეთილგანწყობილებას დაიმსახურებს. მისი მხრიდან წუწუნი კი სრულიად უსაფუძვლო იქნება (გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც ადამიანებში მისი რაიმე სახის მაღალი სოციალური ღირსებები კეთილგანწყობილებას იწვევს და ამ ღირსებების გამოვლენას ხელს არ უშლის მისი ის პიროვნული ნაკლოვანებები, რაც მხოლოდ მას ეხება).

მე ვამტკიცებ, რომ ინდივიდის ის მოქმედებები და თვისებები, რომლებიც მხოლოდ მის პირად და არა სხვების კეთილდღეობას ეხება, არ შეიძლება იქცეს იმის საფუძვლად, რომ ადამიანებმა რაიმე სახის არასასურველი ურთიერთობა დაამყარონ მასთან, გარდა იმ ურთიერთობისა, რაც თავად ამ ადამიანის შესახებ ცუდი წარმოდგენებისგან შეიძლება მომდინარეობდეს. სრულიად სხვა რამ უნდა ვთქვათ ინივიდის იმ მოქმედებების შესახებ, რომლებიც სხვა ადამიანებს აყენებს ზიანს. როდესაც ინდივიდი ხელყოფს სხვის უფლებებს, აყენებს მათ ზიანს ან ზარალს ისე, რომ ამისი არანაირი უფლება არ აქვს, ატყუებს მათ, მოქმედებს ორპირად, უსამართლოდ ან არასულგრძელად იყენებს თავის უპირატესობებს სხვა ადამიანებზე, აქვს რა ბოროტების თავიდან აცილების საშუალება, მაგრამ არ აკეთებს ამას ეგოიზმიდან გამომდინარე - ყველა ეს ისეთი ქმედებაა, რომელიც იმსახურებს მორალურ გაკიცხვას, ხოლო რიგ შემთხვევაში, მორალურ შურისძიებას და სასჯელსაც; არა მხოლოდ ეს ქმედებები, არამედ ის მიდრეკილებებიც, რომლებიც ამ ქმედებების განხორციელებისკენ უბიძგებს ადამიანს, ამორალურია, იმსახურებს გაკიცხვას და შესაძლოა, ინდივიდის მიმართ ზიზღის მიზეზადაც იქცეს. გულსასტიკობა, ბოროტი ზრახვები, ცუდი ზნე, შური - ყველაზე ანტისოციალური და მდაბალი ვნება, ჩაკეტილობა და არაგულწრფელობა, გაღიზიანება საკმარისი საფუძვლის გარეშე, მიყენებული ბოროტების საპასუხოდ არაადეკვატური დოზით შურისმაძიებლობა, სხვებზე ბატონობის ვნება, სურვილი - მიითვისო სიკეთეების იმაზე მეტი წილი, რაც შენ არ გეკუთვნის, ბერძნების სიამაყე, რომლებიც სხვების დამცირებით იღებდნენ სიამოვნებას, ეგოიზმი, რომელიც საკუთარ თავს და კერძო ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს და ყველა სადაო საკითხს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ჭრის - ეს ყველაფერი თავისი არსით ზნეობრივი ნაკლოვანებებია. ნაკლოვანებები,

რომლებიც ზნეობრივი კუთხით ცუდ, შესაძლოა საძულველ ხასიათსაც კი აყალიბებდეს. მაგრამ იმ უარყოფით მხარეებს, რომლებიც მხოლოდ ინდივიდს ეხება და რომელზეც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით, არ შეიძლება ვუწოდოთ ზნეობრივი ცოდვები. რაც არ უნდა დიდი ზიანის მომტანი იყოს თითოეული, ჯერ კიდევ არ აქცევს ადამიანს ცუდ პიროვნებად და არ ხდის მას ზნეობრივი გაკიცხვის ღირსად. ისინი გვიჩვენებს ინდივიდის სიბრიყვეს, მასში ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობის არარსებობას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქცეს მისდამი ზნეობრივი გაკიცხვის მიზეზად, თუკი ამ თვისებების გამო ინდივიდი ივიწყებს სხვათა მიმართ ვალდებულებებს, რაც საკუთარ თავზე ზრუნვაში გამოიხატება. ის, რასაც საკუთარი თავისადმი ვალებულებას უწოდებენ, არ არის არანირი სოციალური ვალდებულება, თუკი იგი რაიმე შემთხვევის გამო ამავდროულად არ იქცევა სხვებისადმი გარკვეულ ვალდებულებებადაც. ეს გამოთქმა „საკუთარი თავისადმი ვალდებულება“ ჩვეულებრივ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა კეთილგონიერებას, ან ყველაზე დიდი, საკუთარი თავის პატივისცემასა და თვითგანვითარებას. მაგრამ ამ ყველაფერში ინდივიდი არავის წინაშე არანაირად არაა პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული იმიტომ, რომ კაცობრიობის კეთილდღეობა არ მოითხოვს ინდივიდის მხრიდან რაიმე სახით ანგარიშვალდებულებას მის წინაშე.

განსხვავება პატივისცემის დაკარგვასა, რაც არაკეთილგონიერების ან პიროვნული ღირსების არქონის გამო სრულიად სამართლიანად შეიძლება იწვნიოს ინდივიდმა, და იმ გაკიცხვას შორის, რომელსაც იგი იმსახურებს სხვა ადამიანების უფლებების დარღვევის გამო, არაა მხოლოდ ნომინალური ხასიათის. ინდივიდისადმი ჩვენი ურთიერთობა განხვავდება იმისდა მიხედვით, წარმოშობს იგი ჩვენს უკმაყოფილებას იმგვარ საკითხებში, რომლებიც ვთვლით, რომ ჩვენს კონტროლს ექვემდებარება, თუ საკითხებში, რომლებიც ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება. თუკი ჩვენ იგი არ მოგვწონს, შეგვიძლია გამოვხატოთ მისდამი ჩვენი ანტიპათია, თავი შორს დავიჭიროთ მისგან ისევე, როგორც ყველაფრისგან, რაც ჩვენ არ მოგვწონს. მაგრამ ეს არ გვაძლევს ჩვენ იმის უფლებას, რომ ამის გამო მას რაიმე ზიანი მივაყენოთ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ისედაც ისჯება თავისი გზააბნეულობის გამო (ან, ყოველ შემთხვევაში, მომავალში მაინც იწვნევს სასჯელს); თუკი იგი თავადვე იფუჭებს ცხოვრებას საკუთარი არაგონივრული ნაბიჯებით, ეს არ გვაძლევს ჩვენ იმის საფუძველს, რომ ჩვენ კიდევ უფრო გავუფუჭოთ მას ცხოვრება. ჩვენ ასეთ შემთხვევაში უნდა ვფიქრობეთ არა მის დასჯაზე, არამედ უფრო მეტად მისთვის იმ სასჯელის შემსუბუქებაზე, რაც მან თავის თავს მოუტანა. უნდა მივუთითოთ მას, თუ როგორ შეუძლია განთავისუფლდეს ამ სასჯელისგან, ან თავი აარიდოს იმ ზიანს, რაც მან თავის ქცევებით მოუტანა საკუთარ თავს. ჩვენ შეიძლება იგი გვებრალებოდეს ან გვეზიზღებოდეს კიდეც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიყოთ მისდამი შურისძიების გრძნობით განმსჭვალული ან გაბოროტებული, ჩვენ არა გვაქვს უფლება მოვექცეთ მას ისე, როგორც საზოგადოების მტერს; და თუ ჩვენ ის განსაკუთრებულად არ გვებრალება, არ ვართ მისდამი გამორჩეულად კეთილგანწყობილნი, ყველაზე ცუდი, რისი უფლებაც ჩვენ გვაქვს მასთან მიმართებით, ესაა დავტოვოთ იგი საკუთარ თავთან. თუ ინდივიდი არღვევს იმ წესებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ინდივიდუალური ან სხვა ადამიანების კოლექტიური კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის, თუ მისი ქმედებებიდან გამომდინარე მავნე შედეგები ზემოქმედებას ახდენენ არა მხოლოდ მასზე, არამედ - სხვებზეც, მაშინ ამ შემთხვევაში საზოგადოებამ, როგორც ყველა თავისი წევრის დამცველმა, პასუხი უნდა აგებინოს მას, უნდა დასაჯოს იგი სწორედ იმ მიზნით, რომ საკმარისად მკაცრი და

მისი დანაშულისათვის შესაბამისი სასჯელი იწვნიოს. ასეთ შემთხვევაში, ინდივიდი უნდა წარდგეს ჩვენი სამსჯავროს წინაშე ისე, როგორც დამნაშავე. ჩვენ უფლება გვაქვს არა მხოლოდ განვსაჯოთ ის, არამედ აღვასრულოთ კიდეც მისდამი გამოტანილი სასჯელი. პირველ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს უფლება, დავსაჯოთ იგი რაიმე სხვა სასჯელით, გარდა იმ სასჯელისა, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს ჩვენ მიერ იმ ინდივიდუალური თავისუფლებების გამოყენებისაგან, რისი უფლება, ჩვენი აზრით, მასაც გააჩნია.

ჩვენ მიერ ნაჩვენებ განსხვავებას ადამიანის ცხოვრების იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ ინდივიდზე ახდენს ზეგავლენას, და იმ ნაწილს შორის, რომელიც უდავოდ სხვა ადამიანებსაც ეხება, რა თქმა უნდა, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება. ჩვენ შეიძლება შეგვეწინააღმდეგონ და გვითხრან, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ცალკეული ინდივიდის ნაბიჯები მეტ-ნაკლებად მაინც შეეხება იმ ინდივიდებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ საზოგადოებაში; რომ ინდივიდი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება სრულიად განცალკავებული სხვა ადამიანებისაგან და თუ ის საკუთარ თავს ზიანს აყენებს, ამან არ შეიძლება გარკვეული დოზით ზიანი არ მიაყენოს სულ მცირე მის ახლობელ ადამიანებს მაინც და ხშირად იმათაც, რომლებიც მასთან არც ისე ახლოს დგანან. თუკი ინდივიდი ცუდად განაგებს თავის ქონებას, მაშინ ამით იგი პირდაპირ თუ ირიბად ზიანს აყენებს იმ ადამიანებს, ვისი არსებობაც გარკვეულწილად ამ ქონებაზეა დამოკიდებული; ყოველ შემთხვევაში ეს ამცირებს საზოგადოებაში არსებული სიმდიდრის საერთო ჯამს. თუკი ადამიანი მოქმედებს თავისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების საზიანოდ, მაშინ ეს არა მარტო ზიანს აყენებს იმათ, ვისი კეთილდღეობაც მასზეა დამოკიდებული, არამედ ამგვარი ქმედებების შედეგად მან თავადაც შეიძლება ვეღარ შეძლოს იმ მოვალეობების შესრულება, რომლებიც მას თავისი ახლობლების მიმართ აკისრია და შესაძლოა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ის უყვართ, ტვირთადაც კი იქცეს; თუკი ასეთი ინდივიდების რიცხვი საზოგადოებაში დიდი იქნება, მაშინ, ალბათ, ცოტას თუ ვინმეს შეეძლება საერთო კეთილდღეობისათვის მსგავსი ზიანის მიყენება; და ბოლოს, თუ ინდივიდი თავისი არაკეთილგონიერებითა და ცოდვებით პირდაპირ არ უკეთებს სიბოროტეს სხვას, იგი თავისთავად, ცუდი მაგალითის მიცემითაც ვნებს სხვათა ინტერესებს და ამიტომ სამართლიანად შეიძლება აიძულონ იგი, თავი შეიკავოს ისეთი ქმედების ჩადენისაგან, რამაც შეიძლება ჭეშმარიტების გზას ააცილოს და შეცდომაში შეიყვანოს დანარჩენი ადამიანები.

ჩემს მოწინააღმდეგებს ისიც კი შეუძლიათ დაამატონ, რომ არაკეთილგონივრული ნაბიჯების შედეგები არავის რომ არ ეხებოდეს, თავად იმ ცოდვილი და არაკეთილგონიერი ადამიანის გარდა, რომელიც ამას სჩადის, ამ შემთხვევაშიც კი საზოგადოებამ ამ ინდივიდს არ უნდა მისცეს თავისუფალი მოქმედების საშუალება, რადგანაც აშკარაა, რომ მას არ აქვს ამგვარი მოქმედების უნარი. არავინ არ დაიწყებს დავას იმაზე, რომ ბავშვები და მცირეწლოვნები უნდა დავიცვათ იმ ზიანისგან, რაც მათ შეიძლება საკუთარ თავს მოუტანონ. ანალოგიური ვალდებულება აკისრია საზოგადოებას იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც, მართალია, მიაღწიეს ზრდასრულ ასაკს, მაგრამ, ისევე, როგორც ბავშვებს და არასრულწლოვნებს, არ შესწევთ საკუთარი თავის მართვის უნარი. თუკი თამაშისადმი მიდრეკილება, ლოთობა, თავშეუკავებლობა, სიზარმაცე, ისევე საზიანოა კეთილდღეობისთვის და ისევე უშლის ხელს სრულყოფილების მიღწევას, როგორც ბევრი ან დიდი ნაწილი იმ ქმედებებისა, რომლებიც კანონით იკრძალება, მაშინ რატომ - შეიძლება იკითხონ

ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა - არ შეიძლება, რომ ეს ცოდვებიც ისჯებოდეს კანონით და რამდენად პრაქტიკულად განხორციელებადი და რამდენად შეთავსებადია ეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოთხოვნებთან? რატომ არ შეიძლება კანონს, რომელსაც არ შეუძლია იყოს სრულყოფილი, დახმარება გაუწიოს პოლიციურ ძალად ქცეულმა საზოგადოებრივმა აზრმა, რათა აღკვეთოს ეს ცოდვები და მკაცრი სოციალური სასჯელი გამოუტანოს ამგვარი ქმედების ჩამდენ ადამიანებს? მათ შეუძლიათ შეგვეკამათონ, რომ აქ საუბარია არა ინდივიდუალის შეზღუდვაზე ან რაიმე ახალი, ორიგინალური იდეისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე, არამედ იმაზე, რომ წინ აღუდგე ისეთი ქმედებების ჩადენას, რომლებიც უკვე დიდი ხანია დროში გამოცდილი და გაკიცხულია თავად გამოცდილების მიერ და რომლებიც, როგორც უკვე გამოცდილებამ აჩვენა, გამოუსადეგარი და არასაჭიროა ნებისმიერი ინდივიდისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ზნეობრიობის ან კეთილგონიერების წესების გამომუშავებას საკმაო დრო და გამოცდილება სჭირდება და მხოლოდ იმას ვისურვებდით, რომ ახალი თაობები დაცული იყოს იმ შეცდომებისაგან, რომლებმაც წინა თაობებს უბედურება მოუტანა.

მე სრულიად ვეთანხმები იმას, რომ ის ზიანი, რაც საკუთარ თავს შეუძლია მოუტანოს ადამიანმა, შესაძლოა საკმაო დოზით მისი ახლობელი ადამიანების გრძნობებისა და ინტერესების შეურაცხმყოფელიც იყოს (უფრო ნაკლები დოზით – მთელი საზოგადოებისთვისაც), მაგრამ საქმე ისაა, თუკი ადამიანი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს სხვა ინდივიდების ან ზოგადად ადამიანების მიმართ, მაშინ ასეთ შემთხვევაში მისი ქმედებები არ ეკუთვნის მხოლოდ მას და იგი ამ ქმედებების გამო შესაძლოა მორალურად გაიკიცხოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაგალითად, თუ ადამიანი თავისი შეუკავებლობის ან მფლანგველობის გამო ვერ იხდის ვალებს, ან ვალდებულია რა მორალურად იზრუნოს საკუთარ ოჯახზე, ვერ უზრუნველყოფს და ვერ ინახავს თავის ოჯახს, მაშინ ის, რა თქმა უნდა, გაკიცხვას იმსახურებს და სამართლიანადაც შეიძლება დაისაჯოს; მაგრამ არა იმის გამო, რომ მფლანგველია ან თავშეუკავებელი, არამედ იმის გამო, რომ არ ასრულებს თავის მოვალეობებს ოჯახის ან კრედიტორების მიმართ. მისი მორალური დანაშაული არც მაშინ შემცირდებოდა ან გაიზრდებოდა, მას რომ ის ფული, რითაც მას ვალები უნდა გაესტუმრებინა ან ოჯახი შეენახა, კი არ გაეფლანგა, არამედ მომგებიან საქმეში ჩაედო. საყვარლის რჩენის მიზნით ბარნუელმა საკუთარი ბიძა მოკლა და იგი ამის გამო ჩამოახრჩეს. მაგრამ მას რომ ბიძა რაიმე ფინანსური გეგმების გამო მოეკლა, იგი მაინც დამნაშავე იქნებოდა. ხშირია, რომ ადამიანი გულს სწყვეტს ოჯახის წევრებს თავისი მავნე ჩვევებით და ასეთ შემთხვევაში იგი, რა თქმა უნდა, იმსახურებს გაკიცხვას უპატივცემულობის ან უმადურობის გამო. მაგრამ იგი ზუსტად ამ დოზითვე იქნებოდა გაკიცხვის ღირსი, ისეთი ჩვევები რომ ჰქონოდა, რომლებიც თავისთავად არაა გასაკიცხი, მაგრამ არ მოსწონთ მასთან ერთად მცხოვრებ ადამიანებს ან იმათ, ვისი ბედნიერებაც მასზეა დამოკიდებული. თუ ადამიანს რაიმე სახის სხვა უფრო მაღალი ვალდებულება არ აკისრია, ან ვერ იმართლებს თავს კანონიერი კერძო ინტერესების მიდევნებით და სათანადო ყურადღებას არ იჩენს სხვა ადამიანების გრძნობებისა და ინტერესების მიმართ, ის სამართლიანად იმსახურებს მორალურ გაკიცხვას, მაგრამ მხოლოდ მათ მიმართ გამოვლენილი უპატივცემულობის და არავითარ შემთხვევაში იმ მიზეზების ან რწმენების გამო, რომლებიც მხოლოდ მას ეხება და რომლებსაც შეეძლოთ იგი აქამდე მიეყვანათ. ზუსტად ასევე, თუკი ცხოვრების ეგოისტური სტილის გამო ადამიანს აღარ შეუძლია რაიმე ვალდებულების შესრულება, რაც მას საზოგადოების მიმართ აკისრია, იგი დამნაშავეა საზოგადოების წინაშე. არ შეიძლება ადამიანი

დასაჯო მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ნასვამია. მაგრამ უნდა დაისაჯოს ჯარისკაცი ან პოლიციელი თუკი ისინი ნასვამ მდგომარეობაში იქნებიან თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც პირდაპირ ზიანს აყენებს ინდივიდს ან საზოგადოებას, ან თავის თავში მოიცავს მათთვის სავარაუდო ზიანის მიყენების საფრთხეს, უნდა ამოვიღოთ ინდივიდუალური თავისუფლების სფეროდან და უნდა მიეკუთვნოს ზნეობრიობის ან კანონის სფეროს.

შესაძლებელია ინდივიდის ის ქმედებები, რომლითაც არ ირღვევა საზოგადოების მიმართ ინდივიდისათვის დაკისრებული გარკვეული ვალდებულებები და რომლებიც, არიან რა ზიანის მომტანნი პირადად მისთვის, პირდაპირ არ აყენებენ ზიანს სხვა ინდივიდებს - ასეთი ქმედებები რომც აყენებდეს ზიანს საზგადოებას, ეს მხოლოდ შემთხვევითი ზიანი, ან თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ახსნადი ზიანი იქნებოდა და საზოგადოებამ ეს ბოროტება უფრო მაღალი სიკეთის - ინდივიდუალური თავისუფლების შენარჩუნების გამო უნდა მოითმინოს. თუ ზრდასრული ადამიანების დასჯა შესაძლებელია იმის გამო, რომ ისინი საკადრისად არ ზრუნავენ საკუთარ თავზე - ამას უფრო მათივე სიკეთეზე ზრუნვა უდევს საფუძვლად და არა ის მიზანი, რომ ხელი შეუწყო მათში იმ უნარების შენარჩუნებას, რომელთა მეშვეობითაც ამ ადამიანებს საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანა შეეძლებოდათ. ამის მოთხოვნის უფლება თავად საზოგადოებას არ აქვს. მე არანაირად არ შემიძლია იმის თქმა, რომ საზოგადოებას ასეთ შემთხვევაში აქვს ადამიანის დასჯის უფლება. თითქოს იმისათვის, რათა თავისი ყველაზე სუსტი წევრებიც კი ჩვეულებრივ რაციონალურ ქმედებას შეაჩვიოს, მას არ აქვს სხვა საშუალება, გარდა იმისა, რომ დაელოდოს, სანამ რაიმე არარაციონალურ ქმედებას ჩაიდენენ და ამის გამო კანონის ძალით დასაჯოს ან მორალურად გაკიცხოს ისინი. საზოგადოებას საკმარისი დრო და ძალაუფლება აქვს ინდივიდზე მისი ბავშვობისა და მცირეწლოვნობის პერიოდში, რომ იგი შეაჩვიოს რაციონალურ ქმედებებს. აწმყო თაობა არის მომავალი თაობის სრული ბატონ-პატრონი, როგორც აღზრდის, ასევე მთელი მისი მომავლის მოწყობის საკითხში; თუმცა მას არ შეუძლია იგი სიბრძნისა და სიკეთის ეტალონად აქციოს, რადგან თავადაც აკლია ასეთი თვისებები; მართალია ამ მიმართებით მისი ყველაზე კეთილშობილი მიზნები ხშირად არცთუ ისე წარმატებულია, მაგრამ მას სრულიად საკმარისი ძალა აქვს იმისთვის, რომ ახალი თაობა ისევე კარგად აღზარდოს (შესაძლოა ცოტა უფრო უკეთესადაც კი), როგორც თავადაა აღზრდილი. თუკი საზოგადოებამ დაუშვა ის, რომ მისი წევრების დიდმა ნაწილმა ზრდასრულ ასაკს ისე მიაღწია, რომ კვლავაც ბავშვობის ასაკში დარჩა და ვერ შეიძინა არა მხოლოდ ახლო, არამედ უფრო შორეული მომავლის გათვლებზე დაფუძნებული რაციონალური ქმედების უნარ-ჩვევები, მაშინ ასეთ შემთხვევაში საზოგადოება თავადვეა პასუხისმგებელი მიღებულ შედეგებზე. იგი შეიარაღებულია არა მარტო აღზრდის ყველა იარაღით, არამედ ზეგავლენის მოხდენის იმ უძლიერესი იარაღითაც, რაც, როგორც წესი, საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებს აქვს იმ ადამიანებზე, რომლებსაც ნაკლებად აქვთ უნარი - ჰქონდეთ საკუთარი შეხედულებები. ამას გარდა, მას ხელს უწყობს ის ბუნებრივი სასჯელიც, რომელიც ნებისმიერ ადამიანს, ვინც თავისი მოქმედებით ზიზღსა და ამრეზილობას გამოიწვევს მისთვის ნაცნობ ადამიანებში, ატყდება თავს; ნუთუ ყოველივე ამის ფონზე საზოგადოებას კიდევ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ისეთ ძალაუფლებაზე, რომ მას შეძლებოდა ინდივიდის დამორჩილება იმ საკითხში, რომელიც მხოლოდ ინდივიდს ეხება და სამართლიანობისა და ჯანსაღი პოლიტიკის წესებით ინდივიდუალური გადაწყვეტილებების სფეროს განეკუთვნება, რადგანაც ის თავადვეა მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე პასუხისმგებელი. ადამიანების ქცევაზე

ზემოქმედების უამრავ კარგ საშუალებას არაფერი არ აყენებს ისეთ ზიანს, როგორც ის, რომ ამისთვის ცუდ ხერხებს მიმართავენ. თუკი იმათ შორის, რომელთა კეთილგონიერებისა და თავშეკავებისადმი იძულება ძალადობრივი მეთოდით ხდება, მოიძებნებიან ძლიერი და დამოუკიდებელი ხასიათის ადამიანები, მაშინ ისინი აუცილებლად წინ აღუდგებიან ამგვარ ძალადობას, რადგანაც არასდროს არ შეეგუებიან იმას, რომ ვინმე მათ ისევე აკონტროლებდეს მხოლოდ საკუთარ თავთან დაკავშირებულ ქმედებებში, როგორც ამას აკეთებენ იმ ქმედებებთან მიმართებით, რაც სხვა ადამიანებს შეეხება. ამგვარ ძალადობას, ჩვეულებრივ, შედეგად მოჰყვება ის, რომ ადამიანები ჭკვიანურ და ვაჟკაცურ საქმედ იწყებენ იმის მიჩნევას, როცა ვინმე პირდაპირ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და იმის საპირისპიროს აკეთებს, რასაც მისგან ხელისუფლება მოითხოვს. ამისი კარგი მაგალითია ჩარლზ II-ის (1) მმართველობის ხანა, როცა ფანატიზმამდე მისულმა პურიტანების ზნეობრივმა შეუწყნარებლობამ შედეგად უხეში გემოვნების მოდის დამკვიდრება მოიტანა. რაც შეეხება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოებას სჭირდება დაცვა იმ ცუდი მაგალითებისგან, რაც თითქოს გარყვნილმა და ცოდვილმა ადამიანებმა შეიძლება მას მისცენ, მე სრულიად ვეთანხმები იმაში, რომ ცუდმა მაგალითმა ნამდვილად შეიძლება იქონიოს ადამიანებზე ცუდი ზეგავლენა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჩადენილი ბოროტება დაუსჯელი რჩება; მაგრამ აქ საუბარი ეხება ინდივიდის არა ისეთ ქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს სხვა ადამიანებს, არამედ იმას, როდესაც ზიანი თავად მასვე მიეყენება. მე ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს, რომ არ დავეთანხმო იმას, რომ ასეთი ქცევის მაგალითს უარყოფითთან შედარებით უფრო მეტი დადებითი შედეგი უნდა ჰქონდეს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, გარდა ცუდი ქცევისა, ადამიანებისათვის მაგალითად იქცევა ის მძიმე და დამამცირებელი შედეგები, რაც ასეთ ქცევას მისი ჩამდენისათვის მოაქვს.

მაგრამ ინდივიდის სფეროში საზოგადოების ჩარევის საწინააღმდეგო ყველაზე ძლიერი არგუმენტი არის ის, რომ ამგვარი ჩარევა ძირითადად საზიანო, უადგილო და უმისამართოა. როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივ ზნეობრიობას, ან სხვა ადამიანებთან მიმართებით ინდივიდზე დაკისრებულ ვალდებულებებს, საზოგადოებრივ, ანუ გაბატონებული უმრავლეობის აზრს (თუმცა იგი ხშირ შემთხვევაში მცდარია), სულ მცირე, იმის შანსი მაინც აქვს, რომ სწორი იყოს, რადგანაც აქ ადამიანები განსჯიან, მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე - ანუ, თუ რა შედეგი შეიძლება იქონიოს მათ ინტერესებზე, თუკი ისინი ინდივიდს ნებას დართავენ, იცხოვროს ისე, როგორც ეს თავად მას მიაჩნია საჭიროდ. მაგრამ როდესაც საუბარია ინდივიდის ისეთ ქმედებებზე, რაც მხოლოდ პირადად მას ეხება, მაშინ უმრავლესობის მოსაზრება, რომელსაც კანონის სახით თავს ახვევენ უმცირესობას, ისევე შეიძლება იყოს მცდარი, როგორც - მართალი. ასეთ შემთხვევაში ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა გარკვეული ნაწილის შეხედულება იმის შესახებ, თუ რა არის კარგი და რა ცუდი სხვებისათვის; უფრო მეტიც, ხშირად საზოგადოება სრულიად გულგრილია იმ ადამიანების კეთილდღეობის მიმართ, ვის ქმედებებსაც ის განსჯის და თავის მსჯელობებში მხოლოდ საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს. არსებობს ბევრი ადამიანი, რომლებიც თავს შეურაცხყოფილად თვლიან და საწყენად მიაჩნიათ, როცა ვინმე მათთვის მიუღებელ ქმედებას ჩადის. ასე მაგალითად, ერთმა რელიგიურმა ფანატიკოსმა შენიშვნაზე, რომ ის არ სცემდა პატივს სხვათა რელიგიურ გრძნობებს, უპასუხა, რომ პირიქით, სხვები არ სცემდნენ მის რელიგიურ გრძნობებს პატივს, რადგანაც არ უარყოფდნენ თავიანთ რელიგიურ

ცდომილებებს. მაგრამ იმ გრძნობას, რომელიც ადამიანს საკუთარი შეხედულებების მიმართ აქვს და იმ გრძნობას შორის, რომელიც ამ შეხედულების მიმართ სხვა ადამიანს აქვს (და რომელიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობს) - აი, ამ ორ გრძნობას შორის ზუსტად ისეთივე დამოკიდებულებაა, რაც ქურდის სურვილს - წამართვას მე საფულე და ჩემს სურვილს - შევინარჩუნო საფულე - შორის. ადამიანის გემოვნება მისი პირადი ქონებაა იმ დოზით, რა დოზითაც მისი შეხედულება ან მისი საფულე. არაა რთული, წარმოიდგინო ისეთი იდეალური საზოგადოება, რომელიც ყველა ინდივიდს მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს ყველა ოდნავ საეჭვო შემთხვევაშიც კი და მოითხოვს მხოლოდ იმგვარი ქმედებებისგან თავის შეკავებას, რაც უკვე საყოველთაო გამოცდილებითაა დაგმობილი. მაგრამ განა ოდესღაც არსებობდა ისეთი საზოგადოება, რომელიც მხოლოდ ამით შემოიფარგლავდა თავისი ჩარევის საზღვრებს? განა არსებობდა ოდესღაც ისეთი საზოგადოება, რომელსაც ადარდებდა, თუ რას ამბობდა მსოფლიო გამოცდილება? ერევა რა ინდივიდუალურ სფეროში, ის, ჩვეულებრივ არაფერზე სხვაზე არ ფიქრობს, თუ არა იმ საშინელ ფაქტზე, რომ მათ შორის არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არ ფიქრობენ და არ მოქმედებენ ისე, როგორც მთელი საზოგადოება; ამ კრიტერიუმს, მხოლოდ ოდნავ შეფარული სახით, სხვადასხვა ძმობის წევრები, მორალისტები და ფილოსოფოსები უყენებენ კაცობრიობას, როგორც რელიგიის ან ფილოსოფიის მოთხოვნას. ისინი გვიქადაგებენ, რომ რაღაც-რაღაცები სამართლიანია იმიტომ, რომ სამართლიანია, იმიტომ, რომ ჩვენ ვგრძნობთ, რომ სამართლიანია. ისინი გვასწავლიან, რომ ჩვენივე საკუთარ გონებასა და გულში უნდა მოვიძიოთ, როგორც ჩვენთვის, ასევე სხვა ადამიანებისათვის სავალდებულო ქცევის კანონები; სხვა რა გზა დარჩენია საცოდავ მაყურებელს, გარდა იმისა, რომ მთელი სულითა და გულით მიიღოს ამგვარი ჭკუის სწავლებები, გაითავისოს სიკეთისა და ბოროტების შემოთავაზებული კრიტერიუმები და ჩათვალოს ისინი მთელი მსოფლიოსთვის სავალდებულოდ?

ბოროტება, რაზეც ვსაუბრობთ, არაა ის ბოროტება, რომელიც მხოლოდ თეორიულად არსებობს. მკითხველი შესაძლოა ელოდება, რომ მე წარმოვაჩენ იმის მაგალითებს, თანამედროვე დროის ინგლისური საზოგადოება როგორ აქცევს ზნეობრივ კანონებად საკუთარ მიდრეკილებებს. მე არ ვწერ ტრაქტატს ჩვენი დროის ზნეობრივ გზააბნეულობაზე - ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანი საკითხია იმისათვის, რომ მასზე გაკვრით, მხოლოდ მაგალითების მოყვანით ვისაუბროთ. მაგრამ მაინც აუცილებელია მაგალითების მოყვანა, რათა ვაჩვენოთ, რომ ჩემ მიერ გამოხატულ პრინციპს ჩვენს დროში სერიოზული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს; და რომ მე ვუმხედრდები არა წარმოსახვით, არამედ არსებულ სიბოროტეს. არაა რთული მრავალი მაგალითით დავამტკიცო, რომ ე.წ. ზნეობის პოლიციის ფარგლების გაფართოება საერთო საკაცობრიო მიდრეკილებაა და რომ ეს გაფართოება ინდივიდუალური თავისუფლების თვით ყველაზე უტყუარ სფეროებზეც კი ვრცელდება. უპირველეს ყოვლისა, მე მივუთითებ ადამიანებს შორის წარმოშობილ ანტიპათიაზე, რომლის წარმომშობი მიზეზი მხოლოდ მათი განსხვავებული რელიგიური მრწამსი და რელიგიური რიტუალებია და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, განსხვავებულია მათი რელიგიური დისციპლინაც. გაიხსენეთ უკვე გაცვეთილი ფაქტი იმის თაობაზე, რომ მუსლიმს ქრისტიანი ყველაზე მეტად იმის გამო სძულს, რომ ქრისტიანი ჭამს ღორის ხორცს. ჩვენ გაგვიჭირდება მსგავსი მაგალითის მონახვა, რომ ქრისტიანს ან ევროპელს ასეთივე ძლიერი ზიზღის გრძნობა ჰქონდეს რამისადმი, როგორიც მუსლიმს აქვს შიმშილის მოკვლის მსგავსი მეთოდისადმი. ამის მიზეზი ის კი არაა, რომ მუსლიმანური რელიგიით ღორის ხორცის ჭამა აკრძალულია - ისლამი

ღვინოსაც კრძალავს და მუსლიმი კიცხავს ღვინის სმას, თუმცა ეს ფაქტი მასში არ აღძრავს ზიზღს. ის ზიზღი, რასაც მუსლიმი „უწმინდური ცხოველის“ მიმართ განიცდის, არის სრულიად ინსტიქტური დონის ანტიპათიის განსაკუთრებული შემთხვევა. საქმე ისაა, რომ თვით იმ ადამიანებშიც კი, რომლებიც თავად საერთოდაც არ გამოირჩევიან განსაკუთრებული სისუფთავით, ერთხელ დაუფლებულ ფიქრს სიბინძურის შესახებ შეუძლია გამოიწვიოს ყველაზე ძლიერი ზიზღი იმისადმი, რაც უწმინდურად ითვლება. რელიგიური უწმინდურობის შესახებ წარმოდგენიდან წამოსული მსგავსი გრძნობის კარგ მაგალითს ვხვდებით ინდუსებშიც. დავუშვათ, რომ არსებობს ისეთი ხალხი, რომელთა დიდი ნაწილი მუსლიმანებისგან შედგება და რომ ეს უმრავლესობა არავის არ აძლევს ღორის ხორცის ჭამის ნებას. მუსლიმანური ქვეყნებისათვის ასეთი ფაქტი სულაც არაა წარმოუდგენელი რამ (2). ვაღიარებთ თუ არა ჩვენ, რომ უმრავლესობის მიერ მსგავსი ქმედების განხორციელება იმ მორალური ძალაუფლების კანონიერი გამოყენება იქნება, რაც საზოგადოებრივი აზრის კომპეტენციას უნდა განეკუთვნებოდეს და თუ არა, რატომ? საკვებში ღორის ხორცის გამოყენებას, რეალურად, უმრავლესობა ძალიან მდაბიო ქმედებად აღიქვამს და მათში ეს ფაქტი აღშფოთებას იწვევს - მას სრულიად გულწრფელად სწამს, რომ ღმერთი კრძალავს ღორის ხორცის ჭამას, რომ ეს მიუღებელია უფლისთვის. ასეთ შემთხვევაში, რის საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ საზოგადოების ჩარევა უკანონოდ მივიჩნიოთ? აქ ადგილი არ აქვს რელიგიურ დევნას; მართალია, ღორის ხორცის საკვებად გამოყენების აკრძალვას საფუძვლად რელიგია უდევს, მაგრამ ხომ არ არსებობს ისეთი რელიგია, რომელიც ღორის ხორცის ჭამას სავალდებულოდ მიიჩნევს? აშკარაა, რომ საზოგადოების მხრიდან ამგვარი ქმედებების განკიცხვისთვის არ არსებობს სხვა საფუძველი, გარდა იმისა, რომ საზოგადოებას არ აქვს უფლება ჩაერიოს იმაში, რაც კერძო გემოვნების საკითხია და რაც მხოლოდ კონკრეტულ მოქმედ პირს ეხება.

მოვიყვანოთ ჩვენთვის უფრო ახლოს მდგომი სხვა მაგალითები: ესპანელთა უმრავლესობას უდიდეს უწმინდურობად, უფლის უდიდეს შეურაცხყოფად მიაჩნია რომაულ-კათოლიკური სტილისგან განსხვავებულ ნებისმიერ სხვა სტილზე ღვთისმსახურების შესრულება. ესპანეთის კანონმდებლობა არანაირი სხვა სახის საზოგადოებრივი ღვთისმსახურების ჩატარების ნებას არ იძლევა, გარდა რომაულ-კათოლიკურისა. სამხრეთ ევროპის ხალხები სასულიერო პირების ქორწინებას არათუ მიიჩნევენ რელიგიისათვის მიუღებელ საქმედ, არამედ ამას უყურებენ, როგორც ცდუნებას, უსირცხვილობას - ქორწინებაში მყოფი სასულიერო ფენა მათთვის ზიზღის გამომწვევია. რა შეუძლიათ თქვან პროტესტანტებმა ამ სრულიად გულწრფელი გრძნობის და მისწრაფების - ძალით დაუმორჩილონ თავიანთ მოთხოვნებს არაკათოლიკეები - საწინააღმდეგოდ? თუკი ჩვენ ვაღიარებთ, რომ კაცობრიობას აქვს ინდივიდუალურ სფეროში ჩარევის უფლება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს არ ეხება სხვა ადამიანების ინტერესებს, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ ორივე შემთხვევაში არაფერია ისეთი, რაც გაკიცხვას იმსახურებს; მართლაც, მსგავს შემთხვევებში რის საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ განვიკითხოთ ადამიანები, როცა ისინი ცდილობენ გაანადგურონ ის, რაც მათი სრულიად გულწრფელი რწმენით უფლის და ადამიანის შეურაცხყოფაა? ინდივიდუალური უზნეობის ვერანაირი დევნა ვერ იქნება ისეთი გამართლებული, როგორც ის დევნა, რომელიც ჭეშმარიტი რელიგიური გრძნობებიდან გამომდინარეობს და ჩვენ არაფერი სხვა არ გვრჩება, თუ არა ის, რომ ან მივიღოთ მდევნელის ლოგიკა და მასთან ერთად ვთქვათ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვდევნოთ სხვებს, იმიტომ რომ ჩვენ მართლები

ვართ, ხოლო ის სხვები კი ტყუიან - ან კი უარვყოთ ეს პრინციპი, რომელიც სამართლიანია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენს სასარგებლოდაა, ხოლო თუ ჩვენს საწინააღმდეგოდაა მიმართული, მაშინ გასაოცრად უსამართლოა.

ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითებზე შესაძლოა თქვან, რომ მათ არანაირი პრაქტიკული ღირებულება არ აქვთ და რომ არაფერი ამის მსგავსი არ შეიძლება ახლა მოხდეს; რომ სრულიად შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივმა აზრმა ვინმე აიძულოს, მიირთვას ან არ მიირთვას რაიმე, დაქორწინდეს ან არ დაქორწინდეს, ჩაატაროს ან არ ჩაატაროს ესა თუ ის ღვთისმსახურება. მართალია, მსგავსი ტიპის შეკამათება სრულიად უსაფუძვლოა, მაგრამ ჩვენ მაინც გავითვალისწინებთ მას და მოვიყვანთ სხვა მაგალითს, ჩვენთან კიდევ უფრო ახლოს მდგომს და უფრო შესაძლებელს. ყველგან, სადაც კი პურიტანები საკმარისად ძლიერები იყვნენ - ისე, როგორც ეს ახალ ინგლისში და დიდ ბრიტანეთში რესპუბლიკის დროს - ისინი ყოველთვის ცდილობდნენ და საკმაო წარმატებითაც, შეეზღუდათ ყველა საზოგადოებრივი და თითქმის ყველა კერძო ტიპის გართობა, განსაკუთრებით კი დევნიდნენ მუსიკას, ცეკვებს, საზოგადოებრივ თამაშებს და, საერთოდ, ყველა ტიპის გასართობ ღონისძიებას. დღემდე ჩვენთან, ინგლისში, კიდევ ბევრი ადამიანია, ვინც თავიანთი რელიგიური და მორალური პრინციპებიდან გამომდინარე მკაცრად აკრიტიკებს ყველა ამ სახის გართობას. ეს ადამიანები ძირითადად საშუალო კლასს მიეკუთვნებიან, რომელიც ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობაში წამყვან როლს ასრულებს და სრულიად შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისინი პარლამენტში უმრავლესობით მოვიდნენ. რას იტყვიან მაშინ ჩვენი საზოგადოების ის წევრები, რომლებიც არ იზიარებენ პურიტანულ შეხედულებებს, თუკი მათ აიძულებენ თავინთი თავისუფალი დრო მკაცრი კალვინისტებისა და მეთოდისტების რელიგიური და ზნეობრივი შეხედულებების მიხედვით გაატარონ? ხომ არ მოეჩვენებათ მაშინ ამ ადამიანებს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი ეს პატივსაცემი ადამიანები საკუთარ თავებზე იზრუნებდნენ, ხოლო მათ კი თავს დაანებებდნენ? განა იგივე არ უნდა ვთქვათ ნებისმიერ ხელისუფლებასა და საზოგადოებაზე, როცა ისინი ცდილობენ, აგვიკრძალონ რაიმე სიამოვნება იმიტომ, რომ ეს მათ მიაჩნიათ არასწორად? თუკი ჩვენ ერთხელ მაინც გავამართლებთ საზოგადოების ჩარევას ინდივიდის თავისუფლების სფეროში, მაშინ არანაირი საფუძველი აღარ გვექნება, გავკიცხოთ ამ პრინციპის გამოყენება, ისე, როგორც ეს მოესურვება პარლამენტის წევრების უმრავლესობას ან ზოგადად, მმართველ ხელისუფლებას - ჩვენ იძულებულნი ვიქნებით უსიტყვოდ დავემორჩილოთ იდეალური ქრისტიანული თემის მოთხოვნებს, როგორც ეს ესმოდათ ახალი ინგლისის პირველ კოლონისტებს, თუკი მისი ან მისი მსგავსი სექტის შეხედულებები საზოგადოების უდიდეს ნაწილში პოვებს გავრცელებას. ასეთი რამ სრულიად არაა წარმოუდგენელი, რადგან გამოცდილებით ვიცით, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა ის რელიგიური სექტები, რომლებსაც დაკარგული ჰქონდათ საზოგადოებაზე გავლენა, ხელახლა, მთელი ძალით აღმდგარან ხოლმე.

მოვიყვანოთ მეორე ვარაუდი, რომელიც შესაძლოა კიდევ უფრო განხორციელებადია, ვიდრე - პირველი. უდავოა, რომ თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული წყობილება ძალიან პოპულარულია. ამტკიცებენ, რომ თითქოს იმ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიისკენ სწრაფვამ ყველაზე მეტად მიაღწია მიზანს, სადაც საზოგადოებაც, სახელმწიფოც და ხელისუფლებაც ყველაზე მეტი დემოკრატიულობით გამოირჩევა, კონკრეტულად კი ჩრდილოამერიკულ შეერთებულ შტატებში, ამტკიცებენ, რომ თითქოს იქ მოსახლეობის უმრავლესობა ძალიან არაკეთილმოსურნედაა განწყობილი იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ თავს უფრო მდიდრული და ბრწყინვალე ცხოვრების ნება დართონ, ვიდრე ეს უმრავლესობას ძალუძს; რომ უმრავლესობის ამ გრძნობას იქ ისეთი ძლიერი ზეგავლენა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, თითქოს მართლაც არსებობდეს კანონები, რომლებიც არეგულირებს დანახარჯებს; და რომ ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ნაწილში მდიდარ ადამიანს უჭირს საკუთარი ქონების დახარჯვის ისეთი მეთოდის გამონახვა, რაც მას საყოველთაო გაკიცხვას არ დაატეხდა თავს; მართალია, ამგვარი მტკიცებულება აშკარად გადაჭარბებულია და არ ასახავს რეალობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მიუთითებს იმ ფაქტზე, რაც არათუ წარმოუდგენელი არაა, არამედ სრულიად შესაძლებელია, რომ ამგვარი შედეგი მოიტნოს დემოკრატიულმა შეხედულებებმა ყველგან, სადაც მიაჩნიათ, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, შეზღუდოს ინდივიდი საკუთარი შემოსავლების ხარჯვის მეთოდებში. ამასთან ერთად სოციალისტური იდეების მნიშვნელოვან გავრცელებასაც თუ დავუშვებთ, არაფერი იქნება შეუძლებელი იმაში, რომ ჩამოყალიბდეს ისეთი უმრავლესობა, რომელიც სამარცხვინოდ მიიჩნევს, ფლობდეს დაშვებულ უმნიშვნელო სიდიდის ქონებაზე მეტ ქონებას ან იცხოვროს ისეთი შემოსავლებით, რომლებიც არაა მიღებული ფიზიკური შრომით. ამ პრინციპთან ახლოს მდგომი შეხედულებები უკვე სჭარბობს მუშათა კლასში და, როგორც ჩანს, უკვე უქმნიან გარკვეულ სირთულეებს იმ ადამიანებს, რომლებიც ამ კლასში გაბატონებულ შეხედულებებზე არიან დამოკიდებულნი, ე.ი. თავად მუშებსვე. ცნობილია, რომ ცუდ მუშებში (ასეთები კი ბევრ წარმოებაში უმრავლესობას შეადგენენ) ჩამოყალიბებულია შეხედულება, რომ ცუდი მუშა ისეთივე ხელფასს უნდა იღებდეს, როგორსაც კარგი და რომ დაუშვებელია ერთი მუშა იღებდეს მეტს და მეორე - ნაკლებს, რა მიზეზითაც არ უნდა ხდებოდეს ეს - იმიტომ, რომ მუშაობს უკეთ თუ იმიტომ, რომ გამოიმუშავებს მეტს. მათ გარკვეული სახის პოლიციაც კი შექმნეს, რომელიც ცდილობს, არ დაუშვას ის, რომ კარგმა მუშებმა უფრო მაღალი გასამრჯელო აიღონ და რომ მეპატრონეებმა ასეთ მუშებს არ გადაუხადონ უფრო მეტი, ვიდრე - ცუდ მუშებს; ეს პოლიცია საჭიროების შემთხვევაში ნამდვილ პოლიციადაც კი იქცევა, რომელიც არა მხოლოდ მორალური, არამედ ხშირად ფიზიკური მეთოდებითაც მოქმედებს. თუკი ჩვენ ერთხელ მაინც ვაღიარებთ, რომ საზოგადოებას რაიმენაირი უფლება აქვს ჩაერიოს კერძო ინდივიდუალურ სფეროში, მე ვერ ვხედავ ვერანაირ საფუძველს, თუ რატომ შეიძლება ასეთ შემთხვევაში დაგმონ მუშათა კლასის მოქმედება, რატომ არ შეგვიძლია მაშინ ჩვენ საზოგადოების ერთ ნაწილს მივანიჭოთ ისეთივე ძალაუფლება მის შემადგენელ ინდივიდებზე, როგორსაც ვანიჭებთ მთელ საზოგადოებას მასში შემავალ ყველა ინდივიდთან მიმართებით განურჩევლად?

თუმცა ჩვენ არ ვართ ვალდებულნი მხოლოდ ვარაუდებით შემოვიფარგლოთ. შეგვიძლია მივუთითოთ ჩვენს დროში არსებული ადამიანის თავისუფლების მართლაც უხეშ დარღვევებზე და კიდევ უფრო უხეშ დარღვევებზე, რითიც მომავალში გვემუქრებიან და რაც სრულიად შესრულებადია; და ბოლოს, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ ჩვენს დროში არსებულ ისეთ ცნებებზე, რომლებიც აღიარებს საზოგადოების შეუზღუდავ უფლებას - კანონის ძალით აკრძალოს არა მხოლოდ ყველაფერი ის, რაც მას მიაჩნია ბოროტებად, არამედ ისიც კი, რაც თავისთავად სრულიად უვნებლადა მიჩნეული იმ მოტივით, რომ ეს აკრძალვა საჭიროა ბოროტების უფრო სრული ამოძირკვისთვის.

ასე მაგალითად, ლოთობის მოსპობის მიზნით, ინგლისის ერთ-ერთ კოლონიასა და

თითქმის მთელ აშშ-ში კანონით აკრძალული იყო ალკოჰოლური სასმელის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სამკურნალო მიზნით იყო საჭირო. პრინციპში, კანონით მხოლოდ ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა იკრძალებოდა. პრაქტიკულად კი ეს იგივე იყო, რომ აკრძალულიყო მათი გამოყენებაც და კანონის მომხრეებსაც რეალურად ეს ჰქონდათ მიზნად. თუმცა ეს კანონი რეალურად შეუსრულებადი აღმოჩნდა და ამიტომაც ბევრ შტატში, სადაც ის თავდაპირველად მოიწონეს (თვით იმ შტატშიც კი, რომლის სახელიც ეწოდა ამ კანონს), შემდგომში იგი გააუქმეს. მიუხედავად ამისა, ამ ტიპის კანონისთვის აგიტაციის გაწევის მცდელობა ჩვენთანაც იყო; და თან ზოგიერთმა ფილანტროპმა არნახული მონდომებაც გამოიჩანა. ამ მიზნით ჩვენთან განსაკუთრებული ორგანიზაციაც კი შეიქმნა სახელწოდებით „ალიანსი“ (Alliance). ამ საზოგადოებამ სახელი მოიხვეჭა იმ მიმოწერის გამოაშკარავების შედეგად, რომელიც წარმოებდა მის გენერალურ მდივანსა და ინგლისის იმ ერთ-ერთ მცირერიცხოვან სახელმწიფო მოხელეს შორის, რომლებიც აღიარებენ, რომ პოლიტიკოსის მოღვაწეობა გარკვეულ პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული. მონაწილეობა, რომელიც ამ მიმოწერაში მიიღო ლორდმა სტენლიმ, კიდევ უფრო აძლიერებს იმ იმედებს, რომელიც მან აღძრა ყველა იმ ადამიანში, რომლებმაც იციან, თუ რა იშვიათია ჩვენს პოლიტიკურ არენაზე ის თვისებები, რაც ლორდმა სტენლიმ უკვე არაერთხელ გამოავლინა თავის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. საზოგადოება „ალიანსი“ თავისი თავმჯდომარის პირით გამოხატავს ,,ღრმა მწუხარებას იმის თაობაზე, რომ მისი პრინციპები შეიძლება დამახინჯდეს” და ცდილობს დამტკიცოს, რომ მას ფანატიზმისა და ვინმეს დევნის პრინციპებისგან „ფართო და გადაულახავი ბარიერი“ აშორებს. „აზრი, შეხედულება, სინდისი, მე ვაღიარებ, რომ ამ ყველაფერს - ამბობს საზოგადოების თავმჯდომარე - კანონის ფარგლებს მიღმაა. მხოლოდ ის, რაც შეადგენს სოციალურ აქტს, რაც ეხება საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობებს, მხოლოდ ის ექვემდებარება არა ინდივიდის, არამედ სახელმწიფოს ძალაუფლებას“. ხოლო იმ აქტებს, რომლებიც არა სოციალურ, არამედ ინდივიდუალურ კატეგორიას განეკუთვნება, იგი საერთოდ არ ახსენებს; არადა სწორედ ამ რიგს მიეკუთვნება ალკოჰოლური სასმელების გამოყენების შემთხვევა. მაგრამ, შესაძლოა, ვინმე შემეკამათოს, რომ ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა ვაჭრობის ერთ-ერთი სახეა, ხოლო ვაჭრობა კი სოციალური აქტია. მე ამაზე ვუპასუხებდი, რომ ის ბოროტება, რასაც საზოგადოება ამაში გულისხმობს, არა მოვაჭრის თავისუფლებაში, არამედ მყიდველის და მომხმარებლის თავისუფლებაში გამოიხატება. თუკი სახელმწიფო იღებს ზომებს იმისათვის, რომ შეუძლებელი გახადოს ალკოჰოლური სასმელების მოპოვება, მაშინ ასეთ შემთხვევაში მას პირდაპირი უფლება აქვს, აკრძალოს კიდეც მისი გამოყენება. მაგრამ საზოგადოების თავმჯდომარე, აი, რას ამტკიცებს: „მე, როგორც მოქალაქე, ვაღიარებ, რომ მაქვს ისეთი კანონების მოთხოვნის უფლება, რომელიც დამიცავდა მე ჩემი თანამოქლაქეების მიერ ისეთი სოციალური აქტების განხორციელებისგან, რაც თავისთავად ხელს შემიშლიდა მე ჩემი სოციალური უფლებების გამოყენებაში“. ამ სოციალურ უფლებებს იგი ასე განსაზღვრავს: „ჩემს სოციალურ უფლებებს არაფერი არ არღვევს ისე, როგორც ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა, იგი სპობს ჩემს უფლებას უსაფრთხოებაზე იმიტომ, რომ ქმნის და მუდმივად ხელს უწყობს საზოგადოებაში არეულობების წარმოქმნას. ის არღვევს ჩემს უფლებას თანასწორობაზე, აქცევს რა ჩემ მიერ ღარიბების შენახვაზე გადახდილ თანხებს საკუთარ მოგებად. იგი ახდენს ჩემი თავისუფალი, ზნეობრივი და გონებრივი განვითარების უფლების პარალიზებას იმიტომ, რომ ჩემ გარშემო წარმოქმნის უამრავ საფრთხეს, ასუსტებს და ახდენს იმ საზოგადოების დემორალიზებას, რომლისგანაც მე სრული უფლება მაქვს დახმარება და თანადგომა

მოვითხოვო.“ აქ ჩვენ პირველად ვხვდებით სოციალური უფლებების მსგავს სისტემას. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე ნათლად ჩამოყალიბებული სხვაგან ის არსად გვინახავს. ამ სისტემის არსი შეიძლება გამოვხატოთ ასე: ყოველ ინდივიდს აქვს სრული სოციალური უფლება იმისა, რომ ყველა სხვა ინდივიდისგანაც აბსოლუტურად ყველაფერში უნაკლო, ისე, როგორც ეს საჭიროა, მოქმედება მოითხოვოს. ის, ვინც გადაუხვევს და რაიმეს გააკეთებს არამართებულს, არღვევს ჩემს სოციალურ უფლებას და მე მაქვს კანონმდებლებისგან ამ დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლება. ამგვარი პრინციპი ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ინდივიდუალური თავისუფლების სფეროში ნებისმიერი ჩარევა იმიტომ, რომ არ არსებობს თავისუფლების ისეთი დარღვევა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი გამართლება. ის თავისუფლებას არანაირ უფლებას, გარდა აზრის ქონის უფლებისა, არ უტოვებს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ აზრს ხმამაღლა არ გამოვხატავთ, რადგანაც ისეთი შეხედულების ნებისმიერი გამოხატულება, რასაც მე საზიანოდ ვთვლი, უკვე ჩემი სოციალური უფლების დარღვევა იქნებოდა. ამ დოქტრინის მიხედვით ყველა ადამიანი დაინტერესებულია ერთმანეთის მორალური, გონებრივი და თვით ფიზიკური სრულყოფილების მიღწევაშიც კი და ეს ინტერესი ყველა ადამიანისთვის საკუთარი კრიტერიუმებით განისაზღვრება.

მე მივუთითებ ინდივიდის თავისუფლების დარღვევის კიდევ ერთ, ძალიან მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც შორეულ საფრთხეს კი არ წარმოადგენს, არამედ უკვე უძველესი დროიდან და საკმაოდ ფართო მასშტაბებითაც არსებობს. ესაა კვირა დღის აღნიშვნის შესახებ კანონები. რა თქმა უნდა, დაისვენო კვირაში ერთი დღე ყოველდღიური საქმეებისგან, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ცხოვრების აუცილებლობა, ძალიან კარგი ჩვეულებაა; თუმცა ის, ებრაელების გარდა, არავისთვის არ წარმოადგენს რელიგიური სახის ვალდებულებას. მაგრამ მშრომელებისთვის ამ ჩვეულების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ასევე დაიცავს ყველა სხვა მუშა იმიტომ, რომ, თუკი მუშების ნაწილი არ შეაჩერებს თავის შრომას, მაშინ მეორე ნაწილიც იძულებული იქნება, გააკეთოს იგივე. ამიტომ შესაძლებელია დასაშვებად და სამართლიანადაც კი ჩავთვალოთ ის, რომ ასეთ შემთხვევაში კანონი ჩაერიოს და ყველას მისცეს ყოველდღიური სამუშაოსგან დასვენების გარანტია და დაადგინოს კვირის გარკვეულ დღეს მუშაობის საერთო, ყველასთვის სავალდებულო შეწყვეტა. კანონის ამგვარი ჩარევა გამართლებულია იმით, რომ ყველას უშუალო ინტერესია, სხვებიც იცავდნენ კვირა დღის წესს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაემშვიდობება ყოველდღიური სამუშაოსგან დასვენებას. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გამართლება კანონის მხრიდან იმგვარი ჩარევისა, რომელიც შეზღუდავდა ინდივიდის თავისუფლებას, გაეტარებინა ეს დღე საკუთარი შეხედულებისამებრ და მით უმეტეს ეს არანაირი გასამართლებელი საბუთი არაა იმისთვის, რომ კანონმა შეზღუდოს ინდივიდი სიამოვნების მიღების თავისუფალ არჩევანში. მართალია, არსებობს ისეთი სიამოვნებები, რომელთა მიღება გარკვეული ტიპის სამუშაოების არშეწყვეტის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ყურადღებაში უნდა მივიღოთ ის, რომ ამ შემთხვევაში უმცირესობის მუშაობა ემსახურება ძალიან ბევრი ადამიანის სიამოვნების (შესაძლოა, სრულიად სასარგებლო სიამოვნებისაც) მიღებას და ამგვარი სამუშაოს მიმართ გამონაკლისის დაშვება სრულიად გამართლებულია, ოღონდ იმ პირობით, რომ ის არ უნდა იყოს იძულებითი ხასიათის, ანუ მოსამსახურე არ უნდა იყოს ვალდებული, აუცილებლად იმუშაოს კვირა დღეს, თუკი მას ეს არ სურს. მოსამსახურეები თავის გათვლებში სრულიად არ ცდებიან, როდესაც ვარაუდობენ,

რომ იმუშავებენ რა ყველა კვირა დღეს, მათი შვიდი დღის ანაზღაურება მაინც არ გამოვა ექვსი დღის ანაზღაურებაზე მეტი. მაგრამ თუკი ყველა სამუშაო შეწყდება და გამონაკლისი მხოლოდ იმ მცირე რაოდენობის სამუშაოებისთვის დაიშვება, რომლებიც ბევრი ადამიანისთვის გახდის შესაძლებელს სიამოვნების მიღებას, მაშინ ასეთი ტიპის სამუშაო საყოველთაო დასვენების დღეს, გაზრდის ხელფასს და არ გახდის მოსამსახურეს იძულებულს, იმუშაოს მუდმივად, იმ შემთხვევაში, თუკი იგი დასვენებასთან შედარებით ხელფასის გაზრდას მიანიჭებდა უპირატესობას; და ბოლოს, საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა დაგვემკვიდრებინა, რომ გარკვეული კლასის მშრომელებს განსხვავებული (და არა ყველასთვის საერთო) დღე ჰქონოდათ დასვენებისთვის. ამგვარად, პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას - აირჩიოს ესა თუ ის ტიპის სიამოვნების საშუალება, არანაირი გამართლება არ აქვს; ამ შეზღუდვების დამცველებს არაფერი არ რჩებათ, გარდა იმისა, რომ მიზეზად მოიყვანონ ის სიამოვნებები, რომლებსაც რელიგია გმობს, მაგრამ რელიგიური მოსაზრებებით კანონის მოტივირების მცდელობა მეტად ენერგიულ პროტესტს იმსახურებს. „Deorum Iujniae Diis Curae“. იმისათვის, რომ გაამართლო მსგავსი შეხედულება, უნდა დაამტკიცო, რომ საზოგადოებას ან მის წარმომადგენლებს ზეციდან აქვთ მიღებული დავალება: შური იძიონ ყოვლისშემძლე უფლის გამო, თუნდაც ეს შეურაცხყოფა ადამიანთაგან არავის აყენებდეს ზიანს. ადამიანური ურთიერთობების ამგვარი გაგება, თითქოს ადამიანები ვალდებულნი არიან, იზრუნონ ერთმანეთის რელიგიურობაზე, მთელი ისტორიის მანძილზე რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული ყველა დევნის საფუძველი სწორედ ამგვარი გაგება იყო და თუკი ჩვენ ამას მართებუ-ლად მივიჩნევთ, მაშინ სრულიად უნდა ვამართლებდეთ თავად დევნასაც. მართალია, ის გრძნობა, რომელიც თან ახლავს კვირაობით სარკინიგზო მოძრაობის შეწყვეტის, მუზეუმების დახურვისა და ა.შ. მუდმივად განმეორებად მცდელობებს, არაა ისეთი სასტიკი, როგორიც ძველი დროის რელიგიური დევნა იყო, მაგრამ რეალურად, ესაა დადასტურება იმავე გონებრივი მონაცემებისა, რომლის საფუძველზეც ადამიანები რელიგიურ დევნას ანხორციელებდნენ. ეს გრძნობა ადასტურებს ადამიანებში იმ სურვილის არსებობას, რომ უფლება არ დართოს სხვებს, აკეთონ ის, რასაც მას უკრძალავს თავისი რელიგია, თუნდაც იმ სხვათა რელიგიით ეს ქმედება დაშვებული იყოს. იგი ადასტურებს იმ რწმენის არსებობას, რომ ღმერთი არა მხოლოდ ურწმუნოთა არაკეთილგონივრული ქმედებების გამო განრისხდება, არამედ განრისხდება ჩვენზეც, თუ ჩვენ მათ მივცემთ ამ უმსგავსო ქმედებების ჩადენის საშუალებას.

არ შემიძლია არ მივუთითო კიდევ ერთ ფაქტზე, რომელიც ამტკიცებს, თუ რამდენად ნაკლები დაფასება აქვს ჩვენთან ადამიანის თავისუფლებას. კონკრეტულად კი დევნისკენ იმ აშკარა მოწოდებებს ვგულისხმობ, რომელსაც, როგორც წესი, ჩვენი პრესა გამოხატავს მაშინ, როგორც კი იგი საუბარს იწყებს მორმონიზმზე (3). ბევრი რამის თქმა შეიძლება ამ სრულიად მოულოდნელ და ჭკუის სასწავლებელ ფაქტზე. გაზეთების, რკინიგზისა და ელექტრონული ტელეგრაფის ხანაში შესაძლებელი გამოდგა ახალი გამოცხადებისა და მთელი რელიგიის შექმნაც კი, რომელიც ამ გამოცხადებაზეა დაფუძნებული. მიუხედავად სრულიად აშკარა ტყუილისა, მიუხედავად იმისა, რომ თავად გამოცხადების მაუწყებელი არანაირი უჩვეულო ნიჭის პატრონი არ იყო, ეს რელიგია ასეულ ათასობით ადამიანმა იწამა და იგი საფუძვლად დაედო ახალი საზოგადოების შექმნას. კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ამ რელიგიასაც, ისევე, როგორც სხვა საუკეთესო რელიგიებს, თავისი წამებულები ჰყავს.ის, რომ მისი დამაარსებელი და წინასწარმეტყველი მოკლეს თავისი სწავლებების გამო, რომ ბევრი მისი მიმდევარი დაიღუპა ძალადობრივი გზით სწორედ საკუთარი სარწმუნოების გამო, და ბოლოს, ის, რომ ყველა მორმონი განდევნეს იმ ქვეყნიდან, სადაც ის მოიგონეს. ბევრ ჩემს თანამემამულეს არ აკმაყოფილებს ის, რომ მორმონები იძულებული გახდნენ თავშესაფარი შორეულ უდაბნოში ეძებნათ. ისინი სრულიად აშკარად აცხადებენ, რომ კარგი იქნებოდა (თუმცა ცოტა მოუხერებელი) მათთან ექსპედიციის გაგზავნა, რათა აეძულებინათ მორმონები უარეყოთ თავიანთი რწმენა და დანარჩენი საზოგადოების შეხედულებები გაეზიარებინათ. მრავალცოლიანობა - მორმონების დოქტრინის ძირითადად ეს პუნქტი განაწყობს მისდამი ანტიპათიით ადამიანებს და ეს ანტიპათია ისეთი ძლიერია, რომ მასთან მიმართებით დავიწყებას ეძლევა რჯულთშემწყნარებლობის წესები. ჩვენ ვეგუებით მუსლიმანების, ინდუსების, ჩინელების მრავალცოლიანობას, მაგრამ არ შეგვიძლია შევეგუოთ იმ ადამიანების მრავალცოლიანობას, რომლებიც ინგლისურ ენაზე საუბრობენ და თავი ქრისტიანებად მიაჩნიათ. მე სხვებზე არანაკლებ ვგმობ მორმონების მრავალცოლიანობის პრინციპს და ვგმობ ბევრი მიზეზის გამო და, სხვათა შორის, იმ მიზეზითაც, რომ იგი არა თუ არ ემყარება თავისუფლების პრინციპს, არამედ პირიქით, პირდაპირ არღვევს მას. იგი კიდევ უფრო ამაგრებს იმ სანგრებს, რომლებშიც ჯერაც იმყოფება საზოგადოების ნახევარი და მეორე ნახევარს საერთოდ ათავისუფლებს პირველის მიმართ ვალდებულებებისგან. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მართალია, პოლიგამიურ ქორწინებაში ქალის მდგომარეობა ჩვენ ძალიან მძიმედ გვეჩვენება, მაგრამ მორმონებთან ქორწინებაში შესვლა, მიუხედავად პოლიგამიურობისა, ქალის მხრიდან ისეთივე თავისუფალი ნების გამოვლინებაა, როგორც ნებისმიერ სხვა ქორწინებითი ინსტიტუტის პირობებში. ერთი შეხედვით რამდენად გასაკვირადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, თუკი ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მთელ მსოფლიოში გავრცელებული იდეებისა და ჩვეულებების მიხედვით ქალს იმ შეგნებით ზრდიან, რომ ქორწინება მისთვის აუცილებელი რამაა, მაშინ ჩვენთვის გასაგები ხდება რომ არსებობს უამრავი ისეთი ქალი, რომლებსაც ურჩევნიათ, იყვნენ ერთ-ერთი ცოლი მრავალ ცოლს შორის, ვიდრე საერთოდ არ იყვნენ არავის ცოლი. მორმონები არანაირად არ ცდილობენ, ვინმეს მოახვიონ თავს თავიანთი ქორწინებითი ურთიერთობები და კანონები. მათდამი მტრულად განწყობილი ადამიანების შეხედულებების სასარგებლოდ მათ იმაზე მეტი დათმობები გააკეთეს, ვიდრე საერთოდ ვინმეს შეეძლო მათგან ამის მოთხოვნა. ისინი გაეცალნენ იმ ქვეყნებს, რომელთათვისაც მათი დოქტრინა მიუღებელი იყო და დასახლდნენ დედამიწის შორეულ კუთხეში, სადაც სწორედ ისინი გახდნენ პირველმოსახლეები. ყოველივე ამის შემდეგ, არსებობს კი რაიმე საშუალება იმისა, რომ ხელი შეუშალო მათ, იცხოვრონ იმ კანონებით, რომელიც მათ მოსწონთ, თუკი ისინი არავის არ ესხმიან თავს და არც თავის წევრებს უშლიან თემიდან გასვლას, როცა მათ ამის სურვილი გაუჩნდებათ? ჩვენი დროის ერთი მწერალი, რომელიც ბევრი დიდებული თვისების მატარებელია, ამ პოლიგამიური საზოგადოების (ასე უწოდებს იგი მათ) წინააღმდეგ არა ჯვაროსნული ლაშქრობის, არამედ ცივილიზაციის ლაშქრობის მოწყობას გვთავაზობს, რათა ბოლო მოეღოს იმას, რაც, მისი შეხედულებით, სრულიად შეგნებულად უშლის ხელს პროგრესს. მე ვეთანხმები იმას, რომ მორმონიზმი არის რეტროგრადული ნაბიჯი ცივილიზაციაში, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმას, თითქოს რომელიმე თემს ჰქონდეს იმის უფლება, რომ ძალადობრივი გზით შეიტანოს ცივილიზაცია მეორე თემში მაშინ, როდესაც თავად ისინი, რომლებიც ცუდი კანონებით იჩაგრებიან, არავისგან არ თხოულობენ დახმარებას; ასეთ შემთხვევაში მე ვერ დავუშვებ იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანებს, რომლებსაც ეს საერთოდ არ ეხებათ, ჰქონდეთ საგანთა არსებული წყობის შეცვლის მოთხოვნის უფლება, როცა ყველა, ვისაც ეს საგანთაწყობა ეხება კმაყოფილია; და

შეცვლა მოითხოვონ მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ეს წესრიგი მათ არცხვენს. ამასთან ერთად შევნიშნავთ, რომ ის ადამიანები, რომელთაც სურთ ამ უფლების გამოყენება, რამდენიმე ათასი კილომეტრით მოშორებით ცხოვრობენ იმ თემისგან, რომელთა წესრიგიც მათ არცხვენს. მათთვის არანაირად პირდაპირი ინტერესის სფეროს არ შეადგენს იმ თემში ამ თუ სხვა წესრიგის არსებობა. ბოლოს და ბოლოს, მათ არანაირი უშუალო შეხება ამ თემის წევრებთან არ აქვთ. მათ შეუძლიათ, თუკი ამის სურვილი აქვთ, გააგზავნონ იქ მისიონერები, რათა უქადაგონ მათი შემარცხვენელი დოქტრინის საპირისპიროდ, შეუძლიათ კანონიერი გზებით (მოწინააღმდეგე მხარის ძალადობრივი გზით გაჩუმება კანონიერ გზას არ მიეკუთვნება) შეუშალონ ხელი თავიანთი თემის წევრებში მსგავსი დოქტრინების გავრცელებას. ცივილიზაციამ აჯობა ბარბაროსობას, მაშინ, როდესაც ბარბაროსობა ბატონობდა მთელ მსოფლიოზე: შეიძლება კი ყოველივე ამის შემდეგ არსებობდეს რაიმე საფუძვლიანი შიში იმისა, რომ ბარბაროსობა ისევ აღდგება და დაიპყრობს ცივილიზაციას. იმისათვის, რომ ცივილიზაციას ნამდვილად ემუქრებოდეს მარცხი მისგან ერთხელ უკვე დამარცხებული მტრისგან, ის პირველ რიგში ჯერ ისე უნდა შესუსტდეს ზნეობრივად, რომ არც ერთ მის ქურუმს და ნაფიც მსაჯულს - და საერთოდ ყველას, ვინც კი მასთან რაიმე სახის კავშირშია, აღარ ჰქონდეს მისი დაცვის არც უნარი და არც სურვილი. თუ კი ჩვენი ცივილიზაცია მართლაც ასეთ მდგომარეობაშია, მაშინ, რაც უფრო სწრაფად მოკვდება ის, მით უკეთესი, მას ასეთ შემთხვევაში აღარაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ თავისი მძიმე მდგომარეობიდან კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში გადავიდეს, რათა უფრო სწრაფად დაემხოს ბოლოს და შემდგომში, დასავლეთის იმპერიის მსგავსად, ენერგიული ბარბაროსების დახმარებით ისევ აღდგეს.

შენიშვნები

1. ჩარლზ II (1630-1685) - ინგლისის მეფე 1660 წლიდან. სტიუარტების დინასტიის წარმომადგენელი;

2. ბომბეელი სპარსელები, რომლებიც კერპთაყვანისმცემელი სპარსელების შთამომავლები იყვნენ, ამ კუთხით ძალიან საინტერესო მაგალითს წარმოადგენენ. როდესაც ეს შრომისმოყვარე და გამრჯე ტომის წარმომადგენლები თავიანთი სამშობლოდან წამოვიდნენ ჯერ კიდევ ხალიფების პერიოდამდე და დასახლდნენ დასავლეთ ინდოეთში, ინდოელმა მმართველებმა მათ ნება დართეს, მშვიდად ეცხოვრათ თავიანთი სარწმუნოების მიხედვით, ოღონდ არ უნდა ეჭამათ საქონლის ხორცი. შემდეგში, როდესაც ეს ტერიტორიები მუსლიმანების ხელში აღმოჩნდა, ადგილობრივი სპარსელები კვლავაც სარგებლობდნენ უწინდელი რჯულთშემწყნარებლობით, ოღონდ ამჟამად ახალი შეზღუდვით: არ ეჭამათ ღორის ხორცი. ის, რაც თავიდან ხელისუფლების უბრალო ბრძანება იყო, შემდგომში მათთვის ბუნებრივ მოვლენად იქცა და სპარსელები დღემდე არ ჭამენ არც საქონლის და არც ღორის ხორცს; თუმცა რელიგია მათგან ამგვარ თავშეკავებას საერთოდ არ მოითხოვს, მაგრამ ეს მათ ჩვევად ექცათ. აღმოსავლეთში კი ჩვევაა სწორედ რელიგია.

3. მორმონიზმი - მორმონები, იგივე უკანასკნელი დღის წმინდანები. რელიგიური სექტის წევრები, რომელიც XIX საუკუნეში, აშშ-ში წარმოიქმნა.

ჯონ სტიუარტ მილი

ჭეშმარიტი და ყალბი დემოკრატია

უმრავლესობის წარმომადგენლობა და მთელი ხალხის წარმომადგენლობა

თავი VII

ჩვენ ვნახეთ, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიისთვის დამახასიათებელი საფრთხეები ორგვარია: ერთი საფრთხის მიზეზია ხალხის წარმომადგენლების და მათი მაკონტროლებელი საზოგადოებრივი აზრის არასაკმარისი მომზადება; მეორეს მიზეზი კი ერთი და იმავე კლასის წარმომადგენლებისგან შემდგარი რიცხობრივი უმრავლესობის ხელში საკანონმდებლო ხელისუფლების თავმოყრა; ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ რამდენად შესაძლებელია დემოკრატიული წყობილების იმგვარად მოწყობა, რომ დემოკრატიული მმართველობის უპირატესობებისათვის ზიანის მიყენების გარეშე თავიდან ავიცილოთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმალურად შევასუსტოთ ეს ორი სახის საფრთხე.

ჩვეულებრივ, ამის მიღწევას წარმომადგენლობითობის დემოკრატიული ხასიათის შესუსტებით, ანუ საარჩევნო უფლების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეზღუდვის გზით ცდილობენ. მაგრამ არსებობს წინასწარი მოსაზრება, რომელიც, კარგად თუ დავუკვირდებით, მნიშვნელოვნად ამცირებს ამგვარი შეზღუდვის აუცილებლობას. სრულ თანასწორობაზე დაფუძნებული დემოკრატია, რომელშიც მხოლოდ ერთი კლასი ფლობს რიცხობრივ უპირატესობას, ვერ იქნება თავისუფალი ზოგიერთი ნაკლოვანებისგან ისეთ ქვეყანაში, სადაც რიცხობრივად ესა თუ ის კლასია უმრავლესობაში. ამ ნაკლოვანებებს მნიშვნელოვნად ზრდის ის გარემოება, რომ ასეთი ტიპის თანასწორობა დღეს არსებულ დემოკრატიებში არ არსებობს. პირიქით, იქ ვხვდებით სისტემატურ უთანასწორობას მმართველი კლასის სასარგებლოდ. დემოკრატიის სახელის ქვეშ, ჩვეულებრივ, ორი სხვადასხვა ცნების აღრევა ხდება ხოლმე. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიაზე მისი პირდაპირი მნიშვნელობით, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ხალხი თავად მართავს საკუთარ თავს სრული თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე. დემოკრატია, როგორც ის ჩვეულებრივ გაიგება და დღემდეც მოქმედებს, წარმოადგენს განსაკუთრებული უფლებებით ხალხის მნიშვნელოვანი უმრავლესობის მმართველობას.

პირველ შემთხვევაში სიტყვა „დემოკრატია“ ყველა მოქალაქის თანასწორობის სინონიმია. მეორეში, ცნებების უცნაური აღრევის შედეგად, იგი აღნიშნავს რიცხობრივი უმრავლესობის მმართველობას, რომელიც პრაქტიკულად ერთადერთი ფლობს სახელმწიფოში ძალაუფლებას. ესაა თანამედროვე საარჩევნო სისტემის გარდაუვალი შედეგი, რომელსაც უმცირესობის სრულ უუფლებობამდე მივყავართ.

აქ სრულიად აღრეულია ცნებები. მაგრამ მათი გახსნა ისეთი ადვილია, რომ სულ

მცირე ახსნაც კი საკმარისია, რათა არასპეციალისტისთვისაც კი ყველაფერი ნათელი გახდეს. რეალურად, უნდა გავითვალისწინოთ ჩვეულების ძალა. სულ უმარტივესი იდეაც კი, თუკი ის ჩვენთვის უჩვეულოა, ისევე ძნელად შეითვისება, როგორც ბევრად უფრო რთული რამ. ის, რომ უმცირესობამ უნდა დაუთმოს უმრავლესობას, ცოტამ - ბევრს, ეს აზრი ჩვენთვის ჩვეულებრივია და ადამიანები თვლიან, რომ საჭირო აღარაა საკითხში კიდევ უფრო ჩაღრმავება. მათ აზრადაც კი არ მოსდით, რომ უმცირესობისათვის უმრავლესობის მსგავსი ძალაუფლების მინიჭებასა და უმცირესობის სრულ უუფლებობას შორის არსებობს შუალედი.

წარმომადგენლობით კრებაში განსახილველად გამოტანილ ყველა გადამწყვეტ საკითხში უმცირესობა აუცილებლად მარცხდება. თანასწორობაზე დამყარებულ დემოკრატიაში ამომრჩეველთა შეხედულებები, თუ ისინი დაჟინებით მოითხოვენ მათ შესრულებას, წარმომადგენლობითი ორგანოსთვის სავალდებულო ხდება. ხალხის უმრავლეობა თავის წარმომადგენლების მეშვეობით ყოველთვის მოიპოვებს ხმათა უმრავლესობას და, შესაბამისად, აჯობებს უმცირესობასაც და მის წარმომადგენლებსაც. მაგრამ გამომდინარეობს კი აქედან, რომ უმცირესობას საერთოდ არ უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი? უმრავლესობას უნდა ჰქონდეს ყველა ხმა, უმცირესობას კი არც ერთი - მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობა რიცხობრივად სჯობნის უმცირესობას? იქნებ ჯობია, რომ უმცირესობას საერთოდ არც კი უსმენდნენ? მხოლოდ ჩვეულებამ და იდეის მოძველებულმა ასოციაციამ შეიძლება აიძულოს გონიერი არსება, შეეგუოს მეტისმეტ უსამართლობას. ჭეშმარიტად თანასწორობაზე დაფუძნებულ დემოკრატიაში ნებისმიერი პარტია წარმოდგენილი უნდა იყოს წევრთა არა მეტისმეტად დიდი რაოდენობით, არამედ ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად. ამომრჩეველთა უმრავლესობას ყოველთვის უნდა ჰყავდეს წარმომადგენელთა უმრავლესობა. მაგრამ წარმომადგენელთა უმცირესობასაც ყოველთვის უნდა ჰყავდეს წარმომადგენელთა უმცირესობა. თავისი რაოდენობიდან გამომდინარე, უმცირესობაც ისევე სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც — უმრავლესობა. მანამ, სანამ ეს პრინციპი არ განხორციელდება, ადგილი ექნება არა მმართველობაში თანასწორუფლებიანობას, არამედ არათანასწორუფლებიანობასა და განსაკუთრებულ უფლებას, როცა მოსახლეობის ერთი ნაწილი მართავს მეორეს. მოსახლეობის ერთი ნაწილი, ყოველგვარი სამართლიანი მმართველობისა და, განსაკუთრებით, დემოკრატიის პრინციპის საწინააღმდეგოდ (რომლის საფუძველი თანასწორობაა) მოკლებულია კანონით მინიჭებულ მის წილ ზეგავლენას წარმომადგენლობაში.

უსამართლობა და პრინციპების დარღვევა არანაკლებ საშიშია, როცა მისგან უმცირესობა იჩაგრება, რადგან არ არსებობს სამართლიანი ხმის მიცემა იქ, სადაც თითოეული ცალკეული ადამიანი ისეთივე დოზით არ მიიღება მხედველობაში, რამდენადაც ნებისმიერი სხვა ცალკეული ადამიანი - საზოგადოებაში. მაგრამ იჩაგრება არა მხოლოდ უმცირესობა. ამგვარად მოწყობილი დემოკრატია ვერ აღწევს ვერც თავის პირდაპირ მიზანს - ყოველთვის რიცხობრივ უმრავლესობას მიანიჭოს ხელისუფლების უფლებამოსილებები. იგი სრულიად სხვა რამეს აკეთებს: ამ უფლებამოსილებებს უმრავლესობის უმრავლესობას ანიჭებს, რომელიც შეიძლება და ხშირად ასეც ხდება, რომ მთელი ხალხის უმცირესობას წარმოადგენს. ნებისმიერი პრინციპი ყველაზე უკეთ მაშინ გამოიცდება, როცა იგი უკიდურესობამდეა მიყვანილი. წარმოვიდგინოთ, რომ ქყვეყანაში, რომელშიც თანასწორი და საყოველთაო ხმის მიცემის პრინციპი მოქმედებს, ყველა საარჩევნო უბანში კონკურენცია ძალიან

დიდია და რომ არჩევნებში რომელიმე ძალა მხოლოდ მცირე უმრავლესობით იმარჯვებს. ამგვარი გზით შედგენილი პარლამენტი ასახავს ხალხის უბრალო უმრავლესობაზე ოდნავ მეტს. ეს პარლამენტი იწყებს კანონმდებლობას და იღებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს თავისი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით. შეიძლება კი იმაზე თავის დადება, რომ ეს ღონისძიებები შეესაბამება ხალხის უმრავლესობის სურვილებს? ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი, რომლებმაც არჩევნებზე მარცხი იწვნიეს, თითქმის ვერანაირ ზემოქმდებას ვერ ახდენენ არჩევნების შედეგებზე. ეს ნახევარი ან, შესაძლოა, მისი უმრავლესობა მაინც, მტრულადაა განწყობილი ამ ღონისძიებებისადმი იმიტომ, რომ მათ ხმა იმ ადამიანების წინააღმდეგ მისცეს, ვინც ეს ღონისძიებები გაატარა. დანარჩენი ამომრჩევლებისგან დაახლოებით ნახევარმა აირჩია წარმომადგენელები, რომლებმაც, შეიძლება ვივარაუდოთ, მიღებული გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ მისცეს ხმა. ამიტომ სრულიად შესაძლებელია და, ალბათ, ასეცაა, რომ ის მოსაზრება, რომელმაც საკანონმდებლო ორგანოში ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა, რეალურად მხოლოდ მოსახლეობის უმცირესობისთვის არის მისაღები. თუკი დემოკრატიაში ვიგულისხმებთ უმრავლესობის ძალაუფლებას, მაშინ არ არსებობს მისი უზრუნველყოფის სხვა გზა, თუ არა დაშვება იმისა, რომ თითოეული ცალკეული ამომრჩევლის ხმა საბოლოო ჯამში ასახვას უნდა ჰპოვებდეს შედეგზე. თამაშს მიღმა დარჩენილ ნებისმიერ უმცირესობას წინასწარგანზრახულად ან საარჩევნო მექანიზმის გაუმართაობის გამო ხელისუფლებაში მოჰყავს არა უმრავლესობა, არამედ ასევე უმცირესობა, ოღონდ სხვა გამოთვლით კატეგორიაში.

ამ მსჯელობისას მხოლოდ იმით შეუძლიათ შემეკამათონ, რომ იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა ადგილში სხვადასხვა შეხედულება სჭარბობს, შესაძლებელია შეხედულება, რომელსაც გარკვეულ ადგილებში უმცირესობა იზიარებს, სხვა ადგილებში უმრავლესობას ფლობდეს. საერთო ჯამში კი ყოველი შეხედულება, რომელსაც ჰყავს მომხრეები საარჩევნო ოლქებში, ხმათა შესაბამისი რაოდენობით აისახება წარმომადგენლობით ორგანოში. დღევანდელ პირობებში ამგვარი მიდგომა საერთო ჯამში სწორია. წინააღმდეგ შემთხვევაში თემთა პალატასა და ქვეყნის მოსახლეობაში არსებულ საერთო განწყობილებას შორის შეუსაბამობა უფრო თვალშისაცემი გახდებოდა. მაგრამ მსგავსი მიდგომა უკვე აღარაა გამართლებული, თუ საარჩევნო უფლება მნიშვნელოვნად გაფართოვებულია და მითუმეტეს, თუ ის მთელ მოსახლეობაზე ვრცელდება. ასეთ შემთხვევაში უმრავლესობას ყველგან მუშები შეადგენენ და თუკი წარმოდგება რაიმე სახის საკითხი, რომლის თაობაზეც მათი მოსაზრება მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის მოსაზრებისგან განსხვავებული იქნება, მაშინ ვერც ერთი სხვა კლასი ვერ შეძლებს რომელიმე დონეზე თავისი წარმომადგენლის გაყვანას. ახლაც კი, განა ეს დიდი ბოროტება არაა, რომ ყველა სახის პარლამენტში ამომრჩევლის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც სურს ჰყავდეს წარმომადგენელი, ვერ გაჰყავს ვერც ერთი კანდიდატი? სამართლიანია განა, რომ მარიელბონის ყოველ ამომრჩეველს თავის წარმომადგენლად უნდა ჰყავდეს ეკლესიის მრევლის მიერ დანიშნული ორი პირი, ხოლო ფინსბიურისა და ლამბეტის ყოველ ამომრჩეველს (და ამაში ყველა დარწმუნებულია) - მიკიტნების მიერ დანიშნული წარმომადგენლები? საარჩევნო ოლქებს, რომლებსაც მიეკუთვნება ყველაზე ნიჭიერ და განვითარებულ პიროვნებათა უმრავლესობა, კონკრეტულად კი დიდ ქალაქებს, ამჟამად თითქმის საერთოდ არ ან ძალიან მცირე რაოდენობის წარმომადგენლები ჰყავთ. ხოლო იმ ამომრჩევლებს, რომლებიც არ ეთანხმებიან ადგილობრივი უმრავლესობის პარტიულ პოლიტიკას, საერთოდ არ ჰყავთ წარმომადგენლები.

ბოლო ადგილზე გასული პარტიის მომხრეებისგან კი მნიშვნელოვან ნაწილს არადამაკმაყოფილებელი წარმომადგენლობა აქვს, რადგან ისინი ვალდებულნი არიან, მიიღონ ის კანდიდატები, რომლებმაც მათ პოლიტიკურ პარტიაში ხმათა უმრავლესობა მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხედულებები შეიძლება ყველა სხვა საკითხში განსხვავებული იყოს. ამგვარი მდგომარეობა გარკვეულწილად უფრო ცუდიც კია, ვიდრე ის, რომ უმცირესობა საერთოდ არ სარგებლობდეს ხმის უფლებით. მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, უმრავლესობას შეეძლებოდა ჰყოლოდა წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავდა მის შეხედულებებს. ამ დროს კი იმისათვის, რომ პარტია არ გაიხლიჩოს და ამით მოწინააღმდეგის მხარე არ გაძლიერდეს, თითოეული იძულებულია საკუთარი ხმა მისცეს თავისი პარტიის სიით გასულ პირველივე შემხვედრს, ან ადგილობრივი ლიდერების მიერ წამოყენებულ კანდიდატებს. ამ უკანასკნელებმა - რომც დაუშვან, რომ მათ არჩევანზე არანაირი პირადი მოსაზრებები არ ახდენენ ზეგავლენას - უნდა მოახდინონ მთელი თავიანთი ძალების მობილიზება, წამოაყენონ კანდიდატი, რომლის საწინააღმდეგოდაც არავის არ ექნება სერიოზული არგუმენტები - ანუ ადამიანი ყოველგვარი განსაკუთრებული თვისებებისა და ამომრჩევლისთვის ნაცნობი ღირებულებების გარეშე, ადამიანი, რომლის ზურგს უკან, პარტიის ლოზუნგის გარდა, არაფერი დგას. ამ მხრივ, გასაოცარ მაგალითს წარმოადგენს შეერთებული შტატები. იქ საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველაზე ძლიერი პარტია ვერ ბედავს, წამოაყენოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების კანდიდატურები იმიტომ, რომ თითოეული ასეთი ადამიანი დიდი ხნის მანძილზე საზოგადოების წინაშე მოღვაწეობდა და მოახერხა თავის საწინააღმდეგოდ პარტიის ამა თუ იმ ნაწილის ამხედრება და, შესაბამისად, იმისათვის, რომ მოაგროვოს ხმათა მაქსიმალური რაოდენობა, ასეთი ადამიანი უფრო ნაკლებ გამოსადეგი ხდება, ვიდრე ის კანდიდატი, რომლის შესახებაც აქამდე საზოგადოებას არაფერი სმენოდა. ამგვარად, ყველაზე ძლიერი პარტიის მიერ არჩეული ადამიანიც კი, შესაძლოა, წარმოადგენდეს მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანების სურვილებს; ხოლო ეს მცირე რაოდენობა კი სწორედ ის რაოდენობაა, რომლითაც ერთი პარტია ამარცხებს მეორე პარტიას. ამომრჩეველთა თითოეულ ჯგუფს, რომელთა მხარდაჭერაც აუცილებელია წარმატების მისაღწევად, შეუძლია თავისი ვეტო დაადოს კანდიდატს. ყველაზე მიზანდასახულ ამომრჩეველთა ჯგუფს შეუძლია აიძულოს ყველა სხვა დანარჩენ ამომრჩეველს თავისი კანდიდატის არჩევა; საუბედუროდ, ასეთი სიჯიუტე იმ ადამიანებში უფრო ხშირად გვხვდება, ვინც თავის კერძო ინტერესებს იცავს, ვიდრე იმათში, რომლებიც საერთო კეთილდღეობისთვის იღვწიან.

ზოგადად რომ ვთქვათ, უმრავლესობის არჩევას განაპირობებს მისი ის ნაწილი, რომელიც შედგება უფრო მორცხვი, შეზღუდული მონაცემებისა და ცრურწმენებით სავსე ადამიანებისგან, ან მათგან, ვინც ყველაზე ჯიუტად იცავს თავის კლასობრივ ინტერესებს. უმცირესობის საარჩევნო უფლება კი, რომელიც თავად მისთვისაა სრულიად უსარგებლო, უმრავლესობას მხოლოდ იმისკენ უბიძგებს, რომ აირჩიოს კანდიდატი თავისი ყველაზე სუსტი და ცუდი წევრებისგან.

გასაკვირი არაა, რომ ბევრი, აღიარებს რა ამ ბოროტებას, მას მაინც თავისუფალი მმართველობის სანაცვლოდ გადასახდელ გარდაუვალ ხარკად მიიჩნევს. ამგვარ შეხედულებას იზიარებდნენ თავისუფლების მომხრეები სულ უკანასკნელ დრომდე. მაგრამ ამ ბოროტების გამოუსწორებელ ბოროტებად ჩათვლის ჩვევამ იმდენად გაიდგა ფესვი, რომ ბევრმა, როგორც ჩანს, იმის უნარიც კი დაკარგა, რომ ამ ფაქტს

უყურონ ისე, როგორც რაღაც უარყოფითს, რომლის ამოძირკვის სურვილიც მათ, შესაძლებლობის შემთხვევაში, ექნებოდათ. ავადმყოფობის განკურნებადად აღიარებიდან მის უარყოფამდე ხშირად მხოლოდ ერთი ნაბიჯია; ხოლო შემდეგ კი ყველა შემოთავაზებული საშუალებისადმი მტრული განწყობილება წარმოიშობა; თითქოს ის, ვინც ამას გვთავაზობს, ხელს კი არ უწყობს ბოროტების ამოძირკვას, არამედ თავად ქმნის მას. მას ისე ეჩვევიან, რომ უგუნურობად ან უსამართლობად მიაჩნიათ მასზე წუწუნი. თუმცა, მიუხედავად იმისა, შეიძლება თუ არა მისი მოშორება, თავისუფლების განსაკუთრებულად ბრმა მომხრე უნდა იყო, რომ ის ტვირთად არ გაწვეს და არ გაგიხარდეს მისი მოშორების შესაძლებლობა. არანაირ ეჭვს არ იწვევს ის, რომ უმცირესობის მოშორება სულაც არ წარმოადგენს თავისუფლების არც ბუნებრივ და არც გარდაუვალ შედეგს. პირიქით, ის ძირეულად ეწინააღმდეგება დემოკრატიის მთავარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობა უნდა იყოს ამომრჩეველთა რიცხვის პროპორციული. დემოკრატიის დღევანდელ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ყოველი სახის უმცირესობას შესაბამისი წარმომადგენლობა ჰყავდეს. ამის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ჭეშმარიტი დემოკრატია. მის ნაცვლად ჩვენ მივიღებთ დემოკრატიის მხოლოდ ტყუილ ნიშანს.

ის ადამიანები, რომლებმაც როგორღაც მაინც შეიგრძნეს და ირწმუნეს ეს მოსაზრებები, ამ ბოროტების მეტ-ნაკლებად შემცირების მიზნით სხვადასხვა საშუალებას გვთავაზობდნენ. ლორდმა ჯონ როსელმა ერთ-ერთ თავის ბილში შეიტანა მუხლი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ საარჩევნო ოლქს უნდა აერჩია სამი წევრი, თუმცა ყოველ ამომრჩეველს მხოლოდ ორი კანდიდატისთვის ჰქონდა ხმის მიცემის უფლება. დიზრაელიმ საპარლამენტო დებატების დროს ამ ფაქტის გამო უკმაყოფილება, ალბათ, იმ მოსაზრების გამო გამოთქვა, რომ კონსერვატორი სახელმწიფო მოღვაწე საშუალებების შესახებ უნდა მსჯელობდეს და რომ ის არ უნდა თანაუგრძნობდეს იმ ადამიანებს, ვინც მიზნებზე ფიქრობს. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით კი ყოველ ამომრჩეველს ხმა უნდა მიეცა მხოლოდ ერთი კანდიდატისთვის. ორივე პროექტის მიხედვით უმცირესობას, რომელიც რაოდენობრივად ტოლია ან უსწრებს ადგილობრივი ამომრჩევლის მესამედს, ექნებოდა (უფრო მეტისთვის რომ არ იბრძოდეს) სამიდან ერთი კანდიდატის არჩევის შესაძლებლობა. ამგვარი შედეგის მიღწევის ალბათობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა თუ, როგორც სერ ჯეიმს ჰარტ მარშალი თავის საინტერესო ბროშურაში ვარაუდობდა, ამომრჩეველი შეინარჩუნებდა თავის სამივე ხმას, მაგრამ შეეძლებოდა ხმა მხოლოდ ერთი კანდიდატისთვის მიეცა. მართალია, ეს ყველაფერი სულ არარაობას კი სჯობია, მაგრამ ამგვარი მეთოდებით მიზნის მიღწევა სრულად ვერ ხერხდება, რადგანაც ყველანაირი ადგილობრივი უმცირესობა, რომელიც ვერ იღებს ამომრჩეველთა ხმების მესამედს, ისევე, როგორც ნებისმიერი, თუნდაც მრავალრიცხოვანი უმცირესობა, საერთოდ წარმომადგენლის გარეშე რჩება.

ძალიან სამწუხაროა, რომ არც ერთი ეს პროექტი არ იქნა სისრულეში მოყვანილი; ვერ მიიღეს ის სწორი პრინციპი, რაც შემდგომში პრობლემის უფრო სრულყოფილად მოგვარების საშუალებას მოგვცემდა.

წარმომადგენლობითობის პრობლემის სრულყოფის ამგვარი ხარისხი მიუწვდომელი ჩანდა მანამ, სანამ ბოლოს და ბოლოს არ გამოჩნდა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, ფართო დიაპაზონის მოაზროვნე და ამასთანავე პრაქტიკული ჭკუის ადამიანი - თომას ჰერი. მან, შეადგინა რა გეგმა და მისცა მას საპარლამენტო

კანონპროექტის ფორმა, დაამტკიცა ამ ამოცანის განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა. ეს სერიოზული დამსახურება იყო, რადგანაც მასში მმართველობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პრინციპი თითქმის იდეალურ სრულყოფილებას აღწევს, როგორც თავის კონკრეტულ, ასევე ზოგიერთ სხვა, თითქმის ასევე მნიშვნელოვან მიზანთან მიმართებით.

ამ გეგმის მიხედვით საარჩევნო ერთეული ანუ ამომრჩეველთა ის რაოდენობა, რომელსაც უფლება აქვს ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი დგინდება საშუალო არითმეტიკულის გამოყვანის სრულიად ჩვეულებრივი მეთოდით, ანუ ხმის უფლების მქონე ადამიანთა რაოდენობა იყოფა წარმომადგენელთა პალატაში არსებულ ადგილთა რაოდენობაზე და ყოველი კანდიდატი, რომელიც ამ რაოდენობის ხმას მიიღებს, ხდება წარმომადგენელი. ხმის მიცემა, ისევე, როგორც ამჟამად მოქმედ სისტემაში, საარჩევნო ოლქების მიხედვით ხდება. მაგრამ ყველა ამომრჩეველს უფლება აქვს, ხმა მისცეს ნებისმიერ კანდიდატს, სულ ერთია, სადაც არ უნდა წარადგენდეს იგი თავის კანდიდატურას. ამიტომ იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც არ სურთ, თავიანთ წარმომადგენლად ჰყავდეთ ვინმე ადგილობრივი კანდიდატი, შეუძლიათ ხმა მისცენ იმ კანდიდატს, რომელიც სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ამ მეთოდით, ფაქტობრივად, უმცირესობა შეძლებს თავის საარჩევნო უფლების გამოყენებას, რისი განხორციელებაც მისთვის სხვა საარჩევნო სისტემის პირობებში თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც ხმა არ მისცეს ადგილობრივ კანდიდატს, არამედ მათაც, რომლებმაც ხმა მისცეს, მაგრამ დამარცხდნენ, შეუძლიათ სხვა ადგილზე მიაღწიონ წარმომადგენლობას, რაც მათ, რატომღაც, თავიანთ საარჩევნო ოლქში ვერ შეძლეს. ამიტომ პროექტში გათვალისწინებულია, რომ ამომრჩეველს შეუძლია საარჩევნო სიაში შემოხაზოს არა მარტო ის კანდიდატი, ვისაც ის უპირატესობას ანიჭებს, არამედ - სხვა კანდიდატების გვარებიც. მისი ბიულეტენი მხოლოდ ერთ კანდიდატს ეთვლება. მაგრამ თუკი ეს ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმების სათანადო რაოდენობას, მაშინ ბიულეტენი სიაში შემოხაზულ მომდევნო კანდიდატს ჩაეთვლება.

ამომრჩეველს შეუძლია სია იმგვარი თანმიმდევრობით შეადგინოს, რომ, თუკი სიის თავში მდგარი კანდიდატები ვერ მიიღებენ ხმათა სათანადო რაოდენობას, ან ამ რაოდენობას მოცემული ამომრჩევლის ხმის გარეშეც დააგროვებენ, მაშინ მისი ხმა შეიძლება იმ კანდიდატს ჩაეთვალოს, რომელსაც მოცემული ამომრჩეველი უჭერს მხარს. დეპუტატების სრული შემადგენლობის მიღების მიზნით და აგრეთვე იმისთვის, რომ ხელი შევუშალოთ ყველაზე პოპულარულ კანდიდატებს ამომრჩევლის ხმათა უდიდესი ნაწილის დაგროვებაში, აუცილებელია, კანდიდატს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხმას აგროვებს ის, არ ჩაეთვალოს ხმათა იმ რაოდენობაზე მეტი, ვიდრე ეს მას სჭირდება თემთა პალატაში მოხვედრისთვის. ხოლო დანარჩენი ამომრჩევლის ხმები კი სიაში იმ მომდევნო კანდიდატს მიენიჭება, რომელსაც ეს ხმები სჭირდება და შესაძლოა ამ ხმებმა მას ხმათა საჭირო რაოდენობა მოაპოვებინოს. იმისათვის, რომ მოგვარდეს პრობლემა - კანდიდატის მიერ მიღებული თუ რომელი ხმები ჩაეთვალოს მას და რომელი სხვებს - პროექტში მოცემულია რამდენიმე სისტემა, რომელსაც ჩვენ ახლა აქ არ შევეხებით. თავისთავად იგულისხმება, რომ კანდიდატი ინარჩუნებს ყველა იმ ამომრჩევლის ხმას, რომლებსაც არ სურთ ჰყავდეთ სხვა წარმომადგენელი, ხოლო დანარჩენი ხმების გადანაწილების დამაკმაყოფილებელ ვერსიად აღიქმება წილისყრა.

ბიულეტენი იგზავნება ცენტრალურ ბიუროში, სადაც ხმებს ითვლიან. განისაზღვრება პირველ, მეორე, მესამე და დანარჩენ ადგილებზე გასული კანდიდატებისთვის მიცემული ხმების რაოდენობა და ყოველ კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ ნორმას, მიეთვლება ხმათა საჭირო რაოდენობა. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ პალატაში ყველა ადგილი არ შეივსება. ამასთან, პირველი ხმები მიეწერება მეორეს, მეორე - მესამეს და ასე შემდეგ. საარჩევნო ბიულეტენი და მთელი ეს რაოდენობრივი მონაცემები შესანახად იგზავნება ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომ ადგილას; თუკი კანდიდატს, რომელმაც მიიღო ხმათა სათანადო რაოდენობა, ვერ აირჩევენ, მისთვის ადვილი გახდება საკუთარი უფლებების დაცვა.

ასეთია პროექტის ძირითადი მახასიათებლები. მას, ვისაც სურს, უფრო დაწვრილებით გაეცნოს ამ მეტისმეტად მარტივ საარჩევნო სისტემას, მე მივუთითებდი ჰერის ნაშრომს „გამოკვლევა წარმომადგენელთა არჩევის შესახებ“ (Hare, ,,Treates on the Elections of Representatives”) და ჰ. ფოსეტის ბროშურას სათაურით „გამარტივებული და ახსნილი ჰერის რეფორმის ბილი“ (Mr. Hares Reform Bill Simpflified and Explained). ეს უკანასკნელი ნაშრომი წარმოადგენს ჰერის გეგმის შეკვეცილ და მეტად ნათელ გადმოცემას. მასში არის გარკვეული ორიგინალური დეტალები, რაც, თავისთავად, ყურადღებას კი იმსახურებს, მაგრამ ჰერის გეგმას სიმარტივეს ართმევს და პრაქტიკული თვალსაზრისითაც ნაკლებად განხორციელებადია. გავკადნიერდები და გავაკეთებ პროგნოზს, რომ, რაც უფრო მეტად შეისწავლება ეს ნაშრომები, მით უფრო ნათელი გახდება ამ გეგმის განხორციელების შესაძლებლობა და მისი ურიცხვი უპირატესობა. ეს უპირატესობები კი იმდენი და ისეთი მნიშვნელოვანია, რომ, ჩემი რწმენით, ისინი ჰერის გეგმას იმ უდიდეს წარმატებათა რიგში აყენებენ, რისთვისაც კი კაცობრიობას სახელმწიფო მმართველობის თეორიასა და პრაქტიკაში ოდესმე მიუღწევია.

უპირველეს ყოვლისა, იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ ორი დიდი პარტიის და შესაძლოა კიდევ რამდენიმე გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლობას გარკვეულ ადგილებზე, არამედ ყველა საარჩევნო ერთეულის წარმომადგენლობას მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. მთელი ქვეყნის მასშტაბით ყოველ უმცირესობას, რომელიც მოქალაქეთა საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას მოიცავს, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებით ეყოლება წარმომადგენელი. მეორე მხრივ, არც ერთი ამომრჩეველი არ იქნება ნომინალურად წარმოდგენილი (ისე, როგორც ეს ახლა ხდება) იმ დეპუტატით, რომელიც მას არ აურჩევია. პალატის ყოველი წევრი იქნება ამომრჩეველთა ერთსულოვანი ჯგუფის წარმომადგენელი. ის იქნება ერთი, ორი, ხუთი თუ ათი ამომრჩევლის წარმომადგენელი, დადგენილი ნორმიდან გამომდინარე და ყოველი ამომრჩეველი ხმას მისცემს მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილ ნებისმიერ კანდიდატს და არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე არსებულ ორ თუ სამ სრულიად უვარგის კანდიდატს შორის გააკეთებს არჩევანს. ასეთ შემთხვევაში ამომრჩევლსა და წარმომადგენელს შორის კავშირს ისეთი ძალა და მნიშვნელობა ექნება, რომელზეც ჩვენ ამჟამინდელი ჩვენი გამოცდილების მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ. თითოეული ამომრჩეველი საკუთარ თავს წარმომადგენელთან სოლიდარულად მიიჩნევს. მას ამომრჩეველი ხმას მისცემს ან იმიტომ, რომ კანდიდატთა მთელი სიიდან ის საუკეთესოდ წარმოადგენს მის შეხედულებებს, ან იმის გამო, რომ მისი ხასიათი და ნიჭი ყველაზე მეტ ნდობას იწვევს ამომრჩეველში და, შესაბამისად, ამომრჩეველი ყველაზე მეტად სწორედ მას

ანდობს საკუთარი ინტერესების გამოხატვას. დეპუტატი წარმოადგენს ადამიანებს და არა მხოლოდ ქალაქის აგურებსა და კედლებს; თავად ამომრჩევლებს და არა მხოლოდ რამდენიმე სასულიერო მოღვაწეს ან ადგილობრივ დიდებულებს. თუმცა ყველაფერი რისი შენარჩუნებაც შეიძლება ზოგიერთი საარჩევნო ოლქის წარმომადგენლობაში, შენარჩუნდება. ამასთანავე ეროვნული პარლამენტი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს წმინდა წყლის ადგილობრივ საქმეებში; მაგრამ იმდენად, რამდენადაც მაინც უწევს მასთან შეხება, მას უნდა ჰყავდეს ისეთი წევრები, რომლებიც დაიცავენ თითოეული ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ტერიტორიული ერთეულის ინტერესებს. ყოველ რეგიონში, სადაც იმაზე მეტი ხმა გროვდება, ვიდრე ეს ერთი წევრის არჩევისთვისაა საჭირო, (მგონი არ მოინახება არც ერთი საარჩევნო კოლეგია, სადაც ეს ასე არ ხდებოდეს), უმრავლესობას, როგორც წესი, საკუთარ წარმომადგენლად სურს, იყოს ვინმე თავისიანი - ანუ პირი, რომელმაც იცის და ესმის ადგილობრივი პრობლემები და მუდმივად იქ ცხოვრობს და ეს მაშინ, როდესაც კანდიდატებს შორის შესაძლოა ისეთი წარმომადგენლის მოძებნა, რომელიც სხვა მიმართულებითაც დააკმაყოფილებდა საარჩევნო პირობებს. მხოლოდ უმცირესობა, რომელსაც არ შეუძლია აირჩიოს ადგილობრივი კანდიდატი, დაიწყებს სხვაგან ისეთი კანდიდატის ძებნას, რომელსაც შანსი აქვს სხვების ხმებიც თავის სასარგებლოდ მიიწეროს.

ყველა სხვა შესაძლო საარჩევნო სისტემას შორის მხოლოდ ეს სისტემა წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ არჩეული წარმომადგენელი მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი გონებრივი შესაძლებლობების პატრონი იქნება. თანამედროვე პირობებში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადამიანებს მხოლოდ გამორჩეული ნიჭისა და მტკიცე ხასიათის ხარჯზე სულ უფრო და უფრო უჭირთ თემთა პალატაში ადგილის მოპოვება. არჩევნებში გამარჯვებას შეიძლება მიაღწიონ მხოლოდ იმ კანდიდატებმა, რომლებსაც ან ადგილობრივ დონეზე აქვთ გავლენა, ან გზას იკაფავენ მოსყიდვით, ან კი იმ კანდიდატებმა, რომლებიც ადგილობრივი სამი-ოთხი მეწარმის ან ადვოკატის მოწვევით იგზავნებიან ლონდონის რომელიმე ორი ძირითადი დიდი პარტიიდან, როგორც ადამიანები, რომელთა ხმების იმედი პარტიას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს. ჰერის სისტემის მიხედვით ამომრჩეველი, რომელსაც არ მოსწონს ადგილობრივი კანდიდატები, თავის საარჩევნო ბიულეტენს შეავსებს ისეთი ადამიანების სახელებით, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით არიან ცნობილნი და რომელთა ზოგადი პოლიტიკური პრინციპებიც მისთვის მისაღებია. ამგვარად, ყველა კანდიდატს, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო პატივსაცემი და ცნობილი სახეა, თუნდაც ის ადგილობრივ დონეზე არ იყოს გავლენიანი პირი და არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეფიცებოდეს ერთგულებას, მაინც ექნება რეალური შანსები იმისა, რომ შეაგროვოს ხმათა საჭირო რაოდენობა. მსგავსი ხელშეწყობის პირობებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი ცნობილი ადამიანების რიცხვი საარჩევნო სიებში გაიზრდება. ასეულობით ნიჭიერ და დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანს არ აქვს არანაირი შანსი იმისა, რომ რომელიმე საარჩევნო კოლეგიამ უმრავლესობით აირჩიოს, მიუხედავად იმისა, რომ მათ საზოგადოებრივი საქმიანობის რომელიმე სფეროში უკვე მოიპოვეს აღიარება თავიანთი ნაწარმოებებით ან ნაშრომებით და სამეფოს თითქმის ყველა კუთხეში დაიმსახურეს გარკვეული რაოდენობის ადამიანების მოწონება. თუკი მათ ნებისმიერ საარჩევნო ოლქში მიცემული ყოველი ხმა ჩაეთვლებათ, მაშინ ისინი უდავოდ მიიღებენ ხმათა საჭირო რაოდენობას. ამ შემთხვევაში ჩვენ მთელი თავდაჯერებულობით შეგვეძლებოდა გვეთქვა, რომ პარლამენტი იქნებოდა ქვეყნის საუკეთესო ნაწილის მოქალაქეებით დაკომპლექტებული

ორგანო.

მაგრამ ამ საარჩევნო სისტემაში მხოლოდ უმცირესობის ხმების ხარჯზე ვერ მოხდება თემთა პალატის დონის ამაღლება. უმრავლესობაც შეეცდება უფრო გამოჩენილი წევრების მოძებნას. როდესაც უმრავლესობაში მყოფი ამომრჩეველი, არ დადგება იმ ალტერნატივის წინაშე, რომ ხმა მისცეს ან ადგილობრივი საქმოსნების მიერ წამოყენებულ კანდიდატს, ან კი სულაც არავის არ მისცეს ხმა. როდესაც ამ საქმოსნების კანდიდატს წინააღმდეგობა შეხვდება არა მხოლოდ უმცირესობის კანდიდატის, არამედ მყარი რეპუტაციის მქონე ყველა იმ ადამიანისგანაც, რომლებიც მზად არიან, ემსახურონ საზოგადოებას, მაშინ შეუძლებელი გახდება ამომრჩეველისთვის პირველი შემხვედრი ადამიანის, რომელსაც პირზე პარტიის ლოზუნგი აკერია და ჯიბეში სამი-ოთხი ათასი ფუნტი მაინც უდევს, კანდიდატურის თავს მოხვევა. უმრავლესობა ან მოითხოვს იმას, რომ ჰყავდეთ ღირსეული კანდიდატი ან თავის ხმებს რომელიმე სხვა ოლქში გადაიტანს და შედეგად გაიმარჯვებს უმცირესობა. საკუთარ წრეშივე ნაკლებად პატივსაცემი ადამიანების მიმართ უმრავლეობის მონურ მდგომარეობაში ყოფნას ბოლო მოეღება: უმეტესად დაიწყება ყველაზე კარგი და ნიჭიერი ადგილობრივი კანდიდატურების წამოყენება, ისეთი ადამიანებისა, რომლებმაც სახელი თავიანთი სასარგებლო საქმიანობით რეგიონის გარეთაც გაითქვეს. ასე რომ, ადგილობრივ ამომრჩეველს სხვა რეგიონებიდან მიღებული შემთხვევითი ხმების იმედი შეიძლება ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველთა შეკრებებზე შეეცდებიან, საუკეთესო კანდიდატები აირჩიონ, ანუ ისეთები, რომლებმაც კარგად იციან ადგილობრივი პრობლემები, სარგებლობენ ადგილობრივი გავლენით და ამასთან ერთად, სხვა კუთხითაც გამორჩეულნი არიან.

წარმომადგენლობითი მმართველობის, ისევე, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის ბუნებრივი ტენდენცია, კოლექტიური უფერულობისკენ მიდის და ეს ტენდენცია საარჩევნო უფლების გადახედვასთან ერთად კიდევ უფრო იზრდება. ამ უკანასკნელს შედეგად მოაქვს სულ უფრო და უფრო დაბალი განათლების მქონე კლასების ხელში ძალაუფლების გადანაწილება. მართალია, უმრავლესობა თავისი რიცხობრივი უპირატესობის ხარჯზე მაინც შეძლებს საუკეთესო ტვინისა და ხასიათის მქონე ადამიანების მოსაზრებათა ჩახშობას, მაგრამ მაინც არაა სულერთი: მოუსმენენ თუ არა ამ უმცირესობის წარმომადგენლებს. ყალბ დემოკრატიაში, იმის ნაცვლად, რომ ყველას ჰქონდეს წარმომადგენლობა, მხოლოდ ადგილობრივი უმრავლესობას ჰყავს წარმომადგენელი. განათლებულ უმცირესობას კი შესაძლოა საერთოდ არ ჰყავდეს არანაირი წარმომადგენლობა საკანონმდებლო კრებაში. ყველასთვის ცნობილია, რომ ამერიკულ დემოკრატიაში, რომელიც ამ არასწორი მაგალითის მსგავსადაა აგებული იმის გამო, რომ არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ, საზოგადოების ყველაზე განათლებული წევრები (იმ ადამიანების გამოკლებით, რომლებიც თანახმა არიან, დათმონ საკუთარი შეხედულებები და მათზე განვითარებით დაბლა მდგომი ადამიანების ხელში იარაღად იქცნენ), კონგრესის თუ შტატების საკანონმდებლო კრების არჩევნებზე არც კი ცდილობენ თავიანთი კანდიდატურების წამოყენებას. ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით ამერიკის რესპუბლიკის განათლებულ და უანგარო დამფუძნებლებს რომ შეძლებოდათ ჩვენ მიერ ზემოთ შემოთავაზებული გეგმის გადაღება, ადგილობრივ დონეზეც და მთელი ქვეყნის მასშტაბითაც საკანონმდებლო ორგანოებში ბევრი გამოჩენილი ადამიანი იქნებოდა, ხოლო დემოკრატია კი თავიდან აიცილებდა მძიმე ბრალდებას და თავის ყველაზე დიდ ბოროტებას. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად პირადი წარმომადგენლობის

სისტემა სპეციფიკურ საშუალებას წარმოადგენს. სხვადასხვა საარჩევნო უბანში გაბნეული უმცირესობაში მყოფი განათლებული ადამიანები ერთიანდებიან, რათა ქვეყანაში მცხოვრები ყველაზე ნიჭიერი ადამიანებისგან პროპორციული რაოდენობის წარმომადგენლები აირჩიონ. უმცირესობა დიდადაა დაინტერესებული იმაში, რომ სწორედ ამგვარი ადამიანები აირჩიონ, რადგანაც სხვა გზით ეს სუსტი ძალა (რიცხობრივი თვალსაზრისით) ვერ მიაღწევს ვერანაირ მნიშვნელოვან ზეგავლენას.

სისტემის მოქმედების შედეგად უმრავლესობის წარმომადგენლობა ხარისხობრივი თვალსაზრისით არა მხოლოდ გაუმჯობესდება, არამედ მანამდე არსებულ გაბატონებულ მდგომარეობასაც ვეღარ შეინარჩუნებს. მას მომავალშიც ექნება რაოდენობრივი უპირატესობა, რადგანაც მისი ამომრჩეველი მთელი ქვეყნის მასშტაბით სჭარბობს სხვებს. მაგრამ ისინი დებატებში შევლენ და ხმას მისცემენ უმცირესობის წარმომადგენელთა თანდასწრებით, ასევე მოისმენენ მათ კრიტიკასაც; როდესაც წარმოიშობა რაიმე სახის აზრთა სხვადასხვაობა, მაშინ მათ განათლებული უმცირესობისათვის საკუთარი აზრის დასამტკიცებლად ლოგიკური და გარკვეული წონის მქონე არგუმენტების მოყვანა მოუწევთ; იმდენად, რამდენადაც არ შეიძლება, რომ თანამოაზრეების წინაშე გამოსვლისას უბრალოდ ამტკიცო, რომ ისინი მართლები არიან, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თავადვე დარწმუნდნენ საკუთარ სიმცდარეში (ამას შესაძლოა ველოდეთ მართებულად არჩეული ნაციონალური დონის წარმომადგენლობითი ორგანოდან), ამიტომ ისინი შეუმჩნევლად დაემორჩილებიან იმ ადამიანების ზეგავლენას, რომლებთანაც მათ შეხება ან თუნდაც აზრთა სხვადასხვაობა აქვთ. არაპოპულარული დოქტრინების ქომაგები თავიანთ შეხედულებებს აყალიბებენ არა მხოლოდ წიგნებსა და ისეთ პერიოდულ გამოცემებში, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ მათი პარტიაში კითხულობენ; მოწინააღმდეგეები პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს და ამგვარად მთელი ქვეყნის მოსახლეობას ექნება მათი არგუმენტების ურთიერთშეჯერების საშუალება; ამასთანავე გაირკვევა, შეძლებს თუ არა გამარჯვებული მხარე, რომ მოწინააღმდეგე არა მხოლოდ რიცხობრივად, არამედ თავისი არგუმენტების სისწორითა და დასაბუთებულობითაც დაჯაბნოს.

ბრბო ხშირად ინტუიციით ხვდება, ვინაა ნიჭიერი ადამიანი და ვის შეუძლია საკუთარი ძალების სრულად გამოყენება. თუკი ასეთი ადამიანი ვერ შეძლებს ისეთი ზეგავლენის მოპოვებას, როგორსაც ის იმსახურებს, მაშინ ამაში დამნაშავეა ის ტრადიციები და დაწესებულებები, რომლებიც მას არ აძლევს საშუალებას იყოს ცნობილი. ძველ დემოკრატიებში შეუძლებელი იყო ნიჭიერი ადამიანისთვის ხელი შეგეშალა, გამხდარიყო ცნობილი: ის თავისუფლად სარგებლობდა საჯარო სიტყვის უფლებით და ხალხისთვის რჩევების მისაცემად მას არ სჭირდებოდა არავის მხრიდან ნების დართვა. ასეთ რამეს ჩვენ წარმომადგენლობით მმართველობაში არ ვხვდებით. წარმომადგენლობითი დემოკრატიის თვით ყველაზე გულმხურვალე მომხრეებიც კი ვერ უარყოფენ იმას, რომ თემისტოკლეები და დემოსთენეები შესაძლოა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერც კი გამხდარიყვნენ პარლამენტის წევრები. მაგრამ გამოჩენილი ადამიანების სულ მცირე რაოდენობაც კი რომ ხვდებოდეს წარმომადგენლობით კრებაში, ხოლო დანარჩენები კი მხოლოდ ხმას აძლევდნენ, ამ პირველთა გავლენა დებატებისას მაინც ძალიან ძლიერი იქნებოდა. მე ჰერის გეგმაზე უკეთეს საშუალებას, ამგვარი ადამიანების პარლამენტში მოხვედრის უზრუნველყოფისათვის, ვერ ვხედავ.

წარმომადგენლობის ეს ნაწილი დიდი სოციალური ფუნქციის მქონე სპეციალური ორგანოს როლსაც შეასრულებდა, რაც თანამედროვე დემოკრატიებში არსად არ გვხვდება, მაგრამ რომლის არსებობაც აუცილებელია, რათა წინასწარ განჭვრიტოს (ან თავიდან აიცილოს) მთავრობის უცილობელი დაცემა და გადაგვარება. ამ ფუნქციას შეიძლება ანტაგონიზმი ეწოდოს. ყველა მთავრობაში არსებობენ ყველაზე დიდი გავლენის მქონე ადამიანები და ეს ადამიანები მუდმივად ცდილობენ, თავიანთ ხელში ჩაიგდონ მთელი ძალაუფლება. ნაწილობრივ წინასწარგანზრახულად, ნაწილობრივ გაუცნობიერებლად, ისინი მუდმივად ცდილობენ, დაიქვემდებარონ ყველა და ვერ მშვიდდებიან მანამ, სანამ არსებობს ის ძალა, რომელიც მუდმივ წინააღმდეგობას უწევს მათ, ან ის, რომელიც არ შეესაბამება მათ მიზნებს. თუმცა, თუ ეს ძალა ჩაახშობს მისი კონკურენტული ძალის გავლენას და შეძლებს ყველაფერი საკუთარი შეხედულებებისამებრ განაგოს, მაშინ ამ ქვეყანაში პროგრესი დასრულებულია და იწყება დაცემა. ადამიანური პროგრესი ბევრი ფაქტორის ჯამს წარმოადგენს და ვერანაირი, აქამდე არსებული, ძალაუფლება ვერ მოიცავს ყველა ამ ფაქტორს. თვით ყველაზე კეთილშობილი ძალაუფლებაც კი თავის თავში პროგრესის მხოლოდ ზოგიერთ პირობას აერთიანებს; თუ სასურველია, რომ პროგრესი გრძელდებოდეს, მაშინ მისთვის აუცილებელი დანარჩენი წინაპირობები რაიმე სხვა წყაროებში უნდა ვეძიოთ. აქამდე არსებული არც ერთი სახელმწიფო არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული პროგრესით თუკი მასში არ მიმდინარეობდა მუდმივი ბრძოლა გაბატონებულ ძალასა და მასთან დაპირისპირებაში მყოფ გავლენიან ძალებს შორის, მაგალითად: სასულიერო და საერო ხელისუფლებას, მიწათმფლობელთა არისტოკრატია ან სამხედრო ძალასა და საწარმოო კლასებს, სამეფო ხელისუფლებასა და ხალხს, კათოლიციზმსა და რეფორმაციას შორის. ყოველთვის, როდესაც გამარჯვება იმდენად სრული იყო, რომ ამ გამარჯვებით სრულდებოდა ბრძოლაც და მას არანაირი ახალი აზრთა სხვადასხვაობა არ ენაცვლებოდა, დგებოდა ჯერ უძრაობის ხანა, ხოლო შემდეგ კი - დაცემა.

რიცხობრივი უმრავლესობის პრინციპზე დამყარებული ხელისუფლება ნაკლებად უსამართლო და, ზოგადად, ნაკლებად საზიანოა, ვიდრე - ბევრი სხვა რამ. თუმცა მასაც ასეთივე და, შესაძლოა, უფრო მეტი საფრთხე ემუქრება. როდესაც ხელისუფლება ერთი ან მცირე რაოდენობის ადამიანების ხელშია, მაშინ უმრავლესობა არსებობს, როგორც კონკურირებადი ძალა, რომელიც შესაძლოა იმდენად ძლიერი არაა, რომ შეაკავოს ხელისუფლების ქმედებები, მაგრამ მისი შეხედულებები და გრძნობები მორალისა და სოციალური მხარდაჭერის ფუნქციას ასრულებს ყველა იმ ადამიანისათვის, რომლებიც თავიანთი შეხედულებებიდან ან საპირისპირო ინტერესებიდან გამომდინარე მტრულად არიან განწყობილნი ხელისუფლების ზოგიერთი მიზნის მიმართ. მაგრამ, როდესაც დემოკრატიული მმართველობა ძლიერია, აღარ არსებობენ ცალკეული საკმარისად ძლიერი მმართველები, რომლებსაც შეეძლებოდათ შეესრულებინათ განსხვავებული შეხედულებების ან შელახული ინტერესებისათვის საყრდენი ფუნქცია. აქამდე დემოკრატიული მმართველობისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენდა, როგორც ჩანს, ის გარემოება, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეუძლებელი იყო სოციალური მხარდაჭერის, მმართველი ხელისუფლების მისწრაფებებისათვის ინდივიდუალური წინააღმდეგობის გაწევის საყრდენი წერტილის, სწორედ სოციალური მხარდაჭერის პირობების შექმნა; ანუ იმისა, რაც არსებობდა იმ საზოგადოებებში, რომლებმაც შეძლეს სხვების გასწრება. ყველა ამგვარ მცდელობას დემოკრატიაში გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი მტრულად უყურებს. არ ჰქონდათ რა ამგვარი საყრდენი წერტილი, ძველმა და თითქმის

ყველა თანამედროვე საზოგადოებებმა, ძალიან ცოტას გამოკლებით, ან დაშლა დაიწყეს, ან უძრაობის ხანა დაუდგათ, რაც ეტაპობრივი დაცემის ტოლფასია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხალხის საზოგადოებრივი და სულიერი კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პირობები მხოლოდ ნაწილობრივ თუ არსებობდა.

ამასთან ერთად პირადი წარმომადგენლობის სისტემა ითვალისწინებს ამ სერიოზული ნაკლის აღმოფხვრას; იგი ამას ახერხებს იმდენად, რამდენადაც ამის მიღწევა თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების პირობებშია შესაძლებელი. მხოლოდ განათლებულ უმცირესობაში შეიძლება დემოკრატიული უმრავლესობის მისწრაფებების შევსების ან კორექტირების პოვნა, მაგრამ დემოკრატიის ჩვეულებრივი ორგანიზების პირობებში უმცირესობას არ აქვს ორგანო: ჰერის სისტემა კი აგვარებს ამ ნაკლს. გაერთიანებული უმცირესობის მიერ პარლამენტში არჩეული წარმომადგენლები შეასრულებენ ამ ორგანოს ფუნქციას ყველაზე სრულყოფილი სახით. განათლებული კლასების ცალკეული სახის ორგანიზება განხორციელებადი რომც იყოს, იგი სიძულვილს გამოიწვევდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მოხდებოდა მასზე შეტევა, თუ უარს იტყოდა ყოველგვარ ზეგავლენაზე. მაგრამ ამ კლასის საუკეთესო წარმომადგენლები ისეთივე პირობებით რომ შევიდნენ პარლამენტში, როგორც ყველა დანარჩენი წევრი, ანუ წარმოადგენდნენ სახალხო ნების შესაბამისი წევრთა რაოდენობის ფრაქციას, მაშინ მისი არსებობა არავისში არ გამოიწვევდა არაკეთილგანწყობილებას; ამასთანავე ის აღმოჩნდებოდა ყველაზე მომგებიან პირობებში და შეეძლებოდა აეძულებინა სათათბირო ორგანოს დანარჩენი წევრები, მოესმინათ მისი აზრი და რჩევები ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და მიეღო მნიშვნელოვანი მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში. ასე მაგალითად, ათენელები საპასუხისმგებლო თანამდებობებს არ ანდობდნენ კლეონსა თუ ჰიპერბოლეს (გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ კლეონის დანიშვნა პილოსსა და ამფიპოლისში), მაშინ, როდესაც ნიკეოსი, ფერამენი და ალკიბიადე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ოლიგარქია უფრო მოსწონდათ, ვიდრე - დემოკრატია, მუდმივად ინიშნებოდნენ სხვადასხვა თანამდებობაზე, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. განათლებულ უმცირესობას, რომელსაც ამჟამინდელი ხმის მიცემის სისტემაში მხოლოდ საკუთარი რაოდენობის შესაბამისი წონადობა აქვს, ჰერის სისტემის მიღების შემთხვევაში, როგორც მორალურ ძალას, საკუთარი განათლებულობიდან და სხვა დეპუტატებზე ზეგავლენის წყალობით ბევრად უფრო მეტი წონა ექნება.

ადამინის გონებას გაუჭირდება, მოიგონოს ისეთი კომბინაცია, რომელიც მოახერხებს სახალხო აზრის უკეთ შეჩერებას გონიერებისა და სამართლიანობის ფარგლებში და დაიცავს მას იმ დამღუპველი ზეგავლენისგან, რაც დემოკრატიას მისი სუსტი წერტილების გამო ემუქრება. დემოკრატიას ამ პირობებში ეყოლება ის, რაც მას, ალბათ, სხვა პირობებში აკლია, კონკრეტულად კი ბელადები, რომლებიც თავიანთი ჭკუითა და ხასიათით ხალხის მასაზე უფრო მაღლა დგანან. თანამდროვე დემოკრატია შემთხვევის წყალობით მოიპოვებს თავის პერიკლებს და ეყოლება გამოჩენილი და წარმატებული მმართველების საკუთარი მუდმივი ჯგუფი. საკითხის დადებითად გადაჭრის სასარგებლოდ მოყვანილი ამ მტკიცებულებების გვერდით არსებობს კი მისი უარყოფითად გადაჭრის სასარგებლო არგუმენტები? თუკი ამ სრულიად ახალ მოსაზრებას მიუკერძოებლად განვიხილავთ, მაშინ ვნახავთ, რომ რაიმე სახის არსებითი დასაბუთებები არ არსებობს. მართლაც, ისეთი ადამიანები, რომლებიც სამართლიანობისა და თანასწორობის მანტიაში იმალებიან, მხოლოდ იმას

ცდილობენ, რომ მდიდრების გავლენა ღარიბების გავლენით ჩაანაცვლონ. ასეთი ხალხი, ბუნებრივია, უარყოფითად მიუდგება ისეთ გეგმას, რომელიც ამ ორივე კლასს სრულ თანასწორუფლებიანობას სთავაზობს. მაგრამ მე არ მჯერა, რომ მსგავსი სურვილი ჩვენს მშრომელ კლასებს შორის არსებობდეს, თუმცა ვერ დავდებ თავს იმაზე, რომ დროთა განმავლობაში დემაგოგების ინტრიგამ ან შემთხვევითობამ ესეც არ გამოიწვიოს. შეერთებულ შტატებში, სადაც რიცხობრივი უმრავლესობა უკვე დიდი ხანია ფლობს დესპოტურ ძალაუფლებას, სავარაუდოდ, ისეთივე ნაკლები ენთუზიაზმით იტყვის ამ ძალაუფლებაზე უარს, როგორც დესპოტი ან ტირანი იტყოდა უარს ძალაუფლებაზე. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ინგლისური დემოკრატია ამჟამად სხვათა კლასობრივი ჩაგვრისკენ მიმართული კანონმდებლობის წინააღმდეგ გამოსვლით დაკმაყოფილდება და, თავის მხრივ, არ მოითხოვს ამ უფლებებითვე სარგებლობას.

ჰერის პროექტის ზოგიერთი აშკარა მოწინააღმდეგე ამ პროექტს პრაქტიკულად განუხორციელებლად მიიჩნევს. მაგრამ, ჩვეულებრივ, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც მის შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით არიან ინფორმირებულნი ან ძალიან ზედაპირულ დონეზე იცნობენ. ზოგიერთები შეიძლება შეურიგდნენ იმის დაკარგვას, რასაც ისინი ადგილობრივი წარმომადგენლობის მთავარ ნიშანს უწოდებენ. ერს ისინი აღიქვამენ არა როგორც ადამიანების, არამედ როგორც ხელოვნურ ერთეულთა გაერთიანებას, რომელიც გეოგრაფიული და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზეა წარმოქმნილი. პარლამენტი უნდა იყოს ქალაქებისა და საგრაფოების და არა ადამიანების წარმომადგენლობითი ორგანო. მაგრამ არავის სურს, გაანადგუროს ქალაქები და საგრაფოები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალაქები და საგრაფოები თავისთავად უკვე წარმოდგენილია, როდესაც მასში მცხოვრებ ადამიანებს ჰყავთ წარმომადგენელი. ადგილობრივი კუთვნილების გრძნობები ვერ იარსებებს იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც ამ გრძნობებს განიცდიან. არ არსებობს ასევე ადგილობრივი ინტერესები იმ ადამიანების გარეშე, რომლებსაც ეს ინტერესები ეხებათ. თუკი ადგილობრიობის გრძნობებითა და ინტერესებით აღტკინებული ადამიანები წარმომადგენლობაში უშუალო მონაწილეობას იღებენ, მაშინ ამ გრძნობებსა და ინტერესებს ეს ადამიანები სხვა ინტერესებსა და გრძნობებთან ერთად წარმოადგენენ. მაგრამ არ მესმის, თუ რატომ უნდა სარგებლობდეს წარმომადგენლობის უფლებით მხოლოდ ის გრძნობები და ინტერესები, რომლებიც ადამიანების ადგილობრივი კუთვნილებიდან მომდინარეობს; ან იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გარკვეულ შეხედულებებს ბევრად უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე - გეოგრაფიული კუთვნილებიდან გამომდინარე გრძნობებსა და ინტერესებს, ეს უკანასკნელი რატომ უნდა იყოს მათი პოლიტიკური კლასიფიკაციის ერთადერთი ათვლის წერტილი? რწმენა იმისა, რომ იორკშიორსა და მიდლექსს მათი მოსახლეობისგან დამოუკიდებლად აქვთ უფლებები და რომ ამჟამინდელი კანონმდებლობის პრობლემას წარმოადგენს ლივერპული და ექსტერი და არა მათი მოსახლეობა, არის სიტყვათა თამაშით გამოწვეული გზააბნეულობის საინტერესო მაგალითები.

თუმცა, როგორც წესი, ოპონენტები წყვეტენ კამათს, აცხადებენ რა, რომ ინგლისელი ხალხი არასდროს არ დასთანხმდება მსგავს სისტემას. არ ვიცი, რას იფიქრებს ინგლისელი ხალხი იმ ადამიანებზე, რომლებიც ასე ნაჩქარევ განაჩენს გამოიტანენ მისი უნარის - განიხილოს სხვადასხვა საკითხი - შესახებ და რომლებსაც უაზრობად მიაჩნიათ, ჯერ გაიაზროს მოცემული ღონისძიების ვარგისიანობა და მხოლოდ შემდეგ უარყოს ის. მაგრამ არა მგონია, რომ ინგლისელი ხალხი ყოველგვარი გამოკითხვის გარეშე შეგვეძლოს მივიჩნიოთ წინასწარვე იმის საწინააღმდე-

გოდ განწყობილად, რაც თავად მისთვის და ასევე სხვებისთვისაც შესაძლოა კარგი რამ იყოს. ამას გარდა, მეჩვენება, რომ ძლიერი ცრურწმენების არსებობა, პირველ რიგში, იმ ადამიანების ბრალია, რომლებიც თავიანთი უმოქმედობის გასამართლებლად ამტკიცებენ, რომ ამ ცრურწმენების თავიდან მოცილება თითქოს შეუძლებელია. ნებისმიერი ცრურწმენის დამარცხება შეუძლებელია, როცა ის ადამიანები, რომლებიც არ იზიარებენ ამ ცრურწმენებს, მაინც მონურად მორჩილებენ, ელაქუცებიან და ლამის კანონად აღიარებენ მას. თუმცა მჯერა, რომ მოცემულ შემთხვევაში ცრურწმენა მხოლოდ იმ ადამიანების გამო არსებობს, რომლებიც მასზე საუბრობენ და რომ ზოგადად, იმ ადამიანებში, რომლებიც ამ პროექტს იცნობენ, არანაირი მტრობა მისდამი არ შეიმჩნევა, გარდა იმ ბუნებრივი და ჯიუტი უნდობლობისა, რაც ყველა იმ სიახლეს ახლავს თან, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გამოუვლიათ იმ დოზის კრიტიკის ქარცეცხლში, რომ უკვე ყველასთვის ნათელი გამხდარიყო მისი მომგებიანი და არამომგებიანი მხარეები. ამ იდეის განხორციელების ერთადერთი სერიოზული წინაღობა - ესაა სიახლე. ეს წინაღობა კი, მართლაც, ძალიან სერიოზულია. ადამიანის წარმოდგენა ბევრად უფრო ადვილად ეგუება საქმის არსში სერიოზულ ცვლილებას, ვიდრე დასახელების და ფორმის თუნდაც სულ მცირეოდენ ცვლილებასაც კი. მაგრამ უცნაურობა - ეს ისეთი უხერხულობაა, რომელსაც თუკი იდეა მართლა ღირებულია, მხოლოდ დრო სჭირდება გაქრობისთვის. ამასთან, თანამედროვე დროში, როდესაც ყველაფერი კრიტიკის ქვეშ ექცევა და ყველგან იგრძნობა შემდგომი პროგრესისკენ სწრაფვა, ის რეფორმები, რომლებსაც ადრე საუკუნეები სჭირდებოდა, ახლა რამდენიმე წელიწადში შეიძლება განხორციელდეს.

ჰერის ნაშრომის პირველი გამოცემის დღიდან ეს პროექტი მუდმივი კრიტიკის საგანია, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მას ახლა უფრო დიდი ყურადღებით შეისწავლიან, ვიდრე - ადრე. ასეთია საერთო ჯამში მსხვილი რეფორმების განხილვის ბუნებრივი მსვლელობა. თავდაპირველად მათ წინააღმდეგ წინასწარვე უარყოფითად გამოდიან და ისეთ არგუმენტებს აყენებენ, რომლებსაც ფასი მხოლოდ გარკვეული ბრმა ცრურწმენების ფონზე თუ აქვს. მაგრამ ცრურწმენების შესუსტებასთან და უფრო საქმიანი არგუმენტების წამოყენებასთან ერთად, რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეებიც უკეთ წარმოჩინდება; ასევე უკეთ წარმოჩინდება მისი წარმატებით განხორციელებისთვის ხელისშემშლელი გარემოებებიც. მაგრამ იმ, ასე თუ ისე ღირებულ თუ ნაკლებად ღირებულ შეწინააღმდეგებებს შორის, რომლებსაც მე გავეცანი, არ არის არც ერთი არგუმენტი, რომლის გაქარწყლებაც გეგმის მომხრეებს ყურადღებითი შესწავლის შედეგად ადვილად არ შეეძლოთ.

გარეგნულად ამ შეწინააღმდეგებებიდან ყველაზე სერიოზული შეწინააღმდეგება შემდეგია: შეუძლებელია წინ აღუდგე იმას, რომ მოგატყუონ ან არ დაეჭვდე ცენტრალური ბიუროს მხრიდან მოტყუებაში. ეს ისეთი შეწინააღმდეგებაა, რომ მისი უარყოფა ორ სიტყვაშია შესაძლებელი. საარჩევნო ბიულეტენების საჯაროობა და მისი შემოწმების სრული თავისუფლება არჩევნების შემდეგ უკვე შემოთავაზებულია, როგორც ამ უხერხულობებისგან თავის დაცვის გზა. მაგრამ ამტკიცებენ, რომ ეს უზრუნველყოფა არაფერს გვაძლევს, რადგან შემოწმებისთვის ამომრჩეველს მოუწევდა თავიდან ჩაეტარებინა ის სამუშაო, რაც ჩინოვნიკთა მთელმა შტატმა გასწია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან საფუძვლიანი მოსაზრებაა, მაგრამ თითოეულ ამომრჩეველს სულაც არ დასჭირდება გადაამოწმოს ყველა ხმა. სრულიად საკმარისია, რომ მან გადაამოწმოს საკუთარი საარჩევნო ბიულეტენის ბედი. ამ მიზნით ყველა ბიულეტენი უნდა იგზავნებოდეს გარკვეული დროის შემდეგ უკან, იმ ადგილზე, საიდანაც ის გამოგზავნეს. თუკი საარჩევნო ხმების გადამოწმების პროცედურას თავად ამომრჩეველი არ გააკეთებს, მაშინ ეს უნდა გააკეთონ დამარცხებულმა კანდიდატებმა ან მათმა წარმომადგენლებმა. ის დამარცხებული კანდიდატები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ არჩეულები, ცალ-ცალკე ან ყველა ერთად იწყებს მთელი არჩევნების მსვლელობის გადამოწმებას; და თუ ისინი შეძლებდნენ შეცდომის აღმოჩენას, მაშინ დოკუმენტები გადაიგზავნებოდა თემთა პალატის კომისიაში, რომელსაც მთელი ერის საარჩევნო აქტიურობის თვალყურის დევნების საშუალება იმაზე ათჯერ უფრო ნაკლები დროისა და თანხების დახარჯვის ხარჯზე აქვს, ვიდრე ეს ამჟამინდელი საარჩევნო სისტემის პირობებში თუნდაც მხოლოდ ერთი დეპუტატის საარჩევნო მონაცემების გადმოწმებისათვის არის საჭირო.

აღიარებენ რა პროექტის პრაქტიკულობას, მის ზოგიერთ მოწინააღმდეგეს არგუმენტად მოჰყავს ორი შემთხვევა, როდესაც ეს პროექტი არათუ დადებითი შედეგის, არამედ პირიქით, კიდევ უფრო დიდი ზიანის მომტანია. ჯერ ერთი ამტკიცებენ, რომ იგი განასაკუთრებულ გავლენას ანიჭებს სხვადასხვა წრეს, ლიგას, დისიდენტურ კავშირს, სოციალური მიზნებით დაკავებულ საზოგადოებასა და რელიგიური თუ წოდებრივი ინტერესების გარშემო გაერთიანებულ ყველა სახის კორპორაციას. მეორე მხრივ, ამტკიცებენ, რომ ეს სისტემა შესაძლოა პარტიულ მიზნებს ემსახუროს. ყოველი პოლიტიკური პარტიის ცენტრალურ ორგანოს ეძლევა იმის საშუალება, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით დააგზავნოს 658 დეპუტატის მისეული სია, რომ ქყვეყნის მასშტაბით სხვადასხვა საარჩევნო ოლქში გაფანტულმა პარტიის ყველა წევრმა ხმა მისცეს ამ სიის სასარგებლოდ. ამ გზით მიღებული ხმათა რაოდენობა სერიოზულად გადააჭარბებს იმ ხმათა რაოდენობას, რისი მიღებაც ნებისმიერ დამოუკიდებელ კანდიდატს შეუძლია. სიების სისტემა მხოლოდ დიდ ორგანიზებულ პარტიებს გაუწევს დახმარებას, როგორც ამას ჩვენ ამერიკაში ვხედავთ: მათ სიებს ამომრჩეველი მიიღებს ბრმად, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე და ასეთი პარტიები არასდროს არ დამარცხდებიან არჩევნებში, თუ მათ წინააღმდეგ მოულოდნელად არ აღიმართება დისიდენტთა ჯგუფი ან რაიმე საერთო ინტერესით გაერთიანებულ ადამიანთა ასოციაცია.

მე როგორც მგონია, ამ არგუმენტების უარყოფა საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტებით შეგვიძლია. არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ჰერის სისტემაში, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სისტემაში, ძალების ორგანიზება დაკარგავს თავის მნიშვნელობას. გაბნეული ელემენტები ყოველთვის უფრო წამგებიან პოზიციებში იმყოფებიან, ვიდრე - ორგანიზებული ელემენტები. იმდენად, რამდენადაც ჰერის პროექტი ვერ შეცვლის საქმის არსს, უნდა ველოდეთ, რა თქმა უნდა, რომ ნებისმიერი სახის ორგანიზებული პარტია თუ ჯგუფი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ისარგებლებს საკუთარი ორგანიზაციით, რათა გაზარდოს თავისი გავლენა. მაგრამ ამჟამინდელი სისტემის პირობებშიც კი მთელი ძალა გაერთიანებებშია. გაფანტულ ელემენტებს არც ახლა არ გააჩნიათ არანაირი ძალა. იმ ამომრჩევლებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არანაირ გაერთიანებას, არც დიდს და არც პატარას, არანაირი საშუალება არ გააჩნიათ, რამენაირად ისარგებლონ თავიანთი ხმებით. ჰერის პროექტი მათ ამის საშუალებას აძლევს. მათ შეუძლიათ მოპოვებული ხმებით მეტ-ნაკლები მოხერხებულობით ისარგებლონ და შესაბამისი გავლენაც მოიპოვონ; ყველაფერი, რასაც ისინი მიაღწევენ, მათთვის წმინდა წყლის მოგება იქნება. ხოლო თუ დავუშვებთ, რომ

ყოველი წვრილი ინტერესი ან ყოველი ასოციაცია, რომელიც უმდაბლეს მიზნებს ისახავს, ორგანიზების მეთოდს მიმართავს, მაშინ ამავდროულად რატომ არ ვუშვებთ იმის ალბათობას, რომ ერის ჭეშმარიტი სულიერი და გონებრივი ინტერესებიც არ მიიღებს ორგანიზებულ ხასიათს? თუკი ქვეყანაში გავრცელდება სიფხიზლის საზოგადოების ან გაჭირვებულთა სკოლის სიები და ა.შ. ნუთუ ადგილზე არ მოიძებნება არც ერთი გავლენიანი ადამიანი, რომელიც მოისურვებდა, სხვადასხვა საარჩევნო ოლქში გაეგზავნა პიროვნული დამსახურებების მქონე ადამიანთა სიები? ხოლო თუკი ასეთი ადამიანები გაერთიანდებიან ლონდონში, მაშინ ნუთუ ისინი ვერ შეძლებენ თავიანთი გარემოდან ყველაზე ღირსეულები აირჩიონ, არ მიაქციონ ყურადღება შეხედულებების გარკვეულ სხვაობას და გამოაქვეყნონ მათი სახელები? ამაზე მათ ხომ საარჩევნო ოლქებში ძალიან მცირე რაოდენობის თანხების დახარჯვაც კი ეყოფათ! უნდა გავითვალისწინოთ, რომ არჩევნების თანამედროვე სისიტემის პირობებში ორი დიდი პარტიის გავლენა უსაზღვროა. ხოლო ჰერის სისტემის პირობებში კი ის, მართალია, დიდი, მაგრამ მაინც გარკვეულ საზღვრამდე შემოფარგლული იქნებოდა. ისევე, როგორც ამ ორ დიდ პარტიას, ასევე ყველა ნაკლებად მნიშვნელოვან ჯგუფს შეეძლება აირჩიოს პარლამენტში მხოლოდ საკუთარი რაოდენობრიობის პროპორციული წევრთა რაოდენობა. ამერიკაში საარჩევნო სიების სისტემა სრულიად საპირისპირო პირობებში მოქმედებს. იქ ამომრჩევლები ხმას პარტიული სიის სასარგებლოდ აძლევენ იმის გამო, რომ არჩევნების ბედი უბრალო უმრავლესობით წყდება და რომ იმ კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმა, რომელსაც არ აქვს გამარჯვების შანსები, იკარგება. მაგრამ ჰერის სიტემის მიხედვით კი თავისი დამსახურებებით ცნობილი ადამიანის სასარგებლოდ მიცემულ ხმას შესაძლოა ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც პარტიის კანდიდატისთვის მიცემულ ხმას. შესაბამისად, შესაძლოა იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველი ლიბერალი და კონსერვატორი, რომელიც (მისი პოლიტიკური მრწამსი და პარტიისთვის მისაღები თვისებები რომ გვერდზე გადავდოთ) რაიმე სხვა დამსახურებით გამოირჩევა, სიიდან შეავიწროებს და განდევნის ნაკლებად ცნობილ ადამიანს და მას ჩაანაცვლებს ერის საამაყო ადამიანით. ამის განხორციელების სრული შესაძლებლობა იმ ადამიანებს, რომლებიც პარტიულ სიებს ადგენენ, უბიძგებს, მასში შეიტანონ არა მხოლოდ პარტიის ერთგული ადამიანების გვარები, არამედ ერისთვის ცნობილი ის სახეები, რომლებიც უფრო მეტად მოცემული პარტიისკენ იხრებიან, ვიდრე - მისი კონკურენტისკენ.

ნამდვილი უხერხულობა, რადგანაც არ შეიძლება იმის არაღიარება, რომ ეს უხერხულობა არ არსებობს, მდგომარეობს იმაში, რომ დამოუკიდებელი ამომრჩევლები ანუ ისეთები, რომლებიც მოისურვებენ ხმა მისცენ იმ დამსახურებულ მოღვაწეებს, რომლებიც არ სარგებლობენ მხარდაჭერით, იძულებულნი იქნებიან, დაკმაყოფილდნენ ამგვარი კანდიდატების მცირე რაოდენობით, ხოლო სიის დანარჩენ ნაწილებს შეავსებენ პარტიის იმ კანდიდატების სახელებით, რომლებსაც ისინი ანიჭებენ უპირატესობას. ამით თავადვე უქმნიან თავიანთ რჩეულ კანდიდიატებს უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებს. ამის საპირისპიროდ საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა გამონახულიყო ძალიან მარტივი საშუალება, კონკრეტულად კი, შეზღუდულიყო, მეორეხარისხოვანი ან შემთხვევითი ხმების რაოდენობა. დაუჯერებელია, რომ ამომრჩეველი თანაბრად იცნობდეს 658-ივე დეპუტატს ან თუნდაც მხოლოდ 100 მათგანს. საკამათო არაა 20, 50 ან რაიმე სხვა რიცხვით კანდიდატთა რაოდენობის შეზღუდვა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ ამომრჩეველი ხმას მისცემს დამოუკიდებლად და არა, როგორც პარტიის უბრალო ჯარისკაცი. მაგრამ ამ შეზღუდვის გარეშეც კი, ამომრჩევლის მიერ სისტემის უკეთ გააზრებასთან ერთად, ალბათ, ბოროტებაც თავისთავად თავიდან იქნება აცილებული. ყველა მცირე გავლენის მქონე პარტიისა და ასოციაციის უმთავრესი მიზანი იქნება ბოროტების თავიდან აცილება. თითოეულ მათგანში ადამიანთა მცირე რაოდენობა გამოვა შემდეგი ლოზუნგით: „ხმა მიეცით მხოლოდ ყველაზე ღირსეულ კანდიდატებს ან სულ მცირე, პირველ ადგილზე მაინც გაიყვანეთ ისინი, რათა ამით მათ მისცეთ საკმარისი რაოდენობის ხმების მიღების შანსი და ისინი არ მოხვდებიან ყველაზე ნაკლებად სასურველ კატეგორიაში“. ყველა ამომრჩეველი, რომელიც არ მიეკუთვნება არც ერთ პარტიას, ისარგებლებს ამ მითითებით.

ყველაზე პატარა ჯგუფებს გავლენის ის ხარისხი ექნებათ, რასაც სამართლიანობა მოითხოვს. ეს გავლენა ზუსტად მისი ამომრჩევლის რაოდენობის შესაბამისი იქნება, მაგრამ იმისათვის, რომ ეს გავლენა მოიპოვონ, ისინი იძულებულნი იქნებიან, სიაში შეიტანონ ის ადამიანები, რომლებმაც საკუთარი თავი სხვა კუთხითაც წარმოაჩინეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებენ ისინი იმ ამომრჩეველთა მიმხრობას, რომლებიც არც რომელიმე სექტის და არც პარტიის წევრები არ არიან. საინტერესოა თანამედროვე სისტემების დასაცავად მოყვანილი არგუმენტები, თუ როგორი მრავალფეროვანი ხდება მასზე განხორციელებული შეტევების მიხედვით. რამდენიმე წლის წინ მაშინ არსებული სისტემის დასაცავი არგუმენტი ის იყო, რომ მასში ყველა კლასი და ინტერესი იყო წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან კლასსა და ინტერესს უნდა ჰყავდეს პარლამენტში მხარდამჭერი და ორატორი. ამის საფუძველზე ამტკიცებდნენ, რომ უნდა შენარჩუნებულიყო ისეთი სისტემა, რომელიც კერძო ინტერესებს არა მხოლოდ დამცველებით, არამედ სასამართლოთიც უზრუნველყოფს. თანამედროვე პერიოდში სრული გარდაქმნა შეინიშნება. ჰერის სისტემა არ აძლევს კერძო ინტერესებს სასამართლოს. იგი მათთვის მხოლოდ დამცველებს უზრუნველყოფს და, სხვათა შორის, მას ამის გამოც აკრიტიკებენ. იგი თავის თავში აერთიანებს კლასობრივი და რაოდენობრივი წარმომადგენლობის ღირსებებს - და აი, ის ერთდროულად ორივე მხრიდან თავდასხმის ობიექტი ხდება!

მაგრამ არსებითად, მის განხორციელებას ამგვარი შეწინააღმდეგებები ხელს არ უშლიან. მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს იმ სირთულეებზე გადაჭარბებული წარმოდგენა, რაც მისი განხორციელების გზაზე შეიძლება წარმოიქმნას. ერთადერთი დამაჯერებელი პასუხი აქ მხოლოდ გამოცდილება თუ იქნება. როდესაც ადამიანები უკეთ გაეცნობიან სისტემის ღირსებებს და ის მოწონებას დაიმსახურებს ნებისმიერი მიუკერძოებელი მოაზროვნისგან, უნდა ვცადოთ, რომ იგი გამოვიყენოთ რაიმე კერძო საკითხში, მაგალითად, რომელიმე დიდი ქალაქის მუნიციპალურ არჩევნებში. ხელსაყრელი შემთხვევა უკვე ხელიდანაა გაშვებული იორკშირის დასავლეთ ნაწილის გაყოფისას, რაც მიზნად ისახავდა პარლამენტში ამ ქალაქისთვის ოთხი ადგილის მიცემას. იმის ნაცვლად, რომ გამოცდილიყო ახალი პრინციპი, საარჩევნო ოლქი ხელშეუხებლად დატოვეს და კანდიდატი არჩეულად გამოაცხადეს, თუ ის მიიღებდა ყველა პირველი და მეორე ხმების მეოთხედ ნაწილს. მართალია, ამგვარი ცდა მხოლოდ ძალიან ზედაპირულ წარმოდგენას მოგვცემდა სისტემის სრულყოფილების შესახებ, მაგრამ იგი გვიჩვენებდა, თუ როგორ ფუნქციონირებს იგი და დაარწმუნებდა საზოგადოებას, რომ ამ სისტემის განხორციელება შესაძლებელია. გაუწევდა მას პოპულარიზაციას და გამოარკვევდა, ნამდვილი თუ მხოლოდ წარმოსახვითია მისი

სირთულეები, რომლებიც, ერთი შეხედვით, საკმაოდ უცნაურად გვეჩვენება. დღე, როდესაც პარლამენტი დაუშვებს რაიმე ცალკეული ცდის ჩატარებას, როგორც მე მეჩვენება, პარლამენტის ცხოვრებაში ახალი ერის დასაწყისის აღმნიშვნელი იქნება. ეს იქნება იმ ერის დასაწყისი, როდესაც წარმომადგენლობით მმართველობას ის ფორმა მიეცემა, რაც მომწიფებულ და გამარჯვებულ ერს შეეფერება იმ უსასრულო ბრძოლის შემდეგ, რომელსაც პარლამენტი ორგანიზაციული სრულყოფისათვის აწარმოებდა და რაც ასე იპყრობდა აქამდე მსოფლიოს.



ნიკო ნიკოლაძე (1843 - 1928)

ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი,
პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

ქალთა უფლებების დაცვის შესახებ

სადღეისო ჭირვარამი

„ქალთა მოძრაობამ“, - რომლის ინიციატივა რუსეთში ეკუთვნის ასე უდროოდ დაღუპულ და ასე ცუდად დაფასებულ მ. ლ. მიხაილოვს, რუსეთის საზოგადოება არაჩვეულებრივად სასიამოვნო სახით წარუდგინა ევროპას. მაშინ, როცა საფრანგეთში, ინგლისში ან გერმანიაში, მიუხედავად ჩვენი საუკუნის უკეთილშობილესი მოაზროვნეების მეცადინეობისა, აზრი ქალის შრომაში გათანასწორებისა და თანასწორუფლებიანობისა, ქალებსაც კი უაზრო ქიმერად ეჩვენებათ, რუსმა ქალებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში და პირველ რიგში დგანან იმ ქალთა შორის, ვინც უმაღლესი განათლება მიიღო. მათმა ბრწყინვალე წარმატებებმა, რასაც მიაღწიეს ბეჯითი შრომით, მიუხედავად დაცინვისა, უწმაწური სიტყვებისა, უკან დევნისა და ცილისწამებისა, ევროპაში მათ შეუქმნა სრულიად დამსახურებული რეპუტაცია, რომლის სხივებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მთელი რუსეთის საზოგდოებაზე. ეს შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე უკეთეს და მტკიცე გამარჯვებად, რამაც ევროპის საზოგადოება აიძულა მომავალში პატივისცემით მოეპყრას რუს ხალხს...

მაგრამ ქვეყანაზე ჯერ არ ყოფილა და, ალბათ, არც არასოდეს იქნება ისეთი ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც არ ახასიათებდეს უკიდურესობები, არ გაეტაცოს გარეგნულ მხარეს, არ გადაემლაშებიოს და არ ჩავარდნილიყოს „სასაცილო“ მდგომარეობაში. თავისთავად იგულისხმება, რომ ქალთა მოძრაობასაც რუსეთში თავი დაეღწია მისგან. იყო მასში სასაცილო, ჰქონდა ნაკლი, იყო შემთხვევები ფირმის არსად მიღებისა, იყო კერპთაყვანისმცემლობა შეკრეჭილი თმებისა და ლურჯი სათვლეებისადმი, მაგრამ საქმის კარგი მხარეების დაუნახველობა ამ წვრილმანებისა და რუსი ქალის პირველი ნაბიჯების უხერხულობის გამო, საპატიებელი მხოლოდ ახლომხედველ და ქარაფშუტა ადამიანებისათვის. დრომ, რომელიც ასწორებს ხორკლებს და მარადიულობას და უკვდავებას მხოლოდ იმას ანიჭებს, რაც მართლა სასარგებლოა, საჭირო და მიზანშეწონილია, რაც შეეფერება კაცობრიობის ბუნებრივ ზრდას და მოთხოვნილებას, განაჩენი გამოუტანა „ქალთა მოძრაობის“ ფორმასაც და არსსაც. არსი დარჩა და იმის და მიხედვით თუ როგორ ხდება იმ ხელოვნური დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომლებიც შეჰქმნა მასების უმეცრებამ და „კონსერვატორების“ დახავსებულობამ, ეს მოძრაობა სულ უფრო და უფრო სერიოზულ სახეს ღებულობს, რაც გამოიხატება ქალების მისწრაფებაში სოლიდური წოდებისა და დამოუკიდებელი შრომისაკენ. ხოლო იმ დროის გარეგნული მხარე, როცა ამ მოძრაობას ჯოგური, მაიმუნური ხასიათი ჰქონდა, თანდათან ქრება და ეგუება ყოველი იმ ქალის ინდივიდუალობას, რომელიც განათლებისაკენ

ისწრაფის. ჩვენ ვეღარ ვხედავთ ჟორჟ ზანდის მსგავსად მამაკაცის შარვალში გამოწყობილ ქალებს, რომელთაც დამოუკიდებლობის უდაო ნიშნად ქუჩაში თავდაყირა სიარული მიაჩნიათ... სამაგიეროდ ჩვენ უფრო ხშირად ვხვდებით ქალებს, რომლებიც არაფრით არ გამოირჩევიან თანამედროვე ქალის ტიპისაგან, მაგრამ რომლებიც გულმოდგინედ შრომობენ მეცნიერებისათვის და თვითგანვითარებისათვის...

შარშანდელი ომის დროს მთელმა რუსეთმა საქმეში დაინახა ეს ქალები, რომლებზედაც ადრე ავტორიტეტული ადამიანები ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ ისინი ევროპაში გარყვნილებისათვის უფრო მოხერხებული საშუალებების გამო დაეთრევიანო (თითქოს სახლში ვინმესთვის ძნელია გარყვნილი ცხოვრებით ცხოვრება). დაინახა ეს ქალები რუსმა ჯარისკაცმაც, რომელიც ჯერ კი არ დაავადებულა ბატ. კატკოვის ტყუილით და ბატ. სუვორინის ჭორებით. ჯარისკაცმა დაინახა, თუ რა შრომისუნარიანობა და რა უსაზღვრო თავგანწირვა გამოავლინეს ამ ქალებმა და ათი ათასობით დაჭრილმა და ავადმყოფმა რუსმა ჯარისკაცმა საყოველთაო და ერთხმად მიღებული განაჩენი გამოიტანა, რითაც ეს ქალები თითქმის წმინდანებად მონათლეს. ბატ. კატკოვებისა და სუროვინების სამარცხვინოდ, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე დასცინოდნენ ამ ქალებს, ახლა ეს განაჩენი ამ ცილისმწამებლების გაზეთებმაც გადაბეჭდეს. მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რასაც მათ შესახებ მთელ რუსეთს მოსდებენ ომში დაჭრილები და დაავადებულები, როცა თავიანთ სახლებს დაუბრუნდებიან. ჩვენ არ ვიცით რას მოჰყვებიან ათი წლის მანძილზე რუსული ქოხების ჭერქვეშ ეს „ჭირვარამს გამოვლილი ადამიანები“ სხვა ადამიანებზე, რომლებიც ომში ნახეს. მაგრამ ისინი რომ ბევრჯერ გაიმეორებენ - რუსი ექიმი ქალი დაჭრილებისა და ავადმყოფების ყველაზე უკეთესი მფარველი ანგელოზი იყოო, ეს არც ჩვენთვის და არც ბატ. კატკოვების და K -სათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს...

ამ გმირი ქალებიდან ბევრი დაიღუპა და სიცოცხლე შესწირა სამშობლოს... მაგრამ მათ დაამტკიცეს, თუ რამდენი სიცრუე იყო იმათ სიტყვებში, ვინც ქალის განათლების წინააღმდეგი იყო და ახლა, როგორც ცნობილია, ამ ქალების წყალობით ქალთა განათლების საქმე უდაოდ მოგებულია...

...Дело прочно,
Когда под ним струится кровь!

აქამდე ვინ არ იცოდა, თუ რამდენი ჭეშმარიტი გმირობა უნდა გამოეჩინათ ამ ქალებს სამშობლოს წინაშე, რომ თავიანთი ვალი მოეხადათ ბრძოლის ველზე და ჰოსპიტალში... შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქალი, რომელიც უანგაროდ წირავდა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს დაჭრილების ტანჯვის შემსუბუქებას, უკიდურეს შემთხვევაში, შეურაცხყოფისაგან, ცილისწამებისაგან და სიცრუისაგან მაინც იქნებოდა დაზღვეული. ქალი ხომ ფულისათვის არ მიდიოდა ომში, რა უნდა მიეცა მისთვის წითელ ჯვარს? არც დიდებისათვის მიდიოდა, რადგან ყველა უცნობი დარჩა, არც ჯილდოსათვის, რადგან ჯილდო არც სჭირდებოდა და მიუწვდომელიც იყო მისთვის... მაშ რა მიიღეს მათ?

წაიკითხეთ „ობროზის“ დღევანდელ ნომერში უბედური კ. ს. ნეკრასოვის წერილი, რომელიც გადმოვბეჭდეთ „მოსკოვსკი ობოზრენიედან“ და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენი სიმწარის გადატანა მოუხდათ ამ ქალებს და რა ადამიანებთან ჰქონდათ საქმე!..

ხედავდე ყოველდღე თავგანწირულ ქალიშვილს, დახრილს დაჭრილი ჯარისკაცების სასიკვდილო სარეცელზე, ხედავდე რამდენი ზნეობრივი ტანჯვის გადატანა უხდებოდათ მათ ამ ჯარისკაცთა ტანჯვის ყურების დროს, რომელთა დანახვაზე ამ სტრიქონების ავტორს, მამაკაცს და ისიც ჯანმრთელ მამაკაცს, დაუკარგავს გრძნობა, ხედავდე ყოველივე ამას, ვამბობ მე და მიეძალო ასეთ ქალიშვილს ეროტიული წინადადებებით, ამისათვის ცოტაა იყო „ეშმაკი“, როგორც ამას უბედური ნეკრასოვი ამბობს, - ამისათვის უბრალო ცხოველი უნდა იყო.

და აი როგორი ფორმით წარმოგვიდგებიან ის ადამიანები, რომლებიც ყვიროდნენ ზნეჩვეულებათა გარყვნაზე იმის გამო, რომ ქალი ისწრაფვოდა ესწავლა რამე მხოლოდ იმისათვის, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა კეთილსინდისიერი და უანგარო სამსახური გაეწია რუსი ხალხისათვის!

რობერტ დ. პატნემი (1941)
ამერიკელი პოლიტოლოგი

ბოულინგი მარტო: საზოგადოებრივი კაპიტალის ფლანგვა ამერიკაში

არსებობს სარწმუნო მტკიცებულება იმისა, რომ ამერიკული სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა შესამჩნევად დაქვეითდა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. თითქმის ყველანაირი მაჩვენებლით ამერიკელთა პირდაპირი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფო მმართველობაში მკვეთრად დაეცა უკანასკნელი ათი-ოცი წლის განმავლობაში. მილიონობით ამერიკელი უარს ამბობს ადგილობრივი საზოგადოებრივი გაერთიანების მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. შემთხვევითი არ არის ის, რომ ნახსენები პერიოდის განმავლობაში ამერიკელები გაერიდნენ როგორც პოლიტიკურ ცხოვრებას, ასევე სახელმწიფო მმართველობას. იმ მოქალაქეთა პროცენტი, რომლებიც „ენდობიან მთავრობას ვაშინგტონში“ ან მხოლოდ „ხანდახან“, ან „თითქმის არასდროს“ 1966 წლიდან 1992 წლამდე ინტერვალში შესამჩნევად გაიზარდა 30%- დან 75%- მდე.

რობერტ დ. პატნემი

ახალი დემოკრატიული რეჟიმების, რომლებიც უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჩამოყალიბდნენ, მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს ძლიერი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობას დემოკრატიის განვითარებისთვის. მეცნიერებიც და დემოკრატიის მომხრენიც გამოთქვამენ სინანულს იმის გამო, რომ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში საზოგადოებრივი აქტივობის ტრადიცია არ ჩამოყალიბდა ან შეწყდა რის გამოც, საყოველთაო ხასიათი მიიღო მოსახლეობის პასიურმა განწყობამ ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისას, ისინი მხოლოდ სახელმწიფოს იმედზე არიან, ისინი ვინც შეწუხებულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების სისუსტით, ყურადღებით აკვირდებიან დასავლური დემოკრატიის განვითარებას, უპირველეს ყოვლისა აშშ-ს, რომელსაც განიხილავენ, როგორც მისაბაძ მაგალითს. თუმცა, არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, ამერიკის სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა საგრძნობლად დაეცა...

ალექსის დე ტოკვილის წიგნის „დემოკრატია ამერიკაში“ გამოსვლის დღიდან შეერთებული შტატები იქცა სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიას შორის არსებული კავშირების კვლევის ობიექტად. ეს იმითაც აიხსნება, რომ ამერიკული ცხოვრების ყოველი ახალი ტენდენცია აღიქმება სოციალური მოდერნიზაციის მახარობლად, თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ სამოქალაქო ცხოვრების განვითარების დონე ამერიკაში, როგორც ტრადიციულად მიჩნეულია, საკმაოდ მაღალია (როგორც ქვევით ვნახავთ, ამგვარ რეპუტაციას აქვს სერიოზული საფუძველი).

ტოკვილი, რომელმაც შტატები XIX ს-ის 30-იან წლებში მოინახულა, ყველაზე მეტად გააოცა ამერიკელთა ნიჭმა გაერთიანებისა და სამოქალაქო ასოციაციების შექმნისა, რასაც იგი ქმედითი დემოკრატიის მშენებლობის საქმეში ამ ქეყნის უმაგალითო წარმატების საფუძვლად მიიჩნევდა. ყოველი ამერიკელი, ვისთანაც მას მოუხდა შეხვედრა, მიუხედავად „ასაკისა, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ხასიათისა, მუდამ ქმნიდა გაერთიანებებს". ტოკვილი აღნიშნავდა, „ამასთან არა მხოლოდ სავაჭრო ან სამრეწველო გაერთიანებებს, რომლებშიაც ყველა მონაწილეობს, არამედ ათას სხვა გაერთიანებას რელიგიური თუ ზნეობრივი, სერიოზული თუ არასერიოზული, დიდს თუ პატარას. ჩემი აზრით, არაფერი არ იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას ამერიკაში, როგორც ინტელექტუალური და ზნეობრივი ასოციაციები."

ბოლო დროს ტოკვილის სკოლის ამერიკელმა სოციოლოგებმა შეაგროვეს ემპირიული მონაცემების დიდი რაოდენობა, რომლებიც მეტყველებენ იმ აზრის სასარგებლოდ, რომ საზოგადოების მდგომარეობა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ნორმებსა და სტრუქტურებზე. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ყველა ის მოქმედება, რომელიც მიმართულია ქალაქებში სიღარიბის და უმუშევრობის რიცხვის შემცირებისაკენ, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, განალებისა და ჯანმრთელობის სისტემის განვითარებისაკენ ეფექტურია მხოლოდ იქ, სადაც არსებობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოებათა დაწესებულებები. ანალოგიურად, ეკონომიკური მიღწევების დონე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში განპირობებულია ჯგუფის შიგნით სოციალური კავშირების არსებობით. ეს მონაცემები მთლიანად ეთანხმებიან იმ კვლევათა შედეგებს, რომლებიც დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ უმუშევრობისა და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სოციალური სტრუქტურები გადამწყვეტ როლს ასრულებენ.

ეკონომიკური განვითარების სოციოლოგიური გამოკვლევები, რომელთაც, ერთი შეხედვით, არავითრი კავშირი არ აქვთ ზემოთ განხილულ თემასთან, ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალურ სტრუქტურებს. სხვები კი ცდილობენ ნათელი მოფინონ აღმოსავლეთ აზიის „სტრუქტურული კაპიტალიზმის" არაჩვეულებრივი წარმატების მიზეზებს. ეგზოტიკურობას მოკლებულ დასავლურ ეკონომიკურ სისტემებშიც კი აღმოჩნდა მაღალეფექტურობითა და მოქნილობით გამორჩეული „სამრეწველო რაიონები", რომელთა წარმატების საფუძველს მუშებისა და წვრილ მეწარმეთა თანამშრომლობის ურთიერთგანსხვავებული ფორმები წარმოადგენს... თანამშრომლობის ეს მრავალფეროვანი სტრუქტურები, როგორიც პიროვნების, ასევე ორგანიზაციებს შორის, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ პალეოინდუსტრიული ანქრონიზმებთან, წარმოადგენენ ულტრათანამედროვე ინდუსტრიის, დაწყებული სილიკინოს ველის დაბლობით და ბენეტონის მაღალი მოდით დამთავრებული, საფუძველს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირების ნორმატიული საფუძვლების არსებობა და ამით მსგავსი გაერთიანების ფართო ქსელი, ასევე ხელს უწყობს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ეფექტურ მუშაობას. ამგვარად დასკვნის შესაძლებლობას იძლეოდა ჩემს მიერ იტალიაში რეგიონალური მმართველობის ორგანოების კვლევის დროს მიღებული შედეგები. მართალია, ყველა ეს ორგანოები ქაღალდზე აბსოლიტურად ერთნაირად გამოიყურებოდნენ, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები განსხვავებულნი აღმოჩნდნენ.

სისტემატურმა კვლევებმა ცხადყო, რომ მმართველობით ორგანოთა მუშაობის ხარისხი პირდაპირ კავშირშია მოცემულ რეგიონში მოსახლეობის საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის ხანგრძლივი ტრადიციების არსებობასთან (ან არარსებობასთან). ყველაზე წარმატებით მმართველი ორგანოები მუშაობდნენ იმ ოლქებში, სადაც შეიმჩნეოდა ამომრჩეველთა აქტივობა იქ, სადაც მოსახლეობა კითხულობდა გაზეთს, მონაწილეობდა გაერთიანებებში და საფეხბურთო კლუბებში. ისტორიული ანალიზი გვაძლევს იმის ნებას, განვაცხადოთ, რომ სამოქალაქო სოლიდარობის და ურთიერთმოქმედების ასეთი სახე, უფრო მეტად წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ განახლების წინაპირობას, ვიდრე მის თანმდევ მოვლენას. ეჭვს გარეშეა, რომ მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ მართვის ორგანოების ეფექტურ მუშაობას მრავალფეროვანი და რთულია. მართალია, აქ მოყვანილი დასკვნები შემდგომ დამტკიცებას მოითხოვენ ემპირიული გამოკვლევების მიერ მოპოვებული ასობით ფაქტით, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამეცნიერო სფეროებში ურთიერთ მსგავს შედეგებს იძლევა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტების მიერ შემოთავაზებულ იქნა, უკვე ნახსენები მოვლენების საკვლევი ზოგადი მიდგომა, რომელიც „საზოგადოებრივი კაპიტალის" კონცეფციას ეყრდნობა. „საზოგადოებრივი კაპიტალი" გულისხმობს სოციალური ორგანიზაციების ელემენტების არსებობას (ქსელები, ნორმები და სოციალური ნდობა), რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების წევრთა კოორდინირებასა და ურთიერთმომგებიან თანამშრომლობას საერთო მიზნების მისაღწევად.

სხვადასხვა მიზეზის გამო იმ საზოგადოებში ცხოვრება, რომელსაც გააჩნია საზოგადოებრივი კაპიტალის მნიშვნელოვანი მარაგი გაცილებით კომფორტულია ვიდრე იქ, სადაც ეს მარაგი მინიმალურია. უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ჩართულობის ქსელები ხელს უწყობენ ურთიერთობათა მდგრადი ნორმების ჩამოყალიბებას, აგრეთვე საზოგადოებაში ნდობის განმტკიცებას. ამგვარი ქსელები აადვილებენ კორდინირებასა და კომუნიკაციას, ამყარებენ რეპუტაციებს, და ამდენად წყვეტენ კოლექტიური ქმედების დილემებს. როდესაც მოლაპარაკებები ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე მომდინარეობენ საზოგადოებრივი ურთიერთქმედების მჭიდრო ქსელის ჩარჩოები, ცდუნება ოპორტუნიზმის გამოვლენისა ნაკლებია. სამოქალაქო ჩართულობის ქსელები წარმატებული თანამშრომლობის წარსულ მაგალითებს მოიცავს, რომლებიც შეიძლება მომავალი თანამშრომლობის კულტურულ მოდელად გამოდგეს. საბოლოოდ, ურთიერთქმედების მჭიდრო ქსელები სავარაუდოდ აფართოებენ პიროვნების თვითაღქმას, „მე"-ს ავითარებენ „ჩვენ"-ში, ან, (რაციონალური არჩევანის ენით რომ ვილაპარაკოთ), აჩენენ კოლექტიური მოგებისთვის მოქმედების სტიმულებს.

მე არ ვაპირებ სოციალური კაპიტალის თეორიის გამოკვლევას ან გავრცობას. სანაცვლოდ მე ვეყრდნობი შესაბამისი კვლევების იმ საკვანძო მტკიცებულებას, რომ სოციალური კავშირები და სამოქალაქო ჩართულობა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე, არეთვე პირად პერსპექტივებზე. .ყოველივე ამის განხილვა ამერიკული გამოცდილების მაგალითზე მოხდება, თუმცა აქ აღწერილი მოვლენები შეიძლება ტიპურიი იყოს სხვა მრავალი თანამედროვე საზოგადოებისათვისაც.

რა დაემართა სამოქალაქო ჩართულობას?

უპირველესად დავინტერესდეთ მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობის ახლებური ხასიათით, ვინაიდან პოლიტიკური აქტივობა უშუალო კავშირშია დემოკრატიასთან (დემოკრატიას ამ შემთხვევაში განვიხილავთ ვიწრო, კონკრეტული აზრით). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამომრჩეველთა აქტივობა ეროვნული არჩევნების დროს შესამჩნევად დაეცა უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე. 60-იანი წლების მაღალ მაჩვენებელთან შედარებით 90-იანი წლების დასაწყისში არჩევნებში მონაწილეთა რაოდენოდა ერთი მეოთხედით შემცირდა. მსგავსი სურათი იხატება შტატებისა და ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით, დღევანდელ ამერიკელებს, მათი მამებისგან განსხვავებით, აღარ სურთ აქტივობის გამოჩენა. სამოქალაქო თვითშეგნების ისეთი უბრალო აქტის დროს როგორიც არჩევნებია.

ხმის მისაცემი კაბინა, ეს ერთადერთი ადგილი არაა, რომელსაც ამერიკელები გვერდს უვლიან. სოციალური გამოკითხვები, რომელსაც ატარებდა როუპერის ორგანიზაცია, გვიჩვენებს უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკითხვების საშუალებით, რომ 1973 წლიდან იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომლებიც მათი თქმით, „წელს ესწრებოდნენ საზოგადოებრივ შეკრებებს, სადაც განიხილებოდა ქალაქის ან სასკოლო განათლემის საკითხები“ შემცირდა არა ნაკლებ 1/3. ანალოგიურად შემცირდა მოქალაქეთა აქტივობა პოლიტიკურ შეკრებებსა და მიტინგებზე, მონაწილეობა პოლიტიკური პარტიების მუშაობასი, ჩართულობა ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ამერიკელთა პირდაპირი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობაში, მკვეთრად დაეცა, თუმცა განათლების საშუალო დონემ იმავე პერიოდში საკმაოდ მოიმატა, რასაც პირიქით პოლიტიკური აქტივობის ზრდა უნდა მოყოლოდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდში ამერიკელები ფსიქოლოგიურადაც გაემიჯნენ პოლიტიკასა და მმართველობს. იმ ამერიკელთა წილი, ვინც „ენდობა ცენტრალურ ხელისუფლებას“ მხოლოდ „ზოგჯერ“ ან „არასდროს“ სტაბილურად იზრდებოდა და 30 %-დან 1966 წელს მიაღწია 75 %-ს 1992 წელს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტენდეცია საყოველთაოდ ცნობილია და ცალკე აღებული თითქოს კარგად იხსნება პოლიტიკური პოზიციიდან. შესაძლებელია პოლიტიკურმა ტრაგედიებმა და სკანდალურმა შემთხვევებმა, რომლებიც მრავლად იყო სამოციან წლებში (პოლიტიკურმა მკვლელობებმა, ვიეტნამის ომებმა, უოტერგეიტმა, ირანგეიტმა და სხვა) გამოიწვიეს უბრალო ამერიკელებში ზიზღი პოლიტიკისა და მთავრობის მიმართ. ეჭვგარეშეა, რომ ამგვარი ახსნა ყურადღების ღირსია, მაგრამ როდესაც ჩვენ განვიხილავთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას უფრო ზოგადი აზრით, მაშინ ამ თვალთაზრისის შეზღუდულობა უეჭველია.

ამერიკელთა სხვადასხვა ორგანიზაციებში მონაწილეობის შემთხვევათა ანალიზი შეიძლება დავიწყოთ „საერთო სოციოლოგიური გამოკითხვით“, რომელიც მეცნიერულ მეთოდებზე დაყრდნობით 14-ჯერ ჩატარდა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში. ყველაზე გავრცელებულ ჯგუფებს ამერიკაში წარმოადგენენ ის ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეკლესიასთან. ისინი განსაკუთრებით პოპულარულები არიან ქალთა შორის. სხვა ასოციაციათა შორის, რომლებშიც ასევე ხშირად ერთიანდებიან ქალები, შეიძლება დასახელდეს სასკოლო (მეტწილად მშობელთა და მასწავლებელთა), სპორტული, პროფესიონალური და ლიტერატურული საზოგადოებები. მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ სპორტულ კლუბებს, პროფესიულ კავშირებს, პროფესიონალურ საზოგადოებებს, საძმოებს და მამაკაცთა კლუბებს, ვეტერანთა ორგანიზაციებსა და კლუბებში ინტერესების მიხედვით. მოქალაქეთა პროცენტი, რომლებიც ეკუთვნიან ამა თუ იმ რელიგიურ დაჯგუფებებს ბევრად აღემატება სხვა სხვა ასოციაციებში მონაწილე ამერიკელთა პროცენტს. ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით, ამერიკაში შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური თვალსაზრისით არაჩვეულებრივად აქტიურ საზოგადოებად. მაგ.სალოცავი სახლების რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე ამერიკა აღემატება ნებისმიერ სხვა ქვეყანას მსოფლიოში და მიუხედავად ამისა, რელიგიური გრძნობების გამოვლინება ხდება უფრო და უფრო ინდივიდუალური და უფრო ნაკლებად დაკავშირებული რაიმე ორგანიზაციასთან.

აქაც, შეიძლება ითქვას, მოხდა ორგანიზებულ რელიგიურ საქმიანობაში ამერიკელთა მონაწილეობის მკვეთრი შემცირება. ძოგადი სქემა ასეთია: 60-იან წლებში შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი კლება ყოველკვირეული რეგისტრირებული მონაწილეებისა საეკლესიო რიტუალებში. იმავდროულად ზოგადი სოციალური კვლევა დასტურებს ეკლესიებთან დაკავშირებული ჯგუფების წევრთა რაოდენობის გარკვეულ კლებას. შეიძლება ითქვას, რომ საერთო კლება ამერიკელების მონაწილეობსა რელიგიურ საქმიანობაში და ეკლესიებთან დაკავშირებულ ჯგუფებში შეადგენს ერთ მეექვსედს.

წლების განმავლობაში პროფკავშირები, ამერიკელი მუშების ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია იყო. ამის მიუხედავად, აგერ უკვე ორმოცი წელია პროფკავშირის წევრთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ყველაზე უფრო მკვეთრი კლება მოხდა 1975-80-იან წლებში. 50-იანი წლებიდან, როდესაც წევრობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, არასასოფლო მეურნეობის სამუსაო ძალის წევრობა პროფკავშირებში განახევრდა, და 32 პროცენტიდან 15 პროცენტამდე დაეცა 1992 წლისთვის. დღესდღეისობით ყველაზე უფრო მკვეთრი გაგება მოხდა ორგანიზაციების ვულკანისებური აქტიობა, რაც თავის დროზე ფ.რუზველტის „ახალ კურსს“ უკავშირდებოდა, პრაქტიკულად ჩამცხრალია და მხოლოდ უფროსი თაობის მოგონებაშიღა ცოცხლობს.

XX საუკუნის ამერიკაში მოქალაქეთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფორმად მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაციები ითვლება. საგანმანათებლო პროცესში მშობელთა მონაწილეობა „საზოგადოებრივი კაპიტალის“ მნიშვნელოვან პროდუქციულ სახესხვაობას წარმოადგენს. ამიტომ არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ 1964 წლიდან მოყოლებული 12 მილიონი ადამიანიდან 1982 წლისათვის ასოციაციის წევრთა რიცხვი 5 მილიონამდე შემცირდა, თუმცა დღესდღეისობით ეს რიცხვი ოდნავ გაიზარდა 7 მილიონამდე.

ყურადღება შევაჩეროთ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და საძმოებში ნებაყოფლობითი გაწევრიანების მონაცემებზე. აქ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ყურადსაღები კანონზომიერება, მაგ. ქალთა კლუბების ნაციონალური ფედერაციის წევრთა რაოდენობა 1964 წლიდან თითქმის ორჯერ 59% შემცირდა, ხოლო ქალ-ამომრჩეველთა ლიგა 1969 წლიდან მოყოლებული 42%-ით. ანალოგიურად მცირდება

სამოქალაქო ორგანიზაციების მოხალისეთა რიცხვი ისეთების, როგორებიცაა ბოისკაუტების ორგანიზაცია, რომლის წევრთა რაოდენობა 1970 წლის შემდეგ 16% -ით შემცირდა. ასევე წითელი ჯვარი. ნიშნავს ეს იმას თუ არა რომ, მოხალისეებმა სხვა ორგანიზაციებს მიანიჭეს უპირატესობა?! სამწუხაროდ არა - წითელი ჯვრის აქტივისტთა და ბოისკაუტთა კომანდირების მიერ ამ ორგანიზაციებთა რიგებს დატოვებას არ მოჰყოლია მოხალისეთა რაოდენობის ზრდა სხვა ორგანიზაციებში. მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსხვილ სამოქალაქო ორგანიზაციებში აშკარად შეიმჩნევა მნიშვნელოვანი და თითქმის ერთდროული კლება მონაწილეთა რაოდენობისა.

ჩემს მიერ აღწერილ ფაქტებს შორის, რომლებიც ადასტურებენ ამერიკელთა თანდათანობით ჩამოშორებას აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისგან ყველაზე უფრო თავისებურია შემდეგი: ბოლო წლებში ბოულინგის მოთამაშეთა რიცხვის ზრდას არ მოჰყოლია ბოულინგის კლუბის წევრთა მომრავლება, არამედ ის კლებულობს, ადამიანები ამჯობინებენ მარტო ყოფნას თამაშის დროს. 1980 წ-დან 1993 წ-მდე ბოულინგის მოთამაშეთა რიცხვი 10%-ით გაიზარდა მაშინ, როდესაც ბოულინგ-კლუბის წევრთა რიცხვი 40%-ით შემცირდა. მარტოხელა მოთამაშეთა რიცხვის ზრდა სპორტული მოედნების მფლობელთა შემოსავალზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, ვინაიდან კლუბის წევრები სამჯერ მეტ ლუდსა და საკვებს მოიხმარენ, ვიდრე მარტოხელა მოთამაშენი. არადა, სწორედ, ლუდი და საკვები წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობანი, საუბრები სამოქალაქო თემაზე, რომელშიც მარტოხელა მოთამაშენი ნამდვილად არ იღებენ მონაწილეობას. კოლექტიური თამაშებისადმი გულაცრუება საზოგადოებრივი კაპიტალის კიდევ ერთი ფორმის თანდათანობით გაქრობაძე მიუთითებს.

შემხვედრი ტენდეციები:

ზემოთ მოყვანილი კვლევებიდან გამომდინარე დასკვნების საპირისპიროდ არსებობს ყურადსაღები კონტრარგუმენტები. ხომ არ ყალიბებდა ტრადიციული სამოქალაქო გაერთიანებების, რომელთა კრიზისიც ზემოთ უკვე აღვწერეთ, ნაცვლად ახალი სასიცოცხლო ძალებით აღსავსე ურთიერთობანი?! მაგ.: ისეთი როგორიცაა გარემოს დაცვა (საერო კლუბის ტიპი) ნაციონალური ორგანიზაცია ან ფემინისტური ჯგუფები (ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია) რომლებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა 70-იან 80-იან წლებში და დღესდღეისობით საკუთარ რიგებში ასიათასობით წევრს აერთიანებს. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკის პენსიონერთა ასოციაციაზე, რომლის რიგები ათასობით წევრს აერთიანებს. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკის პენსიონერთა ასოციაციაზე, რომლის რიგები 1960 წლისთვის 400 000 წევრობი ბილეთის მქონე პირს რომ აერთიანებდა 1933 წელს 33 მილიონამდე გაიზარდა. ამის შემდეგ ასოციაცია იქცა ერთ-ერთ უმსხვილეს არასახელმწიფო გაერთიანებად მსოფლიო მასშტაბით. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვაშინგტონში ყველაზე გავლენიანი ლობისტების რიცხვში სწორედ მომხრეთა მრავალრიცხოვანი სიების წყალობით შედიან.

ეს ახალი მასობრივი გაერთიანებები ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური თვალსაზიერიდან. მაგრამ სოციალური შეკავშირებულობის თვალსაზრისით ისინი იმდენად განსხვავდებიან კლასიკური წინამორბედებისგან, რომ მათ უნდა ეწოდოს

ახალი ტერმინი - „მესამე სექტორი“. მათი წევრების დიდი უმრავლესობისთვის წევრობა გამოიხატება მხოლოდ საწევროს გადახდაში, ან, შესაძლოა, დროდადრო საინფორმაციო ბიულეტენის წაკითხვაში. ამგვარი ასოციაციების რაიმე კრებებს ცოტა წევრი თუ დასწრებია ოდესმე, და უმრავლესობა სავარაუდოდ არც ერთ სხვა წევრს არ შეხვედრია. სიერას კლუბის ნებისმიერ ორ წევრს შორის კავშირი ნაკლებად წაგავს კავშირს მებაღეთა კლუბის წევრებს შორის, და უფრო ემსგავსება კავშირს რომელიმე საფეხბურთო კლუბის მოყვარულთა შორის: ისინი გულშემატკივრობენ ერთსა და იმავე კლუბს და აქვთ გარკვეული საერთო ინტერესები, მაგრამ ერთმანეთის შესახებ არაფერი იციან. მოკლედ, მათ აკავშირებენ საერთო სიმბოლოები, საერთო ლიდერები, და, შესაძლოა, საერთო იდეები, მაგრამ უშუალო კავშირი ერთმანეთთან არა აქვთ. სოციალური კაპიტალის თეორია ამტკიცებს, რომ გაერთიანების წევრობა ზრდის სოციალურ ნდობას, მაგრამ ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბევრად ნაკლებადაა გამოხატული „მესამე სექტორის“ ორგანიზაციებთან მიმართებაში, სოციალური დაკავშირებულობის თვალსაზიერიდან, ძველი და ახალი ორგანიზაციები უბრალოდ არ მიეკუთვნება ერთსა და იმავე კატეგორიას.

თუკი მესამე ტიპის ორგანიზაციების ზრდა წარმოადგენს ჩემი მტკიცებულების ერთ შესაძლო კონტრარგუმენტს, მეორე კონტრარგუმენტი შეიძლება იყოს არამომგებიანი ორგანიზაციების ზრდა, განსაკუთრებით მომსახურების სექტორში. ხშირად „მესამე სექტორად“ მოხსენიებული გაერთიანებათ ეს ტიპი თავის თავში აერთიანებს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ჯგუფებს, მოშიმშილეთ დახმარების ოქსფორდის კომიტეტიდან დაწყებული (ოქსფამი) მეტროპოლიტენ მუზეუმითა, ფორდის ფონდითა და მაიოს კლინიკით დამთავრებული.მიუხედავად იმისა, რომ მეორეული ასოციაციათა უმრავლესობა არაკომერციული გაერთიანებებია, ყველა მათგანი ვერ ჩაითვლება ამ ტიპის ასოციაციად. არაკომერციული სექტორის გაფართოებას, სოციალური კავშირების ზრდის განმტკიცებასთან გაიგივება სერიოზული კონცეპტუალური შეცდომა იქნებოდა.

მესამე შემხვედრი ტენდენცია, უფრო მეტად გახლავთ, საზოგადოებრივი კაპიტალის შეფასებსთან და მოქალაქეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხარისხთან. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით, ფართო გავრცელება ჰპოვა „მხარდაჭერის ჯგუფის“ სხვადასხვა სახის გაერთიანებებმა, მაგ.: უოტსონის მიერ გამოკითხულთა 5%- მა განაცხადა რომ ამა თუ იმ „თვითმაშველი“ ჯგუფის მუდმივი წევრია. მათი თქმით, ისინი მუდმივად იკრიბებიან, ერთად ზრუნავენ და ეხმარებიან ერთმანეთს. ასეთი ტიპის ჯგუფებს განეკუთვნება „ანონიმ ალკოჰოლიკთა“ გაერთიანება. ზუსტად ამდენივემ გამოკითხულთა შორის განაცხადა საკუთარი კუთვნილების შესახებ ლიტერატურულ და ინტერესთა კლუბების მიმართ.

უატნოუს რესპოდენტთა მიერ აღწერილი ჯგუფები საზოგადოებრივი კაპიტალის მნიშვნელოვანი ფორმებია. აუცილებელია სოციალური დაკავშირებულობის სფეროში ტენდენციათა სერიოზული ანალიზის დროს მათი გათვალისწინება. მეორე მხრივ, მათი როლი ვერანაირად ვერ შეედრება იმას, რასაც ტრადიციული სამოქალაქო ასოციაციები ასრულებენ. შეთანხმებები, რომლებიც აკავშირებენ ჯგუფის წევრებს, მხოლოდ უმნიშვნელო ვალდებულებას აკისრებთ მათ. მობრძანდით თუ დრო გაქვთ, ილაპარაკოთ თუ გსურთ, პატივი ეცით სხვების აზრს, არასდროს გამოთქვათ კრიტიკული აზრი და თუ რაიმე არ მოგწონთ ჩუმად გაიპარეთ...

შესაძლებელია ასთი სახის მცირერიცხოვანმა ჯგუფებმა მართლაც შეცვალონ ოჯახური, კეთილმეზობლრი და უფრო ფართო ხასიათის საზოგადოებრივი გაერთიანებები.

სამივე ზემოთ ჩამოთვლილი შემხვედრი ტენდენცია - მესამეული ასოციაციები, არაკომერციული ორგანიზაციები და მხარდაჭერის ჯგუფები გულდასმით უნდა იყოს განხილული, როგორც საპირწონე ჩვეულებრივი სამოქალაქო ორგანიზაციების გაქრობისა. მსგავსი ანალიზის ჩატარება შესაძლებელია საერთო სოციოლოგიური გამოკითხვების საფუძველზე. ყოველივე ამის შედეგად, შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გამოტანა: ამ დროისთვის იმ ამერიკელთა რიცხვმა, რომელთა სოციალური მდგომარეობა ხელს უწყობს მათ მონაწილეობას ასოციაციებში (უმაღლესი განათლება, საშუალო ასაკი და სხვა) საგრძნობლად იმატა, თუმცა ჯამური რიცხვი ასოციაციების წევრებისა ისევ ძველ ნიშნულზე რჩება ან მცირდება. თუ განვიხილავთ გაერთიანებათა ცალკეულ ტიპებს, დაღმვალი სვლის ტენდენციები ყველაზე უფრო იმ ასოციაციებში შეიმჩნევა, რომლებიც დაკავშირებულია ეკლესიებთან, პროფკავშირებთან, საძმოებთან, ვეტერანთა და სასკოლო ორგანიზაციებთან. ამის საწინააღმდეგოდ, პროფესიონალურ კავშირებში გაწევრიანებათა რიცხვმა არც ისე შესამჩნევად, მაგრამ მაინც იმატა, ეს ტენდენციები თანაბარია როგორც მამაკაცებისათვის ისე ქალებისთვის, ამგვარად სოციოლოგიური გამოკითხვების მონაცემები ასაბუთებენ შემდეგს მოსაზრებებს - ამერიკული საზოგადოებრივი კაპიტალი, სამოქალაქო ფორმით წარმოდგენილი მნიშვნელოვნად შემცირდა ჩვენი თაობის არსებობის მანძილზე.

კეთილმეზობლობა და საზოგადოებრივი ნდობა:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური დაკავშირებულობის განვითარებაში არსებული ტენდენციების დამმოწმებელი ყველაზე უფრო ნათელი მონაცემები ეკუთვნის ფორმალური ვალდებულების შესრულების ისეთ სფეროს როგორიცაა: არჩევნებში, პროფკავშირული ან მოსწავლეთა და მშობელთა ასოციაციების მუშაობაში მონაწილეობა. საზოგადოებრივი კაპიტალის ფუნდამენტალური ფორმა ოჯახი გახლავთ, რომლის შიგნითაც ნათესაური კავშირის შესუსტების დამამტკიცებელი ფაქტები საკმარისზე მეტია, რაც საზოგადოებრივი კაპიტალის ქრობის თაობაზე გამოთქმული თეზისის სრულად ასახავს და ამასთანავე შესაძლებელს ხდის ამ ფენომენის ახსნას.

არაფორმალური საზოგადოებრივი კაპიტალის სხვა ფორმა მეზობელთა შორის არსებული ურთიერთობებია. ამერიკელთა ის რაოდენობა, რომლებიც მეზობელთან წელიწადში ერთზე მეტად ურთიერთობენ, ნელა, მაგრამ მტკიცედ კლებულობს, 72%-დან 1947 წელს 61%-მდე 1993 წელს. მეორე მხრივ, ურთიერთობა მეგობრებთან, რომლებიც არ ცხოვრობენ მეზობლად უფრო ინტენსიური ხდება. რაც სოციალური დაკავშირებულობის განმტკიცებაზე მეტყველებს და რისი საფუძველიც ერთობლივი სამუშაოა.

გარდა ამისა, ამერიკელები ნაკლებად მიმნდობნი გახდნენ, იმ ამერიკელთა რიცხვი, რომელთა აზრით, ადამიანთა უმრავლესობა მათ ნდობას იმსახურებს, ერთი მესამედით შემცირდა. ეს ტენდენცია მსგავსია ყველა საგანმანათლებლო ჯგუფისთვის, ვინაიდან, საზოგადოებრივი ნდობა კორელირებს განათლების დონესთან და ვინაიდან ამ დონემ მკვეთრად მოიმატა მთლიანობაში, საზოგადოებრივი ნდობის დაქვეითება კიდევ უფრო აშკარაა.

სოციალური დაკავშირებულობის ტრანსფორმაციის ტენდენციების თაობაზე მოსაზრებები, რომლებიც ეხებოდა საზოგადოებრივი კაპიტალის განხილულ ფორმებს, ლოგიკურ კავშირშია ცალკეული ინდივიდის ქცევებთან, ეს ნამდვილად ასეა. მეტია იმის ალბათობა რომ ასოციაციის წევრები უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეტ დროს გაატარებენ მეზობლებთან და აღიდგენენ საზოადოებრივ ნდობას. ეს არა მარტო საზოგადოებებს, ასოციაციებსა თუ ინდივიდებს შეეხებათ, არამედ - სახელმწიფოებსაც, რადგან მათ შორისაც შეიმჩნევა გაუცხოებისა და უნდობლობის ხარისხის ზრდა.

1991 წლით დაწყებული მსოფლიო მიმოხილვის მონაცემები მიანიშნებენ შემდეგს:

1) 35 ქვეყანაში, რომლებიც კვლევის ობიქტს წარმოადგენდნენ საზოგადოებრივ ნდობასა და სამოქალაქო აქტივობას შორის მჭიდრო კავშირი დაფიქსირდა. ნდობა და სამოქალაქო აქტივობა საზოგადოებრივი კაპიტალის განუყოფელი ნაწილია.

2) ამერიკაში ორივე მახასიათებელი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია. ამერიკელები რჩებიან უფრო მიმდობ და საზოგადოებრივად აქტიურ ერად, ვიდრე სხვა ქვეყნების მოქალაქეები.

3) თუმცა საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მანძილზე შტატებმა საზოგადოებრივი კაპიტალის შეფასების საერთაშორისო სკალის უფრო დაბალ ნიშნულზე გადაინაცვლეს. სიტუაცია იმდენად გაუარესდა, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის ქრობის ამ ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში ქვეყანა მოცემული სკალის იმ დონეზე გადაინაცვლებს, რომელზეც სამხრეთ კორეა, ბელგია, ან ესტონეთი იმყოფებიან.

რატომ ქრება ამერიკის საზოგადოებრივი კაპიტალი?

როგორც დავინახეთ, უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში, ამერიკაში მოხდა რაღაც ისეთი, რამაც სოციალური დაკავშირებულობის და სამოქალაქო აქტივობის შესუსტება გამოიწვია. ქვემოთ მოყვანილია ამ ფაქტის ამხსნელი რამდენიმე შესაძლო ვარიანტი.

1. საქმიან ცხოვრებაში ქალების აქტიური მონაწილეობა. განხილული 20-30 წლის მანძილზე მილიონობით ამერიკელმა ქალმა უარი თქვა დიასახლისის პროფესიაზე და ანაზღაურებადი სამუშაო ამჯობინა. ეს ფაქტი მნიშნელოვანია, თუმცა არა ერთადერთი მიზეზია, რომ სამუშაო საათების ყოველკვირეული რაოდენობა საშუალო ამერიკელისა საგრძნობლად გაიზარდა. სავსებით შესაძლებელია რომ ასეთ სოციალურ რევოლუციას გამოეწვია იმ დროისა და ძალების გადახარჯვა, რაც აუცილებელი იყო საზოგადოებრივი კაპიტალის შექმნისთვის.

ზოგიერთი ორგანიზაციისათვის, როგორიცაა მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაცია, ქალ ამომრჩეველთა ლიგა, ქალთა კლუბების ფედერაცია და წითელი ჯვარი, მითითებული ფაქტი ნამდვილად წარმოადგენს მიზეზს. ქალთა აქტიობის შესამჩნევი კლება 70-იან წლებე მოდის, რადგანაც ქალთა ორგანიზაციებში წევრთა რაოდენობის კლებამ 60-იან წლების მაჩვენებელს ორჯერ გადააჭარბა, მაშინ როდესაც მამაკაცთა ორგანიზაციებში წევრთა რაოდენობა დღეისათვის ერთი მეოთედით შემცირდა. ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება ამ მონაცემთა შედარება, კერძოდ საზოგადოებრივი აქტივობის დაქვეითება მამაკაცებს შორის ქალების

საშინაო საქმეებისაგან გათავისუფლებით შეიძლება აიხსნას, იმ აზრით, რომ მამაკაცებს საშინაო საქმეები მოემატათ და საზოგადოებრივ ცხოვრებას იმდენად დროს ვეღარ უთმობენ. მაგრამ როგორც ოჯახურ დროისა და ბიუჯეტის განაწილების თაობაზე ჩატარებული კვლევები გვიჩვენებენ, მამაკაცთა უმრავლესობას საოჯახო ვალდებულებათა მოცულობა მის შემდეგ, რაც მათმა ცოლებმა მუშაობა დაიწყეს, არ მომატებიათ.

2. მობილურობა: ჰიპოთეზა „გადანერგვა“. მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ერთ ადგილას მყარად ცხოვრება და საცხოვრებლის საკუთრად ფლობა პირდაპირ კავშირშია სამოქალაქო აქტივობასთან. საცხოვრებელი ადგილის ხშირი ცვლა კი გარკვეულწილად პრობლემებს ქმნის ახალ ადგილზე დამკვიდრებისა. თუმცა ეს ახლსნა საკამათოა, ვინაიდან საკუთარი ბინის მფლობელთა რიხვის მაჩვენებელი გაიზარდა, 1965 წლის მონაცემებთან შედარებითაც კი, და ნამდვილად აღემატება 50-იანი წლების მაჩვენებელს, როდესაც სამოქალაქო აქტივობის დონე გაცილებით მაღალი იყო.

3. დემოგრაფიული ცვლილებები. ამერიკული ოჯახის ტრანსფორმაცია განხილული პერიოდის განმავლობაში, გამოწვეული იყო მთელი რიგი ფაქტორებით - ქორწინებათა რიცხვის კლება, გაყრათა რაოდენობის ზრდით, რეალური შემოსავლების შეკვეცით და სხვა. ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი შეიძლებოდა გამხდარიყო მიზეზი სამოქალაქო აქტივობის დაქვეითებისა, ვინაიდან ქორწინებაში მყოფი ადამიანები, რომელთაც ბავშვები ჰყავთ, როგორც წესი, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, იმ ცვლილებებმა, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალა ამერიკული ეკონომიკის მაშტაბურობა, მაგ.: სავაჭრო ჯიხურის უზარმაზარი სუპერმარკეტებით შეცვლა, საქონლის შესყიდვისას ელექტრონული დანადგარების გამოყენება, ანდა ადგილობრივი წარმოების შორეული მრავალნაციონალური ფირმების ავანპოსტებით ჩანაცვლება, შეიძლებას მართლაც გამოეწვია სამოქალაქო აქტივობის როგორც მატერიალური , ასევე ფიზიკური საფუძვლების შერყევა.

4. თავისუფალი დროის ტექნოლოგიური ცვლილება. არსებობს სარწმუნო საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ტექნოლოგიური განვითარების ღრმად ფესვგამდგარმა ტენდენციებმა გამოიწვიეს თავისუფალი დროის „პრივატიზაცია“ ანდა „ინდუვიდუალიზაცია“, რის გამოც საგრძნობლად შეიზღუდა საზოგადოებრივი კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობა. ამ ტექნოლოგიური რევოლუციის ყველაზე ძლიერ იარაღს ტელევიზია წარმოადგენს. ოჯახის მიერ გამოყენებული დროისა და ბიუჯეტის განაწილების სფეროში 60-იან წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ტელეეკრანთან გატარებული დრო, ამერიკელთა მიერ თავისუფალი დროის სხვა ფორმებისადმი აქტიური ინტერესის დაკარგვის მთავარი მიზეზია. ტელევიზიამ ნამდვილად გააფართოვა ადამიანთა თვალსაწიერი, მაგრამ ამავდროულად საგრძნობლად გაანელა მათ შორის პირადი ურთიერთობებისადმი ინტერესი.

ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, ელექტრონული ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ადამიანს უფრო სრულად დაიკმაყოფილოს მოთხოვნები. გართობის უფრო მარტივი საშუალებებით. ხომ არ შეაქვთ ტექნოლოგიების განვითარების გარკვეული ბაზარი, ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესების თანაარსებობაში. ეს საკითხი უფრო სისტემურ შესწავლას მოითხოვს.

რა უნდა გაკეთდეს?

ჩვენ უნდა მოვახდინოთ საზოგადოებრივი კაპიტალის ცალკეული ასპექტების კვლევა. ორგანიზაციისა და სტრუქტურის რომელი ტიპები წარმოაჩენენ უფრო ეფექტურად ან ქმნიან საზოგადოებრივ კაპიტალს ურთიერთობთა თვალსაზრისიდან გამომდინარე. მოცემულ ნარკვევში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოქალაქეთა ასოციაციების მაონაწილეობას. განასაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მოქალაქეთა შორის „ჰორიზონტალურ“ კავშირებს, როგორც ყველაზე უფრო პროდუქტულ ფორმას საზოგადოებრივი კაპიტალისა.

პრობლემათა საყურადღებო კომპლექსს წარმოადგენს მაკროსოციოლოგიური შემხვედრი დინებები, რომლებიც შეიძლება კორელირებდნენ ზემოთ აღნიშნულ ტენდენციებთან. ეჭვგარეშეა, რომ ელექტრონული კონფერენციები არ არიან ტოლფასნი გოლფის მოედანზე შეკრებისა და ღამის ბარში შეხვედრებისა, თუმცა ამ აზრს დამტკიცება სჭირდება, რისთვისაც ყურადღებით შერჩეული ემპირიული კვლევაა საჭირო.

ამერიკული საზოგადოებრივი კაპიტალის მდგომარეობის შეფასებისას საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებრივი აქტივობის როგორც წარმატებები, ასევე წარუმატებლობები. არ არის საჭირო 50-იანი წლების ამერიკის პატარა ქალაქების ცხოვრების რომანტიზირება. ნეგატიური ტენდენციების გარდა, რომლებიც ამ ნაკვეთშია აღწერილი, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შეინიშნებოდა პოზიტიური ტენდენციები, კერძოდ შემწყნარებლობის ზრდა და დისკრიმინაციის აშკარა ფორმების შესუსტება, რაც სავსებით შესაძლებელია, რომ ტრადიციული საზოგადოებრივი კაპიტალის კლების ტენდენციას უკავშირდებოდეს.

ბოლოს, აუცილებელია შემოქმედებითად და რაც შეიძლება სწრაფად შევუდგეთ იმის შესწავლას, თუ როგორ აისახება სახელმწიფო პოლიტიკა საზოგადოებრივი კაპიტალის ფორმირებაზე. ცნობილია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მთელ რიგ შემთხვევებში, იწვევდა მაღალეფექტური სოციალური სტრუქტურებისა და ნორმების დარღვევას. მაგალითად, 50-იან და 60-იან წლებში ქალაქის ძველი უბნის ნგრევამ, მართალია განაახლა ფიზიკური კაპიტალი, მაგარამ დიდი ზიანი მიაყენა მაშინ არსებულ საზოგადოებრივ კაპიტალს.

მეორე მხრივ, ისეთმა სახელმწიფო ინიციატივებმა, როგორებიცაა სასოფლო მეურნეობაში შუამავალთა სტრუქტურების შექმნა, ადგილობრივ კოლეჯთა ორგანიზება და ქველმოქმედებაზე დახარჯულ თანხებზე გადასახადების გაუქმებამ შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი კაპიტალის დაგროვებას. კალიფორნიის შტატში სულ ცოტა ხნის წინ განხორციელებული ინიციატივა იმისა, რომ ყველა ახალ სახლს აუცილებლად ჰქონდეს წინა კარი, წარმოადგენს საზოგადოებრივი კაპიტალის განვითარების სახელმწიფოს მხრიდან ხელისშემწყობ მაგალითს.

განვითარებულ დემოკრატიებში, მოქალაქეთა მიერ ხშირად ეჭვის საგანი ხდება საკუთრი საზოგადოებრივი ინსტიტუტების ეფექტურობა. არის ეჭვის საფუძველი, რომ ამერიკაში მაინც, თუ სხვაგან არა, დემოკრატიული ქაოსი და სამოქალაქო აქტივობის მკვეთრი კლებით არსი გამოწვეული, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინ დაიწყო. ვითარდება თუ არა მსგავსი მოვლენები სხვა დემოკრატიებში, ეს ჯერ კიდევ

შესწავლის საგანია. ამერიკის წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა: შეცვალოს ნეგატიური ტენდენციები სოციალური დაკავშირებულობის განვითარებაში, იმისთვის, რომ აღორძინდეს სამოქალაქო აქტიობა და აღდგეს საზოგადოებრივი ნდობის ფაქტორი მოსახლეობაში.

1995 წ.

ალექსის დე ტოკვილი (1805-1859)

ფრანგი მოაზროვნე, პოლიტოლოგი

 დემოკრატია ამერიკაში

უმრავლესობის ყოვლისმომცველი ძალაუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი შედეგები

მმართველობის დემოკრატიული ფორმის საფუძველს წარმოადგენს უმრავლესობის განუყოფელი უზენაესობა, ვინაიდან დემოკრატიულ სახელმწიფოში არაფერია უმრავლესობაზე უფრო ძლიერი. ამერიკულ კონსტიტუციათა უმრავლესობა მიმართული იყო უმრავლესობის ამ ბუნებრივი სიძლიერის ხელოვნურ გაზრდაზე[1].

პოლიტიკური ძალაუფლების სახეობებს შორის სწორედ საკანონმდებლო ძალაუფლება ემორჩილება ყველაზე უკეთ უმრავლესობის ნებას. ძალაუფლების ეს შტო, ამერიკელთა ნების თანახმად, ირჩევა უშუალოდ ხალხის მიერ და თანაც ძალიან მცირე დროით. ეს გარემოება აიძულებს მათ, გამოხატონ არა მარტო თავიანთი ამომრჩევლების ნება, არამედ გაითვალისწინონ მათი ცვალებადი სურვილებიც. ორივე პალატის წევრები შეიძლება აირჩიონ ერთი და იმავე კლასის წარმომადგენლებისგან, მათი ნომინაციის პროცედურა ურთიერთმსგავსია. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ორგანოები მთლიანად განიცდიან ასეთივე სწრაფ და გარდაუვალ ცვლილებებს, როგორსაც ცალკე აღებული საკანონმდებლო ასამბლეები.

მიანიჭეს რა ძალაუფლების საკანომდებლო შტოს ასეთი სახე, ამერიკელებმა გადასცეს მას მმართველობის თითქმის ყველა ფუნქცია.

კანონი კიდევ უფრო ამყარებს ძალაუფლების იმ სახეებს, რომლებიც ისედაც ძლიერნი იყვნენ და ასუსტებს იმათ, რომლებიც თავიდანვე არ გამოირჩეოდნენ სიძლიერით. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის კანონი არ უზრუნველყოფს არც სტაბილურობას და არც დამოუკიდებლობას. კანონმდებელთა კაპრიზებისადმი მათი მთლიანად დამორჩილებით ის ართმევს მათ იმ უმნიშვნელო ძალასაც კი, რომელიც მათ შეიძლება ჰქონოდათ დემოკრატიულ სახელმწიფოში. რამდენიმე შტატში სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაც ასევე უმრავლესობის არჩევანს მიანდეს. ყველა მათგანში ის საკანონმდებლო ხელისუფლების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული, ვინაიდან ის ყოველწლიურად წყვეტს

[1] როდესაც ფედერალურ კონსტიტუციას ვიხილავდით, ჩვენ დავინახეთ, რომ შეერთებული შტატების კანონმდებლეთა ძალისხმევა იყო მიმართული ამ აბსოლუტური ძალაუფლების წინააღმდეგ. შედეგად ფედერალური მთავრობა უფრო დამოუკდებელია თავის საქმიანობაში ვიდრე შტატების მთავრობები. მაგრამ ფედერალური მთავრობა იშვიათად თუ ერევა რამეში გარდა საერთაშორისო საქმეებისა; ამერიკულ საზოგადოებებს რეალობაში შტატების მთავრობები წარმართავენ.

მოსამართლეების ანაზღაურების საკითხებს.

პრაქტიკა კიდევ უფრო შორს მიდის, ვიდრე - კანონი. აშშ-ში უფრო და უფრო ვრცელდება ისეთი პროცედურები, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს შეიძლება არარად აქციონ მართვის წარმომადგენლობითობის პრინციპები: ხშირად ხდება, რომ დელეგატის არჩევისას ამომრჩევლები უთითებენ მას მოქმედების კონკრეტულ გეგმას და ადებენ გარკვეულ ვალდებულებებს, რომლებიც მან უნდა შეასრულოს. ეს უკვე წააგავს მოედანზე უმრავლესობის საკუთარ დებატებს, თუმცა კი ნაკლები ხმაურით.

არის კიდევ მრავალი მიზეზი, რომელთა ძალითაც უმრავლესობის ძალაუფლება ამერიკაში არა მარტო დიდია, არამედ - გადაულახავიც. უმრავლესობის მორალური ძალაუფლება გარკვეულწილად დაფუძნებულია იმ წარმოდგენაზე, რომ კრებული, რომელიც ადამიანთა სიმრავლეს წარმოადგენს, ფლობს უფრო მეტ ცოდნას და სიბრძნეს, ვიდრე - ერთი ადამიანი. კანონმდებლეთა მრავალრიცხოვნობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე - მათი თვისობრივი მახასიათებლები. ამდენად, თანასწორობის თეორია გამოიყენება ადამიანების გონებრივი შესაძლებლობების მიმართ; სწავლება, რომელიც ხელყოფს ადამიანურ ღირსებას მისსავე უკანასკნელ თავშესაფარში. ამიტომ უმცირესობა ადვილად ვერ ეგუება ამ დოქტრინას და ეჩვევა მას მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ძალაუფლება, და, შესაძლოა, სხვებზე უფრო მეტად, ბევრის ბატონობა ლეგიტიმურ სახეს იღებს მხოლოდ მისი არსებობის გარკვეული დროის შემდეგ. თავიდან ის მორჩილებას ძალით მოიპოვებს, ხოლო მისი კანონები არ კანონობს, სანამ ისინი დიდი ხნის განმავლობაში არ იარსებებენ.

საზოგადოების მმართველობის განხორციელების უფლება, რომელიც, უმრავლესობის აზრით, მისი უფრო მაღალი ინტელექტუალური დონიდან მომდინარეობს, შეერთებულ შტატებში დაამკვიდრეს მისმა პირველმა მოსახლეებმა; ამ იდეამ, რომელმაც თავისთავად თავისუფალი სახელმწიფო შექმნა, ამჟამად განმსჭვალა ხალხის ჩვეულებები და ვლინდება სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში.

ძველი მონარქიის დროს ფრანგები დარწმუნებული იყვნენ მეფის შეუმცდარობაში და, თუ იგი ჩაიდენდა რაიმე ბოროტებას, დამნაშავე, მათი აზრით, მისი მრჩევლები იყვნენ. ეს აზრი უმსუბუქებდა მათ მორჩილების ტვირთს. იგი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მათ, ვინც კანონის უკმაყოფილო იყო, გამოეხატათ თავისი შეშფოთება იმის გარეშე, რომ დაეკარგათ მეფისადმი სიყვარული და პატივისცემა. სწორედ ასეთივე დამოკიდებულება აქვთ ამერიკელებს უმრავლესობის მიმართ.

თუმცა კი უმრავლესობის მორალური ძალაუფლება სხვა პრინციპს ეყრდნობა. ამ პრინციპით ბევრის ინტერესები ცოტას ინტერესებზე წინ უნდა დადგეს. თუმცა სავსებით ცხადია, რომ უმრავლესობის ამ უფლების დაცვა ბუნებრივად იზრდება ან მცირდება იმისდა მიხედვით, თუ რა სჭარბობს საზოგადოებაში - ერთიანობა თუ დაქსაქსულობა. როდესაც ერს ყოფს რამდენიმე ღრმა და შეურიგებელი ინტერესი, უმრავლესობის უპირატესობას ხშირად ივიწყებენ, ვინაიდან მისი მოთხოვნებისადმი დამორჩილება იქნებოდა მეტად მიუღებელი.

ამერიკაში რომ არსებულიყო კლასი, რომელსაც ექნებოდა საუკუნეების განმავლობაში არსებული პრივილეგიები, და რომლის პრივილეგიების შეკვეცას ეცდებოდნენ კანონმდებლები, რათა ეს კლასი სხვებთან გაეთანაბრებინათ, მაშინ, შესაძლოა,

არ იქნებოდა ადვილი ამ უმცირესობის კანონმორჩილების მიღწევა. მაგრამ, ვინაიდან ამერიკის შტატები თანასწორი ადამიანების მიერ იყო კოლონიზებული, მათ ინტერესებს შორის არ არსებობს ბუნებრივი ან მუდმივი უთანხმოება.

არსებობს ისეთი ერთობები, სადაც უმცირესობას ვერ ექნება იმედი გადმოიბიროს უმრავლესობა, ვინაიდან ამისთვის მან ის საკითხი უნდა დათმოს, რომელზედაც არსებობს უთანხმოება. ასევე არისტოკრატია ვერასდროს გახდება უმრავლესობა, სანამ ის ფლობს განსაკუთრებულ პრივილეგიებს, და ის ამ პრივილეგიებს ვერ დათმობს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ის დაკარგავს არისტოკრატიის სტატუსს.

შეერთებულ შტატებში პოლიტიკური პრობლემები არ შეიძლება ასეთ ზოგად და აბსოლუტურ სახეს იღებდეს; ყველა პოლიტიკური მხარე მზადაა, აღიაროს უმრავლესობის უფლებები, ვინაიდან მათ აქვთ იმედი, როდისმე შეძლებენ ამ უფლებების გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის. ამ ქვეყანაში უმრავლესობა ამდენად ფლობს უზარმაზარ ძალაუფლებას და მისი შეხედულებაც თითქმის ასეთივე გავლენიანია. არ არსებობს არანაირი ძალა, რომელიც მას შეაჩერებს, ან შეანელებს მის პროგრესს, ან მოასმენინებს იმათი ჩივილებისთვის, ვისაც ის გზადაგზა ანადგურებს. ამგვარი მდგომარეობა ზიანის მომტანია და მომავალში საშიშიც კი.

უმრავლესობის ყოვლისმომცველი ძალაუფლება ზრდის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების არასტაბილურობას, რომელიც დემოკრატიული მმართველობისთვისაა დამახასიათებელი

მე უკვე ვისაუბრე დემოკრატიული ინსტიტუტების ბუნებრივ ნაკლოვანებებზე. ყოველი მათგანი იზრდება უმრავლესობის ძალაუფლების მატების პროპორციულად. დავიწყოთ, მათ შორის, ყველაზე უფრო თვალშისაცემით. კანონების ხშირი ცვლილება დემოკრატიული მმართველობის შინაგანი ნაკლოვანებაა, ვინაიდან დემოკრატიებს ახასიათებთ ახალი ადამიანების მოსვლა მმართველობაში. ეს ნაკლოვანება შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ზარალის მომტანი იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დიდია საკანონმდებლო ორგანოს ძალაუფლება და როგორ ხორციელდება იგი.

ამერიკაში საკანონმდებლო ორგანოები ფლობენ უმაღლეს ძალაუფლებას. ვერაფერი ვერ აღუდგება წინ მათ ნებას. მათ ყოველწლიურად ახალი წარმომადგენლები ემატებათ. ანუ ის გარემოებები, რომლებიც ყველაზე მეტად ზრდიან დემოკრატიულ არასტაბილურობას და რომლებიც ხელს უწყობენ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში წუთიერი განწყობების შეუზღუდავ გამოყენებას, აქ სრულად ხორციელდება. შედეგად დღესდღეობით ამერიკა არის ქვეყანა, სადაც კანონების არსებობის ხანა ყველაზე ხანმოკლეა. თითქმის ყველა ამერიკულ კონსტიტუციაში შევიდა შესწორებები პირველივე ოცდაათ წელიწადში. ამდენად, არ არსებობს არც ერთი შტატი, რომელმაც ამ პერიოდში არ გარდაქმნა საკანონმდებლო პრინციპები. რაც შეეხება თვით კანონებს, სხვადასხვა შტატის არქივების ზერელე გადახედვაც კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ კანონმდებელთა აქტივობა ამერიკაში არასდროს ჩერდება. საქმე ის კი არაა, რომ ამერიკული დემოკრატია ბუნებრივად სხვებზე უფრო არასტაბილურია, არამედ ის იძლევა საშუალებას, კანონების შექმნაში საკუთარი მისწრაფებების არასტაბილურობა გამოავლინოს.

უმრავლესობის ყოვლისშემძლეობა და მისი გადაწყვეტილებების აღსრულების

სწრაფი და უყოყმანო მანერა ამერიკის შტატებში არა მხოლოდ იწვევს კანონების ხშირ ცვლას, არამედ ასეთივე ცვლადობით გამოირჩევა კანონების აღსრულება და ადმინისტრაციის ფუნქციონირება. ვინაიდან უმრავლესობა არის ერთადერთი მნიშვნელოვანი ძალა, ყველა მის წამოწყებას მხურვალედ უჭერენ მხარს, მაგრამ, როგორც კი მისი ყურადღება სხვა მხარეს გადაირთვება, ეს წამოწყებები კარგავს მხარდაჭერას. ევროპის თავისუფალ სახელმწიფოებში კი, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება დამოუკიდებელი და მყარია, საკანონმდებლო ორგანოს პროექტების აღსრულება გრძელდება მაშინაც, როდესაც ყურადღება სხვა მხარესაა გადატანილი.

ამერიკაში გარკვეული წამოწყებები ხორციელდება გაცილებით უფრო დიდი მონდომებითა და ენერგიით, ვიდრე - სხვაგან; ევროპაში იგივე მიზნები ხორციელდება გაცილებით ნაკლები საზოგადოებრივი ძალისხმევით, მაგრამ უფრო თანმიმდევრულად.

რამდენიმე წლის წინ რელიგიურად განწყობილ მოქალაქეთა ჯგუფმა წამოიწყო ციხეების პირობების გაუმჯობესება. მათმა მოწოდებებმა გამოძახილი ჰპოვა საზოგადოებაში და დამნაშავეთა გამოსწორების იდეა გახდა პოპულარული წამოწყება. აშენდა ახალი ციხეები, გამოსწორება დასჯასთან ერთად პირველად გახდა ციხეების წესების ნაწილი.

მაგრამ ეს სასიკეთო წამოწყება, რომელსაც საზოგადოებამ ასე მხურვალედ დაუჭირა მხარი და რომელიც საზოგადოების ერთობაში მხარდაჭერის შედეგად შეუქცევადი გახდა, ვერ განხორციელდებოდა მყისიერად. ვიდრე შენდებოდა ახალი ციხეები (სწორედ უმრავლესობის ნება იყო ამის სულისჩამდგმელი), არსებობას განაგრძობდა ძველი ციხეებიც, სადაც ბევრი დამნაშავე იხდიდა სასჯელს. იმ დროს, როცა ახალი ციხეები გარდაიქმნებოდა და უმჯობესდებოდა, ძველები ხდებოდა სულ უფრო აუტანელი და უვარგისი. კონტრასტი მათ შორის ხდებოდა სულ უფრო აშკარა. უმრავლესობა ისე იყო მონდომებული ახალი ციხეების შექმნით, რომ ისინი, რომლებიც უკვე არსებობდა, მივიწყებას მიეცა. ყურადღების გადატანამ ახალ ციხეებზე ძველებზე მზრუნველობა შეამცირა. ამ დაწესებულებებისთვის სასარგებლო დისციპლინა ჯერ შესუსტდა და მერე სრულიად გაქრა. ამდენად, იმ ციხეების გვერდით, რომლებიც ჩვენი დროის განათლებულობის სასიკეთო გავლენას განიცდიდა, გვხვდებოდა ქვის ხვრელები, რომლებიც შუა საუკუნეების ბარბაროსობას გვაგონებდა.

უმრავლესობის ტირანია

მე მიმაჩნია, რომ აზრი იმის შესახებ, თითქოს უმრავლესობას აქვს უფლება, გააკეთოს პოლიტიკაში, რაც უნდა, მკრეხელურია და მიუღებელი. ამასთან მე ვამტკიცებდი, რომ ხელისუფლების წყაროს წარმოადგენს უმრავლესობის ნება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მე საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოვდივარ?

ზოგადი კანონი, რომლის სახელიცაა სამართლიანობა, შეიქმნა და დაწესდა არა მარტო ამა თუ იმ ხალხის უმრავლესობის მიერ, არამედ - კაცობრიობის უმრავლესობის მიერ. ამდენად, ნებისმიერი ხალხის უფლებები განთავსებულია მხოლოდ იმ საზღვრებში, რომლებსაც ქმნის სამართლიანობა. სახელმწიფო შეიძლება განვიხილოთ, როგორც არბიტრი, რომელსაც მინიჭებული აქვს საზოგადოების წარმომადგენლობის ფუნქცია და რომელმაც უნდა განახორციელოს სამართლიანობა, რომელიც მის კანონს წარმოადგენს. საჭიროა თუ არა, რომ ამგვარ არბიტრს, რომელიც საზოგადოებას წარმოადგენს და მის კანონებს აღასრულებს, თვით საზოგადოებაზე მეტი ძალა ჰქონდეს?

როდესაც მე უსამართლო კანონს არ ვემორჩილები, მე არ ვაყენებ კითხვის ქვეშ უმრავლესობის მმართველობის უფლებას, მაგრამ მე ხალხის სუვერენობაზე მაღლა კაცობრიობის სუვერენობას ვაყენებ. ზოგ ადამიანს არ მოერიდა ემტკიცებინა, რომ სამართლიანობისა და გონივრულობის საზღვრებს ხალხი არასდროს არ გადალახავს, როდესაც საქმე ეხება მის საკუთარ საქმეებს. შესაბამისად, მთელი ძალაუფლება შეიძლება მიეცეს უმრავლესობას, რომელიც მას წარმოადგენს. მაგრამ ამ მსჯელობას მონური ელფერი დაჰკრავს.

ერთობლივად აღებული, უმრავლესობა მხოლოდ ინდივიდის მსგავსი წარმონაქმნია, რომლის შეხედულებები და ხშირად ინტერესებიც უპირისპირდება სხვა ინდივიდის შეხედულებებსა და ინტერესებს, რომელსაც უმცირესობა წარმოადგენს. თუ ვეთანხმებით იმას, რომ ადამიანმა, რომელიც ფლობს აბსოლუტურ ძალაუფლებას, შეიძლება ეს ძალაუფლება ბოროტად გამოიყენოს მისი მოწინააღმდეგეების მიმართ, რატომ არ უნდა ვიეჭვოთ, რომ იმავეს გააკეთებს უმრავლესობა? ადამიანები არ იცვლიან თავიანთ ხასიათს სხვა ადამიანებთან გაერთიანებით; არც წინააღმდეგობების პირისპირ მათი მოთმინება არ იზრდება მათი ძალის ზრდასთან ერთად. მე ამის არ მჯერა. ყველაფრის კეთების ძალაუფლებას მე არ მივცემდი არც ერთ ჩემნაირ ადამიანს, ასევე არასდროს მივანდობ ამ ადამიანების ნებისმიერ რაოდენობას.

არა მგონია, რომ თავისუფლების დაცვის მიზნით შესაძლებელი იყოს რამდენიმე ურთიერთსაპირისპირო პრინციპის გაერთიანება ერთი მმართველობის ფარგლებში. მმართველობის ტიპი, რომელსაც ჩვეულებრივ შერეულ მმართველობას უწოდებენ, ყოველთვის არარეალურად მეჩვენებოდა. მკაცრი გაგებით, ისეთი რამ, როგორიცაა შერეული მმართველობა, არ არსებობს, ვინაიდან ყველა საზოგადოებაში შეიძლება აღმოვაჩინოთ რაიმე ერთი სამოქმედო პრინციპი, რომელიც სხვა პრინციპებზე მაღლა დგას. ბოლო საუკუნის განმავლობაში ინგლისი, რომლის მაგალითსაც ჩვეულებრივ მიმართავენ, როდესაც შერეულ მმართველობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, არსებითად იყო არისტოკრატული სახელმწიფო, თუმცა კი მასში დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტები იყო ჩადებული. ვინაიდან ამ ქვეყნის კანონები და ჩვეულებები იმდაგვარი იყო, რომ არისტოკრატია საბოლოო ჯამში გარდაუვალად ბატონობდა და საზოგადოებრივ საქმეებს საკუთარი ნების მიხედვით წარმართავდა. ამ შეცდომის მიზეზი ისაა, რომ მართალია, ამ ქვეყანაში დიდგვაროვნების ინტერესები მუდმივ ბრძოლაში იყო ხალხის ინტერესებთან, ამ ბრძოლის შედეგი, რომელიც ყველაზე არსებითია, მხედველობიდან რჩებოდათ. როდესაც საზოგადოებას მართლა შერეული მმართველობა აქვს, ანუ როდესაც მმართველობა მართლაც თანაბრადაა განაწილებული საპირისპირო პრინციპებს შორის, მას მოელის ან რევოლუცია, ან ანარქიაში გადაგვარება.

ამდენად, ჩემი აზრით, ყოველთვის უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი ძალაუფლება, რომელიც სხვა ძალებზე მაღლა დგას. მაგრამ, ვფიქრობ, თუკი ამ ძალაუფლებას წინ არ ეღობება არანაირი დაბრკოლება, რომელიც აკავებს მის ქმედებას და აძლევს მას დროს, რათა მოთოკოს თავისი მისწრაფებები, თავისუფლებას საშიშ-

როება ემუქრება.

შეუზღუდავი ძალაუფლება თავისთავად ცუდია და საშიში. ადამიანები არ არიან საკმარისად კომპეტენტური, რათა ის ფრთხილად გამოიყენონ. ყოვლისშემძლე შეიძლება იყოს მარტო ღმერთი, ვინაიდან ის ფლობს მისი ძალაუფლების ტოლ სიბრძნესა და სამართლიანობას. დედამიწაზე არ არსებობს ძალა, რომელსაც იმდენად ღირსეულად ან უფლებებით აღჭურვილად ჩავთვლიდი, რომ დავეთანხმებოდი მის უკონტროლო და ყოვლისმომცველ ძალაუფლებას. როდესაც ვხედავ, რომ აბსოლუტური ძალაუფლების უფლება და საშუალებები მიცემულია ნებისმიერ ძალაზე, სულერთია, ხალხი ჰქვია მას თუ მეფე, არისტოკრატია თუ დემოკრატია, მონარქია თუ რესპუბლიკა, მიმაჩნია, რომ საქმე გვაქვს ტირანიასთან და ვცდილობ, მას გავექცე და სხვაგან, სხვა კანონებით ვიცხოვრო.

ჩემი აზრით, შეერთებულ შტატებში დღეს არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების მთავარი ნაკლოვანებების მიზეზს არ წარმოადგენს მათი სისუსტე, როგორც ამას ევროპაში ამტკიცებენ, არამედ მათი უსაზღვრო სიძლიერე. იმდენად არ მაშფოთებს გადაჭარბებული თავისუფლება, რომელიც ამ ქვეყანაშია, რამდენადაც არასაკმარისი დაცულობა ტირანიისგან, რომელსაც აქ ვხედავ. თუკი რომელიმე ადამანს ან პარტიას შეერთებულ შტატებში უსამართლოდ მოექცნენ, ვის უნდა მიმართოს მან? თუკი ის მიმართავს საზოგადოებრივ აზრს, ეს აზრი უმრავლესობის მიერაა შექმნილი; თუკი ეს კანონმდებლები არიან, ის წარმოადგენს უმრავლესობას და არაცხადად მას ემორჩილება; თუკი ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლება, ის დანიშნულია უმრავლესობის მიერ და წარმოადგენს პასიურ იარაღს მის ხელში. ძალოვანი შენაერთები წარმოადგენენ შეიარაღებულ უმრავლესობას; მსაჯულებიც უმრავლესობაა, რომელსაც მინიჭებული აქვს სასამართლო საქმეების განხილვის უფლება; ზოგიერთ შტატში მოსამართლეებსაც კი ირჩევენ უმრავლესობის მიერ. როგორი უსამართლო ან აბსურდულიც არ უნდა იყოს ის, რასაც თქვენ უჩივით. ერთადერთი, რაც გრჩებათ, ისაა, რომ დაემორჩილოთ.

სხვა შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ხელისუფლება იქნებოდა იმდაგვარად მოწყობილი, რომ წარმოედგინა უმრავლესობა იმის გარეშე, რომ აუცილებლობით მისი ვნებების მონა ყოფილიყო, აღმასრულებელი – ისე, რომ საკმაო ძალაუფლება დარჩენოდა მის ხელში, ხოლო სასამართლო საკმარისად დამოუკიდებელი ყოფილიყო ამ ორისგან, შეიქმნებოდა მმართველობა, რომელიც კვლავაც იქნებოდა დემოკრატიული და იმავდროულად გამოირიცხებოდა ტირანიის წარმოქმნის რისკი.

არ ვაბობ იმას, რომ დღესდღეობით ამერიკაში არსებობს ტირანიის ხშირი შემთხვევები. მაგრამ ვამტკიცებ, რომ მის წინააღმდეგ არ არსებობს საიმედო ბარიერები, ხოლო არსებული მმართველობის შედარებით რბილ ხასიათს განაპირობებს ქვეყანაში არსებული კონტექსტი, მოსახლეობის ქცევა და არა - ქვეყნის კანონები.

უმრავლესობის ყოვლისშემძლეობის ზეგავლენა ამერიკის ბიუროკრატიის მმართველობის თვითნებურობაზე

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ტირანია და თვითნებური მმართველობა. ტირანია, შესაძლოა, კანონის ძალით მოქმედებდეს და ამ შემთხვევაში ის არ არის თვითნებური; თვითნებური მმართველობა კი, შესაძლოა, საზოგადოებრივ ინტერესებში იყოს გამოყენებული. ამ შემთხვევაში ის არ არის ტირანული. ტირანია, როგორც წესი, თვითნებურობას ეყრდნობა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მის გარეშეც იარსებოს.

შეერთებულ შტატებში უმრავლესობის ყოვლისმომცველი ძალაუფლება, რომელიც ხელს უწყობს საკანონმდებლო ორგანოს სამართლებრივ დესპოტიზმს, ანალოგიურად უწყობს ხელს სახელმწიფო მოხელეთა მმართველობის თვითნებურობას. უმრავლესობა ფლობს აბსოლუტურ ძალაუფლებას, შექმნას კანონები და ზედამხედველობა განახორციელოს აღმასრულებელზე. ანალოგიურად, მას აქვს ისეთივე ძალაუფლება იმათზე, ვინც საზოგადოებრივ საქმეებს ახორციელებს და განიხილავს სახელმწიფო მოხელეებს საკუთარი ნების პასიურ შემსრულებლებად, ანდობს რა მათ საკუთარი ჩანაფიქრების განხორიცელებას. მათი თანამდებობრივი უფლებამოსილებები და მათი პრივილეგიები იშვიათად თუ განისაზღვრება წინდაწინ. ის მათ ექცევა ისე, როგორც ბატონი თავის მსახურს, ვინაიდან ისინი ყოველთვის მის თვალწინ მოქმედებენ და მათი წარმართვა ან შეჩერება ყოველ მომენტში არის შესაძლებელი.

ზოგადად, ამერიკელი მოხელეები თავიანთ საქმეებში ბევრად უფრო დამოუკიდებლები არიან, ვიდრე ეს საფრანგეთის სახელმწიფო სამსახურებშია შესაძლებელი. ზოგჯერ მათ იმის ნებაც კი ეძლევათ, რომ ამ ფარგლებს გადასცდნენ. ვინაიდან ისინი დაცულნი არიან უმრავლესობის მხარდაჭერითა და ძალაუფლებით, ისინი ისეთნაირად იქცევიან, რომ ევროპელებიც კი, რომლებიც თვითნებურ მმართველობას თითქოს შეჩვეულები არიან, განცვიფრებული რჩებიან. ამდაგვარად, თავისუფალ ქვეყანაში ყალიბდება ჩვევები, რომლებიც შესაძლებელია მომავალში მისი თავისუფლებისთვის ფატალური აღმოჩნდეს.

ძალაუფლება, რომლითაც ამერიკაში უმრავლესობა აზროვნებას აყალიბებს

სწორედ სულიერი სფეროს შესწავლა შეერთებულ შტატებში ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს იმას, თუ რამდენად სჭარბობს უმრავლესობის ძალაუფლება ყველა იმ გავლენას, რომლებსაც ჩვენ ევროპაში ვართ მიჩვეული. აზროვნება არის ის უხილავი ძალა, რომელიც ტირანიის ყველა მცდელობას წინ აღუდგება. ამჟამად ევროპის ყველაზე აბსოლუტურ მონარქიასაც კი არ შეუძლია გარკვეული, მის მიმართ მტრული განწყობების ფარული გავრცელების აკრძალვა თავის ტერიტორიებსა და სამეფო კარზეც კი. ამერიკაში ეს ასე არ არის. სანამ უმრავლესობამ ვერ ჩამოაყალიბა საკუთარი აზრი, მიმდინარეობს დისკუსიები, მაგრამ, როგორც კი მისი საბოლოო გადაწყვეტილება გამოტანილია, ყველა ჩუმდება და ყველა, როგორც გადაწყვეტილების მომხრეები, ასევე მისი ოპონენტები, ერთიანდება მის დასაცავად. ამის მიზეზი აბსოლუტურად ცხადია: არც ერთი მეფე არ არის საკმარისად ძლიერი, რათა საზოგადოების ყველა ძალა აკონტროლოს და ყველა ოპონენტი დაამარცხოს, ხოლო უმრავლესობას, რომელიც ფლობს კანონების შექმნისა და აღსრულების ძალაუფლებას, აქვს ამის უნარი.

მეფის ძალაუფლება ფიზიკურია, მას შეუძლია ადამიანთა ქცევის გაკონტროლება მათი აზროვნების დამორჩილების გარეშე. ხოლო უმრავლესობას აქვს ძალაუფლება, რომელიც ერთსა და იმავე დროს ფიზიკურიცაა და მორალურიც, ის ზემოქმედებს, როგორც ქცევაზე, ასევე ნებაზე და ახშობს არა მარტო წინააღმდეგობას, არამედ —

წინააღმდეგებსაც.

მე არ ვიცნობ არც ერთ ქვეყანას, სადაც იქნებოდა იმდენად შეზღუდული აზროვნების დამოუკიდებლობა და კამათის ჭეშმარიტი თავისუფლება, როგორც ეს ხდება ამერიკაში. ევროპის ნებისმიერ კონსტიტუციურ სახელმწიფოში შესაძლებელია ნებისმიერი რელიგიური ან პოლიტიკური თეორიის აღიარება და ქადაგება. ევროპაში არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, რომელიც იმდენად დაქვემდებარებული იქნებოდა ერთ ხელისუფლებაზე, რომ მასში შეუძლებელი ყოფილიყო დევნისგან იმ ადამიანის დაცვა, ვინც ხმას იმაღლებს სიმართლის სახელით. თუკი მას აქვს უბედურება, იცხოვროს აბსოლუტისტური მმართველობის ქვეშ, ხალხი ხშირად მის მხარეზეა; თუკი ის თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობს, მას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში, სამეფო მფარველობას ამოეფაროს. ზოგიერთ ქვეყანაში მას საზოგადოების არისტოკ რატული ნაწილი დაუჭერს მხარს, ხოლო სხვებში – დემოკრატია. მაგრამ ისეთ ქვეყნებში, სადაც არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტები, ამერიკის მსგავსად მოწყობილები, არსებობს მხოლოდ ერთი ხელისუფლება, ძალის და წარმატების ერთი წყარო და არაფერი მის გარდა.

ამერიკაში შეხედულებათა უმრავლესობის თავისუფლება შემოფარგლულია ძნელად გადასალახავი ბარიერებით. ამ ბარიერების შიგნით ავტორი თავისუფალია, დაწეროს რაც უნდა, მაგრამ ვაი იმას, ვინც ამ ბარიერებს გადალახავს. მას არ ემუქრება აუტოდაფე, მაგრამ მას მოელის მუდმივი გარიყვა და მიუღებლობა. მისთვის პოლიტიკური კარიერა სამუდამოდ დახურულია, ვინაიდან მან შეურაცხყოფა მიაყენა იმ ერთადერთ ძალას, რომელზედაც ეს კარიერა არის დამოკიდებული. ნებისმიერი სახის კომპენსაცია, აღიარებაც კი, მისთვის მიუწვდომელია. სანამ საკუთარ შეხედულებებს საჯაროდ განაცხადებდა, მას ეგონა, რომ ჰყავდა მიმდევრები; ახლა მას ეჩვენება, რომ არავინ არ ემხრობა, ვინაიდან მან საკუთარი თავი საყოველთაო სამსჯავროზე გამოიტანა; ისინი, ვინც მას აკრიტიკებს, ამას ხმამაღლა აკეთებენ, ისინი კი, ვინც მისნაირად ფიქრობენ, ჩუმდებიან და ლაჩრულად განზე იწევენ. საბოლოოდ ის უკან იხევს, ვერ უძლებს ზეწოლას და ჩუმდება ისე, თითქოს მას რცხვენია, რომ სიმართლე თქვა.

წარსულში ჯაჭვები და ჯალათები იმ იარაღს წარმოადგენდა, რომელსაც მიმართავდა ტირანია. მაგრამ ჩვენი დროის ცივილიზაციამ თვით დესპოტიზმიც კი გააუმჯობესა, თუმცა კი გვეჩვენებოდა, რომ მას აღარაფერი ჰქონდა სასწავლი. მონარქებმა, შეიძლება ითქვას, ჩაგვრის მატერიალიზება მოახდინეს. ხოლო ჩვენი დროის დემოკრატიულმა რესპუბლიკებმა ის მთლიანად აზროვნების სფეროში მოაქციეს, სადაც მოქცეულია ადამიანთა ნება, რომლის გატეხასაც ისინი ცდილობენ. ერთი კაცის აბსოლუტური ბატონობის პირობებში იჩარგებოდა სხეული, რათა დამორჩილებულიყო სული, თავად სული კი გაუსხლტა მასზე ზეწოლას და გამარჯვებას ზეიმობდა. დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქმეები სხვაგვარად კეთდება; სხეული რჩება თავისუფალი, ხოლო სული დამონებულია. ბატონი აღარ ამბობს: „შენ უნდა იფიქრო იგივე, რასაც - მე, ან მოკვდები“. ის ამბობს: „შენ თავისუფალი ხარ, განსხვავებულად იფიქრო და შეინარჩუნო შენი სიცოცხლე, შენი ქონება და სხვა ყველაფერი. მაგრამ აწი შენ უცხო ხარ შენს ხალხში. შენ შეგიძლია ისარგებლო შენი სამოქალაქო უფლებებით, მაგრამ შენთვის ისინი უსარგებლონი აღმოჩნდება, ვინაიდან შენ არასდროს აირჩევი სხვების მიერ . . . შენ დარჩები სხვებთან ერთად, მაგრამ შენაღარ გექნება ადამიანურობის უფლება. შენი თანამოქალაქეები მოგექცევიან,

როგორც უწმინდურს, და ისინიც კი, ვისაც შენი უდანაშაულობის სჯერა, გვერდს აგივლიან, ვინაიდან სხვანაირად მათაც იგივე ელით. წადი მშვიდობით, მე გინარჩუნებ სიცოცხლეს, მაგრამ შენი არსებობა სიკვდილზე უარესი იქნება!“

აბსოლუტურმა მონარქიებმა დესპოტიზმს სახელი გაუფუჭეს. ფრთხილად უნდა ვიყოთ: არსებობს საშიშროება, რომ დემოკრატიულმა რესპუბლიკებმა მოახდინონ მისი რეაბილიტაცია, გახადონ ის ნაკლებად ოდიოზური და დამამცირებელი ბევრის თვალში, ცოტასთვის მისი კიდევ უფრო დამძიმებით.

ძველი სამყაროს ყველაზე თავმომწონე სახელმწიფოებშიც კი იბეჭდებოდა ნაშრომები, რომლებიც კიცხავდნენ მათი დროის ბოროტებასა და ნაკლოვანებას. ლაბრუიერი, როდესაც ის თხზავდა ნაშრომს დიდგვაროვნების შესახებ, ცხოვრობდა ლუდოვიკო XIV-ის სასახლეში, ხოლო მოლიერი მეფის კარს აკრიტიკებდა იმ პიესებში, რომლებიც მეფის კარზევე იდგმებოდა. მაგრამ ამერიკის მმართველ ძალას არ უნდა, რომ მას დასცინოდნენ. მას სწყინს ყველაზე სუსტი კრიტიკაც კი. ყველაზე მსუბუქი ხუმრობა, რომელსაც რაიმე საერთო აქვს სინამდვილესთან, იწვევს მის აღშფოთებას. ყველაფერი, დაწყებული მისი ენით და დამთავრებული მისი ხასიათით, უნდა იყოს განდიდებული. ვერც ერთი ავტორი, რაოდენ განთქმულიც არ უნდა იყოს ის, ვერ გაექცევა ამ თავისი თანამოქალაქეებისთვის ხოტბის შესხმას. უმრავლესობა არსებობს საკუთარი თავით ტკბობის გრძნობით. გარკვეული ჭეშმარიტება მან მხოლოდ უცხოელებისგან ან საკუთარი გამოცდილებიდან შეიძლება გაიგოს.

თუკი ამერიკაში ჯერ არ გამოჩენილა არც ერთი დიდი მწერალი, ამის მიზეზი სწორედ ამაშია: ლიტერატურულ გენიოსს სჭირდება აზრის თავისუფლება, რომელიც ამერიკაში არ არსებობს. ესპანეთში ინკვიზიციამ ვერასდროს ვერ შეძლო ანტირელიგიური წიგნების დიდი რაოდენობით გავრცელების აღკვეთა. უმრავლესობის იმპერიამ ამერიკაში ბევრად მეტს მიაღწია, ვინაიდან ის რეალურად სპობს ამგვარი წიგნების გამოქვეყნების ნებისმიერ სურვილს. ამერიკაში შეიძლება შეხვდეთ ადამიანებს, ვისაც ღმერთის არ სწამს, მაგრამ მათ ურწმუნობას არანაირი საჯარო გამოხატვის ორგანო არ აქვს. ზოგიერთ მთავრობას უცდია ზნეობის დაცვა უხამსო წიგნების აკრძალვით. ამერიკაში ამგვარი წიგნებისთვის არავის სჯიან, მაგრამ არც არავის უჩნდება სურვილი ისინი დაწეროს. არა იმიტომ, რომ ყველა მოქალაქე ზნეობრივია, არამედ იმიტომ, რომ უმრავლესობა მიდრეკილია წესიერებისკენ და წესრიგისკენ.

ამ ბოლო შემთხვევაში ძალაუფლების გამოყენება უეჭველად კარგია, მაგრამ მე აქ ძალაუფლების ბუნებაზე ვსაუბრობ. ეს უსაზღვრო ძალა ვლინდება ყველაფერში და მისი სასიკეთო გამოყენება მხოლოდ შემთხვევითია.

უმრავლესობის ტირანიის გავლენა ამერიკელთა ეროვნულ ხასიათზე – პირფერობა შეერთებულ შტატებში

ტენდენციები, რომლებიც აქ აღვწერე, ჯერჯერობით დიდ გავლენას არ ახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს ამერიკელების ეროვნულ ხასიათზე. ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოჩენილი ადამიანების ნაკლებობას უმრავლესობის ტირანიას მივაწერ.

როდესაც მოხდა ამერიკული რევოლუცია, გაჩნდა ასეთი ადამიანების დიდი რაო-

დენობა; ვინაიდან მაშინ საზოგადოებრივი აზრი ინდივიდების ნებას კი არ ახშობდა, არამედ წარმართავდა. იმ განთქმულ ადამიანებს, რომლებიც იზიარებდნენ იმ დროის სულისკვეთებას, ახასიათებდათ პიროვნული სიდიადე, რომელიც მთელ ერზე აისახებოდა და არა პირიქით – ერისგან იქნებოდა ნასესხები.

აბსოლუტისტურ რეჟიმებში დიდგვაროვნები, რომლებიც სამეფო ტახტის სიახლოვეს იმყოფებიან, სუვერენის ვნებებს კვერს უკრავენ და ნებაყოფლობით ასრულებენ მის კაპრიზებს. სამაგიეროდ, ხალხის მასები არ იქცევიან მონურად. მორჩილებას ისინი ხშირად ავლენენ საკუთარი სისუსტის, ჩვევის, უცოდინრობის ან ლოიალურობის გამო. ცნობილი არიან ზოგიერთი ხალხები, რომლებიც საკუთარ სურვილებს სწირავდნენ სუუვერენის ნებას სიამოვნებითა და სიამაყით და, ამდენად, დამორჩილების აქტით აზროვნების დამოუკიდებლობას ავლენდნენ. ეს ხალხები შესაცოდი არიან, მაგრამ მათ არ განუცდიათ გადაგვარება. არსებობს დიდი განსხვავება იმას შორის, რომ აკეთო ის, რასაც არ ეთანხმები, და მოჩვენებითად გაამართლო ის, რასაც აკეთებ. პირველი მოწმობს ადამიანის სისუსტეზე; მეორე ლაქეას ხასიათს უფრო შეეფერება.

თავისუფალ ქვეყნებში, დემოკრატიულ რესპუბლიკებში, სადაც ყველას მეტნაკლებად მოეკითხება აზრის გამოთქმა სახელმწიფო საქმეებზე, საზოგადოებრივი ცხოვრება მუდამ გადაიკვეთება სახელმწიფო საქმიანობასთან. აქ ყველა მხრიდან შეიძლება ხელისუფლებასთან კონტაქტში შესვლა და ხმის ამაღლებით შესაძლებელია მისი ყურადღების მიქცევა. ისეთი ადამიანი, რომელიც სპეკულირებს ხელისუფლების სისუსტეებზე და ცხოვრებას აწყობენ მისი ვნებების წაქეზებით, მეტი მოიძებნება, ვიდრე – მონარქიაში. ეს იმიტომ არ ხდება, რომ ადამიანები აქ ბუნებით უარესები არიან, ვიდრე – სხვაგან, არამედ იმიტომ, რომ ცდუნება უფრო ძლიერი და იოლად მისაწვდომია. ამის შედეგია ხასიათის უფრო ვრცელი დაკნინება.

დემოკრატიული რესპუბლიკები ავრცელებენ პირფერობისა და მლიქვნელობის პრაქტიკას ბევრ ადამიანზე და ყველა სოციალურ კლასში; ეს არის ყველაზე ძლიერი საყვედური, რომელიც მათი მისამართით შეიძლება გამოითქვას. ეს განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებში, რომლებიც ამერიკის მსგავსადაა მოწყობილი, სადაც უმრავლესობის სიძლიერე იმდენად დიდი და აბსოლუტურია, რომ, თუკი ვინმემ გადაწყვიტა, გადაუხვიოს მის მიერ დასახულ გზას, მან ამას უნდა შესწიროს თავისი სამოქალაქო უფლებები და ადამიანური ღირსება.

იმ ადამიანთა შორის, ვინც ძალაუფლების დერეფნებს ავსებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძალიან ცოტა თუ შემხვედრია ისეთი, ვისაც ახასიათებს კაცური გულწრფელობა და აზროვნების დამოუკიდებლობა, რომლებითაც ადრე ამერიკელები გამოირჩეოდნენ და რომელიც ყველგან წარმოადგენს გამოჩენილი პიროვნების დამახასიათებელ თვისებებს. პირველი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ყველა ამერიკელის გონება ერთი მოდელის მიხედვით შეიქმნა, იმდენად ერთნაირად აზროვნებენ ისინი. უცხოელს, რასაკვირველია, ზოგჯერ ხვდებიან ამერიკელები, რომლებიც არ თავსდება ამ მკაცრ ჩარჩოებში, რომლებიც ხედავენ კანონების ნაკლოვანებებს, დემოკრატიის არასტაბილურობასა და უცოდინრობას, რომლებიც იქამდეც კი მიდიან, რომ ხედავენ ეროვნული ხასიათისთვის დამღუპველ ნეგატიურ ტენდენციებს. მაგრამ ამას ისინი მხოლოდ უცხოელს ანდობენ პირისპირ, ისინი მზად არიან, გაგანდონ სიმართლე, რომელიც თქვენთვის უსარგებლოა, მაგრამ საჯაროდ ისინი

სხვანაირად ლაპარაკობენ.

თუკი ამას როდისმე ამერიკაში წაიკითხავენ, დარწმუნებული ვარ ერთ რამეში: ჯერ ისინი ყველა ხმას აღიმაღლებენ ჩემს წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ბევრი მათგანი დამეთანხმება გულის სიღრმეში.

გამიგონია ამერიკული პატრიოტიზმის შესახებ და მინახავს ნამდვილი პატრიოტი ადამიანები, მაგრამ არასდროს შემხვედრია ასეთები ხალხის ლიდერებს შორის. ამის ახსნა ანალოგიის მოშველიებით შეიძლება: დესპოტიზმი ბევრად უფრო ხრწნის მართულებს, ვიდრე – მმართველებს; აბსოლუტისტურ მონარქიებში მეფეს ხშირად ბევრი კარგი თვისება ახასიათებს, მაგრამ მისი კარისკაცები ყველგან მდაბიოები არიან. მართალია, ამერიკაში კარისკაცები არ ამბობენ „სერ“ ან „თქვენო უდიდებულესობა“, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ისინი გამუდმებით ლაპარაკობენ იმ ხალხის ბუნებრივ გონიერებაზე, რომელსაც ემსახურებიან; ისინი არ კამათობენ იმაზე, მათი მბრძანებლის რომელი თვისებაა უკეთესი, ვინაიდან ისინი არწმუნებენ მას, რომ მას გააჩნია ყველა კარგი თვისება, დამოუკიდებლად საკუთარი ნებისა და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. ისინი არ სწირავენ თავის მბრძანებელს საკუთარ ცოლებსა და ქალიშვილებს იმისათვის, რომ მან გაიღოს მოწყალება და აღამაღლოს ისინი საყვარლის რანგში, მაგრამ სწირავენ მას საკუთარ შეხედულებებსა და ჰყიდიან საკუთარ სინდისს. ამერიკაში მორალისტები და ფილოსოფოსები არ არიან ვალდებული, შეფუთონ თავიანთი აზრები ალეგორიის სამოსში; მაგრამ, ვიდრე მწარე სიმართლეს იტყოდნენ, ისინი ამბობენ: „ჩვენ ვიცით, რომ ხალხი, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, იმდენად მაღლა დგას ყველა ადამიანურ სისუსტეზე, რომ წონასწორობიდან არ გამოვა. ჩვენ არ ვილაპარაკებდით ამაზე, თუკი არ გვეცოდინებოდა, რომ ველაპარაკებით ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი სიქველისა და გონივრულობის წყალობით მეტი თავისუფლება დაიმსახურეს, ვიდრე – მთელმა დანარჩენმა მსოფლიომ“.

ჩემი აზრით, მმართველობის ნებისმიერი ფორმის დროს სიმდაბლე და ძალა, პირმოთნეობა და ძალაუფლება განუყოფლად ყოველთვის გვერდიგვერდ იქნებიან და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ადამიანთა გადაგვარების თავიდან აცილება, თუ არავის არ ექნება სრული და აღმატებული ძალაუფლება სხვებზე.

ამერიკული რესპუბლიკებისთვის უმრავლესობის ყოვლისმომცველი ძალაუფლება ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს

ხელისუფლების დაცემის მიზეზი, როგორც წესი, არის მისი უსუსურობა ან ტირანია. პირველ შემთხვევაში იგი კარგავს ძალაუფლებას, მეორე შემთხვევაში მას ამ ძალაუფლებას ართმევენ.

ბევრმა დამკვირვებელმა, რომლებმაც დემოკრატიული სახელმწიფოების ანარქიული ბუნება შეამჩნიეს, წარმოიდგინა, რომ ამ რესპუბლიკების მმართველობა სუსტი და უსუსურია. მართლაც, როდესაც დემოკრატიულ სახელმწიფოებში იწყება ბრძოლა პარტიებს შორის, მთავრობის გავლენა საზოგადოებაზე მცირდება. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული მმართველობა თავისი ბუნებით მოკლებულია ძალასა და რესურსებს. წარუმატებლობა თითქმის ყოველთვის ძალისა და რესურსების არასწორი გამოყენების შედეგია. ანარქიას თითქმის ყოველთვის ქმნის მმართველობის ტირანული ხასიათი ან მისი შეცდომები, და არა მისი სიძლიერის

ნაკლებობა.

არსებითია, არ ავურიოთ ერთმანეთში სტაბილურობა სიძლიერესთან, ან მოვლენის სიდიადე მის ხანგრძლივ არსებობასთან. დემოკრატიულ რესპუბლიკებში ძალაუფლება, რომელიც წარმართავს საზოგადოებას, ცვალებადია, ვინაიდან ის ხშირად გადადის ხელიდან ხელში და ხშირად იცვლის მიზნებს. მაგრამ რა მიმართულებითაც არ უნდა წარიმართოს ის, მისი ძალა თითქმის გადაულახავია. ამერიკის რესპუბლიკების მთავრობები მეჩვენება ისეთნაირადვე ცენტრალიზებულად, როგორც ევროპის აბსოლუტისტური მონარქიების მმართველობა, და მათზე უფრო ენერგიულად. შესაბამისად, არ მგონია, რომ მათი სისუსტის გამო მათ გაქრობა ემუქრებოდეთ.

თუკი როდისმე ამერიკის თავისუფალი ინსტიტუტები დაეცემა, ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ უმრავლესობის ყოვლისშემძლეობის გამო, რომელმაც შესაძლოა ოდესმე მომავალში უმცირესობები სასოწარკვეთამდე მიიყვანოს და აიძულოს, ფიზიკურ ძალას მიმართონ. მაშინ შეიძლება წარმოიქმნას ანარქია, მაგრამ ამ ანარქიის მიზეზი დესპოტიზმი იქნება.

მედისონმა „ფედერალისტების ნაწერებში“ მსგავსი აზრი გამოთქვა: „რესპუბლიკებში უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ მმართველთა მხრიდან შევიწროებისგან იყოს დაცული საზოგადოება, არამედ ასევე საჭიროა საზოგადოე-ბის ერთი ნაწილი დავიცვათ მეორე ნაწილის მხრიდან უსამართლო მოპყრობისგან. სამართლიანობა წარმოადგენს მმართველობის მიზანს. ის ასევე სამოქალაქო საზოგადოების მიზანიცაა. მის მიღწევას ყოველთვის ესწრაფოდნენ და მომავალშიც ეცდებიან, სანამ ის მიიღწევა, ან სანამ ამ ბრძოლაში დაიკარგება თავისუფლება. ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც უფრო ძლიერ მხარეს შეუძლია ადვილად დაჩაგროს სუსტი მხარე, დანამდვილებით იმარჯვებს ანარქია ისევე, როგორც „ბუნებით მდგომარეობაში“, რომელშიც უფრო სუსტი მოქალაქე არ არის დაცული უფრო ძლიერი ინდივიდის მხრიდან ძალადობისგან. როგორც ამ უკანასკნელში ყველაზე ძლიერი ინდივიდებიც კი იძულებულნი არიან, საკუთარი მდგომარეობის განუსაზღვრელობის გამო, დაემორჩილონ სახელმწიფოს, რომელიც დაიცავს როგორც მათ, ასევე - სუსტ მოქალაქეებსაც, ასევე პირველ შემთხვევაშიც საზოგადოების უფრო ძლიერი ნაწილები, იმავე მოსაზრებებით, თანდათან ისურვებენ მმართველობას, რომელიც დაიცავს ყველას, როგორც ძლიერებს, ასევე სუსტებს.“

ჯეფერსონმა ასევე ბრძანა: „ჩვენი ხელისუფლების აღმასრულებელი შტო არ არის ერთადერთი და არც ჩემი მთავარი საზრუნავი. ყველაზე დიდ საშიშროებას ნამდვილად საკანონმდებლო ხელისუფლების ტირანია წარმოადგენს და ეს დიდი ხნის განმავლობაში იქნება მთავარი პრობლემა. აღმასრულებელი ძალაუფლების ტირანია შეიძლება დადგეს, მაგრამ ეს დიდი ხნის შემდეგ მოხდება.“

მოხარული ვარ, რომ შემიძლია ამ საკითხზე არა ჩემი, არამედ ჯეფერსონის სიტყვები მოვიშველიო, ვინაიდან მას დემოკრატიის ყველაზე გავლენიან დამცველად მივიჩნევ.

ვაჟა-ფშაველა (1862 - 1915)

ქართველი პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც

თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე - საზრდოდ, ნანა - მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილ-გონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905 წ.

ვაჟა-ფშაველა

რას ჰქვიან თავისუფლება?

როცა ჩვენს ნაცნობს, ან ნათესავს ატუსაღებენ, დაუყოვნებლივ მივესწრაფებით მის სანახავად ისე, როგორც სნეულისა. თან ვნანობთ: „ახ, რა ცუდი საქმე მოუვიდაო!“ რადა? რისთვის? იმისთვის, რომ კაცს წაართვეს თავისუფლება, წაართვეს ისეთი რამ, რითაც ადამიანი შეაწუხეს, წაართვეს სიხარული და მისცეს ვაება-ტანჯვა. თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა. დატუსაღებული ადამიანი უბედურადა გრძნობს თავსა: ვერა ჰსვამს და სჭამს თავის ნებაზე, ვერ ადგება, ვერც დაწვება ისე როგორც თვითონ უნდა; ვერც ტანთ იცვამს, რაც მოსწონს იმას; ვერა ჰხედავს იმას ვინც უყვარს, ვერ აკეთებს იმას, რის გაკეთებაც სულით და გულით სწყურია; თავის ნებაზე ვერ დაილაპარაკებს, თავისუფლად ფეხს ვერ გადასდგამს. უბედურ ყოფაშია ტუსაღი ჩავარდნილი. გვესმის ჩვენც მისი მდგომარეობა და გვებრალება. რაღა უნდა ვსთქვათ, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო? ნადირი ან ფრინველი ცოტად მოზრდილი, თავისუფლებას ნაჩვევი, ნაგემი, რომ დაატყვევოთ, თუ ვერ მოახერხა გაპარვა ტყეში, მინდვრად, დარდისაგან კვდება. მაგალითები აუარებელი ხდება. რაც უნდა კარგად მოუაროთ, ასვათ, აჭამოთ, საუკეთესო ბინა მიუჩინოთ, მაინც თავისუფლად ცხოვრება ურჩევნია. მზად მირთმეულს საზრდოს, თავის შრომით, წოწიალით, წვალებით მონაპოვარი ეუკეთესება. სიცივე და სიცხე არ აშინებს, ოღონდ კი თავისუფალი იყოს, თავის ნებაზე ცხოვრება, მოძრაობა შაეძლოს. აი რამდენად ტკბილია თავისუფლება.

ნადირს და ფრინველს თითქმის ადამიანზე მეტად უყვარს თავისუფლება. ტრედი მშვიდი, უწყინარია და რომ შეიპყრო: ისიც-კი გინისკარტებს – გამიშვიო, ნუ მატუსაღებო. დიაღ, ადამიანს, მით უმეტეს გაუნათლებელს, არ უყვარს თავისუფლება, არ იბრძვის მის მოსაპოვებლად იმიტომ, რომ მონობაში არის აღზრდილი, მორჩილებას, მოთმინებას არის ჩვეული და თანაც ის სიყვარულს თავისუფლებისადმი აძინებს გულში იმ მოსაზრებით, საწყალს კაცს თავისუფლებას ვინ აღირსებსო, თითქოს ხემწიფის ქალს იყოს შეყვარებული და ვერა ჰბედავს თხოვას, რადგან მისთვის ხელმისაწდომი არაა. აბა კარგად დაუკვირდით თუ ასე არ იყოს.

ადამიანი თავისუფალი იბადება. უცქირეთ ბავშვს როგორ თავისუფლად მოქმედობს, როცა შეიძლებს მოძრაობას, ეპოტინება ყველაფერს, რასაც თვალი და ყური მიუწვდება; იქნევს ხელებს და ფეხებს, როცა აკვანში აწვენს დედა და ხელებზე არტახებს უჭირებს. მხოლოდ დიდების მოსაზრება, დაშლა, დაშინება ჰკვეცავს ფრთებს ბავშვის თავისუფალ მოქმედებას, რომელიც უსამზღვრო თავისუფლებისაკენ მიისწრაფის...

გაიზრდება, მოვა გონებაზე და მაშინ ხომ შინაურ უფროსებთან ერთად უჩნდება გარეთ სხვა უფროსი – საზოგადოება აუარებელი ზნე-ჩვეულებით, აზრებით, წესებით, რომელთა შორის მრავალი უვარგისი და პირდაპირ დამღუპველია ადამიანისა, შემბოჭველი იმის თავისუფლებისა, საღის მსჯელობისა. მშობლები, საზოგადოება და უხეირო სკოლები აჩვევენ ყრმას ისეთს აზროვნებას, რაც უხშავს მას გონებას, უნერგავს ცხოვრებისათვის მავნე აზრებს, აჩვევს გონებას მორჩილებას, მოთმენას, უკლავს სიყვარულს თავისუფლებისადმი. ასე: ადამიანი მოსისხლე მტერი ხდება ბუნებისა; იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს და განავითაროს ეს ძვირფასი განძი – თავისუფალი გრძნობა, მისცეს მას გონივრული მიმართულება, ცდილობს დაახშოს, მოსპოს იგი სრულიად ამოაგდოს ძირიან-ფოჩვიანად ადამიანის გულიდან. ამ დროს საზოგადოება ვერა გრძნობს რამდენად მოსისხლე მტერი ხდება იგი თავის თავისა. რატომ? მიტომ, რომ ხეს ტოტებს აჭრის, ქერქს აცლის გარშემო ტანზე, რის გამო იგი ხელს უწყობს შტოების გახმობას, რასაც ადრე თუ გვიან თვით ხის გახმობაც მოსდევს. დიაღ, გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა წევრებიც მონურად, ყეყეჩ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვარსთ თავისუფლება, ჰხდება თავის თავის მტერი, სთელავს ფეხით თავისივე ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყოველნაირს უსამართლობისა, ადვილად ჩნდებიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელნი, გაცარცულნი და მცარცველნი დ იმართება მათ შორის ბრძოლა. დღეს ჩვენა ვართ მოწამე და მონაწილენი ამისთანა ბრძოლისა. ბედნიერებაწართმეული ნაწილი საზოგადოებისა (კლასი) ებრძვის მეორეს, რომელმაც მისი ბედნიერება მიითვისა, მისი თავისუფლება და ქონება. მჩაგვრელნი დღევანდლამდის თავისუფლად იქცეოდენ: ფული, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები, სახლები იმათ ხელშია. ეს სულ მოტყუილებით, მტარვალობით, სხვისთვის თავისუფლების ჩამორთმევით მოიპოვეს. დღეს დაჩაგრულმა ნაწილმა იგრძნო ეს უსამართლობა, აახილა თვალები, გაიღვიძა მის გულში დაძინებულმა თავისუფლების სიყვარულმა, დღეს იგი ამბობს: დამიბრუნეთ წართმეული ბედნიერებაო!

თავისუფლება მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისათვის (უმრავლესობა) წართმეული, ბედნიერებაა. თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სჩაგრავს ტუსაღობა, თავისუფლების წართმევა, ფრინველს და ცხოველსა ჰკლავს, რა თქმა უნდა ხეირს არ დააყრის არც საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა კრებულია. როცა დამონებაში იმყოფება ქვეყანა, თავისუფლებას მოკლებული, იგი დამწყვდეულია ციხეში. ის როდი კმარა მარტო, რომ როცა უნდა გამოვიდეს და ისეირნოს ქუჩებზე, იმღეროს, ითამაშოს, შეირთოს ცოლად ის ქალი, ვისაც იგი მოსწონ და ვინც მას მოსწონ; მაგრამ ამავე დროს აკლია სახსარი ცხოვრებისა, არა აქვს მოსახნავი მიწა, მოსწონ იქვე ახლო მდებარე ნაფუძარი და არ აძლევს ნებას მიწის პატრონი, რომელსაც ათასი ამისთანა ნაჭერი მიწა სხვა აქვს.

თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავმოყვარეობა ორნაირია: ბრიყვული და გონივრული. ბრიყვული, როცა ადამიანი მარტოდმარტო თავის თავზე ზრუნავს, მხოლოდ ფიქრობს მას: „მე ვირგო და სხვა წყალმა ზიდოსო. მე მქონდეს უფლება სხვა შეურაცხვყო, და სხვას კი არა ჰქონდეს ნება პასუხი მომთხოვოს. მარტო მქონდეს ნება ვცარცვო და მეორეს კი მოესპოს საშუალება თავის დაცვისა“. სხვის უფლება, ადამიანობა შელახოს დაუსჯელად, ხელშეუბრუნებლად. ამისთანა ადამიანი მსგავსია მხეცისა, იგივე მხეცია და მისი თავმოყვარეობა არის მხეცური. მგელიც ასე ფიქრობს, ოღონდ თვითონ გაძღეს და იმის ჭირის ნაცვალი იყოს ათასი სული ცხვარი და ათიათასი. არაფერია მგლის ფიქრით ეს ცოდვა, ეს დანაშაული. თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არი.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ დღეს არც მჩაგვრელები არიან თავისუფალნი; იმათაც ძვირად უჯდებათ თავისუფლების შენარჩუნება. მგელი კი თავისუფალია ვითომ? არა. ისიც მუდამ შიშს ქვეშ იმყოფება, დღეს თუ ხვალ უნდა ამომშხამდეს მგლობაო, ფიქრობს იგი, უნდა მომკლანო, ბოლო მგლისა მაინც ეს არი: უნდა მოკვდეს

თოფით, საწამლავით ან ხაფანგში გაებას, სიკვდილი თან სდევს ყოველს ნაბიჯზე. მგელს ადამიანი მაინც სდევნის, თუნდ არაფერს აშავებდეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი. ხოლო მგლად ქცეულს ადამიანს ასე არ უნდა მოვეპყრათ! იმის გაწვრთნა, ჩვენ, – ადამიანთა ხელთ არი, ჩვენ უნდა მოვუსპოთ მას საშუალება, დავუკეტოთ ბილიკები მგლური ინსტიქტების, სურვილების სანავარდო და მორჩა მისი მგლობა.

თავისუფლების კანონთა თანახმად, შეიძლება მაშ, სხვას ცოლი, ცხენი წაართვა კაცმა, ვსთქვათ, ივანემ პეტრეს, რადგან პირველს მოსწონს პეტრეს ცოლი და ცხენი? არა, თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობების დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა მხოლოდ მაშინ არის შესაწყნარებელი, თუ ამით ჩვენ სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წავართმევთ: რად უნდა წაართვას ივანემ პეტრეს ცოლი, როცა თვით პეტრე არა სწუნობს თავის ცოლს, არამედ მოსწონს და უყვარს იგი? ხომ ცოდოა, უნდა ტანჯვა-დარდში და ვარამში ჩავარდეს კაცი და მისი თავისუფლება შეილახოს. ვსთქვათ, პეტრე წუნობს ცოლს და არც ეწყინება, თუ იგი ივანეს წაჰყვება, მაგრამ შეიძლება თვით პეტრეს ცოლს არ მოსწონდეს ივანე. განა აქვს უფლება, ნება ივანეს შეახოს მას ხელი? არა, ასჯერ არა. ამისთანა კანონებს არ ქადაგობს თავისუფლება. თუ ეს ასეა, მაშ რად ვართმევთ დიდის მამულის, ტყის პატრონს თავიანთ საკუთრებას მამულ-დედულს? ხომ იმასაც უყვარს თავის მამული? მამულის ჩამორთმევით ხომ ვართმევთ იმას თავისუფლებას? ვხელმძღვანელობთ ამ შემთხვევაში სიმართლის გრძნობით, თუ არა? იქნება უსამართლოდ ვიქცევით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ? არა. არ ვიქცევით უსამართლოდ და აი რატომ. დიდი მამულის პატრონი ჯერ ერთი, რომ სხვებს, ასს, ათასს ართმევს თავისუფლებას, რადგან სხვის ნაშრომს იტაცებს, სხვას ლუკმას სტაცებს. ეს უწესობაა, უსამართლობაა და როგორც უწესოების ჩამდენს, მას უნდა მოესპოს საშუალება ამ გვარის ყოფაქცევის. მეორე, მამულ-დედული ხომ იმის შრომით შექმნილი არ არი, იგი ღვთისგან ბოძებულია. იგი ძალმომრეობს, როცა ბუნებას სტაცებს მომეტებულს, რაშიც სხვებსაც წილი უდევთ. ყველა ეს საჭირო ერისთვის როგორც ცალკე ადამიანისთვის, კანონები უნდა იყოს თვით ხალხის დადგენილი.

მაშასადამე, თავისუფლებამ უნდა მოგვცეს სიამოვნება. შეიძლება უსიამოვნებაც მიერგოს თავისუფალს ადამიანს, როგორც სასჯელი უხეირო საქციელისათვის, მაინც მისი თავისუფლება არ იქნება დარღვეული, რადგან ხალხისაგან შექმნილი კანონი, რომლის დადგენაში თვით იმასაც მონაწილეობა აქვს მიღებული, სჯის მას. ხომ იცით ჩვენებური გლეხკაცი რას ამბობს: „სამართლისაგან მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“. ოღონდაც რომ ასეა. თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მისცეს სწავლა, განათლება, თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული.

უნდა მიანიჭოს ნება, უფლება. იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონ და ეხერხება; იცხოვროს იქ, საცა მოისურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს. უნდა უბასპორტოთ წავიდეს და მოვიდეს საცა უნდა. ვერავინ უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადასწყვეტს. უნდა ილაპარაკო, სწერო საზოგადო საქმეებზე ისე, როგორც შენ გინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრი, დაჰგმო დასაგმობი, აქო საქებარი.

ვაჟა-ფშაველა

ქალთა უფლებების შესახებ

სადღეისო წერილი მეგობართან

მეგობარო! დღეს ქალებიც თხოულობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? მე ამა საკითხზე გაჭიანურებულს პასუხს არ მოგცემ და იმის კვლევას, თუ რა როლს ასრულებდა დედაკაცი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში, რა მნიშვნელობა აქვს ოჯახისთვის და სხვ., არ გამოვუდგები, რადგან ამის განმარტვას მთელი ტომები მოუნდება, ჩვენ კი დრო არა გვაქვს ამისთვის საკმაო. მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერცავინ შემაცვლეინებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მალამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ვეღირსებოდით. დედაკაცები ამდენს სიჯიუტეს არ გამოიჩენდნენ, როგორსაც დღეს იჩენენ მაღალი სფეროს მაღალნი პირნი - ისინი ხომ მამაკაცები არიან - „კაი ბიჭობად“, „გულ-მაგრობად“ არ გაასაღებდნენ თავიანთ სიჯიუტეს, ვინაიდგან დედაკაცნი უფრო ლმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად რას მოითხოვს, თუ გარდა ერთის გრძნობისა, რომელსაც ეწოდება შებრალება, შეწყნარება. იფიქრე, თუ ასე არ იყოს. მიიხედ-მოიხედე, სად არის ეს შებრალება?! კაცი ძვალ-ტყავად ქცეული გემუდარება, გეხვეწება: „კაცო, ღმერთი-რჯული, მთელი ერთი კვირაა მშიერი ვარ, სული ამოდის. ეს არი ვკვდები, წყალობა მოიღეო!“ მე და შენ იმას ყურს არ ვათხოვებთ და ჩვენს ქცევას გავამართლებთ სხვადასხვა ფილოსოფიურის მოსაზრებით; გამოვჩხრეკთ ხრიკიანს მოძღვრებას და იმის წყალობით წინაშე ქვეყნისაც თავს გავიმართლებთ და თავის თავთან ხომ მართალნი ვართ და მართალნი. მაგრამ დედაკაცი ამას არ იზამს, ერთ გროშს მაინც მიაწვდის... მრწამს მე ეს და ამიტომ მენატრება, რომ დედაკაცს მიეცეს ისეთივე უფლება, რაც მამაკაცს, როგორც სწავლაში, ისე სამსახურში... შენ როგორც გნებავს, იფიქრე; საჭიროა გაქვავებული გული მამაკაცისა გაათბოს დედაკაცის ხმამ და მისი რწმენა, რომ მამაკაცი ვარ, მე ადვილად არ უნდა გავტყდე, არ უნდა მოვიხადო ქედი ხალხის მოთხოვნილების წინაშე, რათა სილაჩრე არავინ დამწამოსო, უნდა მოათავსოს კეთილგონიერების ფარგალში იმავე დედაკაცის ხმამ...

ჰოი დედანო,
მარად ნეტარნო!

მეგობარო! მრწამს სიფლიდე დიპლომატიისა: როგორც უბეში გველი არ დაინდობა, ისე დიპლომატია, ავს აკეთებს თუ კარგს, მაინც ფლიდია მაინც. აი, ამას წინად რომ გამობრძანდა და წინ წამოიმძღვარა კაცთმოყვარეობა და... შეარიგა რუსეთი და იაპონია. რა იყო მიზეზი: კაცთმოყვარეობა, თუ სხვა რამე? მრწამს, რომ არა, აქ კაცთმოყვარეობა სათვალთმაქცო სიტყვაა, მიზეზი სულ სხვაა - ყველა დააფიქრა იაპონიის გაძლიერებამ. ყველა ჰგრძნობდა, რომ თუ ხარბინთანაც გაიმარჯვებდა

იაპონია, რაიც მოსალოდნელი იყო, მაშინ ყველას, თვით ამერიკასაც, თითი უნდა მოეკაკვა იაპონიის წინაშე. არა გჯერა, რომ ეს ასეა? გამარჯვებული იაპონია კაი სიტყვებით, კაი რჩევით დასაჯეს და არანაკლები წილი ამ საქმეში უდევს თვით მოკავშირე ინგლისს. ამ რჩევაში აშკარად, ცხადად ერთი მხოლოდ ისა სჩანს: რუსეთს რაც ლახტი მოჰხვდა ეგ ეყოფა, და შენც, პატარა იაპონიავ, ძლიერ წინ ნუ გაიწევ, ნუ გაჰღონიერდები, რათა ჩვენც არ მოგვახვედრო იგივე ლახტიო.

დიაღ, მწრამს, რომ ყოველ ერს ჯერ თავისი თავი ენიაზება, თავისთვის უნდა კეთილი, თავის საქმეების მოწესრიგება ე. ი., როგორც ხალხი ამბობს: ყველა თავის ცეცხლს უკეთებს და თავის კერძს ჩასცქერის და სხვისათვის ხეირი იმდენად უნდა, რამდენადაც თავადაც გამოადგება იგი. მხოლოდ ერთს ნაწილს ქართველებისას არა სწამს, რომ ეს ასეა და ესენი გახლავან „დასელები“, რომელნიც ქადაგებენ სხვა გავაბედნიეროთ, გავაძლიეროთ და ამით ჩვენც ძლიერნი შევიქნებითო. მოიგონე დასელების მოძღვრება დემოკრატიულ ცენტრალიზაციისა. გაძლიერებულის რუსეთისაგან ისინი მოელიან წყალობას. აბა, საიდან სადა! ნუთუ ძლიერი მეზობელი არ არის საშიში უძლურისათვის?! ნუთუ ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება და სურვილი დამონებულ მცირე ერებისა შეუმცირდება გაძლიერებულს რუსეთს? არა და ცხრაჯერ არა... ძლიერს ბატონს უძლური ბატონი სჯობია დამონებულთათვის. ვისა ჰშურს ძლიერება რუსეთისათვის? აგრეთვე არავის, ოღონდ წვრილს ერებსაც ჰქონდეს მიცემული საშუალება ამავე გაძლიერებისა... დღეს მთელი ქვეყანა ამას გაიძახის: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გვინდა მოვიპოვოთ საღსარი ბედნიერების, სიმართლის მისაღწევად. მე კი ჩემად მრწამს, და შენც, ვიცი, არ იუარებ, რომ უხეირო დეცენტრალიზაცია სჯობია საუკეთესოდ მოწყობილს ცენტრალიზაციას. ეს რომ ასე არ იყოს, არც სპენსერები დაამჯობინებდნენ. (იხ. სპენსერის თხზ. „განვითარება პოლიტიკურ დაწესებულებათა“).

ვის არა სწამს, რომ მხოლოდ სრული თვითმართველობა გააბედნიერებს ხალხს, გაჰზრდის მის ენერგიას, გამოიწვევს და ააყვავებს მასში დამალულს ახალს ძალებს? - რომ აპეკუნობა, რაც უნდა კარგი აპეკუნი იყოს იგი, აჩლუნგებს ერის ძალღონეს, თვითცნობიერებას?! - რომ დედაენაზე სწავლება სრულჰყოფს, ზრდის, ავითარებს ყოველმხრივ მოზარდ თაობას?! ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია და არა ოცი.

ვაჟა-ფშაველა

რა არის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის? თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს, ეგრეთვე თუ ცხვარი - ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითვეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, – ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართნა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალ-მომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, გან-

ხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნება დაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარი ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!..

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავგამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლეო“ (ე. ი. თავისუფლება)?! – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ. აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ. ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოებლად... და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: **თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა.** ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურობის მეტი? – არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, **ბედნიერება** – წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს, წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, – სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის, ყველა ჩვენგანის ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა,

ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

ილია ჭავჭავაძე (1837 - 1907)

ქართველი მწერალი, პოეტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

კანონის წინაშე თანასწოროგბის შესახებ

კანონის წინაშე თანასწოროგა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია

კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს. ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე.

ვერა წესიერად მოწყობილი მოქალაქური ცხოვრება ვერ შეიფერებს ამისთანა უსწორმასწორობას უიმისოდ, რომ თვით ზედ არ გადაეგოს, პირქვე არ დაემხოს და ამიტომაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი იმისთანა განათლებული სახელმწიფო, საცა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე დედაა ზრად, სათავედ არ ედვას ყოველს კანონმდებლობას, ყოველს რჯულიერებას. რუსეთის სახელმწიფოშიაც ეს თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე ცხადად გამოთქმულია. განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II განსამართლების რჯულდებამ ეს თანასწორობა მტკიცე საფუძველზედ დააყენა რუსეთის იმპერიაში და აწ არსებული და მომქმედნი კანონები ყველას ერთგვარად და განურჩევლად უქადიან მფარველობას და შემწეობასა.

თუმცა რჯულიერება კანონის წინაშე ეგრე გვასწორებს ყველასა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება, რომელსაც ჯერ ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ძველნი ზნენი და წადილნი, ჯერ კიდევ ეურჩება კანონს და დიდი ჰბედავს შებღალვას პატარის უფლებისას მარტო იმ აზრით, რომ მე დიდი ვარ და ის პატარაო.

ამ მავნებელის ზნის აყოლა მიეტევება გაუნათლებელს კაცსა, იმისთანა კაცსა, რომელსაც არ ესმის, რომელსაც ჯერ ვერ მიუგნია, რა დიდი მადლია ქვეყნისათვის, კაცთა საზოგადოების ბედნიერად ცხოვრებისათვის თანასწორობა კანონის წინაშე. ხოლო არ მიეტევება მას, ვინც გარეგანის ნიშნებით მაინც საგულისხმოა, რომ სწავლაში ყოფილა, განათლების შუქი ცოტად თუ ბევრად მოჰფენია და თვის საზოგადოებაშიც იმისთანას მდგომარეობა აქვს, რომ მოეთხოვება სამართლიანი მართებული ქცევა ყველგან და ყველას წინაშე, დიდი იქმნება თუ პატარა.

ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა შემთხვევამ, რომელიც დღეს ახალს ამბებშია დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ერთი იმერელი მოსამსახურე გაუგზავნია თავის პატრონს ფაეტონის მოსაყვანად. დიდხანს ჰცდილა ეს მოსამსახურე, მრავალს მეფაიტონეებს შეჰხვეწნია, მაგრამ არავინ გამოჰყოლია. ბოლოს, როგორც იყო უშოვნია ფაეტონი. იქაც მახლობლად მდგარა სამი სამხედრო წოდების კაცი, ერთს მათგანს უბრძანებია მოსამსახურის მიერ დაჭერილ მეფაიტონესათვის, მე წამიყვანეო, მოსამსახურე უარზედ დამდგარა, ძლივძლივობით ვიშოვე ფაეტონი, ჩემი დაჭერილია და ვერ დაგითმობთო. სამხედრო წოდების კაცს ბევრი აღარ ულაპარაკნია, ფაეტონი წაურთმევია, დაუძახნია პოლიციელისათვის და უბრძანებია, ურჩი მოსამსახურე სადმე გამაცალეო.

ამისთანა ძალმომრეობა ხშირია ჩვენში, მაგრამ იშვიათად გამომჟღავნდება ხოლმე. სამართლამდე რომ მიაღწიოს ამ საქმემ, რასაკვირველია, ამ ძალმომრეობას, მარტო დიდპატარაობისა და მაღალ-დაბალობაზედ დაფუძნებულს, თავისი შესაფერი მსჯავრი დაედებოდა, მაგრამ სანუხარო ეს არის, რომ დიდმა იცის, პატარა ამაებს არ გამოუდგება და დანაშაული შერჩება დამნაშავესა. უსათუოდ ამისთანა ბოლოც ექმნება ამ საქმესა: მოსამსახურე არ იჩივლებს და ეს ამბავი ჩაილურის წყალს დალევს. ჩვენ კი არ შეგვეძლო ხმა არ ამოგვეღო ამ საგანზედ.

კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის. ამიტომაც იგი თანასწორობა ერთნაირად გასაფრთხილებელია, ერთნაირად საქომაგებელი, ერთნაირად დასაცველი, თუ კაცს ცოტა რამ ამ ქვეყნიერობისა შეუგნია და სიყვარული წესიერობისა და რიგიანობისა გულს ჩასახვია. დარღვევა ამნაირის თანასწორობისა თვითვეულის ჩვენგანის უფლების დარღვევაა და ამიტომაც საქებურია გულწყრომა იმისი, რომელმაც ეს ამბავი გვაუწყა ჩვენ გაზეთში დასაბეჭდად და სამართლიანია იგი გულამღვრევაც, რომელიც ამის მოამბეს უგრძვნია ამ ამბავის მოხდენის დროს.

ეგ თანასწორობა, ეგ საჯარო უფლება რომ დაუსჯელად ილახებოდეს, მაშინ ვერავინ კარშიაც ფეხს ვერ გამოჰყოფდა, რადგანაც პატარას დიდი არ დაელევა და დიდს კიდევ უფრო დიდი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კაცთა საზოგადოება ცნობიერთა არსებათა კრებას კი არ წარმოადგენდა, არამედ შავის ტყის ნადირთა გროვას, საცა ვინც ძლიერია, მართალიც ის არის. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამისთანა ამბებს ან არსებულნი კანონები არ იწყნარებენ და სანატრელია, რომ არც ამ ზემოხსენებულს შემთხვევაში შეიწყნაროს.

თფილისი, 26 მაისი

ილია ჭავჭავაძე

პრესის თავისუფლების შესახებ

პროვინციალური გაზეთები

ერთი უმთავრესთაგანი დანიშნულება ყოველ პროვინციალურ გაზეთისა, როგორც მოგეხსენებათ, ის არის, რომ საზოგადოებასა და თვით მთავრობასაც აცნობოს იმ მხრისა და ხალხისა მდგომარეობა, საჭიროება, ავი და კარგი, იმ ქვეყნის მოთხოვნილება, ლხინი და დარდი, და ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც კი საზოგადო საქმეებს შეეხება იმ ქვეყნისას, სადაც ეს გაზეთი გამოდის.

ამ დანიშნულების შესრულება პროვინციალურ გაზეთს მით უფრო ადვილად და ქვეყნის სასარგებლოდ შეუძლია, რაც ის უფრო ნაკლებად დამოკიდებულია სხვადასხვა გარეშე მიზეზებისაგან, რაც უფრო მომეტებული ნება აქვს მიცემული, რომ ყოველ საზოგადო დაჭირებაზე და ლხინზე თამამად და მოურიდებლად ილაპარაკოს და სწეროს.

სამწუხაროდ, ხშირად სატახტო გაზეთებიც არ არიან ამგვარს მდგომარეობაში, პროვინციალურ გაზეთებს ხომ იმის ნახევარი დამოუკიდებელობაც არა აქვს მინიჭებული, რაც ზემოხსენებულ სატახტო გაზეთებსა.

უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი შემმფერხავი პროვინციალურ სტამბისა ის გახლავთ, რომ რუსეთში საზოგადოდ ბეჭდვის შესახებ არ არის კარგად გარკვეული, განსაზღვრული კანონები.

აქედამ წარმოსდგება გაურკვევლობა რუსეთის სტამბის მდგომარეობისა. დღეს ერთის თქმის ნებაა, ხვალ არა, ზეგ შეიძლება, მაზეგ კიდევ არა — როგორ უნდა გამოიკვლიოს ჟურნალისტმა გზა ამისთანა მდგომარეობაში?

თვით ჩვენმა უმაღლეს მმართებლობამ იგრძნო ამისთანა მდგომარეობის მოუხერხებლობა და ამიტომაც ამ უკანასკნელის სამის წლის განმავალობაში პეტერბურღის გაზეთებში ხშირად იწერებოდნენ, რომ დანიშნული არისო ცალკე კამისია, რომელსაც ბეჭდვის შესახებ კანონების გამოცემა აქვს მინდობილიო.

მთელი რუსეთი მოუთმენელად მოელის ამ ახალ კანონებს ბეჭდვის შესახებ. ყველას ჰსურს, რომ ახლანდელი გაურკვეველი მდგომარეობა შეიცვალოს და მტკიცე, თუნდაც უფრო სასტიკი კანონები გამოიცეს, მხოლოდ კანონი კი იყოს; იყოს კანონი და ვიცოდეთ, რომ ვალდებულნი ვართ ამ კანონს ვემორჩილებოდეთ.

მაშ, ვინატროთ, რომ რაც შეიძლება მალე შეიცვალოს ახლანდელი მდგომარეობა, განსაკუთრებით პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთებისა, და რაც შეიძლება მალე დამყარდეს იმისთანა წესი, რომელიც ამ ჟურნალ-გაზეთებს ერის ნამდვილ სამსახურის შეძლების ღონეს მისცემს.

1882 წ

ილია ჭავჭავაძე

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდენ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს - ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება. ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდარად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას როგორც მძოვრი, როგორც ლეში! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, - რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ - ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ - ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობდა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგმათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული - კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას,

ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს - კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, - იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი!.. თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

არ ვიცით - რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან - და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცნო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

1897 წ. 31 დეკემბერი

ილია ჭავჭავაძე

კანონის უზენაესობის შესახებ

რა არის თავისუფლება

თავისუფლება იგი ყოფა-მდგომარეობაა ადამიანისაო, ამბობს ბოსსუეტი თავის მსოფლიო ისტორიაში, საცა ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და საცა კანონი უძლიერესია ყოველ ცალკე კაცზედაო; ასეთის თვალით უყურებდა თავისუფალებას ძველი რომაელი და ძველი ბერძენიო. ეს ჭეშმარიტი და ზედმიწევნილი მნიშვნელობა თავისუფალებისა ეხლაც ცნობილია და აღიარებული ეხლანდელ მეცნიერთა და სახელმწიფოთაგან. ჭეშმარიტი, რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა სწორედ ამ ქვაკუთხედზედ უნდა იყოს ამოყვანილი. საცა ეგ არ არის, იმ კაცთა საზოგადოებური ცხოვრება, რომელიც ერთმანეთზედ დამოუკიდებლად და გადუბმელად შეუძლებელია, მარტო ძალმომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯა. მაშინ ყოფა ადამიანისა ნადირთ ყოფაა და ადამიანი, ეგ კერძი ღვთისა, ნადირად გადაქცეულია, იმიტომ, რომ თვითვეულის სვებედი თვითვეულის ფარხმლით საგერი და სატევია და არა საერთო მფარველობისა და შემწეობისაგან ნათავდებები და დაკუთვნებული. ამ ყოფით ცხოვრება ცნობიერს და ჭკვათამყოფელს სულიერს არ შეუძლიან და თვით იმ კრებულს ჭკვათა-მყოფელს სულიერთა, რომელსაც ჩვენ კაცთა საზოგადოებას ვეძახით, მიზეზი არსებობისა და ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება და უბათილდება.

ხოლო კაცმა რომ იმისთანა პატივსაცემი და მართალი, ადამიანისათვის თავმოსაწონი თავისუფალება იქონიოს, როგორსაც ბოსსუეტი ამბობს, საკმაო არ არის მარტო არსებობა კანონებისა. კანონი რჯულია ცხოვრებისა და ამიტომაც იგი სამართლისაგან ამოწვდილი ხმალიც არის ურჩთათვის და ფარიც არის საგერად და სახსნელად ჩაგრულთათვის. თუ ხმლობაში კანონს უსამართლოდ ჰხმარობს ვინმე, მაშინ ფარობამ კანონისამ თავი უნდა იჩინოს საგერად. კანონი მაშინ არის კაცთათვის მადლის მიმნიჭებელი, როცა ამ ორნაირს უწმინდაეს მნიშვნელობას მისას ჰპატრონობს თვითონ საზოგადოება, თვითვეული წევრი, თვითვეული კაცი. როცა კანონის სახელით მისევა თუ მოგერიება ჰბღალავს, ჰლახავს გრძნობას მართლიერებისას, მაშინ მე ვიჩაგრები ამისაგან, თუ სხვა, მაინც მოვალე ვარ თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს არ დავცე და არ გავაქელვინო, იმიტომ, რომ კანონი ყველასი ფარ-ხმალია და, მაშასადამე, ჩემიცა. აქ სიდიდე საქმისა არაფერს შუაშია. შეიძლება საქმე ჩალის ფასადაც არა ჰღირდეს, მაგრამ გალახული, გაუპატიურებული გრძნობა სიმართლისა კი მაინც ალაპარაკდეს და კანონს გამოესარჩლოს. ეს მარტო მაშინ არის შესაძლებელი, როცა გრძნობა სიმართლისა, ეგ ერთადერთი თავდები კაცთა საზოგადოების ბედნიერებისა, ყველას გაღვიძებული აქვს და ყარაულად უდგა თვით კანონს.

სწორედ ესეც არის ყველგან, საცა კი ერთი ამ მხრით საზოგადოებურ ცხოვრებაში წარმატებულია. აი, თუნდა ამისი მაგალითი, რომელიც ჩვენებურს კაცს იქმება სასაცილოდაც არ ეყოს და რომელსაც კი, ჩვენის აზრით, დიდძალი მნიშვნელობა აქვს, იმოდენად დიდძალი, რომ უამისოდ ყოველივე კანონი, რაც უნდა კარგი იყოს, უქმი

თამასუქია. ბრესლავში (პრუსიის ქალაქია) ერთი მდიდარი სოვდაგარია თურმე. მას ეხლახან ჯვარი დაუწერია, პატარძალი შინ მიუყვანია და პოლიციისათვის კი არ შეუტყობინებია, რომ სახლში ახალი ადამიანი დაუბინავებია. პრუსიის კანონებით კი ყოველი პატრონი სახლისა მოვალეა აცნობოს პოლიციას სამის დღის განმავლობაში, თუ ვინმე უცხო კაცი თავის ბინაში დააბინავა. პოლიციამ ამ კანონის დარღვევისათვის მანათზედ ცოტა მეტი ჯარიმა დააწერა სოვდაგარსა. სოვდაგარმა ჯარიმის გადახდევინება უსამართლოდ იცნა და პოლიციას უჩივლა. სასამართლოში სოვდაგარი ამტკიცებდა, რომ პოლიციას ამ შემთხვევაში ხელი არა ჰქონდა ჯარიმა გადაეხდევინებინა ჩემთვისაო, იმიტომ, რომ კანონში მოხსენებულია, რომ თუ უცხო კაცი დავაბინავე ჩემს სახლში და პოლიციას არ შევატყობინე, მაშინ უნდა გადამხდეს ჯარიმაო; ცოლი კი, არც კანონით და არც საღვთო წერილის ძალით, უცხო კაცად არ ჩაითვლება ქმრისთვისაო. არც სასამართლომ, არც სასამართლოს პალატამ არ შეიწყნა რა სოვდაგარის საბუთი და ზემოხსენებული ჯარიმა, სულ ერთი მანათი და ერთი შაური, მჯავრად განუჩინა. სოვდაგარმა მაინც თავისი არ დაიშალა და გადიტანა საჩივარი დიდს სახელმწიფო სამართალში, რომელსაც რეიჰსგერიხტი ჰქვიან.

სასაცილოა განა, მკითხველო, ასეთი დავიდარაბა ერთის მანათის გულისათვის, მერე ვისგან? მდიდარის სოვდაგარისაგან. ჩვენებური კაცი მაშინვე ამოიღებდა ქისიდამ ერთს მანათს და მაშინვე დაამწყრალებდა პოლიციას. მაგრამ აქ საქმე განა მარტო ერთს მანათზეა! რა არის ერთი მანათი სოვდაგარისათვის, ხელის ჭუჭყია, მტვერია და სხვა არაფერი. მაგრამ, აბა, ახლა შიგ ჩაიხედეთ ამ საქმეში, გუნება და ბუნება გაუგეთ, მაშინ სიცილის მაგიერ გრძნობა პატივისცემისა მიგახედებთ ამ სოვდაგარზედ. ცხადია, მდიდარს სოვდაგარს ის კი არ ანაღვლებს, რომ ერთი მანათი ერთმევა, არამედ ის, რომ, მისის აზრით, კანონი და სამართალი ირღვევა და კანონი და სამართალი კიდევ მისის თავისუფლების ციხე-სამაგრე იმოდენად ძვირფასია, რომ განურჩევლად, განუკითხველად ხელს არავის ახლებინებს. აი, ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქობრივი თავგამოდება, აი ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა. ამოდენა დავიდარაბაში, სამს სამართალში საქმის გატარებაში ერთი მანათი კი არა, იქნება ასი მანათიც დაეხარჯოს, მაგრამ იგი, ერისათვისაც იღწვის, მისთვის ყოველს ქონებაზედ უფრო ძვირფასია. კაცმა, მისის აზრით, უსამართლოდ მოაწვდინა მასზედ კანონის ხმალი და იგი იმავ კანონსა თავის კაცურის კაცობის ფასად წინ უყენებს და განკითხვას სამართლისაგან ელის. კაცური, ადამიანური ცხოვრებაც ამას ჰქვიან: ამისთანა კაცთა შორის ყველა შეკრულია ბოროტისათვის და ყველა გზაგახსნილია სიკეთისათვის. თავისუფლებაც ადამიანისა სხვა არა არის რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზაგახსნილი.

ილია ჭავჭავაძე

დედათა საქმე

დედათა საქმე, რომელიც ჩვენში მონათლულია ქალების საქმედ, დღითიდღე წინ მიდის განათლებულს ქვეყნებში, დღითიდღე მომხრეებსა ჰპოულობს, ძლიერდება და კუთვნილს ადგილს იჭერს ადამიანის ცხოვრებაში. დედათა მხნეობა, სამართლიანის უფლების მოპოვებაზედ მიმართული, აღარა ჰრჩება „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა" და დღე თითქმის ისე არ გადის, რომ საქმე – რასაკვირველია, განათლებულს ქვეყნებში, – კი ცოტად თუ ბევრად დედათა საქმე ფეხს არ იმაგრებდეს და ცხოვრების სარბიელზედ ცოტ-ცოტაობით მაინც ადგილს არ იპყრობდეს შემდეგის წარმატებისათვის. დედათა სქესმა კაცობრიობის უკეთესთა წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაიმტკიცა უფელბა უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ეხლა მარტო ბრმანი და თვალახვეულნიღა ეურჩებიან ამ უფლებას. დედათა სქესმა დაიპყრა ამასთანავე ზოგიერთს სფერაში უფლება სახელმწიფო, თუ საზოგადო სამსახურისა და თუმცა აქ ბევრი რამ კიდევ დაჰრჩენია დასაპყრობად, მაგრამ ეს პირველდაწყებითი ბიჯიც უმნიშვნელო არ არის შემდეგისათვის. იგი უსამართლობა, რომელიც დღეს აქამომდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას, საძიძაოდამ და სამზარეულოდამ გარეთ არ უშვებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არ ჰხდიდა, ასე რომ ლუკმაპურის საშოვარის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულს მოძრაობას.

რომ უფრო დიდი ავალი მისცენ ამ მოძრაობას და დედათა სქესს მისი სამართლიანი ადგილი მიეზომოს კაცთა ცხოვრებაში, დედათა საქმე ამ ბოლო ხანებში იმაზედ მიიმართა, რომ ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და კანონმდებლობაში ხმა მიანიჭონ დედათაცა, როგორც მამაკაცთა აქვსთ მინიჭებული. ამ მხრით ამერიკამ ჯერხანად ყველა ქვეყნებს გაუსწრო და იქ დღეს არამცთუ ვინმეს ეხამუშება, რომ მოხელეთა და ქვეყნის საქმეთა გამგებელთა საარჩევნოდ მამაკაცებთან ერთად დედათაც კენჭი იქონიონ, არამედ თითონ დედანიც კი რომ ამორჩეულ იქმნან თვით რესპუბლიკის პრეზიდენტადაც, არავინ გაიკვირვებს და იოცებს.

ამ ხანებში ამერიკის ქალაქში, რომელსაც ბოსტონი ჰრქვიან, ქალაქის გამგეობის არჩევნები იყო. თუმცა როგორც აქ, სხვაგანაც ამერიკაში, დედათა აქვსთ უფლება არჩევნებში მონაწილეობისა, მაგრამ დღეს აქამომდე დედათა უფლებას ბევრს არაფერს დასდევდნენ და არ ერეოდნენ არჩევნებში. ეხლა კი ამ ბოლო არჩევნებში თითქმის ყველანი მოსულან და დედათა კენჭის წყალობით დემოკრატები, რომელთაც აქამომდე ხელთ ეპყრათ გამგეობა ქალაქისა, დამარცხებულან და რესპუბლიკელებს გაუმარჯვნიათ.

ილია ჭავჭავაძე

დედათა ემანსიპაციის შესახებ

ერთს დროს დიდი და გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდა ევროპიის ლიტერატურას და ნამეტნავად რუსეთისას ეგრეთწოდებულ „დედათა ემანსიპაციის“ თაობაზედ. მომხრენი ამ საქმისა ჰხედავდნენ, რომ ეხლანდელი ურთიერთობა მამათა და დედათა სქესისა ვერ არის სამართლიანად მოწყობილი და აშენებულია უმართლო მოძღვრებაზედ, ვითომ დედაკაცი მამაკაცთა ტყვე და მონა არისო და ამის გამო ბევრში უფლებას თავისუფალის ადამიანისას მოკლებულიაო. ამის მიხედვით დაჩაგრულთა დედათა მომხრენი სწერდნენ და ჰქადაგობდნენ, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ ყოველივე უფლება, რაც მამაკაცთა აქვთ მინიჭებული, ასე რომ ამ ორ სქესთა შორის ურთიერთობა სამართლიანის თანასწორობით დადგენილ იქმნას კაცთა ცხოვრებაშიო.

ბევრი კარგი რამ ითქვა ამაზედ, ბევრი საბუთიანი „ჰო“ და „არა“ გამომჟღავნდა და ბევრიც უქმი, წინდაუხედავი სიტყვა დაიხარჯა. მაინცდამაინც საბუთი აქვს კაცს სთქვას, რომ ეს საგანი საკმაოდ გამორკვეულია დღეს და თეორიულად მრავალკეცად და გონებადასმით გარჩეული და გაჩხრეკილი. ჩვენ ეს ბუნება და ისტორია ამ ფრიად საყურადღებო საქმისა აქ დღეს ორიოდე სიტყვით მოვიხსენიეთ, იმიტომ რომ აზრად არა გვაქვს ამ საგნის ბუნება და ისტორია დაწვრილებით გამოვიკვლიოთ.

ჩვენ მარტო ის გვინდა ვსთქვათ, რომ ამ თეორიულად საკმაოდ კარგად გარჩეულმა საქმემ საზოგადოების ყურამდე სრულის სავსებით ვერ მიაღწია. ბევრს კაცსა, თუ ქალსა ჰგონია დღესაც რომ აქ მარტო იმაზეა ლაპარაკი, ვითომც ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ქალთა, თუ დედათა მხოლოდ უფლება მიენიჭოთ და იმას კი აღარავინა ჰფიქრობს, რომ არ არის არც ერთი იმისთან უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევდეს მოვალეობაცა. მართალია, მამაკაცს ეხლანდელს ცხოვრებაში ბევრი იმისთანა უფლება აქვს, რომელიც სამართლიანად ქალსაც ეკუთვნის, მაგრამ მამაკაცი ამასთანავე მსახურია სახელმწიფოსი, ქვეყნისა, საზოგადოებისა, ოჯახისა და ყოველგვარი მძიმე ტვირთი ადამიანთა რთულის ცხოვრებისა კისრად ადევს. დღეს ქალები რომ იძახიან, - მოგვეცით უფლებაო, ეს ძახილი თუმცა სამართლიანია, მაგრამ ჰრჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა: იმიტომ რომ ყველანი ჰხედვენ, რომ ქალები ბევრწილად უქმნი და უვარგისნი არიან იმ მოკლედ შემოხაზულ წრეშიაც კი, რომელშიაც დღეს იმყოფებიან, და იმ მცირეოდენს მოვალეობასაც ვერ უძღვებიან, რაც დღეს მიზომილი აქვთ საზოგადოებასა, თუ ოჯახობაში.

ეს დღევანდელი უქმობა და უვარგისობა ქალებისა ხელზედ დახვეული აქვთ ყველას, ვინც კი დედათა ემანსიპაციას არ ემხრობა და ეწინააღმდეგება. თითო-ოროლა მაგალითი საქმითა და გამჭრიახობით გამოჩენილ ქალებისა ამ წინააღმდეგობის საბუთს ბევრს არას არღვევს. ამ მაგალითებს მარტო ბედნიერ შემთხვევად სთვლიან და უფროს-ერთს ქალზედ კი ისევ ის უვარგისობის აზრი ჰრჩება.

ამერიკაში იგრძნეს ქალებმა, რომ ეს ასეა და სამართლიანის ემანსიპაციის მოსაპოვებლად იმას აღარა სჯერდებიან, რომ იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმათ უფრო უკეთესი სახსარი, უკეთესი გზა ამოურჩევიათ. იმათ უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან რადმე ყოფნა ქვეყანაზედ, ჩვენც შეგვიძლიან ყველა მოვალეობას ადამიანისას გავუძღვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამც თუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის კეთება, არამედ გონებითაც, ჭკვითაც და არც ერთსა და არც მეორეში მამაკაცს არ ჩამოვუვარდებითო. ამ პატიოსანს გაზრახვას შესდგომიან და, როგორც ჰნახავთ, საკვირველის ძლევამოსილობითაც შეუსრულებიათ.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ საოცარს ამბებს, ერთის გერმანულის ჟურნალიდამ ამოკრებილს. ამ ამბების მიხედვით უტყუარად გამოარკვევს კაცი თუ, რის შემძლებელი არის ქალი და რა მონაწილეობას ჰღებულობს იგი ამერიკაში საზოგადო ცხოვრების წარსამატებლად და რარიგად ეცილება მამაკაცს ცხოვრების მოედანზედ, სატეხნიკო სარბიელზედაც კი. ეს ამბები მით უფრო საკვირველია, რომ ქალის გამჭრიახობასა და შემძლებელობას იმისთანა საქმეში გვიჩვენებს, რომელიც დღეს აქამომდე ქალისათვის უფრო ხელმიუწვდომელი ეგონა ადამიანს.

იგი გერმანული ჟურნალი ამბობს: ჩრდილო-ამერიკის არხივებიდამ ამოკრებილიაო ცნობანი, რომ ქალებს ამერიკაში 1900 პატენტი მიუღიათ მათ მიერ მოგონილ სხვადასხვა მაშინების გამო. ერთი ამ საქმის მცოდნე ამერიკელი უმატებს: ის კი ანგარიშში არ მოგვყავს, რომ ბევრი ქალი დაჰხმარებია მამაკაცს ამისთანა საქმეშიო. ეს ხომ საოცარია და საოცარი, უფრო საკვირველი ის არის, რომ იქაურ ქალებს იმისთანა საქმეშიც გამოუჩენიათ თავი, რომელიც ქალის ცხოვრებაზედ ერთობ შორს არის და ქალის ბუნებას უნდა ეუცხოვებოდეს. მაგალითებრ, ერთს ქალს, გვარად მატერს, ნიუიორკში მოუგონია ტელესკოპი მიწის ქვეშეთისათვის (подземный телескоп), ქალს გვარად მონტგომერს - ფოლადის ჯავშანი საომარ ხომალდისათვის, ქალს გოშამს - ახალგვარი ზარბაზანი, ქალს ბიზელს - წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანნეის - მაშინა ზღვაში დაღუპულ ხომალდების ამოსაღებად და სხვანი. საქალო საქმეშიაც გამოუჩენიათ თავი. მაგალითებრ, ქალს როზენტალს უფრო უკეთესი საკერავი მაშინა მოუგონია, ვიდრე აქამომდე იყო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძლიერი საბუთია „დედათა ემანსიპაციის“ მომხრეთათვის და ამისთანა საბუთს სიტყვას შეუბრუნებს მხოლოდ კერპობა და ჯიუტობა ადამიანისა. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვონ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისათვის.

მიხეილ ჯავახიშვილი (1880 - 1937)

ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე

დამოუკიდებელი სასამართლო

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო არსებობს, ყოველ მთავრობას სამნაირი დანიშნულება აქვს: საკანონმდებლო, სამმართველო და სამოსამართლო. სადაც არ არის კანონმდებლობა, მმართველობა და სასამართლო, იქ არც სახელმწიფოა. როგორც უნდა იყოს წარმომდგარი სახელმწიფო: დაპყრობით, უზურპაციით თუ კავშირით, სულ ერთია, იქ უეჭველად უნდა იყოს სამივე დარგი მთავრობისა. შეიძლება მათ შორის გაბატონდეს ერთი რომელიმე დარგი, რომელმაც, შეიძლება, დაიმორჩილოს მეორე მხარე, ან თავის უფლებას გადააჭარბოს, შეიძლება სამივე დარგის დანიშნულება ერთმა დაწესებულებამ მიითვისოს, მაგრამ ყოველთვის სჩანს მთავრობის ამა თუ იმ მოქმედებაში ან კანონმდებლობა, ან მმართველობა, ან მოსამართლეობა. ჯერ კიდევ არისტოტელმა შენიშნა ეს მოვლენა, მაგრამ იმაზე კი არაფერი სთქვა, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს მათ შორის. ეს საკითხი დაწვრილებით გამოიკვლიეს მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის მოაზრეებმა და მეცნიერებმა, რომელნიც გულდასმით შეუდგენ იმის ძიებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო, რაგვარი ურთიერთობა უნდა დამყარდეს მთავრობის სამნაირ დარგთა შორის, რომ შეიძლებოდეს უზრუნველყოფა მოქალაქეთა თავისუფლებისა და მმართველ წრეების ალაგმვა.

დიდებულ რევოლუციამდის საფრანგეთში მთავრობის ბოროტმოქმედებამ, თვითნებობამ და ძალმომრეობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და აზრი მთავრობის ალაგმვისაც პირველად იქ დაიბადა. ეს საკითხი საუცხოვოდ და დაწვრილებით შეიმუშავა მონტესკიემ თავის განთქმულ თხზულებაში „კანონების სული“. მონტესკიე ბრწყინვალედ ამტკიცებს, რომ როცა ერთი და იგივე დაწესებულება ორნაირ დანიშნულებას ასრულებს, როცა იგი კანონმდებელიც არის და მისი აღმასრულებელიც, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეთა თავისუფლება შეუძლებელია. თავისუფლება შეუძლებელია აგრეთვე იქ, სადაც სასამართლო გამოყოფილი არ არის საკანონმდებლო და აღმასრულებელ მთავრობისგან. თუ მოსამართლეც და კანონმდებელიც ერთი და იგივე პირია, მოქალაქეთა თავისუფლებას საფრთხე მოელის, რადგან მოსამართლეს ყოველთვის შეუძლიან ამა თუ იმ შემთხვევაში კანონი შესცვალოს და ისეთი კანონი გამოსცეს, როგორიც საჭიროა მისთვის. სასამართლო და აღმასრულებელი დაწესებულებანი რომ ერთად აურიოთ, ყოველ მოსამართლეს შეუძლიან ტირანად გადაიქცეს, - მმართველობის დროს ის ყოველ ნაბიჯზე დაარღვევს კანონს და სასამართლოში თავის თავს თვითონ გაასამართლებს.

მონტესკიეს იდეა სავსებით შეითვისა საფრანგეთის რევოლუციის დროის მოწინა-

ვე თაობამ და 1791 წელს, როცა გამოცხადებულ იქმნა მოქალაქისა და ადამიანის უფლებები, ეროვნულმა კრებამ დაადგინა, რომ ის „საზოგადოება კონსტიტუციური არ არის, სადაც უზრუნველყოფილი არაა უფლებები და დანაწილებული არ არის მთავრობა“, ესე იგი ასეთ საზოგადოებას არა აქვს თავისუფალი დაწესებულებანი.

იდეა სასამართლოს დამოუკიდებლობის თანდათან ფეხს იკიდებდა და ეხლა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყანაში, სადაც სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, თავისუფლება არ არსებობს. სასამართლოს დამოუკიდებლობა დამყარებულია იმ პრინციპზე, რომ ყველა სადავო საქმე შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივ სასამართლოს. მთავრობის არც ერთ სხვა დარგს არ შეუძლიან სასამართლოს საქმეში ჩაერიოს. არ შეიძლება დაარსება ისეთ განსაკუთრებულ სასამართლოების, რომელნიც ჩვეულებრივ სასამართლოს ექიშპებიან, არც ერთ მოქალაქეს არ უნდა წაერთვას უფლება მიმართოს ჩვეულებრივ სასამართლოს იმ შემთხვევაში, როცა მისი უფლება დარღვეული და შელახულია. ყოველნაირ დავას არჩევს ჩვეულებრივი სასამართლო და ყველა მოქალაქენი თანასწორნი არიან მის წინაშე. ეს არის საფუძველი დამოუკიდებელ სასამართლოსი ყოველ განათლებულ და თავისუფალ ქვეყანაში.

სასამართლოს მთავარი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი - ტოკვილისა არ იყოს - შუამავალია მოდავეთა შორის. იგი შუამავალია აგრეთვე მთავრობისა და ხალხის შორის, იგი არკვევს და ანიჭებს უფლებას ამა თუ იმ მხარეს, როცა უფლება სადავო ხდება, იცავს ამ უფლებებს, როცა იგი ვისიმე მხრით დარღვეულია და არ დასდევს იმას, თუ ვინ დაარღვია უფლება, - მთავრობამ თუ ხალხმა.

სასამართლო, მოქალაქეთა კერძო უფლებების გარდა, იცავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებას და ამ შემთხვევაში მთავრობის წარმომადგენელი სასამართლოსგან თხოულობს უფლების დამრღვევის დასჯას და დარღვეულ უფლების აღდგენას. მაგრამ ხშირად თვითონ მთავრობაც არღვევს მოქალაქეთა უფლებებს, არღვევს მის თავისუფლებისა და პიროვნების ხელუხლებლობის უფლებას და სხ. ამ შემთხვევაში მოქალაქეს ნება უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიმართოს და სთხოვოს მისი უფლების აღდგენა და მთავრობის წარმომადგენელის დასჯა.

იქ, სადაც ზემოხსენებული სამი დარგი სასამართლოსი ჩაბარებული აქვს ჩვეულებრივ სასამართლოს, იგი დამოუკიდებელ სასამართლოდ უნდა ჩაითვალოს. ასეთ ქვეყანაში სასამართლო დამცველია კანონიერებისა და მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებისა. ასეთი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს ინგლისსა და ამერიკაში. ეს უფლება ხალხმა მედგარ ბრძოლის შემდეგ მოუპოვა სასამართლოს. ფეოდალურ წესწყობილების დროს მოსამართლის დანიშნულებას თვითონ მეფეები ასრულებდენ. შემდეგ ეს უფლება გადასცეს თავის მოხელეებს, რომელნიც მეფის სახელით ასამართლებდენ ხალხს. აქედან წარმოსდგა მეფის უფლება შესახებ განსაკუთრებულ სასამართლოების დანიშვნისა. სწორედ აქედანვე იწყება აუარებელი ბოროტმოქმედება სასამართლოს მხრივ. XVII საუკუნეში ინგლისში გაძლიერდა საიდუმლო სასამართლო, რომელიც თავზარს სცემდა ხალხს. ასეთ სასამართლოს ხალხმა იმით დაუწყო ბრძოლა, რომ იგი უარჰყოფდა მეფის მხრით გასამართლების უფლებას და თხოულობდა მუდმივ და ჩვეულებრივ სასამართლოს.

ერთხელ მეფემ იაკობ I-მა მოინდომა სასამართლოს საქმეში ჩარევა. მოსამართლე

კუკმა ასეთი პასუხი გასცა მის წარმომადგენელს: „პირადათ მეფეს არ შეუძლიან არც სისხლისა და არც სამოქალაქო საქმის გარჩევა, რადგან ყოველი სადავო საქმე უნდა გაარჩიოს მოსამართლემ თანახმად ინგლისის კანონებისა და ჩვეულებისა. მეფეს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ უმაღლეს სასამართლოს კრებას, მაგრამ საქმეს მაინც ის კი არ გაარჩევს, არამედ სასამართლო“. რევოლუციის შემდეგ ინგლისის პარლამენტმა დაადგინა, რომ არც მეფესა და არც მის საბჭოს არავისი გასამართლება არ შეუძლიანთ და ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ ჩვეულებრივ სასამართლოს.

საფრანგეთის კონსტიტუციამ 1791 წელს უფრო ნათლად აღნიშნა სასამართლოს მოვალეობა. მაშინდელ კონსტიტუციაში ნათქვამი იყო, რომ ვისიმე გასამართლება არ შეუძლიან არც კანონმდებელ დაწესებულებას და არც მეფეს. მოქალაქეთა გასამართლების უფლება აქვს მხოლოდ კანონით დაწესებულ სასამართლოს და არც ერთი მოსამართლე არ უნდა დაემორჩილოს რომელიმე სხვა განსაკუთრებულ სასამართლოსაო.

ევროპის კონტინენტზე სასამართლოს ერთი მხრით არა აქვს ისეთი ფართო უფლება, როგორც აქვს ინგლისისა და ამერიკის სასამართლოს. ევროპაში სასამართლოს უფლება არა აქვს მთავრობის აგენტებიც ისეთივე წესით გაასამართლოს, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს ასამართლებს. ზოგ სახელმწიფოში მოხელეთა გასამართლებისათვის განსაკუთრებული დაწესებულება არსებობს, ზოგში კი მოხელის გასამართლებისთვის საჭიროა მთავრობის ნებართვა, ურომლისოდ სასამართლოს უფლება არა აქვს მოხელე გაასამართლოს. ჯერ კიდევ რევოლუციის დროს საფრანგეთში ისეთი წესი შემოიღეს, რომ სასამართლოს არ შეეძლო სახელმწიფო საბჭოს ნებადაურთველად მოხელის გასამართლება ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც იმის სამსახურს შეეხებოდა. ეს წესი საფრანგეთში დღესაც არსებობს. სხვათა შორის აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს წევრებს ნიშნავს და ითხოვს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ინგლისში მთავრობის უმაღლეს მოხელეთა წინააღმდეგ სამოქალაქო დავის აღძვრა კანონით შეიძლება მხოლოდ მეფის ნებართვით, ფაქტიურად კი ასეთ ნებართვას მეფე ყოველთვის იძლევა. ხოლო სხვა მოხელეთა წინააღმდეგ დავის აღძვრა ყველას შეუძლიან უნებართვოდ. ყველა მოხელე ერთნაირად აგებს პასუხს იმ დანაშაულობის გამო, რომელიც მან ჩაიდინა კერძო ცხოვრებაშიაც და სამსახურშიაც. ორივე შემთხვევაში პირადად ის არის პასუხიმგებელი და არ შეუძლიან თავი იმით იმართლოს, ვითომ მე მხოლოდ ჩემი უფროსის ბრძანება შევასრულეო. თუ სალდათმა აფიცრის ბრძანებით მოკლა კაცი, მას არ შეუძლიან თავის გამართლება ბრძანების ასრულებით: ის პირადად აგებს პასუხს და ვერავითარი ბრძანება ვერ იხსნის მას. თუ პოლიციელმა უფროსის ბრძანება შეასრულა და უკანონოდ დააპატიმრა ვინმე, ის პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე პიროვნების ხელუხლებლობის კანონის დარღვევისთვის. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს ინგლისის სასამართლო მტკიცედ იცავს. ინგლისში იშვიათია სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენის მაგალითი, რადგან ყველა მოხელემ კარგად იცის, რომ ის სასტიკად დაისჯება დანაშაულობისთვის და ამიტომ ერიდება კანონის დარღვევას, მაგრამ ინგლისის სასამართლოს ყოველ წლობით უხდება მაინც ისეთ საქმეების გარჩევა, რომელიც შეეხებიან პოლიციისა და ადმინისტრაციის მხრით კანონის დარღვევას, და დამნაშავეს სასტიკად სჯის.

ამას წინად მანჩესტერში ნაფიც ვექილთა სასამართლომ გაარჩია საქმე პირველ მინისტრის სოლსბიურისა, რომელსაც დეპუტატი ბრიენი დიფამაციას უჩიოდა. ცოტა ხნის შემდეგ ჟურნალისტმა სიმსმა საჩივარი აღძრა დედოფლის ძმისწულისა და ბრიტანიის ჯარების მთავარსარდლის, კემბრიჯის ჰერცოგის წინააღმდეგ, რომელმაც უცაბედად ხელი ჰკრა სიმსს. მოსამართლემ უარი უთხრა სიმსს, საკმარისი საბუთი არა გაქვსო, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ საჩივარი მიიღო და მისმა თავმჯდომარემ ასე დაასაბუთა სასამართლოს გადაწყვეტილება: „საჭიროა ინგლისელებმა იცოდენ, რომ კანონის წინაშე დედოფლის ყველა ქვეშევრდომნი, რაც უნდა მაღლა იდგენ ისინი წოდებითა და ხარისხით, თანასწორნი არიანო“. თუ ადმინისტრაცია რაიმე უსამართლობას ჩადის, სასამართლო აფრთხილებს მას, და თუ ამან არ გასჭრა, კანონის დამრღვევს სასამართლო ბრალსა სდებს იმაში, რომ ის არ დაემორჩილოს დადგენილებას, და აპატიმრებს.

ერთხელ ინგლისის მატროსი, ვინმე ფლოიტი სამსახურიდან გაიქცა, პოლიციამ მის მაგივრად შეცდომით ვინმე ტომსონი დააპატიმრა და გაგზავნა ერთ სამხედრო გემზე, რომლის უფროსმა მის პროტესტს ყურადღება არ მიაქცია და დააპატიმრა. სასამართლომ მაშინვე ბრძანება გაუგზავნა გემის უფროსს, პატიმარი წარმოადგინეთ და მისი დაპატიმრების ბრძანების ქაღალდიც მოიტანეთო. გემის უფროსმა ტომსონი სასამართლოში გაგზავნა, თვითონ კი არ მივიდა. სასამართლომ მოითხოვა დაპატიმრების ბრძანება, საადმირალოს წარმომადგენელს კი მხოლოდ მისი პირი ჰქონდა. ამის გამო მოსამართლეთა და მას შორის ასეთი დიალოგი მოხდა:

მოსამართლე. ჩვენ გვსურს ტომსონის დაპატიმრების ბრძანება მივიღოთ.

მეორე მოსამ. თქვენ არ ემორჩილებით ბრძანებას. თქვენ დოკუმენტი პასუხთან ერთად უნდა მოგეტანათ. თქვენ ამბობთ, არა მაქვსო და არც პასუხს იძლევით. რატომ? თქვენ შეურაცხყოფთ სასამართლოს.

ადმინისტრაციის წარმომადგ. ბრძანება თან არა მაქვს.

მოსამართლე. ამ შემთხვევაში სასამართლოში არ უნდა მოსულიყავით და ასეთი სისულელე არ გეთქვათ. ჩვენ ეხლავე დავაპატიმრებთ გემის კაპიტანს. არ შეიძლება ინგლისის კანონების არ ცოდნით იმართლოთ თავი და ასე მასხარად აიგდოთ მოქალაქობრივი თავისუფლება.

მეორე დღეს გემის კაპიტანი, ჰერცოგი ველიგტონი დააპატიმრეს და, როცა სასამართლოში გაგზავნეს, მოსამართლემ უთხრა: „თქვენი წარმომადგენელი იმით გამართლებდათ, რომ თქვენ თქვენი უფროსის ბრძანებით მოქმედებდით. ეგ საბუთი არ არის, თქვენ დიდად შეურაცხყავით სასამართლო. ჩვენ შეგვეძლო თქვენი დაპატიმრება, მაგრამ ჯერ 12 000 მანეთით გაჯარიმებთ“.

ინგლისის სასამართლოს უფლება აქვს სატუსაღოში ჩასვას ის კაცი, რომელიც შეურაცხყოფს სასამართლოს. კანონში ნათქვამი არ არის დაპატიმრების ვადა, ასე რომ სასამართლოს შეუძლიან თავის შეურაცხმყოფელს უვადო დაპატიმრება გადაუწყვიტოს. ეს სასჯელი იმით არის საშინელი დასჯილთათვის, რომ მეფესაც კი არ შეუძლია მას სასჯელი აპატიოს.

მაგრამ სასამართლო ისე დამოუკიდებელი და დემოკრატიულად მოწყობილი არსად არ არის, როგორც ამერიკაში. იქ სასამართლო ორ ნაწილად იყოფება: შტატებისა და საერო, ფედერატიული, რომელიც ისეთ საქმეებს არჩევს, რომელნიც შეეხებიან ფედერატიულ კანონების დარღვევას. ორივე სასამართლოს უფლება აქვს

მთავრობის მოხელეთა საქმეები გაარჩიოს და ვისიმე დაუკითხავად დასაჯოს. ყველა მოქალაქეს შეუძლიან ყველა დიდ და პატარა მოხელეს ბრალი დასდოს და სამართალში მისცეს. ამერიკის სასამართლო იმით განსხვავდება სხვა ქვეყნების სასამართლოებისაგან, რომ მას უფლება აქვს იხელმძღვანელოს უფრო კონსტიტუციით, ძირითად კანონებით, ვიდრე უბრალო საკანონმდებლო დაწესებულების მიერ გამოცემულ კანონებით, რომელნიც, შეიძლება, კონსტიტუციას არ ეთანხმებოდენ. ეს უფლება ამერიკის სასამართლოს გარდა არც ერთ სხვა სასამართლოს არა აქვს. დიდი უფლება აქვს მინიჭებული კავშირის სასამართლოს, რომელიც ხშირად შტატების დავასაც არჩევს ხოლმე. „როგორღაც მეხამუშა, - ამბობს ერთი ფრანგი, რომელიც დაესწრო ამ სასამართლოში საქმის გარჩევას, - როცა სასამართლოს ბოქაულმა განაცხადა: ნიუ-იორკის შტატი ოგაიოს შტატს დავას უცხადებსო“. ერთ შტატში ერთი მილიონი მცხოვრებია, მეორეში - ორი. აქედან ცხადია, თუ რა დიდი პასუხის მგებლობა აწევს სასამართლოს. კავშირის სასამართლო აერთებს შტატებს და უზრუნველ ჰყოფს ფედერაციის არსებობას. მას ხშირად მიჰმართავს ხოლმე მთავრობა, როცა იგი თავის უფლებას დარღვეულად სცნობს; მას მიჰმართავს ხოლმე საკანონმდებლო დაწესებულება, როცა მისი უფლება ირღვევა ვისიმე მხრით.

სასამართლოს დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მისი წევრები ყოველ მხრით დამოუკიდებელი იყვენ. ამისთვის დაწესებულია: 1) წესი მოსამართლის არჩევისა, 2) მოსამართლის გამოცვლა არავის არ შეუძლია სასამართლოს გარდა 3) მოსამართლის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ ის სავსებით მიუდგომელი იყოს. ამისთვის მას არ შეუძლიან სხვა რაიმე საქმე იკისროს, სხვაგან იმსახუროს, საჩუქარი მიიღოს ვისიმე მხრით. მას ნება არა აქვს მთავრობის მხრით მიიღოს ხარისხი, ჯამაგირი, ჩინი და სხ.; მას ეძლევა საკმაოდ დიდი ჯამაგირი.

მოსამართლეს თვითონ ხალხი ირჩევს, მაგრამ იქ, სადაც სავსებით არ არის აღიარებული საზოგადოდ ხალხის უმაღლესი უფლება, მოსამართლეთა არჩევაც ხალხს არა აქვს მინდობილი. ევროპაში მხოლოდ შვეიცარიის მოსამართლეებს ირჩევენ, მაგრამ ხალხი კი არა, არამედ მისი წარმომადგენელნი - ფედერატიული კრება. მოსამართლეთა არჩევანი დემოკრატიული წესით განხორციელებულია ავსტრალიის ფედერატიულ რესპუბლიკაში და ამერიკის ფედერაციის ზოგიერთ შტატებში. იქ თვითონ ხალხი ირჩევს მოსამართლეებს და ისეთივე უფლებებს აძლევს მათ, როგორც პარლამენტის წევრებს. მაგრამ ინგლისშიაც მოსამართლე ავსტრალიისა და ამერიკის მოსამართლეზე ნაკლებად არ არის დამოუკიდებელი. ეს იმით აიხსნება, რომ ინგლისში მტკიცედ არის დაცული მოსამართლის გამოუცვლელობის პრინციპი და მისი უზრუნველყოფა. უწინ ინგლისის სასამართლო პირველი მონა და მოსამსახურე იყო გაბატონებულ კლასისა, ეხლა კი, როცა ორივე პალატის გარდა არავის არ შეუძლიან მოსამართლის გამოცვლა, როცა მოსამართლემ სრული ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა ხალხის თვალში და როცა მოსამართლე საპატიო პირად ითვლება საზოგადოებაში, სასამართლო ძირიან-ფესვიანად შეიცვალა და მისი ავტორიტეტი იმდენად გამტკიცდა, რომ ინგლისის სასამართლოს ვერავინ უსაყვედურებს მიდგომას და ამა თუ იმ კლასის მოსამსახურეობას.

ინგლისის მოსამართლეს არ შეუძლიან სამსახურში წინ წაწევა და ჯილდოს მიღება. ის ქონებრივად უზრუნველყოფილია, ხოლო უფლებით შეუზღუდველი. ამერიკის სასამართლოზე ვიღამაც ასეთი აზრი გამოსთქვა: „პრეზიდენტის შეცდომა ზარალს ვერ მიაყენებს სახელმწიფოს, რადგან მისი უფლება შეზღუდულია. შეიძლე-

ბა კონგრესიც შესცდეს. ამის გამო ფედერაცია არ დაიღუპება, რადგან კონგრესის შეცდომას გაასწორებს საარჩევნო კრება, რომელიც გამოსცვლის მის წევრებს, მაგრამ, თუ ამერიკის უმაღლეს სასამართლოში უგუნური და უზნეო მოსამართლენი მოხვდენ, ფედერაციას ან ანარქია მოელის, ან სამოქალაქო ომიო“.

ასეთი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ სასამართლოს. ჩვენ შეგვეძლო რუსეთსაც შევხებოდით, მაგრამ მეტად მიგვაჩნია იმის განმეორება, რაც ყველამ იცის. რუსეთის სასამართლო, რომელიც, მინისტრიეს ლანსკისა არ იყოს, „შეკაზმული ჰყავს შინაგან საქმეთა სამინისტროს“, ნიმუშია ფეოდალურ დროის სასამართლოსი. აუარებელი სამხედრო, საეკლესიო, სავაჭრო და საგლეხო სასამართლოების არსებობა საკმაოდ ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ რუსეთში ყოველ წოდებისთვის და კლასისთვის ცალკე სასამართლო არსებობს.

გაზ. „ივერია“ 1906 წ.

მიხეილ ჯავახიშვილი

ქალთა მოძრაობის ისტორიიდგან

მეცხრამეტე საუკუნეში ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა დემოკრატიზაციამ ცოტად თუ ბევრად ფრთა შეაკვეცა ხეპრულ ძალის ბატონობას და სამართლიანობის პრინციპს სახელმწიფოში უფრო მეტი ადგილი და მნიშვნელობა მისცა, ვიდრე მას ჰქონდა წინა საუკუნეებში. ამ დემოკრატიზაციამ დიდი ცვლილება და გაუმჯობესება შეიტანა დედაკაცის მდგომარეობაშიაც. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებამ ალაგ-ალაგ უტოპისტების მოლოდინსაც კი გადააჭარბა და ზოგიერთ სახელმწიფოში (ამერიკის ზოგიერთ შტატებში, ავსტრალიის ფედერაციაში) ქალებსაც ისეთივე პოლიტიკური უფლებანი მიანიჭა, როგორც მამაკაცებს.

დედაკაცის მდგომარეობის ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, ნათლად დავინახავთ, რომ დღემდის მიზეზი დედაკაცის დაბეჩავებისა იყო უფლება ძლიერისა. ძლიერის უფლება არც დღეს მოსპობილა და არც ამ ახლო მომავალში მოისპობა. მაგრამ ის კი ცხადია, რომ თანდათან სამართლიანობა ამარცხებს ძალის უფლებას და, იმედია, ერთ დროს სრულიად მოსპობს მას.

პირველი სერიოზული აგიტაცია ქალთა სასარგებლოდ ეკუთვნის დიდებულ საფრანგეთის რევოლუციას. ამერიკის განმათავისუფლებელ მოძრაობის მაგალითით აღფრთოვანებულმა საფრანგეთის ქალმა კარგად ისარგებლა რევოლუციის დროს საერთო გატაცებით და ხმამაღლა მოითხოვა თავისი ადამიანური უფლებანი. დედაკაცებიც აჰყვნენ მამაკაცების მაგალითს და შეადგინეს საკუთარი „დეკლარაცია დედაკაცის უფლებათა“, დაარსეს საკუთარი კლუბი და ენერგიულად შეუდგნენ აგიტაციას. ქალთა მოძრაობას მხარს უჭერდა იმ დროის შესანიშნავი ფილოსოფოსი კონდორსე, რომელიც მის შესახებ სწერდა: „რომელ პრინციპისა და რომელ უფლების ძალით სჩაგრავენ დედაკაცს რესპუბლიკურ სახელმწიფოში? საერო წარმომადგენლობა ნიშნავს მთელი ერის წარმომადგენლობას. მაგრამ განა დედაკაცი ერის ნაწილი არ არის? ლაპარაკობენ, ვითომ დედაკაცებისა და მამაკაცების პოლიტიკური გათანასწორება დედაკაცს ოჯახს მოაშორებსო. შორიდან ეს საბუთი თითქო მართალია, მაგრამ ნამდვილად იგი ერთ გროშადაც არა ღირს. ეს საბუთი სრულიად არ შეეხება იმ ქალთა აუარებელ ჯარს, რომელიც არც გათხოვილნი არიან და არც საკუთარი ოჯახი აქვთ. მაგრამ თუ ზემოხსენებულ საბუთს სამართლიანად ვაღიარებთ, მაშინ ამავე საბუთის ძალით ქალებს უნდა ავუკრძალოთ მოსამსახურეობა და ვაჭრობა-მუშაობა, რადგან ვაჭრობაც და ქარხნებში მუშაობაც, ქალს საკუთარ ოჯახს აშორებს!“

ნაპოლეონის დროს ქალთა მოძრაობა მიყუჩდა, ხოლო რესტავრაციამ იგი თითქმის სულ მოსპო. წარსულ საუკუნის შუა წლებში, ეგრედ წოდებულ ქალთა ემანსიპაციის ხანაში, ლიტერატურაში ხელახლად აღიძრა ქალთა მოძრაობაზე ლაპარაკი. მწერალი ქალი ჟორჟ ზანდი, ლაბულე და ლეგუვე მძლავრი დამცველები იყვნენ დედაკაცის უფლებისა. მაგრამ მეორე რესპუბლიკის დროს, ნაპოლეონ III-ის გავლე-

ნით, ისევ მიყუჩდა აგიტაცია ქალთა სასარგებლოდ. მეორე იმპერიის დროს ქალთა მოძრაობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ დაარსდა რამდენიმე საქალებო „კურსები“ (ეხლანდელი გიმნაზიები), რომელთაც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანეს საფრანგეთის ქალებს, რომელნიც იმ დრომდის მხოლოდ იეზუიტურ მონასტრებში იღებდნენ განათლებას.

ინგლისს პირველობა ეკუთვნის ქალთა მოძრაობის ისტორიაში. ჯერ კიდევ მე-XVII საუკუნეში „რობინზონ კრუზოს“ ავტორმა დანიელ დეფოიემ გამოსცა შესანიშნავი პამფლეტი ქალების უფლებათა დასაცავად, რომელმაც დიდი აყალ-მაყალი და მითქმა-მოთქმა ასტეხა მთელ ინგლისში. მას აქეთ მოძრაობა ხან სუსტდებოდა და ხან ძლიერდებოდა, მაგრამ გარკვეული კალაპოტი მიიღო მხოლოდ წარსულ საუკუნის მეოცე წლებში, როდესაც, ხანგრძლივ რეაქციის შემდეგ, ლიბერალიზმმა გაიმარჯვა და ქალთა საკითხიც ხელმეორედ გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. მესამოცე წლებში ქალთა მოძრაობა გამარჯვების გზას დაადგა; გამოვიდა სპეციალური ჟურნალი, რომელიც დღესაც გამოდის, და დაარსდა კერძო საქალებო სასწავლებლები. მე-70 წლებში დაარსდა უმაღლესი საქალებო სასწავლებელი, განსაკუთრებული საზოგადოებანი, რომელთაც სქესთა პოლიტიკურ თანასწორობის მოპოვება ჰქონდათ მიზნად, და საზოგადოებრივი აზრი შესამჩნევად გადიხარა ქალებისაკენ. ქალთა მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა განთქმულმა ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა ჯონ სტიუარტ მილლმა, რომელიც ლონდონის საქალებო საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლებოდა. მეოთხმოცე წლებში ქალთა მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. გათხოვილ ქალების უფლებები გაფართოვდა, საზოგადოებრივ და ადგილობრივ დაწესებულებებში დედაკაცმაც შესდგა ფეხი.

ამერიკაში ქალთა მოძრაობამ პირველად თავი იჩინა განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს. ამერიკის განთქმულ რევოლუციაში დედაკაცს დიდი წილი უდევს. რევოლუციის გათავების შემდეგ, როდესაც დაიწყო ხანა აღორძინებისა და სახელმწიფოს მოწყობისა, ქალები არ დაივიწყა მხოლოდ ნიუ-ჯერსის შტატმა, რომელმაც საერთო წარმომადგენელთა არჩევაში დედაკაცსაც ისეთივე უფლებები მიანიჭა, როგორიც მამაკაცს ჰქონდა. სხვა შტატები ასე შორს არ წავიდნენ და ცოტაოდენ რეფორმებით ჩააჩუმეს ამერიკელი ქალები. მხოლოდ ეს იყო დროებითი ჩაჩუმება, ვინაიდან ქალთა მოძრაობა ამერიკაში შემდეგაც არ დამცხრალა. გამუდმებულ ბრძოლით ამერიკელმა ქალმა XIX საუკუნეში ისეთი უფლებები მოიპოვა და იმდენად გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა, რომ ევროპიელი ქალი გაცილებით შორს ჩამორჩა მას და დღესაც ვერ დასწევია თავის ამხანაგს.

სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ დედაკაცის მოქალაქეობრივი უფლებანი, რომელნიც შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვა და სხვა სახელმწიფოებში. მარტო გერმანიის კანონმდებლობამ შეიმუშავა ასამდე მაგალითი ქონებრივ ურთიერთობისა მეუღლეთა შორის. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ წარსულ საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგამდის დედაკაცი გათხოვების შემდეგ ჰკარგავდა ყოველგვარ უფლებას. იმ დროს ინგლისში ქმარი და ცოლი იურიდიულ ერთეულს წარმოადგენდენ. ქმარს ნება არ ჰქონდა ცოლისთვის ეჩუქებინა რამე, ან რაიმე ხელშეკრულება დაედო მასთან, რადგან თავის თავთან ხელშეკრულების დადება არ შეიძლებაო. თუ ქალი გათხოვებამდის ვალს დაიდებდა, გათხოვების შემდეგ ეს ვალი ქმარს უნდა გაესტუმრებინა. ერთის სიტყვით ცოლის პიროვნება იურიდიულად გაუქმებული იყო ქმრის უფლებებით. შემდეგში, 1870 და

1882 წლების კანონებით, დედაკაცის მდგომარეობა ინგლისში არსებითად შეიცვალა. ის კანონები, რომელნიც დედაკაცის უფლებებს ზღუდავდენ, თანდათან გააუქმეს და ქმარიანი დედაკაცი ქმრის მზრუნველობისგან გაანთავისუფლეს. საგულისხმო ის არის, რომ დედაკაცი არა თუ გაანთავისუფლეს, - ქმართან შედარებით, უპირატესობის მქონეც გახადეს. მაგალითად: თუ გასათხოვარმა ქალმა ვალი დაიდო, გათხოვების შემდეგ მისი ქმარი მოვალეა ეს ვალი გაისტუმროს. ამავე დროს თუ ქმარს ვალი დაედო, მევალე იმის ცოლის ქონებას ხელს ვერ ახლებს, თუნდაც დამტკიცდეს, რომ ვალი ოჯახის საჭიროებისთვის იყო აღებული, მაშასადამე, ცოლიც სარგებლობდა ნასესხით.

ასევე შესამჩნევი ცვლილებები მოხდა ამერიკისა, ავსტრალიისა, კანადისა, შვეიცარიისა და იტალიის დედაკაცთა მდგომარეობაში. უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ყველგან დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ დედაკაცმა და შესამჩნევად გააუმჯობესა თავის სასარგებლოდ კანონები შესახებ ქონებრივ ურთიერთობისა მეუღლეთა შორის.

აგიტაცია დედაკაცის პოლიტიკურ უფლებების შესახებ ყველაზე ადრე ისევ ინგლისში დაიწყო. 1867 წელს ინგლისის პარლამენტმა განიხილა ჯონ სტიუარტ მილლის მიერ შეტანილი წინადადება ქალთა პოლიტიკურ უფლებების შესახებ და 196 ხმის უმეტესობით წინადმდეგ 73 ხმისა უარჰყო იგი. 1892 წელს პარლამენტმა ხელმეორედ განიხილა ეს საკითხი და ისევ უარჰყო ქალთა უფლების გაფართოვება, მაგრამ ქალთა მომხრე აღმოჩნდა 179 კაცი, წინააღმდეგი კი მხოლოდ 202. 1897 წელს პარლამენტი მესამედ დაუბრუნდა ამ საკითხს. კანონპროექტის ხელმეორედ გადასინჯვის დროს უმეტესობამ 71 ხმით მიიღო ბილლი, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო, კანონპროექტის მესამედ წაკითხვა არ მოხდა და ბილლი კანონად ვერ გადაიქცა. ინგლისელი ქალი დღესაც მონაწილეობას არ იღებს საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ სხვა გვარად სასოფლო, სამოქალაქო და საგრაფოების არჩევნებში იგი მამაკაცთან გათანასწორებულია. მას მინიჭებული აქვს აქტივური და პასივური საარჩევნო უფლება, ე. ი. შეუძლიან აირჩიოს და არჩეულ იქმნას. ეჭვს გარეშეა, რომ დღეს თუ ხვალ ინგლისელი ქალი პოლიტიკურად ყოველ მხრივ გაუთანასწორდება მამაკაცს და პარლამენტში ისეთსავე ძალას მოიპოვებს, როგორიც დღემდის მამაკაცებს ეკუთვნოდა.

ამ მხრით ინგლისს არც ნორვეგია ჩამორჩება. ნორვეგიელ ქალს შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს მრავალ სამოქალაქო და საზოგადოებრივ დაწესებულების არჩევნებში. პარლამენტმა რამდენჯერმე განიხილა საკითხი შესახებ იმისა, რომ დედაკაცსაც მიეცეს უფლება პარლამენტის (სტორტინგის) არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და ხმის უმეტესობით დაადგინა დედაკაცის და მამაკაცის პოლილიკურ უფლებების გათანასწორება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება კანონად ვერ გადაიქცა, რადგან ნორვეგიის კონსტიტუციით ასეთ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა პარლამენტის 2/3-ის თანხმობა.

ამ საქმეში საფრანგეთი და გერმანია ძალიან ჩამორჩენ ინგლისსა და ნორვეგიას. გერმანიაში კანონით დედაკაცს პოლიტიკურ კრებებსა და მიტინგებზე დასწრებაც კი აკრძალული აქვს.

ქალთა უფლებების გაფართოვების მხრივ ყველა ქვეყნებს წინ გაუსწრო ავსტრა-

ლიის ფედერაციამ. 1893 წელს ავსტრალიის ქალებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა პარლამენტის წევრთა არჩევნებში და პირველადვე აჯობეს მამაკაცებს: არჩევნებს დაესწრო ქალების 90%, ხოლო მამაკაცებისა 70%. საგულისხმო ის არის, რომ ქალების მონაწილეობამ არჩევნებში არაფრით არ შესცვალა ავსტრალიის პოლიტიკური ცხოვრება და ოთხჯერ მომხდარი არჩევნები (1893, 1896, 1899, 1902 წ.) იმავე ლიბერალურ მთავრობის სასარგებლოდ გათავდა, რომელმაც პოლიტიკური თანასწორობა მიანიჭა ავსტრალიის ქალებს. 1900 წელს, როდესაც ავსტრალიის კოლონიებმა ფედერაცია შეადგინეს, ქალებს, საფედერაციო დეპუტატების გარდა, საფედერაციო სენატის წევრთა არჩევის უფლებაც მიეცათ. ასე გადაწყვიტა საკითხი ქალთა პოლიტიკურ უფლებების შესახებ თანამედროვე სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო დემოკრატიულმა ავსტრალიამ.

გაზ. „ივერია“ 1906 წ.



იურგენ ჰაბერმასი (1929)

გერმანელი სოციოლოგი, პოლიტოლოგი და ფილოსოფოსი

სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის შინაგანი ურთიერთკავშირის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვებს „სამართალი“ და „პოლიტიკა“ ჩვენ, პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები, არცთუ იშვიათად ერთმანეთის პარალელურად ვიყენებთ, მიჩვეული ვართ იმასაც, რომ სამართალი, სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატია სხვადასხვა დისციპლინის შემადგენელ ნაწილებად განვიხილოთ: იურისპრუდენცია შეისწავლის სამართალს, პოლიტიკური მეცნიერება - დემოკრატიას, ხოლო სამართლებრივ სახელმწიფოს პირველი განიხილავს ნორმატიული, ხოლო მეორე კი - ემპირიული კუთხით. სამეცნიერო შრომის დაყოფა იმ შემთხვევაშიც გრძელდება, როდესაც იურისტები იწყებენ, ერთი მხრივ, სამართლისა და სამართლებრივი სახელმწიფოს, ხოლო, მეორე მხრივ, დემოკრატიული წყობილების მქონე სახელმწიფოში პოლიტიკური ნების ფორმირების შესწავლას; ან როცა სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები, კერძოდ, სამართლის სოციოლოგები, ინტერესდებიან სამართლითა და სამართლებრივი სახელმწიფოთი, ხოლო პოლიტოლოგები კი - დემოკრატიული პროცესებით. სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატია ჩვენ სრულიად განსხვავებულ საგნებად გვეჩვენება. ამისათვის სერიოზული მიზეზები არსებობს. იმდენად, რამდენადაც ყოველგვარი პოლიტიკური ბატონობა ხორციელდება სამართლის ფორმით, გარკვეული სახის სამართალწესრიგი იქაც არსებობს, სადაც პოლიტიკური ძალმომრეობა ჯერ კიდევ არაა შეზღუდული სამართლებრივი სახელმწიფოს მხრიდან. სამართლებრივი სახელმწიფო კი შესაძლებელია არსებობდეს იქაც, სადაც ხელისუფლება ჯერ კიდევ არაა დემოკრატიზებული. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო სამართალწესრიგი არსებობს სამართლებრივი ინსტიტუტების მიღმა, ხოლო სამართლებრივი სახელმწიფო კი - დემოკრატიული წყობის მიღმა. თუმცა ამ ორი საგნის განცალკავებული აკადემიური დამუშავების შესაძლებლობის მანიშნებელი ეს ემპირიული სახის საფუძვლები ჯერ კიდევ არ მოწმობს იმას, რომ მართლაც შესაძლებელია სამართლებრივი სახელმწიფო ნორმატიულ დონეზე არსებობდეს დემოკრატიის გარეშეც.

მინდა, განვიხილო სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის ამ შინაგანი ურთიერთკავშირის რამდენიმე ასპექტი. იგი თანაბარზომიერად გამომდინარეობს, როგორც თავად თანამედროვე სამართლის ცნებიდან (1), ასევე - იმ გარემოებიდანაც, რომ პოზიტიურ სამართალს უკვე აღარ ძალუძს თავისი ლეგიტიმურობა უმაღლეს სამართლებრივ წყაროებს დააფუძნოს (2). თანამედროვე სამართალი ლეგიტიმაციას აღწევს თითოეული მოქალაქისთვის თანასწორუფლებიანი ავტონომიურობის უზრუნველყოფით, ამასთანავე კერძო და საჯარო დონეების ავტონომიები თავისთავად გულისხმობენ ერთიმეორეს (3). ეს კონცეპტუალური ურთიერთკავშირი სამარ-

თლებრივი და ფაქტობრივი თანასწორობის იმ დიალექტიკაშიც ვლინდება, რომელმაც სამართლის ლიბერალური გაგების საწინააღმდეგოდ ჯერ სოციალური სახელმწიფოს პარადიგმა წამოსწია წინ, ხოლო ახლა კი სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს პროცედურულ თვითგაგებას უწყობს ხელს (4). დასასრულ, შევეცდები ეს პროცედურული სამართლებრივი პარადიგმა ფემინისტური მიმართულების პოლიტიკოსების მაგალითზე ავხსნა (5).

1. თანამედროვე სამართლის ფორმალური თვისებები

ლოკის, რუსოსა და კანტის დროიდან მოყოლებული არა მხოლოდ ფილოსოფიაში, არამედ დასავლური საზოგადოების პოლიტიკური წყობის რეალობაშიც თანდათანობით დამკვიდრდა სამართლის კონცეფცია, რომელიც იძულებულია ერთდროულად გაითვალისწინოს იძულებითი სამართლის პოზიტიური და ამავდროულად თავისუფლების გარანტიის მიმცემი ხასიათი. იმის გამო, რომ სახელმწიფოებრივი სანქციებით ზურგგამაგრებული ნორმები რეალურად, პოლიტიკური კანონმდებლების ცვალებადი ხასიათის დადგენილებებია, საჭიროა მათთვის ლეგიტიმურობის მინიჭება, რომლის მიხედვითაც ამგვარი ტიპის უფლებები სამართლის ყველა სუბიექტის თანაბარზომიერ ავტონომიურობას უნდა უზრუნველყოფდეს. ეს მოთხოვნა, თავის მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს სამართალწესრიგის დემოკრატიულ პროცედურებს. ამგვარად, მყარდება კავშირი, ერთი მხრივ, პოზიტიური სამართლის იძულებით ხასიათსა და ცვალებადობას და, მეორე მხრივ, ლეგიტიმურობის მოდუსის წარმომქმნელ სამართალწარმოებას შორის. ამიტომ, ნორმატიული კუთხით, არსებობს არა მარტო ისტორიულად შემთხვევითი, არამედ გასაგები და შინაგანი ურთიერთკავშირი სამართლისა და დემოკრატიის თეორიებს შორის.

ერთი შეხედვით, ეს თითქოს ფილოსოფიურ ხაფანგს წააგავს. რეალურად კი ეს შინაგანი ურთიერთკავშირი ღრმადაა გამჯდარი ჩვენი ყოველდღიური იურიდიული პრაქტიკის პირობებში. კონკრეტულდ კი: სამართლებრივ მოდუსში სამართლის სახელმწიფოებრივი განხორციელებადობის ფაქტობრიობა ერწყმის ლეგიტიმურობას, გამყარებულია სამართალწარმოების პროცედურით, რომელსაც რაციონალურობის პრეტენზია აქვს, რადგანაც იგი განაპირობებს თავისუფლებას. ეს მჟღავნდება იმ თავისებურ ამბივალენტობაში, რომლითაც სამართალი გამოდის თავისი ადრესატების წინაშე, მოელის რა მათგან მორჩილებას. იგი ხომ თავის ადრესატებს აძლევს თავისუფლებას, ან სტრატეგიულად შეაფასონ სამართლის შესაძლო დარღვევის შედეგები და განიხილონ მისი ნორმები, როგორც მათი მოქმედების არეალის ფაქტობრივი შეზღუდვა, ან კი დაემორჩილონ კანონებს პერფორმაციული დებულებებიდან გამომდინარე, კონკრეტულად კი, საერთო ნების ფორმირების შედეგებისადმი პატივისცემის საფუძველზე ჰქონდეთ ლეგიტიმურობის პრეტენზია. უკვე კანტმა, შემოიტანა რა კანონიერების ცნება, ხაზი გაუსვა ამ ორი მომენტის ურთიერთკავშირს, რომლის გარეშეც შეუძლებელია, მოითხოვო სამართლისადმი დამორჩილება: სამართლებრივი ნორმები უნდა ფლობდნენ ისეთ თვისებებს, რომ სხვადასხვა ასპექტში შესაძლებელი იყოს მათი, როგორც იძულებითი, ასევე თავისუფლების კანონების რანგში განხილვა. თანამედროვე სამართლის ჩვენეულ გაგებას სწორედ ეს ორმაგი ასპექტი ახასიათებს: სამართლებრივი ნორმების ქმედებას ჩვენ განვიხილავთ, როგორც განაცხადს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო სამართლის ფაქტობრივად განხორციელებისა და ლეგიტიმური სამართალწყობის გარანტიას ერთდროულად იძლევა, ანუ, ერთი მხრივ, ქცევის კანონიერებას ნორმების საშუალო

სტატისტიკური შესრულების კუთხით, რომლის მიღწევაც საჭიროების შემთხვევაში სანქციებითაც შეიძლება და, მეორე მხრივ, თავად წესების ლეგიტიმურობას, რომელმაც ყოველთვის კანონის პატივისცემაზე დაფუძნებული ნორმების დაცვას უნდა შეუწყოს ხელი.

თუმცა, ამასთანავე ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა იყოს გამყარებული წესების ლეგიტიმურობა, როცა ეს წესები ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს პოლიტიკური კანონმდებლების მიერ. თვით საკონსტიტუციო ნორმებიც კი ექვემდებარება ცვლილებებს; საბაზისო ნორმები, რომლებიც თავად კონსტიტუციით გამოცხადებულია უცვლელ ნორმებად, ისეთსავე ბედს იზიარებს, როგორსაც პოზიტიური სამართლის სხვა ნორმები, რომლებიც მმართველი პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შემდეგ გაუქმების საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს. რადგანაც არსებობდა რელიგიურად ან მეტაფიზიკურად გამყარებული ბუნებრივი სამართლით სარგებლობის საშუალება საწუთროს წრებრუნვა, რომელშიც ჩართულია პოზიტიური სამართალი, შესაძლებელი გახდა, შეეჩერებინათ მორალის საფუძველზე. პოზიტიური სამართალი, რომელიც ექვემდებარება დროის ცვალებადობას, უნდა დამორჩილებოდა (კანონის იერარქიის მნიშვნელობით) მარადიული ძალით აღჭურვილ მორალურ სამართალს და მისგან უნდა აეღო საიმედო ორიენტირები. მაგრამ, თუნდაც აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ პლურალისტურ საზოგადოებებში სამყაროს შესახებ მსგავსი ერთიანი წარმოდგენები და კოლექტიურად სავალდებულო ეთიკები ისედაც უკვე დაშლილია, თანამედროვე სამართალი უბრალოდ, თავისი ფორმალური თვისებებიდან გამომდინარე, ასე ვთქვათ, მარტოობაში დარჩენილი, სინდისზე დაყრდნობილი პოსტტრადიციული მორალისათვის პირდაპირი სახით ვერანაირად ვერ იქნება ხელმისაწვდომი.

2. პოზიტიური სამართლისა და ავტონომიური მორალის დამატებითი ურთიერთობების შესახებ

სუბიექტური მოთხოვნები, საიდანაც სამართალწყობის თანამედროვე ტიპები წარმოდგება, გულისხმობს კონკრეტულად განსაზღვრულ სფეროებში სამართლებრივი სუბიექტების მორალური ცნებებისგან განთავისუფლებას. სუბიექტური უფლებების ამოქმდებით, რომელიც აქტორებს სხვადასხვა მიმართულებით თავისუფლად მოქმედებისათვის სივრცეს ანიჭებს, თანამედროვე სამართალი, საერთო ჯამში, ახდენს იმ პრინციპის დემონსტრირებას, რომლის მიხედვითაც, ნებადართულია ყველაფერი, რაც არაა აკრძალული. მაშინ, როცა მორალში თავიდანვე არსებობს უფლებებსა და მოვალეობებს შორის სიმეტრია. უფლებრივი მოვალეობები წარმოიქმნება მხოლოდ როგორც გარკვეული უფლებამოსილებების შედეგი და გამომდინარეობს სუბიექტური თავისუფლების კანონიერი შეზღუდვისგან. მოვალეობებთან შედარებით უფლებების ეს კატეგორიული სახის უპირატესობა შეიძლება სამართლის სუბიექტისა და სამართლის ცნებების თანამედროვე გაგების საფუძველზე აიხსნას. სოციალურ სივრცესა და ისტორიულ დროში შეუზღუდავი მორალური უნივერსუმი მოიცავს ყველა ფიზიკურ პირს, თითოეულ მათგანს მთელი ბიოგრაფიული სირთულეებით; თავად მორალი კი გულისხმობს მთლიანად ინდივიდუალიზებული პირების ერთიანობის დაცვას. მისგან განსხვავებით, ასე თუ ისე, დროსა და სივრცეში ლოკალიზებული სამართლებრივი თემი თავისი წევრების მთლიანობას ზუსტად იმ დოზით იცავს, რა დოზითაც ისინი იღებენ ხელოვნურად შექმნილი სუბიექტური უფლებების მატარებლების სტატუსს. ამიტომ სამართალსა და მორალს შორის არსებული ურთიერთობა, უფრო მეტად ერთმანეთის შემავსებელი ტიპისაა, ვიდრე -

ურთიერთდაქვემდებარებულის.

ეს მიდგომა უფრო ფართო გაგებითაც მართებულია. საკითხები, რომლებიც სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს, ერთდროულად უფრო შეზღუდულიცაა და უფრო ყოვლისმომცველიც, ვიდრე - მორალურად რელევანტური სიტუაციები: უფრო შეზღუდული, რადგან სამართლებრივ რეგულირებას ხელი მიუწვდება მხოლოდ გარეგნულ ქცევაზე, რომელიც თავისთავად იძულებითი ხასიათისაა, ხოლო უფრო ფართო კი იმიტომ, რომ სამართალი, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზების საშუალება, არა მარტო პიროვნებათაშორის მოქმედების სფეროში კონფლიქტების რეგულირებას ეხება, არამედ იგი პოლიტიკური ამოცანებისა და პროგრამების შესრულებასაც მოიცავს. ამიტომაც სამართლებრივი რეგულირება არა მარტო ვიწრო გაგებით მორალურ საკითხებს ეხება, არამედ პრაგმატული და ეთიკური ტიპის თემებსაც მოიცავს; ასევე - დაპირისპირებულ ინტერესებს შორის კომპრომისის მიღწევის გზების ძიების საკითხებსაც; მორალური ცნებებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საკუთარ მნიშვნელოვნებაზე მკაფიოდ გამოხატული პრეტენზია აქვს, სამართლებრივი ნორმების პრეტენზია ლეგიტიმურობაზე სრულიად სხვა სახის საფუძვლებს ემყარება. საკანონმდებლო გამართლების პრაქტიკა დამოკიდებულია არა მხოლოდ მორალურ დისკურსზე, არამედ დისკურსებისა და მოლაპარაკებების ფართოდ განშტოებულ ქსელზე.

სხვადასხვა სახის უფლებათა ბუნებრივ-სამართლებრივი იერარქიის შესახებ წარმოდგენა მცდარია. სამართალი საკმაო წარმატებით აღიქმება, როგორც მორალის ფუნქციონალური დამატება. კონკრეტულად კი, პოზიტიური ძალით დატვირთულ, ლეგიტიმურად დამყარებულ და შენარჩუნებულ სამართალს შეუძლია მორალის დიდი წილი მოტივირებული და ორგანიზებული მოთხოვნებისაგან გაათავისუფლოს ის ადამიანები, რომლებიც აკეთებენ მორალურ დასკვნებს და იქცევიან მორალის ნორმებიდან გამომდინარე და საბოლოოდ ორიენტირდეს სუბიექტურ მორალზე. სამართალს შეუძლია მორალის სუსტი მხარეების კომპენსირების გაკეთება, რომლის შედეგებიც, ემპირიულ მონაცემებს თუ კარგად დავაკვირდებით, კოგნიტურად განუსაზღვრელი და სუსტად მოტივირებულია. ბუნებრივია, ეს ფაქტი კანონმდებლებს არ ათავისუფლებს იმ ვალდებულებისგან, რომ კანონი და მორალის ღირებულებები ერთმანეთთან შეათანხმონ. თუმცა იურიდიული წესები ზედმეტად კონკრეტულია იმისათვის, რომ ლეგიტიმაციის მოპოვება მხოლოდ მორალურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში არმოსვლით შეძლოს. მაგრამ თუ არა უფრო მაღლა მდგომ მორალურ სამართლს, მაშ, ვისგანღა უნდა გადმოიღოს პოზიტიურმა სამართალმა თავისი ლეგიტიმურობა?

როგორც მორალი, ასევე სამართალი აუცილებლად უნდა იცავდეს ყველას, ვისზეც მათი მოქმედება ვრცელდება, უფლებებს. ასე რომ, სამართალიც იძულებულია, დაამტკიცოს თავისი ლეგიტიმურობა თავისუფლების დაცვის მნიშვნელობით. მაგრამ საინტერესოა, რომ სამართლის პოზიტიური ხასიათი სტიმულს აძლევს ავტონომიის თავისებურ გახლეჩას, რაც მორალის შემთხვევაში არ ხდება. მორალური თვითგამორკვევა კანტისეულ სტილში, არის ერთიანი კონცეპტი იმ დოზით, რა დოზითაც მას შეუძლია მოითხოვოს თითოეული ადამიანისაგან in propria pesona კონკრეტულად იმ ნორმების შესრულება, რომელ ნორმებსაც ეს პირი უყენებს საკუთარ თავს საკუთარი ან სხვებთან ერთად მიღებული მსჯელობის შედეგად. სამართლებრივი ნორმების სავალდებულოობა კი არ შემოიფარგლება მხოლოდ

შეხედულებებისა და აზროვნების პროცესით, არამედ იგი საკანონმდებლო და კანონის აღმასრულებელი ინსტანციების მიერ მიღებულ კოლექტიურ გადაწყვეტილებებსაც გულისხმობს. აქედან გამომდინარეობს გარკვეული სახის სამართლის შემდგენელ და მის ხმამაღლა გამომხატველ ავტორებსა და იმ ადრესატებს შორის, რომლებიც ასე თუ ისე ემორჩილებიან მოქმედ სამართალს, ფუნქციების დაყოფის კონცეპტუალური აუცილებლობა. ავტონომია, რომელიც მორალურ სფეროში რაღაც ერთიანს წარმოადგენს, იურიდიულ სფეროში ორმაგი, კერძო და საჯარო ავტონომიების სახით გვევლინება.

მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ორივე მომენტი იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ ერთის ავტონომიამ არ ავნოს მეორეს. კერძო სამართლის სუბიექტის მოქმედების სუბიექტური თავისუფლებები და სახელმწიფოს მოქალაქის საჯარო ავტონომია ერთმანეთს ეხმარება. ამას ემსახურება იდეა, რომლის მიხედვითაც სამართლის სუბიექტები შესაძლოა ავტონომიურები იყვნენ მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც ისინი ახორციელებენ რა თავიანთ სამოქალაქო უფლებებს, კადნიერდებიან, განიხილონ საკუთარი თავი იმ წესების ავტორებად, რომლებსაც თავადვე ემორჩილებიან, როგორც ადრესატები.

3. სახალხო სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებების ურთიერთგანპირობებულობის შესახებ

ასე რომ, გასაკვირი არაა, რომ სამართლის თეორიები ლეგიტიმურობის საკითხს, ერთი მხრივ, სახალხო სუვერენიტეტზე, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებებით გარანტირებულ კანონის ბატონობაზე აპელირებით პასუხობს. სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი გამოიხატება კომუნიკაციისა და მონაწილეობის უფლებებში, რომლებიც სახელმწიფოს მოქალაქეების საჯარო ავტონომიას უზრუნველყოფს. კანონის მმართველობა კი იმ კლასიკურ ძირითად სამართალში აისახება, რომელიც საზოგადოებაში მოქალაქეების კერძო ავტონომიას უზრუნველყოფს. ამგვარად, სამართალი ლეგიტიმაციას იღებს, როგორც კერძო და საჯარო ავტონომიების თანაბრად უზრუნველყოფის საშუალება. თუმცა პოლიტიკურ ფილოსოფიას არ შეეძლო სახალხო სუვერენიტეტსა და საჯარო ავტონომიას, „ძველების თავისუფლებას“ და „ახლების თავისუფლებას“ შორის არსებული დაძაბულობის ბოლომდე განმუხტვა. მოქალაქეთა პოლიტიკური ავტონომია განსახიერდება თემის თვითორგანიზაციაში, რომელიც ხალხის სუვერენული ნებიდან გამომდინარე უდგენს საკუთარ თავს კანონებს. მეორე მხრივ, მოქალაქეების კერძო ავტონომიამ დასრულებული სახე უნდა მიიღოს ძირითად კანონებში, რომლებიც კანონის ბატონობის ანონიმურობის გარანტიას იძლევა. თუკი მიმართულება დასაწყისშივე ამგვარადაა შერჩეული, მაშინ ერთი იდეა მხოლოდ მეორის ხარჯზე შეიძლება შევიდეს ძალაში. ამ ორი იდეის მსგავსი წარმოშობის ინტუიციური იდეა არ მართლდება.

რესპუბლიკანიზმი, რომელიც არისტოტელესა და აღორძინების ეპოქიდან იღებს დასაბამს, კერძო პირების პოლიტიკის შექმნამდე არსებულ ავტონომიასთან შედარებით უპირატესობას ყოველთვის მოქალაქეების საჯარო ავტონომიას ანიჭებდა. ლიბერალიზმი, რომელსაც ლოკმა ჩაუყარა საფუძველი, წინასწარმეტყველებდა უმრავლესობის ტირანიის დამყარებას და ხაზს უსვამდა ადამიანის უფლებების უპირატესობას. პირველ შემთხვევაში ადამიანის უფლებები თავიანთ ლეგიტიმურობას ეთიკური თვითშეგნებიდან და გარკვეული პოლიტიკური ერთიანობის სუვერენუ-

ლი თვითგამორკვევიდან გამომდინარე იღებდნენ; მეორე შემთხვევაში მათ თავდა-პირველად უნდა ჩამოეყალიბებინათ ლეგიტიმურობის ჩარჩოები, რომლებიც სუბიექტური თავისუფლებების ხელშეუხებელ სფეროზე ხალხის სუვერენული ნების გავრცელებას შეუშლიდა ხელს. თუმცა რუსო და კანტი მიზნად ისახავდნენ, სამართლის სუბიექტის ცნებაში სუვერენული ნება და პრაქტიკული გონი ერთიანობაში გაეაზრებინათ, რათა სახალხო სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებების გაგება ერთმანეთზე ყოფილიყო დამოკიდებული. მაგრამ მათაც კი ვერ გაითვალისწინეს ამ ორი იდეის მსგავსი წარმომავლობა. რუსო უფრო მეტად იხრება რესპუბლიკანური ახსნისკენ, კანტი კი - ლიბერალურისკენ. მათ გამორჩათ ინტუიცია, რომლის გარდაქმნასაც ისინი ცნებებში შეეცადნენ: ადამიანის უფლებათა იდეა, რომელიც გულისხმობს მოქმედების თანასწორ სუბიექტურ თავისუფლებას, ვერც კანონმდებლებისთვის შეასრულებს გარე შემზღუდველი ჩარჩოს ფუნქციას და ვერც მათი საჭიროებებისათვის ვერ იქნება ინსტრუმენტალიზებული, როგორც ფუნქციონალური რეკვიზიტი.

იმისათვის, რომ სწორად გამოვხატოთ ეს ინტუიცია, მიზანშეწონილია დემოკრატიული პროცედურა, რომელიც საზოგადოებრივი და მსოფლმხედველობითი პლურალიზმის პირობებში სამართალწარმოების პროცესს პირველად ანიჭებს ლეგიტიმურობის უნარს, დისკურსის თეორიის კუთხით განვიხილოთ. ამასთან, გამოვდივარ იმ პრინციპიდან, რომელიც აქ დაწვრილებით არ განიხილება და რომლის მიხედვითაც, ლეგიტიმურობაზე პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ წესებს, რომლებიც შესაძლოა რაციონალურ დისკურსში მონაწილე ყველა დაინტერესებული პირის მიერ ყოფილიყო მოწონებული. თუკი ამიერიდან დისკურსი და მოლაპარაკებები, რომელთა სამართლიანობა, თავის მხრივ, დისკუსიურად გამყარებულ პროცედურაზეა დამოკიდებული, არის ის ნიშა, სადაც შესაძლებელია გონივრული პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება, მაშინ გონიერების შესახებ ის ვარაუდი, რომელიც დემოკრატიულმა პროცედურამ უნდა განამტკიცოს, საბოლოო ჯამში მაღალი დონის კომუნიკაციურ კომპოზიციას უნდა ემყარებოდეს: ყველაფერი დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლებშიც შესაძლებლია ლეგიტიმური სამართალწარმოებისათვის აუცილებელი კომუნიკაციის ფორმები, თავის მხრივ, იურიდიულად იქნეს ინსტიტუციონალიზებული. ასეთ შემთხვევაში ძიებული შინაგანი ურთიერთკავშირი, ადამიანის უფლებებსა და სახალხო სუვერენიტეტს შორის, იმაში მდგომარეობს, რომ კომუნიკაციური თავისუფლებების საჯარო გამოყენების სამოქალაქო პრაქტიკის სამართლებრივი ინსტიტუციონალიზაცია სწორედ ადამიანის უფლებების ხარჯზე კმაყოფილდება. ადამიანის უფლებები, რომლებიც შესაძლებელს ხდის სახალხო სუვერენიტეტის განხორციელებას, არ შეიძლება რაიმე გარეგანი შეზღუდვის სახით იქნეს თავს მოხვეული.

თუმცა, ამ მოსაზრების მართებულობა აშკარაა მხოლოდ პოლიტიკური სამოქალაქო უფლებების, ანუ პოლიტიკური კომუნიკაციისა და პოლიტიკაში მონაწილეობის უფლებების შემთხვევაში, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური ავტონომიის განხორციელებას და არა კლასიკური გაგებით ადამიანის უფლებების შემთხვევაში, რომელიც მოქალაქეების კერძო ავტონომიის გარანტიას იძლევა. პირველ რიგში აქ ვულისხმობთ ყველა სუბიექტისთვის მოქმედების თავისუფლების მაქსიმალურად შესაძლო თანასწორობის ფუნდამენტურ უფლებას; ასევე, ძირითად უფლებებს, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფოს მოქალაქის სტატუსი და ინდივიდუალური უფლებების საყოველთაო დაცვა. ეს უფლებები, რომლებმაც საერთო ჯამში

თანასწორი უფლებებით უნდა უზრუნველყონ ყველა, რათა მათ განახორციელონ საკუთარი ცხოვრებისეული მიზნები, შინაგანი ღირებულების მატარებელია და იგი არ დაიყვანება დემოკრატიული ნების ჩამოყალიბების ინსტრუმენტულ ღირებულებამდე. ჩვენ მხოლოდ მაშინ დავაფასებთ თავისუფლების კლასიკური უფლებებისა და სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების წარმომავლობის ერთგვაროვნობის შესახებ ინტუიციას, როდესაც ქვემოთ დავაზუსტებთ ჩვენს თეზისს იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებები შესაძლებელს ხდის მოქალაქეთა თვითგამორკვევის პრაქტიკის განხორციელებას.

4. კერძო და საჯარო ავტონომიის ურთიერთმიმართების შესახებ

ადამიანის უფლებების მორალურ საფუძველზე დაფუძნება კიდევ შესაძლებელია. მაგრამ შეუძლებელია სუვერენზე პატერნალისტური მეთოდებით მათი დაკისრება. მოქალაქეების სამართლებრივი ავტონომიის იდეა ხომ იმას გულისხმობს, რომ სამართლის ადრესატები ამავდროულად საკუთარ თავს მის ავტორებადაც აღიქვამდნენ. დემოკრატიული წყობილების დამფუძნებლებს ადამიანის უფლებების ცნებისთვის პოზიტიური ხასიათის მინიჭების მიზნით ისინი, მორალური ფაქტების მსგავსად, წინასწარვე რომ გამოევლინათ, ეს მოცემული იდეის საწინააღმდეგო იქნებოდა. მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოქალაქეებს, ასრულებენ რა კანონმდებლის ფუნქციას, არ რჩებათ იმ საშუალებათა არჩევანი, რომელთა მეშვეობითაც შეეძლებოდათ თავიანთი ავტონომიის განხორციელება. კანონმდებლობაში ისინი მონაწილეობენ, როგორც სამართლის სუბიექტები. მათ უკვე აღარ აქვთ იმის საშუალება, რომ თავად გადაწყვიტონ, რა მეთოდებს აირჩევენ. თვით კანონმდებლობის დემოკრატიული იდეა იძულებულია, ავტორიტეტი სამართლის საშუალებებით მოიპოვოს.

მაგრამ თუკი კომუნიკაციური წანამძღვრები, რომლის პირობებშიც მოქალაქეები დისკურსის პრინციპში აფასებენ, არის თუ არა ლეგიტიმური ის სამართალი, რომელსაც ისინი იღებენ, თავის მხრივ, ინსტიტუციონალიზებული უნდა იყოს პოლიტიკური სამოქალაქო უფლებების სახით, მაშინ აუცილებელია, რომ სამართლებრივი კოდი, როგორც ასეთი, ხელმისაწვდომი იყოს, თუმცა ამ კოდის დადგენისათვის საჭიროა სამართლებრივი სუბიექტების სტატუსის განსაზღვრა, რომლებიც, როგორც სუბიექტური უფლებების მატარებლები უფლებათა ნებაყოფლობით მატარებლებს მიეკუთვნებიან და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად იცავენ თავიანთ სამართლებრივ პრეტენზიებს. სამართლებრივი სუბიექტების კერძო ავტონომიის გარეშე საერთოდ არ არსებობს არანაირი სამართალი. შესაბამისად, ძირითადი უფლებების გარეშე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეების კერძო ავტონომიას, არ იარსებებდა არც იმ უფლებების სამართლებრივი ინსტიტუციონალიზაციის საშუალებაც, რომლის პირობებშიც მოქალაქეებს, როგორც სახელმწიფოს მოქალაქეებს, შეეძლებოდათ თავიანთი საჯარო ავტონომიის გამოყენება. ამგვარად, კერძო და საჯარო ავტონომიები ერთმანეთს გულისხმობენ ისე, რომ არც ადამიანის უფლებებს აქვს პრეტენზია პირველობაზე სახალხო სუვერენიტეტთან მიმართებით და არც - პირიქით.

აქ ვლინდება ინტუიცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მოქალაქეებს იმ შემთხვევაში შეუძლიათ ადეკვატურად გამოიყენონ თავიანთი საჯარო ავტონომია, თუკი ისინი კერძო ავტონომიის თანასწორად უზრუნველყოფის საფუძველზე

საკმარისი დოზით არიან დამოუკიდებლები; თუ მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ რეგულირება გაუწიონ თავიანთ კერძო ავტონომიას ისე, რომ ამავდროულად ინარჩუნებდნენ კონსენსუსის მიღწევის საშუალებას, თუკი ისინი, როგორც სახელმწიფოს მოქალაქეები ადეკვატურად იყენებენ თავიანთ პოლიტიკურ ავტონომიას.

სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის ეს შინაგანი ურთიერთკავშირი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე დაფარული იყო უკანასკნელ პერიოდამდე გაბატონებული სამათლებრივი პარადიგმების კონკურენციის გამო. ლიბერალური სამართლებრივი პარადიგმა ყურადღებას აქცევს კერძო სამართლის, უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრებასა და შეთანხმებულ თავისუფლებაზე უფლების გზით ინსტიტუციონალიზებულ ეკონომიკურ თანამეგობრობას, რომელიც საბაზრო მექანიზმების სპონტანურ ზემოქმედებას განიცდის. ეს „კერძო სამართლებრივი“ საზოგადოება მორგებულია სამართლის სუბიექტების ავტონომიას, რომლებიც, არიან რა ბაზრის მონაწილენი, მეტ-ნაკლები რაციონალურობით მისდევენ საკუთარ ცხოვრებისეულ გეგმებს. ამას ემატება ნორმატიული მოლოდინები, რომ სოციალური სამართლიანობა შესაძლებელია დამყარდეს ამგვარი ნეგატიური სამართლებრივი სტატუსის გარანტიის ხარჯზე, ანუ გამოკვეთილად ინდივიდუალური თავისუფლების სფეროს ცალკე გამოყოფის ხარჯზე. ამ ჰიპოთეზის კარგად დასაბუთებული კრიტიკის საფუძველზე წარმოიშვა სოციალური სახელმწიფოს მოდელი. შეწინააღმდეგება ნათელია: თუკი ქონებისა და გამომუშავების თავისუფლება უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას, მაშინ უნდა არსებობდეს „უფლებების შესაძლებლობების“ თავისუფლება. მაგრამ, სინამდვილეში, ეკონომიკური ზეგავლენის, ქონებრივი მდგომარეობისა და სასიცოცხლო სოციალური პირობების უთანასწორობის ზრდასთან ერთად თანასწორად გადანაწილებული უფლებათა თანასწორად გამოყენების შანსების ფაქტობრივი წანამძღვარები სულ უფრო და უფრო მყიფე ხდებოდა. იმისათვის, რომ უფლებრივი თანასწორობის ნორმატიული შინაარსს საბოლოოდ არ მიეღო სრულიად საპირისპირო სახე, არსებული კერძო სამართლებრივი ნორმები, ერთი მხრივ, შინაარსობრივად უნდა ყოფილიყო გამყარებული და, მეორე მხრივ, უნდა შემოღებულიყო ძირითადი სოციალური უფლებები. ეს სამართლებრივი ნორმები და უფლებები საზოგადოებრივად წარმოებული სიმდიდრის უფრო სამართლიან გადანაწილებასა და წარმოქმნილი საშიშროებებისგან უფრო ეფექტურ დაცვას შეძლებდნენ.

თუმცა, სამართლის ამგვარმა მატერიალიზაციამ, თავის მხრივ, გამოიწვია არაპროგნოზირებული სოციალური სახის გვერდითი მოვლენები, სოციალურ-სახელმწიფოებრივი პატერნალიზმის ფორმით. ნათელია, რომ ფაქტობრივი სასიცოცხლო პირობებისა და ძალაუფლების გათანასწორების სურვილი ვერ მოიტანს იმგვარ „ნორმალიზებული“ სახის ჩარევას, რომ მისი სავარაუდო მომხმარებლები, თავის მხრივ, არ შეიზღუდონ საკუთარი ცხოვრების ავტონომიურად ორგანიზების საკითხში. სამართლებრივი და ფაქტობრივი თავისუფლების დიალექტიკის შემდგომ განვითარებასთან ერთად აღმოჩნდა, რომ სამართლის ორივე პარადიგმა თანაბრად ენდობა ინდუსტრიულ-კაპიტალისტური ეკონომიკური თანამეგობრობის წარმოებით სურათს, რომელიც თითქოსდა ისე ფუნქციონირებს, რომ სოციალური სამართლიანობის მოლოდინი შეიძლება დაკმაყოფილდეს კარგი ცხოვრების ამა თუ იმ კერძო კონცეფციის კერძო ავტონომიური განხორციელების ხარჯზე. ორივე მხარე დაობს მხოლოდ იმაზე, შეიძლება თუ არა, რომ კერძო ავტონომია გარანტირებულ

იქნეს მხოლოდ უშუალოდ თავისუფლების უფლებით, თუ კერძო ავტონომიის წარმოშობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოციალური ანაზღაურების დაკმაყოფილების ხარჯზე. მაგრამ ორივე შემთხვევაში შინაგანი ურთიერთკავშირი კერძო და საჯარო ავტონომიებს შორის მხედველობის მიღმა რჩება.

5. გათანასწორების ფემინისტური პოლიტიკის მაგალითი

და ბოლოს, მე ვისურვებდი გათანასწორების ფემინისტური პოლიტიკის მაგალითზე მეჩვენებინა, რომ სამართლებრივი პოლიტიკა უსუსურად მერყეობს ორ ტრადიციულ პარადიგმას შორის მანამ, სანამ კერძო ავტონომიის უზრუნველყოფის შეხედულება შეზღუდული რჩება, ხოლო შინაგანი კავშირი კერძო პირების სუბიეტურ უფლებებსა და სახელმწიფოს სამართალწყობაში მონაწილეთა საჯარო ავტონომიას შორის კი დაჩრდილულია. ბოლოს და ბოლოს, სამართლის კერძო სუბიექტები ვერც კი შეძლებენ თანასწორი სუბიექტური თავისუფლებებით სარგებლობას, თუკი თავადვე, ერთობლივად ახორციელებენ რა თავიანთ სამოქალაქო ავტონომიებს, არ განმარტავენ საკუთარი თავისთვის გამართლებულ ინტერესებსა და კრიტერიუმებს და არ შეთანხმდებიან რელევანტური შეხედულებების თაობაზე, რომლის საფუძველზეც თანასწორი განიხილება, როგორც თანასწორი, ხოლო უთანასწორო, როგორც უთანასწორო.

ლიბერალური პოლიტიკა პირველ რიგში ესწრაფვის, რომ გარკვეული სტატუსის ფლობა და სქესობრივი კუთვნილება ერთმანეთისგან გამიჯნოს და უზრუნველყოს ქალებისთვის სამუშაოზე აყვანის შანსების, სოციალური ავტორიტეტის, განათლების მიღების, პოლიტიკური ძალაუფლების და ა.შ. თანასწორობა, მიუხედავად შესაძლო შედეგებისა. მაგრამ ფორმალური გათანასწორობის ნაწილობრივი განხორციელება ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ნათლად ავლენს ქალებთან მიმართებით არსებულ ფაქტობრივ უთანასწორობას. მაზე სოციალურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა რეაგირებდა, უპირველეს ყოვლისა სოციალურ, შრომით და ოჯახურ სამართალში ორსულობის, დედობის ან განქორწინების შემთხვევაში სოციალური ვალდებულებების შესახებ სპეციალური კანონების მიღებით. თუმცა, აქედან მოყოლებული ფემინისტური კრიტიკის საგანი არა მხოლოდ არშესრულებული ლიბერალური მოთხოვნილებები, არამედ წარმატებით განხორციელებული სახელმწიფოს სოციალური კანონების ამბივალენტური შედეგებიც გახდა. მაგალითად, მითითებული კომპენსაციების შედეგად სამსახურის დაკარგვის გაზრდილი რისკი, ქალების მეტად დიდი რაოდენობა ყველაზე დაბალ ანაზღაურებად ტიპის სამსახურებში, პრობლემატური „ბავშვის კეთილდღეობის“ ცნება, ზოგადად სიღარიბის პროგრესირებადი ფემინიზაცია და ა.შ. იურიდიული კუთხით, ამ განმეორებით განხორციელებული დისკრიმინაციის სტრუქტურული საფუძველი დამამცირებელი სიტუაციებისა და დამცირებული ადამიანების ჯგუფების კლასიფიკაციის მეტისმეტი განზოგადებაა. საქმე ისაა, რომ ამ ,,მცდარ" კლასიფიკაციას შედეგად მოაქვს ცხოვრების მიმდინარეობაში „ნორმალიზებადი“ ჩარევა, რომელიც ზარალის სავარაუდო ანაზღაურებას ახალ დისკრიმინაციად, თავისუფლების გარანტიას კი მის დაკარგვად აქცევს. ფემინისტური სამართლის სფეროში სოციალურ-სახელმწიფოებრივი პატერნალიზმი სიტყვასიტყვით მნიშვნელობას იძენს, რადგან საკანონმდებლო ხელისუფლება და სამართალწარმოება ტრადიციულ განმარტებებს ანიჭებს უპირატესობას და კიდევ უფრო ამყარებს არსებულ სტერეოტიპებს სქესობრივი მსგავსების შესახებ.

სოციალური როლების კლასიფიკაცია და სქესიდან გამომდინარე არსებული განსხვავებები კულტურული თვითშეგნების ელემენტარულ დონეებს ეხება. მხოლოდ ჩვენს დროში მოგვცა რადიკალურმა ფემინიზმმა არასაკმარისი, შესაცვლელი და პრინციპულად საკამათო ხასიათის ამ თვითგაგების გააზრების საშუალება. ის სამართლიანად მოითხოვს, რომ იმ ასპექტებს, რომლებშიც განსხვავება ქალებისა და მამაკაცების გამოცდილებასა და ცხოვრებისეულ სიტუაციებს (გარკვეული ჯგუფების) შორის მოქმედებების სუბიექტური თავისუფლების პირობებში შანსების თანასწორობისათვის რელევანტური ხდება, ნათელი უნდა მოეფინოს პოლიტიკური საზოგადოების ფარგლებში, კონკრეტულად კი - მოთხოვნილებათა ადეკვატური ინტერპრეტაციის შესახებ საჯარო კამათში. ამგვარად, სამართლის პარადიგმული გაგების სათანადო ცვლილება განსაკუთრებით კარგად ქალების გათანასწორებისათვის მოცემულ ბრძოლაში იჩენს თავს.

რა უზრუნველყოფს ავტონომიურობას ყველაზე უკეთ: კერძო პირებს შორის შეჯიბრის სუბიექტური თავისუფლება თუ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის კლიენტებისათვის წარმატებაზე ზრუნვა? ამ თემაზე კამათის ნაცვლად აქტუალური ხდება პროცედურული სამართლებრივი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიული პროცესი ვალდებულია ერთდროულად უზრუნველყოს კერძო და საჯარო ავტონომიებიც: სუბიექტური უფლებები, რომლებიც მოწოდებულნი არიან, უზრუნველყონ ცხოვრების კერძო ავტონომიური ორგანიზება, სრულიად ვერ იქნებიან ადეკვატურად ფორმულირებული, თუკი მანამდე დაინტერესებული პირები თავადვე საჯარო დისკუსიაში არ მოახდენენ არტიკულირებას და არ დაასაბუთებენ ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოსაზრებას თანასწორი და არათანასწორი მოპყრობის ტიპური შემთხვევებისათვის. თანასწორუფლებიანი მოქალაქეების კერძო ავტონომია შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ მათი სამოქალაქო ავტონომიის გააქტიურების სინქრონულად.

ვაცლავ ჰაველი (1936 - 2011)

ჩეხი დრამატურგი, ესეისტი და პოლიტიკოსი

სიტყვა "ვაცლავ ჰაველის სახელობის სამოქალაქო საზოგადოების სიმპოზიუმზე"

თუ კომუნისტური ტიპის ტოტალიტარული სისტემის თანაარსებობა შესაძლებელია კერძო საკუთრებასა და, ზოგ შემთხვევაში, კერძო წარმოებასთანაც კი, გამორიცხულია ამგვარი სისტემის არსებობა განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაში. ჭეშმარიტი სამოქალაქო საზოგადოება, ნამდვილი დემოკრატიის საფუძველი, ვერასოდეს შეეთვისება ტოტალიტარულ მმართველობას. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა, რომ კომუნისტური რეჟიმის დამყარებას თან მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოებაზე ყველაზე ძლიერი და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო იერიში.

სიტყვის თავისუფლება, რაც უმალ ჩაიხშო კომუნისტური სისტემის დამყარებისთანავე, ორმოცდაერთი წლის შემდეგ ასევე ერთ დღეში აღდგა. შესაძლებელი გახდა კომუნისტური პარტიის მმართველი როლის შესახებ კონსტიტუციაში არსებული დებულებების მყისიერად გაუქმება, სხვა პარტიების დაარსება და თავისუფალი არჩევნების ჩატარება. ჩვენ საკმაოდ მოკლე დროში შევძელით ნაციონალიზებული ეკონომიკის დიდი ნაწილი კონკრეტული მფლობელებისათვის გადაგვეცა.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, აქ საქმე ბევრად უფრო რთულად გვაქვს. მის აღდგენას წლები დასჭირდება. მიზეზი ნათელია: სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა საკმაოდ რთული, ძალიან სათუთი და ხანდახან ამოუცნობი ორგანიზმია, რომლის ჩამოყალიბებას ათწლეულები, ზოგჯერ კი საუკუნეები, სჭირდება. ის იზრდება ბუნებრივი განვითარების შედეგად და ასახავს ადამიანის აზროვნებისა და ზნეობის ევოლუციას, საზოგადოების თვითშემეცნებისა და ცოდნის დონეს და სამოქალაქო ცნობიერებასა და თვითშეგნებას. წლების განმავლობაში არარსებული სამოქალაქო საზოგადოების აღდგენა მმართველი პარტიის მიერ მიღებული კანონების, დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე შეუძლებელია. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ერთადერთი გზა მისთვის ხელსაყრელი გარემოს მოთმინებით შენება და საზოგადოების სულისკვეთების იმ მახასიათებლების გაძლიერებაა, რაც ხელს უწყობს მის წინსვლას.

ნება მომეცით, ვისარგებლო შემთხვევით და მოგახსენოთ, თუ რას ვფიქრობ პოსტკომუნისტური გამოცდილების ფონზე სამოქალაქო საზოგადოების ძირითად ელემენტებსა და მის მნიშვნელობაზე.

უპირველეს ყოვლისა, რა არის სამოქალაქო საზოგადოება?

ზოგადად ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ის, როგორც საზოგადოება, რომელშიც მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი - მრავალი პარალელური, ურთიერთშემავსებელი გზით - საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მატერიალური დოვლათის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. მონაწილეობის ხარისხი, ხასიათი და ინსტიტუციური ფორმა ძირითადად დამოკიდებულია თავად მონაწილეებზე, მათ ინიციატივასა და წარმოსახვის უნარზე, თუმცა ეს, ბუნებრივია, გარკვეულ სამართლებრივ საფუძველს ემყარება. ამრიგად, ეს არის საზოგადოება, რომელიც არა მარტო ინდივიდს და ჯგუფს აძლევს შემოქმედებით თავისუფლებას, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვან კომპონენტს, არამედ უშუალოდ ამ შემოქმედებით უნარს ეფუძნება. ასეთ საზოგადოებაში სახელმწიფოსა და სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციები შემოიფარგლება იმით, რასაც სხვა ვერავინ გააკეთებს - ეს არის კანონმდებლობის შემუშავება, ეროვნული თავდაცვა და უშიშროება, მართლმსაჯულების აღსრულება და ა.შ.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოება სამ ძირითად ბურჯს ეყრდნობა.

პირველი ბურჯია გაერთიანება, ამ სიტყვის ფართო გაგებით - ადამიანების თავისუფალი გაერთიანება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში: კლუბებში, სათემო ჯგუფებში, სამოქალაქო ინიციატივებში, ფონდებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებში, ეკლესიებსა და პოლიტიკურ პარტიებში. ადამიანები ერთიანდებიან ამ ორგანიზაციებში იმ მიზნებით, რომელთა მიღწევა ჯგუფურად უფრო იოლია, ვიდრე - ინდივიდუალურად. ორი არსებითი საკითხია, რომელთა გამოც ამ სახის გაერთიანებისთვის, რომელსაც საზოგადოების თვითსტრუქტურიზაციამდე მივყავართ, ამოსავალი წერტილია უშუალოდ ბიზნესთან ან მატერიალურ სარგებელთან დაკავშირებული ინტერესებისგან განსხვავებული ინტერესები; და სახელმწიფო, როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი, მხარს უჭერს ამგვარ გაერთიანებებს და გვთავაზობს მათი მოქმედებისთვის ხელსაყრელ პირობებს. სახელმწიფო ამას აკეთებს ორი მიზეზის გამო: პირველი - საზოგადოების სტაბილურობა, ჰარმონია და წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, აქვთ თუ არა მოქალაქეებსა და მათ დაჯგუფებებს სხვადასხვა ლეგიტიმური ინტერესის (ისეთი ინტერესის, რომელიც არ არის მოგებაზე ორიენტირებული) დაკმაყოფილების საკმარისი საშუალება, და მეორე - ამ არასარფიანი საქმიანობის უმეტესი ნაწილი ემსახურება არა მხოლოდ იმ ადამიანებს, ვინც მათში მონაწილეობს, არამედ მოაქვს უფრო ფართო სარგებელი, რომლითაც ამა თუ იმ სახით ყველას შეუძლია ისარგებლოს.

სამოქალაქო საზოგადოების მეორე ბურჯია სახელმწიფო მართვის სისტემაში არსებული ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა. ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეები ირჩევენ არა მხოლოდ ცენტრალური წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებს, არამედ - თავიანთ წარმომადგენლებსაც მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების ადგილობრივ თვითმმართველობაში, და რომ ეს (უფრო დაბალი დონის) წარმომადგენლობითი ორგანოები სათანადო უფლებამოსილებასა და საკუთარ ფინანსურ სახსრებს ფლობენ. ყველაფერი ის, რაც არ არის აუცილებელი გადაწყდეს ცენტრალური ხელისუფლების ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოების მიერ, უნდა გადაწყდეს ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლების მიერ უფრო დაბალ დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი (და, ამავდროულად, მისი განვითარების ფორმა ან წინაპირობა) არის დეცენტრალიზებული სახელმწიფო.

რასაკვირველია, სახელმწიფოს კანონით განსაზღვრული სოციალური მოვალეობები აკისრია. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვალეობები სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. ეს მოვალეობები მოიცავს სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, განათლებისა და გარემოს დაცვის სფეროებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უნდა იყოს გარანტი ამ მოვალეობების შესრულებისა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ერთადერთი უნდა იყოს, ვინც მათ განახორციელებს.

სახელმწიფო, ჩვეულებრივ, არც კარგი ექიმია და არც კარგი მასწავლებელი. ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების მესამე ბურჯს უნდა წარმოადგენდეს სხვა ორგანიზაციებისათვის სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ზოგიერთი ფუნქციის გადაცემის მოქნილი სისტემა, რასაც თან უნდა ახლდეს ამ ორგანიზაციების კონტროლისა და მხარდაჭერის ასეთივე მოქნილი სისტემა. სკოლები, საავადმყოფოები, თეატრები და მსგავსი დაწესებულებები, თუკი ისინი კომერციული კომპანიების სახით არ მოქმედებენ, არ უნდა წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ისეთ ნაწილს, როგორიცაა ჯარი და პოლიცია. მათ უნდა ჰქონდეთ სტატუსი არაკომერციული ორგანიზაციებისა, რომელთა მიმართაც სახელმწიფოს, უბრალოდ, გარკვეული უფლებები აქვს და, ასევე, გარკვეული მოვალეობები აკისრია.

სამოქალაქო საზოგადოების სამივე ბურჯი - ადამიანების გაერთიანება სხვადასხვა ორგანიზაციაში, სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ორგანიზაციებისათვის საკუთარი ფუნქციებიდან ზოგიერთის გადაცემა - არის ის სამი ძირითადი მიზანი, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ ჩემს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების აღდგენის პროცესში.

ყოველივე ეს თქვენთვის, ალბათ, ისედაც ცხადია, შეიძლება გიკვირთ კიდეც, რატომ ვლაპარაკობ ამდენს ასეთ ბანალურ თემებზე.

დიახ, მე ვიცი, რომ ამერიკაში - ქვეყანაში, სადაც ალბათ მსოფლიოში ყველაზე უფრო განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებაა - შეიძლება გასაკვირი იყოს, თუ რა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რაც თავისთავად ცხადია.

აქ და ამ მომენტში ამ თემებზე მსჯელობა ერთ მიზანს ემსახურება: მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ამერიკა მსოფლიოში თავისი განსაკუთრებული როლის შესრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ სხვა ერების პრობლემებს გაიგებს. ჩეხეთის რესპუბლიკისთვის, ისევე, როგორც სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, სამოქალაქო საზოგადოების აღდგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამ მიზნის მიღწევისგან ჯერ კიდევ შორს ვართ.

აღარ გავიმეორებ, რომ ეს ძალიან რთული პროცესია - არა მარტო ზოგადი სიტუაციიდან გამომდინარე, რაც უკვე აღვნიშნე, არამედ იმის გამოც, რომ ჩვენი ახალი პოლიტიკური ლიდერების ნაწილი ან გულგრილია სამოქალაქო საზოგადოების აღდგენის იდეის მიმართ, ან ეწინააღმდეგება კიდეც მას. როგორც კი იგდებენ ხელში ძალაუფლებას, მაშინვე ითავისებენ სახელმწიფოს ზოგად სურვილს, არაფერი დათმოს იქიდან, რაც მოუპოვებია. პარადოქსია, მაგრამ დღეს საკმაოდ ბევრი დემოკრატი თუ ანტიკომუნისტი პოლიტიკოსი იცავს სახელმწიფოს გადამეტებულ

ძალაუფლებას, რაც კომუნისტური ეპოქის გადმონაშთია.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჩემს ქვეყანაში ბევრი სკოლა, საავადმყოფო, კულტურული დაწესებულება და სხვა ორგანიზაციები ჯერ კიდევ იმართება ცენტრალიზებული მმართველობის მოძველებული, ხშირად აბსურდული და ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანი წესებით, თუმცა მათ დიდი ხნის წინ შეეძლოთ, გამხდარიყვნენ თანამედროვე არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებსაც სახელმწიფო ან შორიდან ადევნებდა თვალს, ან გამჭვირვალე პროცედურების მეშვეობით მხარს დაუჭერდა.

სწორედ ამიტომ არის, რომ დებატები სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის შესახებ უკვე ცხრა წელია უშედეგოდ მიმდინარეობს; არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას არ სურს გადასცეს უფლებამოსილება რეგიონებს ან მუნიციპალიტეტებს. ამის გამოა, რომ, გარდამავალი ეკონომიკის საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩემს ქვეყანაში გადასახადები ჯერ კიდევ ძალიან მაღალია: სახელმწიფოს რეალურად უწევს ათასი ისეთი ხარჯის გაწევა, რაც არ დასჭირდებოდა განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, რადგან მოქალაქეები თავად გადაიხდიდნენ ამ ხარჯებს.

კონსერვატიზმს არაფერი აქვს საერთო იდეოლოგიასთან. როდესაც ზოგიერთი პოლიტიკოსი ცდილობს იდეოლოგიური გამართლება უპოვოს საკუთარ სურვილს, არ დაუშვას სახელმწიფო ძალაუფლების შემცირება, ისინი, ჩვეულებრივ, ასეთ რამეს ამბობენ: ხალხმა ჩვენ აგვირჩია; მათი სურვილი იყო, რომ ჩვენ გვემართა სახელმწიფო. ნებისმიერი საწინააღმდეგო აზრი იერიშია წარმომადგენლობით დემოკრატიაზე, პოლიტიკურ პარტიებსა და, ზოგადად, პოლიტიკურ სისტემაზე. რესურსების სოციალური გადანაწილება სახელმწიფოს მოვალეობაა და ეს ფუნქცია არ უნდა დაეკისროს სხვებს. პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და მხარდაჭერის ნებისმიერი მცდელობა, რაც პოლიტიკურად ცენტრიდან არ კონტროლდება, საპარლამენტო დემოკრატიის ეჭვქვეშ დაყენების ტოლფასია. სამოქალაქო საზოგადოებისადმი რწმენა ჩეხეთში ბევრი ადამიანის მიერ ჯერ კიდევ ითვლება მემარცხენეობად, ანარქიად. ზოგი მას ფაშიზმის წინამორბედადაც მოიხსენიებს.

რა თქმა უნდა, ეს უაზრობაა: სამოქალაქო საზოგადოება, როგორც უკვე აღვნიშნე, სინამდვილეში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ერთადერთი მყარი საფუძველია. პოლიტიკური პარტიები და დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტები სრულყოფილად მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებენ, როცა განვითარებულ და პლურალისტურ სამოქალაქო გარემოში ეძებენ ძალასა და შთაგონებას და მზად არიან მიიღონ ჯანსაღი კრიტიკა ამავე გარემოდან. ეს არ ისახავს მიზნად პარლამენტის, მთავრობის ან პოლიტიკური პარტიების გარიყვას საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ან მათ შეცდენას. პირიქით, ძირითადი მიზანია ამ ინსტიტუტებს ისე შეეწყოთ ხელი მუშაობაში, რომ გაამართლონ თავიანთი არსებობა, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი, რაც წარმოადგენს დემოკ-რატიული სისტემის კულმინაციას. ცოცხალი, მრავალფეროვანი სტრუქტურის მქონე სამოქალაქო საზოგადოების გარეშე სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური პარტიები და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტიტუტები კვდებიან, აკლიათ ახალი სისხლი, კარგავენ მამოძრავებელ და შემოქმედებით ძალას და გადაიქცევიან პოლი-

ტიკური პროფესიონალების დახურულ უუნარო ჯგუფებად, რომლებიც ძირითადად არავითარ საზრდოს არ იღებენ გარედან.

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მტკიცება იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარება არის შეტევა არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მათ არ სურთ გაუნაწილონ ძალაუფლება სხვებს. ეს იგივეა, რომ პარტიებმა გვითხრან: ქვეყნის მართვა ჩვენი საქმეა, თქვენი კი - ჩვენს შორის არჩევანის გაკეთება და სხვა არაფერი.

ღირს თუ არა სამოქალაქო საზოგადოების აღდგენისათვის ბრძოლა, მიუხედავად მის მიმართ მტრული დამოკიდებულებისა? რა არის მისი უპირატესობა და რა არის ის, რაც მის უმთავრეს აზრს წარმოადგენს?

ნება მომეცით, განვიხილო რამდენიმე ძირითადი ფაქტი.

პირველი: სამოქალაქო საზოგადოება წარმოშობს ჭეშმარიტ პლურალიზმს, ხოლო პლურალიზმი, ბადებს რა კონკურენციას, ქმნის ხარისხს. ამ მხრივ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკას შორის მსგავსებაა. რაც უფრო მრავალფეროვანი და დამოუკიდებელია ფართო მასებიდან წამოსული, ყველა სფეროში მოქმედი ინიციატივები, მით უფრო დიდია შანსი, თავისუფალი კონკურენციის პირობებში გამოვლინდეს ამ ინიციატივებს შორის საუკეთესო. მინდობა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებისა თუ ცენტრალური პოლიტიკური ორგანოების უნარზე, მიიღონ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის უკეთესი, რა და როგორ უნდა გაკეთდეს, ნიშნავს, რომ ძალაუფლება და ჭეშმარიტება გააიგივო ერთმანეთთან. ჩვენ ვიცით, ან უნდა ვიცოდეთ, ისტორიულად რა შედეგი მოჰყვება მსგავს დამოკიდებულებას. ეს რეგრესია. ვინც ანი თქვა, აუცილებლად უნდა თქვას ბანიც. თუ თავისუფლება გვინდა, არსებობის უფლება უნდა მივცეთ იმასაც, რაც მისი ბუნებრივი პროდუქტია, მისი გამოხატულება და მისი რეალური ხორცშესხმაა, ანუ არსებობის უფლება უნდა მივცეთ სამოქალაქო საზოგადოებას.

მეორე აშკარა ფაქტი, დაკავშირებული პირველთან, არის ის, რომ, რაც უფრო მრავალფეროვანი და წარმატებულია სამოქალაქო საზოგადოება, მით უფრო მყარია შიდა პოლიტიკური სიტუაცია. ეს გასაგებიც არის. სამოქალაქო საზოგადოება იცავს მოქალაქეებს პოლიტიკური ძალაუფლების შიგნით მომხდარი ცვლილებების ზემოქმედებისგან. შედარებით დაბალ დონეებზე ის ისრუტავს ასეთი ცვლილებების შედეგებს, გადაამუშავებს მათ და აწესრიგებს კიდეც. ამ გზით ის ამსუბუქებს პოლიტიკურ ცვლილებებს ან იმას მაინც უზრუნველყოფს, რომ ეს ცვლილებები არ იყოს საბედისწერო. მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებები არ უნდა აღიქმებოდეს ქარიშხლად, რომელიც ყველაფერს მიწასთან ასწორებს. მაგრამ როდესაც სამოქალაქო საზოგადოება არ არის საკმარისად განვითარებული, პოლიტიკურ ცენტრში აღმოცენებული ყველა პრობლემა მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ილექება, ხოლო მოქალაქეთა პრობლემები აღწევს ხელისუფლებამდე და ამიტომ მას (ხელისუფლებას) ისეთი საკითხების გადაწყვეტა უხდება, რომელთა მოგვარება სხვა შემთხვევაში არ მოუწევდა - და ეს იმ პრობლემების მოგვარების ხარჯზე ხდება, რომლებიც სწორედ რომ ხელისუფლების გადასაჭრელია, ვინაიდან ის არის მათზე პასუხისმგებელი. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოება არა მხოლოდ პოლიტიკური ქაოსისგან

დამცავი საუკეთესო საშუალებაა, არამედ ავტორიტარული ძალების აღზევებისგანაც გვაზღვევს - ეს ძალები ყოველთვის მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც საზოგადოებაში რაიმე ძვრები ხდება ან საზოგადოება თავს დაუცველად გრძნობს. რაც უფრო მეტი ძალაუფლება უპყრია ხელთ ცენტრალურ ხელისუფლებას, მით უფრო ხელსაყრელი პირობები ექმნება ასეთ ძალებს იმისათვის, რომ ქვეყანაზე კონტროლი დაამყარონ. კომუნისტებმა შესანიშნავად იცოდნენ, თუ რატომ უნდა ეკონტროლებინათ მეფუტკრეთა თითოეული ასოციაცია და რატომ უნდა მოეხდინათ მისით მანიპულირება.

მესამე: არა მგონია, ადამიანი მაინცდამაინც კარგი ეკონომისტი ან მათემატიკოსი უნდა იყოს, რომ მიხვდეს, რამდენს იხდის სამოქალაქო საზოგადოება. როდესაც ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება, მეტი თანხა უნდა შეგროვდეს გადასახადებიდან; მნიშვნელოვანი რაოდენობა ამ თანხისა იკარგება ზემოთ და ქვემოთ მოძრაობისას იგი გადარიცხვებზე იხარჯება. სისტემაში, რომელიც საგადასახადო შეღავათებს უშვებს, საზოგადოებისთვის სასარგებლო ინიციატივები უკეთ ფინანსდება, ვიდრე იმ შემთხვევაში დაფინანსდებოდა, ეს თანხები გადასახადების სახით რომ გროვდებოდეს. გარდა ამისა, მოკლე და პირდაპირი კავშირი ფულის გადამხდელსა და იმ მიზანს შორის, რომელსაც ის აფინანსებს, საშუალებას აძლევს დამფინანსებელს უკეთესად გაიგოს, როგორ იხარჯება ფული; ეს ცუდი მენეჯმენტის რისკის შემცირების კარგი საშუალებაა. აღარაფერს ვამბობ პლურალიზმის ფასდაუდებელ ეკონომიკურ ღირებულებაზე, რომელიც ძლიერდება გადანაწილების სისტემის დეცენტრალიზაციით. კიდევ იმას დავამატებდი, რომ კონკრეტული დონორი უკეთ ერკვევა საზოგადოების საჭიროებებში, რომლებიც დონორის ინტერესთა სფეროშია, ვიდრე - საუკეთესო საჯარო მოხელე ნებისმიერ სამინისტროში.

მეოთხე: და მაინც, სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ასპექტი სხვა რამეა; ეს ის ფაქტია, რომ სამოქალაქო საზოგადოება საშუალებას აძლევს ადამიანს, მოახდინოს საკუთარი თავის - ანუ სახეობისა, რომელსაც ზოონ პოლიტიკონ, ანუ სოციალური ცხოველი, ეწოდება - ნამდვილი და სრული რეალიზაცია. ადამიანები არ არიან მხოლოდ მწარმოებლები, მოგების მომხვეჭელნი ან მომხმარებლები. ისინი ასევე არიან (და ეს, შესაძლოა, მათი ყველაზე სიღრმისეული მახასიათებელია) არსებები, რომელთაც სხვებთან ყოფნის სურვილი აქვთ, ეძებენ თანაარსებობისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას, სურთ, მონაწილეობა მიიღონ ცალკეული ჯგუფისა თუ საზოგადოების ცხოვრებაში და ზემოქმედება მოახდინონ იმაზე, რაც მათ გარშემო ხდება. თავისი არსიდან გამომდინარე ადამიანი მიდრეკილია იმისკენ, რომ არ იყოს გულგრილი სხვებისა და საზოგადოების მიმართ. ადამიანებს სურვილი აქვთ, რომ მათი საქმიანობა ფასდებოდეს. კაცობრიობა სინდისის, სხვებისადმი სიყვარულის მორალურ კოდექსს წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოება არის ერთ-ერთი ფორმა, რომელშიც მთლიანად უნდა გამოვლინდეს ჩვენი ადამიანური ბუნება, მისი ყველაზე სათუთი ელემენტები, რომლებიც ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია.

სამოქალაქო საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, არის მსოფლიოსადმი ადამიანის პასუხისმგებლობის განხორციელების შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი.

არა მგონია, აუცილებელი იყოს იმის აღნიშვნა, თუ რამდენად საჭიროა

დღევანდელ მსოფლიოში, რომელსაც ესოდენ ბევრი საფრთხე ემუქრება, ამგვარი შესაძლებლობის გაფრთხილება და ხელშეწყობა.

საბოლოოდ ამას მივყავარ საკითხამდე, რომელიც, ალბათ, თანაბრად ეხება როგორც ჩემს თანამოქალაქეებს, ისე - თქვენ. დღევანდელ მსოფლიოში, თავისი გლობალური, მატერიალისტური და საკუთარი თავისთვის საფრთხის მატარებელი ცივილიზაციით, ერთ-ერთი საშუალება სულ უფრო მზარდ საშიშროებასთან საბრძოლველად არის უნივერსალური სამოქალაქო საზოგადოების მეთოდური შენება. ჩემი აზრით, მომავალი საუკუნის სახელმწიფომ, სწრაფად მზარდი კაცობრიობის არსებითი ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ამბიციების მისტიკური განსახიერებიდან და კერპიდან საკუთარი თავი სამოქალაქო მართვის ერთეულად უნდა გარდაქმნას; მან უნდა აღიაროს, რომ აუცილებელია ძალაუფლების საკმაოდ დიდი ნაწილის გადაცემა ან ქვედა დონეებისათვის, ანუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზმებისათვის, ან მასზე მაღალი დონეებისთვის, ანუ ტრანსნაციონალური თუ გლობალური, და, შესაბამისად, ნამდვილად სამოქალაქო, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისათვის.

მე ნამდვილად არა ვარ პატრიოტიზმის წინააღმდეგი. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა ისევე, როგორც ჩვენი ოჯახი, სოფელი თუ ქალაქი, ჩვენი პროფესია, პლანეტა, რომელზეც ვცხოვრობთ და რომელზეც ჩვენი სამშობლოა. მე მხოლოდ ნაციონალიზმის, ნაციონალური კუთვნილების ყველაფერზე ზემოთ ბრმად დაყენების, წინააღმდეგი ვარ.

მე არც რომელიმე რელიგიის, კულტურის ან ცივილიზიციის ცალკეული ტრადიციების წინააღმდეგი ვარ. ჩემთვის მიუღებელია ყველა სახის ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი, რომელიც, ისევ და ისევ, გარკვეულ ადამიანებს სხვებზე მაღლა აყენებს.

ვფიქრობ, რომ ყველაზე თავისუფალი წყობა, ანუ ის, რომელიც საუკეთესო საშუალებას აძლევს ადამიანის ყველა სახის თვითგამოხატვას განვითარდნენ ერთმანეთის გვერდით, არის წყობა, რომელიც ემყარება სამოქალაქო პრინციპს; წყობა, რომელსაც საფუძვლად უდევს რწმენა მოქალაქეობისა და ურთიერთპატივისცემისა.

ასეთი სამოქალაქო წყობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება არის ის, რასაც ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას ვუწოდებთ.

წარმატებას გისურვებთ ამ თემაზე დისკუსიაში და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც მიუკერძოებლად ფიქრობს ამ საკითხზე, გზას გვიკაფავს უკეთესი მომავლისაკენ.

მაკალესტერის კოლეჯი,
მინეაპოლისი/სენტ პოლი, ამერიკის შეერთებული შტატები,
1999 წლის 26 აპრილი

CSI CSI
სიესაი
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

სამოქალაქო საზოგადოება
ალმანახი

ISBN 978-9941-0-6149-3

ალმანახი გამოცემულია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ
Brot fur die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

Brot
für die Welt

CSI CSI
სიესაი
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის
ბიბლიოთეკა

Brot
für die Welt